

დაიბეჭდა

არქიმანდრიტ რაფაელისა (კარელინი)

და

დეკანოზ ალექსანდრეს (ბოლქვაძე)

ლოცვა-კურთხევით

БЕСИК ХУРЦИЛАВА

БАКУР ВЕЛИКИЙ
ОСНОВОПОЛОЖНИК ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ
ПИСЬМЕННОСТИ "АСОМТАВРУЛИ"
(НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ)

BESIK KHURTSILAVA

BAKUR THE GREAT
THE FOUNDER OF THE OLD GEORGIAN
SCRIPT "ASOMTAVRULI"
(BY GEORGIAN)

ТБИЛИСИ - 2003 - TBILISI

ბესიკ ხურცილავა

დიდი ბაკური
ქართული ასომთავრული
დამწერლობის ფუძემდებელი

თბილისი
2003

КГУДУДКК 947.922+(0:8)

ბ 948

წინამდებარე მონოგრაფია ეძღვნება ადრექრისტიანული ხანის (IV-V სს.) გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, მისი დროის უდიდეს მოაზროვნეს, მეცნიერსა და მწიგნობარს, ეროვნული ქრისტიანული დამწერლობისა (ასომთავრული ანბანის) და ორიგინალური კალენდარული წელთაღრიცხვის ერთ-ერთ შემოქმედს – «დიდ ბაკურს»

ნაშრომში ძველ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე წარმოჩენილია აღნიშნული პიროვნების მრავალმხრივი პორტრეტი, ცხოვრებისა და მოღვაწეობის როგორც ნაცნობი, ისე დღემდე პრაქტიკულად უცნობი ეპიზოდები; გამოკვლეული და მწყობრი სახით არის ჩამოყალიბებული დიდი ბაკურის ღვაწლი ქართული ასომთავრული ანბანისა და ორიგინალური კალენდარული წელთაღრიცხვის შექმნის საქმეში; მოცემულია აღნიშნული მოვლენის შინაარსობრივი მხარის, თანამდევნი გარემოებებისა და მსოფლმხედველობრივი ასპექტების ფართო ანალიზი და სხვ.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც სპეციალისტთა, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

პირველი გამოცემა

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოც. იოსებ კვიციანი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ჯემალ სტეფანაძე.

ტექნედაქტორი: გიორგი (მალხაზ) ხურცილავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მამუკა ხანთაძე

მხატვარი: ქეთევან შალამბერიძე

ISBN 99928-0-527-7

* * *

თავს ვალდებულად ვთვლით გულწრფელი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ ყველა ის ადამიანი, ვისი მხრიდან ჩვენდამი გამოხატული დიდი მორალური, მეცნიერული, ტექნიკური თუ ფინანსური მხარდაჭერის შედეგად შესაძლებელი გახდა წინამდებარე ნაშრომის მკითხველთა ფართო წრის სამსჯავროზე გამოტანა.

ვსარგებლობთ შემთხვევით და პირველყოვლისა უღრმეს მადლობას ვუძღვნით არქიმანდრიტ **რაფაელსა** (კარელინი) და თბილისის ქვემო ბეთლემის ტაძრის მოძღვარს, დეკანოზ **ალექსანდრეს** (ბოლქვაძე), რომელთა მხრიდან წიგნზე მუშაობის მანძილზე ჩვენ არამარტო მუდმივად ვგრძნობდით დიდ მორალურ თანადგომას - გამოხატულს ლოცვა-კურთხევაში, არამედ სისტემატიურად ვიღებდით პრაქტიკულ, სასარგებლო რჩევა-დარიგებებსაც წარმოდგენილი თემის თეოლოგიურ ასპექტებთან მიმართებაში. მადლობის სიტყვებით გვსურს მოვიხსენიოთ წინამდებარე წიგნის რედაქტორები: ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **იოსებ კვიციანი** და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯემალ სტეფნაძე** წიგნზე მუშაობის პერიოდში ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისათვის და რიგ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით საქმიანი შენიშვნების მოცემისათვის. დიდ მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე **მამუკა ხანთაძეს** - წიგნის უანგაროდ სათანადო კომპიუტერული უზრუნველყოფისათვის; **ქეთევან შალამბერიძეს** - წიგნის გარეკანის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებისათვის; **მალხაზ ხურცილავას**, წიგნის ტექრედაქტორს, რომლის დიდი პრაქტიკული მხარდაჭერის გარეშე წინამდებარე ნაშრომი დღის სინათლეს ალბათ ვერ იხილავდა.

ავტორი

«Ne quid falsi audeat, ne quid veri non audeat
historia.

«დაე, ისტორია ტყუილს შეუშინდეს, მაგრამ
არ შედრკეს არანაირი სიმართლის წინაშე».

კიკერონი

წინასიტყვაობა

პიროვნებას, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი, თავის დროზე არაერთი ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის ყურადღება ხვდა წილად. ეს ინტერესი ბუნებრივად დაჰბადა მის შესახებ უცხოურ წერილობით წყაროებში გაბნეულმა ნაირსახოვანმა ცნობებმა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ თვით ამ ცნობების თვალშისაცემად წინააღმდეგობრივმა ხასიათმა. სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე არ წყდება გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული კამათი და ძიებანი «**დიდი ბაკურის**» სახელით ცნობილი ისტორიული პირის ვინაობის შესახებ. თუმცა, ყველა ის მეცნიერი, ვინც კი ოდესმე დაინტერესებულა აღნიშნული პიროვნებით, შინაგანად

გრძნობდა იმას, რომ საქმე ჰქონდა უაღრესად საინტერესო და არაორდინარულ ფიგურასთან, რომელსაც თავის დროზე ძველი სამყაროს არაერთი ცნობილი ავტორის ყურადღება ხვდა წილად. ყველა ის წერილობითი წყარო, სადაც ამა თუ იმ კუთხით მოხსენიებულია ჩვენთვის საინტერესო პიროვნება, საზოგადოდ კარგად არის ცნობილი მეცნიერთათვის. მაგრამ ეს ცნობები მათგან ყოველთვის ერთსახოვნად არ არის შეფასებული ან განმარტებული. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მათ კვლავ დავიმოწმებთ, რაც თავის მხრივ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ IV-V სს-თა ზღურბლზე მცხოვრები დიდი მამულიშვილის პიროვნული პორტრეტი, მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი. სათქმელს წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ იმას, რომ საკითხთა ფართო წრის გულდასმით შესწავლის შედეგად დიდი ბაკური პიროვნება ჩვენს თვალში წარმოჩინდა არანაკლები მნიშვნელობისა თუ ფასეულობის მქონე ისტორიულ მოღვაწედ, ვიდრე ქართველი ხალხის თუნდაც ისეთი გამოჩენილი წიგნიერი შვილები, როგორებიც იყვნენ შორეულ თუ მახლობელ წარსულში ვახტანგ გორგასალი, გიორგი მთაწმინდელი, დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთველი, ვახტანგ მეექვსე, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა მრავალი. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბაკური არის ის საყრდენი ლიბო, რომელზედაც შემდგომში აღმოცენდა საზოგადოდ ეროვნული მწიგნობრობა, კულტურა და, საერთოდ, ქართული ქრისტიანული ცივილიზაცია. მართლაც პარადოქსულად შეიძლება მოგვეჩვენოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად ჩვენთვის საინტერესო პიროვნების მიმართ სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა (ფილოლოგთა, ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა და სხვ.) მხრიდან ადრიდანვე გამოჩენილი დიდი ინტერესისა (იხ. 104; 105; 49; 87; 19; 20; 32; 72; 91; 92; 93; 21; 13 და სხვ.), შეიძლება ითქვას, რომ ეს ბუმბერაზი პიროვნება და მისი ფასდაუდებელი ღვაწლი მშობლიური ერისა და ქვეყნის, ქართული ეკლესიის წინაშე ფაქტიურად დღემდე მაინც უცნობი რჩება ჩვენი საზოგადოების ფართო წრისათვის. წინამდებარე ნაშრომს აქვს იმის პრეტენზია, რომ ის ამ ხარვეზისა თუ ისტორიული უსამართლობის გამოსწორების ცდად ჩაითვალოს. მოცემულ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების ნაწილის ჩვენის მხრივ გაზიარების ფონზე წინამდებარე ნაშრომში მკითხველი იხილავს თვისობრივად განსხვავებულ მოსაზრებებსაც; რიგ შემთხვევაში, ალბათ, პოლემიკურსაც. ამის საჭიროება ლოგიკურად წარმოშვა შესასწავლი საკითხების მიმართ სპეციალისტთა შორის სადღეისოდ არაერთგვაროვანი მოსაზრებების არსებობის ფაქტმა. საერთოდ კი, დიდი ბაკურის პიროვნების მიმართ ჩვენი ინტერესი არახალია. მაგრამ მისი ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიულად შესწავლის სურვილი (თავად იდეა, როგორც ასეთი, მოგვაწოდა ბ-ნმა იოსებ კვიციანმა - ბ.ბ.) განსაკუთრებულად გაგვიცხოველდა მას შემდეგ, რაც დღის სინათლეზე იქნა გამოტანილი ჩვენი ნაშრომი: «ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის» (2002 წ.). სხვადასხვა მიმართულებით წარმართული კვლევა-ძიებების ნიადაგზე გაკეთებული შედეგობრივი დასკვნების შემდეგ ჩვენ უბრალოდ ვალდებულებიც ვიყავით, რომ ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულება გვეკისრა. წინამდებარე ნაშრომში მკითხველი ბევრ ადგილას იხილავს იმ მასალებს, რომლებიც ზემოდასახელებულ მონოგრაფიაში უკვე გვქონდა დამოწმებული. მაგრამ ამჯერად აღნიშნული მასალები მნიშვნელოვნად შევსებული და მწყობრი სახით არის წიგნის V თავში წარმოდგენილი.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა პრაქტიკულად თექვსმეტი საუკუნის მანძილზე დავიწყებას უსამართლოდ მიცემული თვალსაჩინო ერისკაცის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ ჩვენგან შედგენილ წინამდებარე მცირე

«მატიანეს». წიგნის ავტორი თავის მხრივ გულისხმიერებით მიიღებს ყველა სასარგებლო მენიშვნასა და მოსაზრებას, გაითვალისწინებს მათ სამომავლოდ.

შესავალი

საკითხის ისტორიოგრაფია

დიდი ბაკურის პიროვნების შესახებ ცნობებს ვხვდებით როგორც ქართულ, ისე სომხურ და ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში. ამასთანავე, ცნობების ერთი ნაწილი შეეხება აღნიშნული პირის ცხოვრება-მოღვაწეობის იმ პერიოდს, როდესაც ის, ჯერ კიდევ მეფისწულის რანგში მყოფი, სამშობლოს გარეთ - ბიზანტიის იმპერიაში ეწეოდა სამხედრო სამსახურს; ცნობების მეორე ნაწილი კი ასახავს დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს, რა დროსაც მას ქართლის (იბერიის) სამეფო ტახტზე აღზევებულს ვხედავთ.

ყველაზე ადრინდელ ცნობას აღნიშნულ პირზე ვხვდებით რომაელ ისტორიკოს ამიანე მარცელინესთან (330-400 წწ.). აქ ის 378 წლის 9 აგვისტოს ქალაქ ადრიანოპოლთან ვესტ-გოთების წინააღმდეგ მებრძოლი ვალენტი კეისრის (364-378 წწ.) ჯარის ერთ-ერთ სარდლად (სკუტარიების, ანუ ფაროსანთა ტრიბუნად) მოიხსენიება (7:144). შემდეგ იგივე ბაკური ნახსენებია ცნობილი ასურელი ნეოპლატონიკოსი სოფისტის - ლიბანიოსის (314-393 წწ.) 392 წლით დათარიღებულ სამ წერილში, როგორც ფრიად მოაზროვნე, ფილოსოფია-რიტორიკასა და მეცნიერებებში განსწავლული და დახელოვნებული ადამიანი (58:63-66). ბაკურს, როგორც წმ. ნინოს მიერ ქართლის (იბერიის) მოქცევის ისტორიის მათთვის მომთხრობ პირს, ასახელებენ თავიანთ შრომებში ცნობილი საეკლესიო მწერლები: პალესტინის კესარიის ეპისკოპოსი გელასი (+395წ.), აკვილელი ხუცესი ტურანიუს რუფინუსი (345-410 წწ.) და სოკრატე სქოლასტიკოსი (380-440 წწ.); სოკრატე დამატებით კიდევ ბაკურს 388 წლის აგვისტოში მაქსიმე ტირანის წინააღმდეგ იმპერატორ თეოდოსი დიდის (379-395 წწ.) მიერ ილირიკაში წარმოებული ბრძოლის თანამონაწილედაც სახავს (82:194, 207, 234). იმავე ბაკურს 394 წლის 5/6 სექტემბერს ისტრიაში, მდ. ფრიგიდიუსსთან (ახლ. ვიპავა სლოვენიაში) ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ იმპერატორ თეოდოსი I დიდის მიერ გამართული ბრძოლის აქტიურ მონაწილედ ასახელებენ ბიზანტიელი მწერლები - ზოსიმე (V-VI სს.) და გიორგი ამარტოლი (IX ს.) (31:269-270; 18:198). რუფინუსის ცნობაზე დაყრდნობით იბერიელთა მეფე ბაკურს, როგორც ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევის ისტორიის მომთხრობ პირს, ახსენებს თავის თხზულებაში ცნობილი ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი თეოფანე აღმსარებელი (760-818 წწ.) (იხ. «გეორგიკა». ტ. IV, ნაკვეთი I, თბ., 1941:75). დიდ ბაკურს, როგორც იბერიის ხელმწიფეს და ქართული ქრისტიანული დამწერლობის შექმნასთან დაკავშირებულ პირს, იცნობენ V ს-ის ცნობილი სომეხი მწერლები - კორიუნი და მოვსეს ხორენაცი (56:100-101; 67:223-224). მის შესახებ არაერთ ძვირფას ცნობას ვნახულობთ პეტრე იბერის არაბი ეროვნების ბიოგრაფ იოანე რუფუსსთან, ანუ ბეით-რუფინთან (V-VI სს.). სწორედ ამ ავტორთან არის ჩვენთვის საინტერესო პიროვნება «დიდ ბაკურად» სახელდებული (37:248-251). ქართული წერილობითი წყაროებიდან აღნიშნულ პირს მხოლოდ «მოქცევაი ქართლისაი»-ს მატიანე იცნობს. აქ ის ქართლის მეფე ბაკურ თრდატის ძეს შეესაბამება, რომელსაც თავის ზეობის პერიოდში ეკლესია აუგია

ბოლნისში და როგორც ჩანს, არმაზის ძველი საფორტიფიკაციო ნაგებობებიც («არმაზნი») განუახლებია (68:92).

საინტერესოა, რომ ზემოთ აღნიშნულ ავტორთაგან ზოგიერთს (მაგალითად, ლიბანიოსს, გელასი კესარიელს, ტურანიუს რუფინუსს) პირადად სცნობია დიდი ბაკური, ზოგიც სანდო ზეპირ და წერილობით წყაროებს ეყრდნობოდა მასზე საუბრისას. დიდი ბაკურის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ნარატიული მასალები საკმაოდ მრავალფეროვანია და ინფორმაციულობის თვალსაზრისითაც არცთუ ისე მწირი, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ დასახელებული პიროვნების თვითმყოფადი პორტრეტი, მისი სისხლსავსე, შინაარსიანი ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი ეპიზოდები. გარდა დასახელებული წყაროებისა გარკვეულ დახმარებას გვიწევს აღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაჭრაში დავათის ქვასვეტის იკონოგრაფიასა და «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი»-ს პროზაულ ჰიმნში განთავსებული საგულისხმო, ხანგრძლივი დროის მანძილზე თავსატეხად მიჩნეული და აწ უკვე ჩვენგან ამოცნობილი, ინფორმაციაც (იხ. 102:27-45). უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უძველეს, 433-444 წლებით დათარიღებულ წარწერას პალესტინის ქართული მონასტრიდან, სადაც სხვასთან ერთად ნახსენებია ჩვენთვის საინტერესო პიროვნებაც. ამასთანავე, ფრიად ძვირფას ინფორმაციას გვაწვდის ბაკურის მსოფლმხედველობის რაობისა და განათლებულობის ფონის გამორკვევის თვალსაზრისით ქართული ასომთავრული ანბანის შესწავლის შედეგად გამოვლენილი მრავალფეროვანი მასალაც.

ხსენებული პიროვნების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაშიც არამცირედია ნათქვამი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მეცნიერთა დიდი უმრავლესობა ერთმანეთისაგან ანსხვავებს უცხოურ წერილობით წყაროებში ნახსენებ იბერიელ მეფისწულ ბაკურისა და ქართლის მეფე დიდი ბაკურის პიროვნებებს. საკმაოდ სხვაობს მეცნიერთა შეხედულებები დიდი ბაკურის ზეობის წლებისა და რელიგიური მრწამსის განსაზღვრის საკითხებშიც. მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი.

ასე მაგალითად, ს.გორგაძე დიდ ბაკურს «მოქცევაი ქართლისაის» ქრონიკისეულ ბაკურ რევის ძესთან აიგივებდა, რომელსაც, მისი აზრით, 361-364 წლებში ეჭირა სამეფო ტახტი და შემდეგ ან თვითონ დათმო ის ან თრდატ რევის ძემ ჩამოაგდო და ამ მიზეზით ბიზანტიაში წავიდა, სადაც 394 წელს ბრძოლაში დაიღუპა (23:36); რაც შეეხება ბაკურ თრდატის ძეს, მისი ზეობის პერიოდს ს.გორგაძე 425-428 წლებით საზღვრავდა (23:58). თ.ჟორდანიას ბერძენ-რომაელი ავტორების ბაკურს მირიან მეფის ძედ თვლიდა, რომელიც, მისი აზრით, წავიდა ბიზანტიაში და გარდაიცვალა 377 ან 394 წელს (78:42 შენ. 84). პლატონ იოსელიანი ტურანიუს რუფინუსის ბაკურს ანსხვავებდა ბაკურ მირიანის ძისაგან (38:19 შენ. 24). აკად. ივ.ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ დიდი ბაკურის გარდა არსებობდა პატარა ბაკურიც და რომ სწორედ ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო გელასი კესარიელის მოამბე ბაკური, რომელსაც არაფერი საერთო არ გააჩნდა იოანე რუფუსსთან ნახსენებ იბერთა «პირველ ქრისტიან მეფესთან» - დიდ ბაკურთან, რომელსაც იგივე მეცნიერი ბაკურ მირიანის ძესთან აიგივებდა და მისი მეფობის ფაქტს IV ს-ის 30-იან წლებში ვარაუდობდა (104:262-264, 273). აკად. კ.კეკელიძეს მიაჩნდა, რომ დიდი ბაკური თრდატის ძე იყო, ხოლო იოანე რუფუსის ცნობა მისი პირველქრისტიანობის შესახებ რეალურად ამ მეფის მიერ არიანელობის ნაცვლად მართლმადიდებლობის შემოღების მოწმობად ესახებოდა; იგი არ იზიარებდა აზრს ხსენებული პირის წარმართობის შესახებ, წერდა: წარმართს გელასი ეპისკოპოსი ხოტბით არ შეამკობდაო (50:13, 22). ს.ყაუხჩიშვილს მიაჩნდა, რომ ბერძენულ-რომაულ წყაროებში ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით მოხსენიებული ბაკური მეფე არ უნდა ყოფილიყო (86:67-68 და 16:66 შენ. 1, 199). მისივე აზრით, ბაკურ იბერიელი თავისი რწმენით წარმართი-პოლითეისტი თუ არა,

ყოველ შემთხვევაში, არაორთოდოქსალური ქრისტიანობის მიმდევარი მაინც იყო, რის გამოც მოუწია თითქოს მას სამშობლოს დატოვება (87:13-20; 88:94). აკად. შ.ნუცუბიძე ფიქრობდა, რომ ლიბანიოსის ადრესატი ბაკური IV ს-ის წარმართი-ნეოპლატონიკოსი იყო (72:74-76; 73:107). ს.კაკაბაძემ დიდი ბაკური თრდატის ძედ მიიჩნია, რომელსაც, მისი აზრით, სამეფო ტახტი 382-384 წლებში ეჭირა, შემდეგ გაიქცა ბიზანტიაში და იქედან დაბრუნებულმა 395-400 წლების პერიოდში ხელმეორედ იმეფა ქართლში (40:152-153; 41:151-153). გ.გოზალიშვილმა სარწმუნოდ მიიჩნია ცნობა დიდი ბაკურის იბერიის პირველ ქრისტიან მეფედ ყოფნის შესახებ; მისი ქართლიდან გაქცევის მიზეზად მირიანი დაასახელა. როგორც ის ფიქრობდა, ბაკური იულიანე განდგომილის გავლენით ღრმა ქრისტიანი არ იყო. მანვე დიდი ბაკური ქართული წყაროებში ნახსენებ მეფე ვარაზ-ბაკურთან გააიგივა; დაბადების დროდ 310 წელი, ხოლო გარდაცვალებისად - 394 წელი მიიჩნია (19:20; 20:42, 53, 74, 78). აკად. გ.მელიქიშვილმა დიდი ბაკური თრდატ რევის ძედ გამოაცხადა და მისი ზეობის პერიოდი IV ს-ის 80-იან - 90-იანი წლებით განსაზღვრა (65:170). ლ.-ნ.ჯანაშია, რომელიც გამორიცხავდა ბაკურ იბერიელისა და დიდი ბაკურის იგივეობის შესაძლებლობას, ბაკურ თრდატის ძის ზეობის ხანას გ.მელიქიშვილის მსგავსად ათარიღებდა (108:92-93 და 109:144 შენ. 63). ა.ბოგვერაძე ფიქრობდა, რომ დიდი ბაკური და ბაკურ იბერიელი განსასხვავებელია; კერძოდ, პირველი არის იგივე მეფე ბაკურ თრდატის ძე, რომელსაც ტახტი ეჭირა 400-იანი წლების ბოლოდან 410-იანი წლების მიწურულამდე. რაც შეეხება ბაკურ იბერიელს, ის აღნიშნულ მეცნიერს მეფედ არ მიაჩნდა და თვლიდა, რომ შინაგანად ის არც იმდენად ღრმა ქრისტიანი იყო. ზოსიმეს ცნობაზე დაყრდნობით, ბაკურ იბერიელის დაღუპვას ა.ბოგვერაძე 394 წლისათვის ვარაუდობდა (10:25-2; 13:61, 64-65, 68, 71-72). წყაროთმცოდნე მ.ჩხარტიშვილმა, რომელსაც ეკუთვნის მეცნიერთა შორის ჩვენთვის საინტერესო პიროვნების ისტორიული პორტრეტის წარმოჩენის ერთ-ერთი უკანასკნელი ცდა, დიდი ბაკური გაუიგივა ქართული წერილობითი წყაროების ბაკურ რევის ძეს, ხოლო ბაკურ იბერიელი ბაკურ თრდატის ძეს. მისი აზრით, ეს უკანასკნელი ქართლში დაახლოებით 402-416 წლების პერიოდში მეფობდა (91:166; 92:35-44; 93:19-24, 29).

აი, ზოგადად ასეთი გახლავთ მოცემული საკითხის ისტორიოგრაფია. შემდგომში გზადაგზა ჩვენ თვალნათლივ დავრწმუნდებით იმ თვალსაზრისის მართებულობაში, რომ დიდი ბაკურისა და ბერძნულ-რომაული წყაროების ბაკურ იბერიელის პიროვნებები ერთმანეთისაგან განსასხვავებელი არ არიან, რომ იმავე პირზეა საუბარი კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის თხზულებებში, აგრეთვე, «მოქცევაი ქართლისაის» ისტორიულ ქრონიკაშიც ბაკურ თრდატის ძის შემთხვევაში.

თავი I

დიდი ბაკურის გენეალოგიისათვის

*«ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი,
და თესლი წრფელთა იკურთხოს.»
ფსალმუნი დავითისი - 111,2*

დიდი ბაკურის გენეალოგიის სრული სურათის წარმოდგენა, სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე არ ხერხდება. თუმცა, გარკვეულ ინფორმაციას ამ საკითხზე გვაწვდიან როგორც ქართული, ისე უცხოური წერილობითი წყაროები. საკითხის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ეს ცნობები ყოველთვის არ მოდიან ერთმანეთთან უნისონში. სხვასთან ერთად ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მკვლევარები ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებულად წარმოადგენენ ხოლმე IV-V სს.-ის პერიოდის ქართლის მეფეთა გენეალოგიურ სქემებს, მათი მიდევნებით კი - ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიასაც.

ქართული წყაროებიდან, როგორც უკვე ითქვა, ერთადერთი «მოქცევაი ქართლისაის» მატიაწეა, სადაც დიდი ბაკურის შესატყვისი - ბაკურ თრდატის ძეა ნახსენები. «ქართლის ცხოვრებაში» ეს მეფე საერთოდ გამოტოვებულია, თუმცა «მოქცევაი ქართლისაის» ცნობები მის შესახებ აქ მაინც გამოყენებულია, ოღონდ მათში აღწერილი მოვლენები გადატანილია ბაკურის წინამორბედ ან მომდევნო მეფეთა ზეობის ხანაში. თუ «ქართლის ცხოვრების» ცნობებს ვენდობით, მირიან მეფიდან მოყოლებული ქართლის სამეფო გვარეულობა ორ ძირითად განშტოებად დაყოფილა მეფისწულების - რევის და ბაქარის (ბაკურის) სახლეულობის მიხედვით. უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებულ ქართულ წერილობით წყაროებს ამ მონაკვეთში გარკვეული აღრეულობის დაღი აზიით. მაგალითად, თუკი «ქართლის ცხოვრებაში» რევი და ბაქარი ორთავენი მირიანის ვაჟიშვილებად ცხადდებიან, ანუ ისინი ძმები არიან, «მოქცევაი ქართლისაის» მატიაწეში მირიანის ვაჟია მხოლოდ რევი, ხოლო ბაქარი (ბაკური), ისევე როგორც თრდატი, რევის ძედ არის დასახელებული, ე.ი. ამ შემთხვევაში ძმებად უკვე ბაკური და თრდატი გვევლინებიან, მირიანი კი მათ წინაპრად მოიაზრება. ყურადღებას იპყრობს ის უცნაური ფაქტიც, რომ «მოქცევაისეული» **«ბაკური»** «ქართლის ცხოვრებაში» **«ბაქარ»**-ად (აგრეთვე, **«ვარაზ-ბაკური»** **«ვარაზ-ბაქარ»**-ად) მოიხსენიება; და ეს იმ დროს, როდესაც ამ უკანასკნელ წყაროში სხვაგან იგივე «ბაკურ»-სახელი შეუცვლელად არის დამოწმებული! შესაძლოა, ამ აღრეულობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყოს, რომ ჩვენი წყაროების ამ ადგილას პირთა მსგავსი (თუ საერთოდ ერთიდაიგივე არა!) სახელების ძლიერი კონცენტრაცია შეინიშნება. კერძოდ, «მოქცევაი ქართლისაის» მატიაწედან ჩანს, რომ «მირვან»-სახელის ერთ-ერთი და საფიქრებელია, რომ ამოსავალი, საწყისი ფორმა «მირვანს»-ია. ქართლის წარმართ მეფეთა შორის «ქართლის ცხოვრება» ორ «მირვანს» იცნობს, რომელთაგან ერთ-ერთს «მოქცევაი ქართლისაის» შატბერდულ ნუსხაში სწორედ «მირვანი» შეესატყვისება. საგულისხმოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი «მირვანს» ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის საწყის სახელად აცხადებდა: «ხოლო გამეფდა **მირვან, რომელსა უწოდეს მირიან**»-იო, წერს იგი ერთგან (30:71). «ქართლის ცხოვრებაში» მირიანის სპარსელ მამამშუძესაც ფაქტიურად იგივე სახელი ჰქვია, ოღონდ ბერძნული დაბოლოებით: «მირვან-ოზ» (< მირვან-ოს). ასევე თავდაპირველი «მირვან»-სახელის ნაშთი ჩანს თავისთავად დამოუკიდებელი სპარსული სახელი «რევ»-იც (ნიშნავს «ცრუს»): [მი]რვ[ან] > [...]რვ[...] > რ(ე)ვ, რის შესახებაც ჩვენ ადრე უკვე გვქონდა აღნიშნული ერთ-ერთ წერილში. იქვე ვასაბუთებდით იმასაც, რომ პირველი ხუთი ქრისტიანი მეფის

სახელი ქართულ წყაროებში შეცდომით უკანასკნელ ხუთ წარმართ მეფედ (=რევ მართალი, ვაჩე, ბაკურ, მირდატ, ასფაგურ) არის გამოცხადებული და რომ იქ ნახსენები «რევ მართალი» (< *მირვან მართალი > მირვან/მირიან) რეალურად ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს - მირიანს შეესატყვისება. ამასთანავე, ქართლის «მეფეთა სიის» აღნიშნულ ნატყუარ ფრაგმენტში, რომელიც ძლიერ შერყვნილი და დაზიანებული ჩანს, ვარაზ-ბაკურის ნაცვლად სახელის ის ფორმაა მოცემული, რომელსაც ამიანე მარცელინე ასახელებს: «ასფაგური». ეს ფრაგმენტი საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ რევ (=მირვან/მირვან/მირიან) «მართალსა» და ბაკურს შორის იქ დასახელებულია კიდევ ერთი ხელისუფალი სახელით «ვაჩე», რომელიც მანამდე უკვე დაზიანებული «მირვან»-სახელის თავნაკლული და შემდეგ გრაფიკულ ნიადაგზე შერყვნილი ნაშთია (როდესაც «/.../ვან»-ის შემადგენელმა ასომთავრულმა «ნ»-არმა მოგვცა «ჩ»-ინი) და ტექსტის რომელიღაც გადამწერის მიერ მოგვიანებით დამოუკიდებელ სახელად არის გააზრებული: მირვან > [მირ]ვან > [...]ვან > [...]ვაჩ > ვაჩ(ე) (განსხვავებული მოსაზრებისათვის ამ საკითხზე იხ. 81:137 და შმდ.). ამრიგად, ერთმანეთის მიდევნებით ტახტზე მსხდარან სეხნია მამა-შვილი, ანუ «მირვან»-ად წოდებული ორი სხვადასხვა მეფე. პირველი შეიძლება ქართული წყაროების მირიანთან, ანუ ქართლის მოქცევის თანადროულ მეფესთან გაიგივდეს, მეორე კი, თითქოს ის მერიბანეს-ი, ანუ «მერიბანი» (ხომ აშკარად «მირვანია»? - ბ.ხ.) ჩანს, რომელსაც 361 წელს ქართლის მეფედ ასახელებს რომაელი ავტორი ამიანე მარცელინე (იხ. 100:25-29). მამა-შვილს რომ იდენტური სახელები შეიძლება ჰქონოდათ, ეს ჩანს თუნდაც იქედან, რომ პეტრე იბერის პაპსა (მამის ხაზით) და მამას, ორთავეს სახელად «ბუზმირი» ეწოდებოდა. გრაფიკულ ნიადაგზე მექანიკურ დაზიანებასთან ერთად პირთა იდენტური სახელების ერთი მეორის მიყოლებით წყაროში დასახელებით გამოწვეული უხერხულობის (როდესაც სეხნია მეფეები შეიძლებოდა ერთმანეთში არეოდათ) თავიდან აცილების სურვილსაც შეეძლო მოეცა ხელნაწერებში «მირვან»-სახელის ზემოხსენებული განსხვავებული დაწერილობანი. თუ წარმოდგენილ თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ რევი და ბაკური პირველი ქრისტიანი მეფის - მირიანის ვაჟები იყვნენ. რაკილა 361 წელს ტახტი მერიბანს (=მირვანს), ანუ იგივე ჩვენი საისტორიო წყაროების «რევ მირიანის (მირიანის) ძეს» სჭერია, უნდა ვიფიქროთ, რომ ბაკურ მირიანის ძეს ის (ე.ი. სამეფო ტახტი) მის შემდგომ ეპყრა. სხვათა შორის, რევ მირიანის ძეს «ქართლის ცხოვრება» მამამისის თანამოსაყდრედ (???), ანუ მეფედ აცხადებს, რომელიც თითქოს მირიანის სიცოცხლეშივე, მაგრამ მაინც და მაინც «მასვე წელიწადსა» გარდაცვლილა, რა დროსაც თვითონ მირიანი (როგორც ჩანს, აქ მემატთანემ მის ხელთ არსებული სხვადასხვა ვერსიების საფუძველზე განასხვავა შეცდომით ერთიდაიგივე პიროვნების სახელები, ხოლო თვითონ ფაქტი, როგორც ასეთი, საკუთარი სუბიექტური შეხედულებისამებრ განმარტა - ბ.ხ.), «მოქცევაი ქართლისაის» მატთანეში კი, მირიან მეფისა და ნანა დედოფლის გარდაცვალების ფაქტების აღნიშვნის შემდეგ ჯერ ბაკურის გამეფებაზეა საუბარი და შემდეგ უკვე რევის მიერ მცხეთის პატიოსანი ჯვრისათვის საფარის აშენებაზე. ამ ადგილზე «მოქცევაი ქართლისაის» ტექსტს აშკარად ეტყობა აღრეულობა და ჭირს კიდევ იმის გარკვევა, ვის ძმად გულისხმობს მემატთანე სინამდვილეში მომდევნო მეფე თრდატს - რევის თუ ბაკურის? აბსოლუტური სიზუსტით ვერც იმას ვადგენთ, თუ რომელი «რევის» ძე იყო სინამდვილეში თრდატი, ქართლის პირველი ქრისტიანი ხელმწიფის - რევ/«მირიანის» თუ მისი ვაჟის - რევ/«მერიბანისა». სხვათა შორის, ჩვენს გარდა მკვლევარი მ.სანაძეც აღნიშნავს იმ უცნაურ ფაქტს, რომ «ქართლის ცხოვრებაში» ერთმანეთშია არეული რევ მართლისა და მირიანის ბიოგრაფიის ფაქტები, რომ იქ შერწყმულია დასახელებულ პირთა «ცხოვრების» ინფორმაცია და ა.შ. (იხ. 81:145, 147-148). ამ კაზუსის სარწმუნოდ

ახსნა შეიძლება მხოლოდ იმ თვალსაზრისის გაზიარების შემთხვევაში, რომ ქართული საისტორიო წყაროების რევ მართალი და მირიანი (მირიანი) რეალურად ერთიდაიმავე პერსონას, ჩვენთვის კარგად ცნობილ ქართლის პირველ ქრისტიან ხელმწიფეს განასახიერებენ.

ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ხელთ არსებული მასალა ფაქტიურად არ იძლევა ზედმიწევნით სანდო სურათის დახატვის საშუალებას და აქედან გამომდინარე, ჩვენი შემდგომი მსჯელობაც რომ მარჩიელობას არ დაემსგავსოს, დავეჯერდებით ქართული წყაროების ერთხმოვან მითითებას იმის შესახებ, რომ ქართლის მეფე თრდატი იყო რევის, ანუ როგორც ჩვენ ვფიქრობთ, იმ «მერიზანის» (მირიანის) ვაჟიშვილი, ვისაც ამიანე მარცელინე 361 წელს იმპერატორ კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) მიერ უხვად დასაჩუქრებულ იბერიის მეფედ ასახელებს. სამეცნიერო ლიტერატურაში სადღეისოდ მიღებული აზრის თანახმად, თრდატ რევის ძე არის იგივე ამიანე მარცელინესთან 368/69 წწ.-ის მოვლენებთან დაკავშირებით ნახსენები «სავრომაკი», ანუ საურმაგი. ძნელი სათქმელია, რად სხვაობს ამ შემთხვევაში ხსენებული პირის სახელები ერთმანეთისაგან. «ქართლის ცხოვრება» სახელ «თრდატს» უკავშირებს სომხეთის პირველ ქრისტიან მეფეს - თრდატ (ტირიდატ) არშაკუნს, რომელიც თითქოს მისი ღვიძლი პაპა ყოფილა დედის (სალომე «უჯარმელის») ხაზით. თუ ეს ინფორმაცია მცდარი არ არის, მაშინ სავსებით ბუნებრივად გამოიყურება თრდატ რევის ძის მხრიდან სომხეთის პირველ ქრისტიან მეფესთან სეხნიობის ფაქტიც. მაგრამ არც იმ შესაძლებლობის გამორიცხვა შეიძლება მთლიანად, რომ რევის ვაჟიშვილის ქართულ წყაროებში წარმოდგენილი სახელი თავდაპირველი ანთროპონიმის - «მითრდატ»-ის (მიჰრდატ/მირდატ) ნაშთი იყოს, რომელიც ქართლის მეფეთა ონომასტიკონში ძველთაგანვე ფრიად პოპულარული და იმ ზომამდე ხშირად ხმარებული გახლდათ, რომ აკად. გ.მელიქიშვილს ის საერთოდაც ადგილობრივ მეფეთა ერთგვარ საგარეო სადინასტიო სახელად ეჩვენებოდა, რომლის ქვეშაც ამა თუ იმ მეფის სხვა, ალბათ, საშინაო სახელი იმალებოდა (66:56). ჩვენს შემთხვევაში ასეთ სახელად «საურმაგი» მოჩანს, რომლის რეალურობაში ძნელია ეჭვის შეტანა იქედან გამომდინარე, რომ ქართული საისტორიო ტრადიცია ასეთ სახელს ადგილობრივ წარმართ მეფეთა რიგებშიც იცნობს და ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ქართველ დიდებულთა შორისაც იხსენიება ამ სახელის მატარებელი ორი პიროვნება: საურმაგ სპასპეტი და საურმაგ ეჯიბი. «მეფეთა სიის» ე.წ. «რევ მართლის ფრაგმენტში» ასფაგურის წინ ქართლის მეფედ მირდატია დასახელებული, რომელიც უნდა იყოს კიდევ იგივე თრდატ რევის ძე, ანუ საურმაგი; მაშასადამე, თრდატი იგივე «მითრდატია» და ამ აზრს ვერ გააბათილებს «ქართლის ცხოვრებაში» წარმოდგენილი ის სურათი, რომლის თანახმად მირდატი თითქოს სხვაა და თრდატი კიდევ სხვა პიროვნება. ეს სხვაობა წყაროში მემატრიანის ხელთ არსებული სხვადასხვა ვერსიების ურთიერთშეჯერების ნიადაგზე ჩანს გაჩენილი. ვფიქრობთ, ზედმეტი უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ მირიანის წინ დასახელებული ხუთი «წარმართი» მეფის ვინაობის გარკვევის შემდეგ აღარავითარ ნდობას არ უნდა იწვევდეს «ქართლის ცხოვრების» ის ცნობებიც, რომლებიც ამ პირთა ზეობისას მომხდარ ამბებზე მოგვითხრობენ. ყოველ შემთხვევაში, ამ ცნობების გამოყენება III ს-ის II ნახევრის ისტორიულ ვითარების წარმოსადგენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზანშეწონილად არ გვესახება.

მართალია, «ქართლის ცხოვრების» ცნობები ყოველთვის შეიძლება არ იმსახურებდნენ ჩვენს ნდობას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ რევ მირიანის ძისა და მისი სახელეულობის სომხურ სამყაროსთან ახლო ურთიერთობების არსებობაზე იქ დაცულ საისტორიო ტრადიციას შეიძლება რამდენადმე ანგარიში გაეწიოს. როგორც «ქართლის ცხოვრება»

მოგვიტხოვრობს, რევის სახლეულობას ჯერ კიდევ მეფე მირიანმა დაუმტკიცა მემკვიდრეობით კახეთი და კუხეთი ცენტრით უჯარმაში. რევის მეუღლის - სალომეს ზედწოდებაც «უჯარმელი» თითქოს აღნიშნულ მოვლენას ეხმიანება. თუმცა «ქართლის ცხოვრებაში», როგორც ითქვა, სალომე თრდატ სომეხთა მეფის ასულად იწოდება. თრდატ/«საურმაგი» რევ/«მერიბანისა» და სალომეს პირმო იყო. იგი, ამიანე მარცელინეს ცნობით, ქართლის სამეფო ტახტზე მჯდომი ჩანს უკვე 361 წლისათვის, შემდგომ კი მის სახლეულობას (ე.წ. რევიანებს), თუ «ქართლის ცხოვრებას» დაეჯერება, სასტიკი ბრძოლა გაუმართავს სამეფო ტახტისათვის ბაკურ მირიანის ძესთან. ამ ბრძოლაში, დასახელებული წყაროს ცნობით, რევიანთა მხარეზე აქტიურად ჩაბმულან სომხები: «...არ აძლევდნენ [საშუალებას] სომეხნი, რომ ემეფნა ბაქარს, რადგან უნდოდათ გაემეფებინათ ტრდატის ქალის შვილი»-ო, ვკითხულობთ «ქართლის ცხოვრების» ძველ სომხურ თარგმანში (85:130-131). ბაკურმა ამ ბრძოლაში სპარსელები მიიმხრო, გაიმარჯვა მოწინააღმდეგე მხარეზე და ბერძენთა და სპარსთა მეფეების შუამდგომლობით რევიანებს დაუწერა «ხელით-წერილი»: «ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისათა»-ო (57:131). პეტრე იბერის ბიოგრაფის - იოანე რუფუსის ერთი ცნობის თანახმად, ადრექრისტიანული ხანის ქართლში მეფეთმონაცვლეობის დადგენილი წესი არსებულა (იხ. 92:81). ამ პატრიარქალური წესის მიხედვით, მეფობა სამეფო გვარში უხუცეს წევრზე გადადიოდა და არა უშუალოდ გარდაცვლილი მონარქის უფროს ვაჟიშვილზე. ბაკურ მირიანის ძემ, როგორც ჩანს, აღნიშნული წესის შეცვლა სცადა. მაშასადამე, სპარსელთა მხარდაჭერის შედეგად გამარჯვებულმა ბაკურმა იურიდიული საბუთითაც («ხელით-წერილით») განამტკიცა მისი უფლება სამეფო ტახტზე და რაც მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება, მან ბიზანტიის მხარეც დაითანხმა აღნიშნულზე. როდის და რა ვითარებაში უნდა მიეცათ ბიზანტიელებს სპარსელთა ფავორიტისათვის ასეთი თანხმობა? ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ «ქართლის ცხოვრებაში» აღწერილ ამბებს 363 წლის მოვლენებთან ერთ კონტექსტში განვიხილავთ. კერძოდ, როგორც ცნობილია, ამ დროს იმპერატორმა იულიანე «განდგომილმა» (361-363 წწ.) სასტიკი მარცხი იწვნია სპარსეთთან ომში და 363 წლის 26 ივნისს თავადაც დაიღუპა ერთ-ერთ შეტაკებაში. ჯარის მიერ საიმპერატორო ტახტზე დასმულმა იოვიანემ (363-364 წწ.) სპარსელებთან დადო ე.წ. «სამარცხვინო ზავი», რომელიც საკმაოდ მძიმე იყო რომის იმპერიისათვის. მართალია, ეს საზავო ხელშეკრულება არათუ ქართლის, არამედ მისი სამხრეთელი მეზობლის - სომხეთის საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებასაც არ აძლევდა სპარსულ მხარეს, მაგრამ მიღწეული წარმატებით გათამამებულმა სპარსეთის შაჰმა - შაბურ II-მ (309-379 წწ.) ძალიან ძალევე დაარღვია ზავის აღნიშნული პირობა. საფიქრებელია, რომ ქართლის მეფე «მერიბანესი» (ე.ი. რევ/მირვან მირიანის ძე) 361 წელსა და 363 წლის 26 ივნისს შორის არსებულ დროის მონაკვეთში გარდაიცვალა. სამეფო ტახტზე ის, როგორც ჩანს, მისმა უმცროსმა ძმამ - ბაკურმა შეცვალა, რომელსაც «მერიბანის» ქვრივი სალომე და მისი ვაჟი - თრდატი (საურმაგი) დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ, სპარსელთა მხარდაჭერით ბედის სასწორი ბაკურის სასარგებლოდ გადაიხარა. სპარსეთთან ომში დამარცხებული და «სამარცხვინო ზავით» ხელფეხშეკრული რომაელები იმ ეტაპზე იძულებული იყვნენ შეჰკუებოდნენ ქართლში სპარსელთა ფავორიტის მეფობის ფაქტს. რაც შეეხება ბაკურ მირიანის ძეს, მას სამეფო ტახტი 368 წლამდე უნდა სჭეროდა.

«ქართლის ცხოვრების» იმ ცნობის საფუძველზე, რომლის თანახმად რევ მირიანის ძის მეუღლე - სალომე «უჯარმელი» სომეხთა მეფის ასული იყო, სომხეთის მხრიდან მეფისწულ თრდატისათვის, ანუ იგივე საურმაგისათვის მხარდაჭერას, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელის სომეხ არშაკუნებთან სისხლით ნათესაობის ფაქტი

განაპირობებდა. განსახილველ ეპოქაში იბერიის წარჩინებულ საგვარეულოებში წესად იყო მიღებული საკუთარი შვილების აღსაზრდელად მამა-მძუძეთათვის მიზარება. ხოლო მამა-მძუძეობის წესი, როგორც ამას თავის დროზე ი.ჯავახიშვილი აღნიშნავდა, «იმ მთავარ დებულებაზეა დამყარებული, რომ მამის ღვიძლი შვილი თავის მამის ოჯახში და საგვარეულო სახლში არ შეიძლება ყოფილიყო, გაზრდილიყო და თვით ძუძუც კი ეწოვა. ის უეჭველად სხვა საგვარეულოს სახლში სწოვდა ძუძუს, იქ იზრდებოდა და როდესაც წამოიზრდებოდა, მხოლოდ მაშინ შედიოდა თავისი ღვიძლი მამის საგვარეულოსა და სახლში». იქვე დიდი მეცნიერი იმასაც დასძენს, რომ «ბავშვი თავისი ღვიძლი მამის სახლსა და საგვარეულოში არამც თუ არ იზრდებოდა, არამედ არც იზადებოდა. აქ მას ღვიძლი მამა გვერდით არ ჰყავდა, არამედ დედა, რომელიც მაშინ აგრეთვე ჯერ თავისი ქმრის ოჯახში არ იმყოფებოდა, არამედ თავისსავე საგვარეულოში რჩებოდა, ...ასეთ პირობებში, როდესაც ბავშვი დედის საგვარეულოში იზრდებოდა, მისი აღზრდილი და მფარველი მამაკაცი დედის მახლობელი მამრობითი სქესის ნათესავები, დედის ძმა და სხვები იყვნენ, ისინი ამ ბავშვს აღზრდა-მზრუნველობის მხრივ მამობას უწევდნენ და სწორედ ამიტომ ღვიძლი მშობელი მამისაგან გასარჩევად მას «მამა-მძუძე» ეწოდა» (105:152-153). აღნიშნულის მიხედვით იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მეფისწული თრდატი (საურმაგი) დაიბადა და აღიზარდა სომხეთში, დედის, ანუ არშაკუნთა სამეფო საგვარეულო სახლში. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, დედით არშაკუნ ქართველ მეფისწულს სომხეთის მხრიდან მძღავრი მხარდაჭერა ექნებოდა ქართლის სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში, მაგრამ ბაკურთან დაპირისპირებაში ძლეული ის იძულებული გამხდარა 363 წლის 26 ივნისის შემდგომ ხანებში დედასთან ერთად დროებით (ალბათ, 368 წლამდე) კახეთის ცენტრ უჯარმიდან კუხეთში, ქალაქ რუსთავში გადაბარგებულიყო. რომ თრდატ/საურმაგს გარკვეული სიახლოვე ჰქონდა დედულეთთან, ანუ სომხურ სამყაროსთან ამ აზრს არც ძველი ქართული წერილობითი წყაროების ცნობები ეწინააღმდეგებიან. კერძოდ, «მოქცევაი ქართლისაის» ერთი ცნობის თანახმად, თრდატ რევის ძის ზეობისას ქართლის მღვდელმთავრის ტახტზე «ნერსე სომეხთა კათალიკოსისა დიაკონი იობ» დამჯდარა, რომელიც «ქართლის ცხოვრებაში» საერთოდაც «იობ სომეხი»-ს სახელით იწოდება.

სამწუხაროდ, ქართული წერილობითი წყაროები არაფერს გვამცნობენ თრდატ/საურმაგის მეუღლის ვინაობის შესახებ, რომ მისით დაგვედგინა ბაკურ თრდატის ძის (დიდი ბაკურის) დაბადებისა და აღზრდის ადგილ-სამყოფელი. როგორც ჩანს, ბაკურის «მძუძეთა» სახელები იხსენიებოდა პალესტინის ქართველთა მონასტრის უძველეს წარწერაში, მაგრამ იქ საბოლოოდ ბაკურისა და მისი ძუძუმტის - გრი ორმიზდის სახელებიდა შემოგვრჩა. მართალია, ზოსიმეს (V ს.) ცნობით, ბაკურს თითქოს «გვარტომობა არმენიიდან მოჰქონდა» (31:270), მაგრამ ჯერ ერთი, «იბერიის» ცნების «არმენიასთან» აღრევის ფაქტებს ამა თუ იმ უცხოელი მწერლის უცოდინრობის მიზეზით ზოგჯერ სხვა წყაროებშიც ვაწყდებით ხოლმე და მეორეც ის, რომ დიდი ბაკურის მამას - თრდატს დედის მხრით ლეონტი მროველიც აკავშირებს სომეხ არშაკუნთა სამეფო საგვარეულოსთან. სხვა მხრივ, დიდი ბაკურის ეროვნული კუთვნილების საკითხში დიდად სადავო არაფერია: ის იბერიელი, ანუ ქართველია ამიანე მარცელინეს, გელასი კესარიელის, ტურანიუს რუფინუსის, სოკრატე სქოლასტიკოსის, იოანე რუფუსის (ბეით-რუფინის), კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის თვალში; მხოლოდ ლიბანიოსი და გიორგი ამარტოლი არ უთითებენ მის ეროვნულ კუთვნილებაზე. უაღრესად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხსენებული ბაკურის დიდი პაპები და ბებიები (მირიანი და ნანა, თრდატი და აშხენი) თავიანთი ქვეყნების პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფლები იყვნენ; ხოლო მისი მკვიდრი ბებია - სალომე «უჯარმელი», ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის

თანახმად, ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური მიმდევარი, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის აღმწერელი და პროპაგანდისტი გახლდათ (91:73-75 და შმდ.). ღმრთისმოშიში და წიგნიერი წინაპრების გარემოში გაზრდილ დიდ ბაკურს მოწიფულობისას თავადაც აღტაცებაში მოჰყავდა სხვადასხვა ჯურისა და რელიგიური მრწამსის მქონე განათლებული ადამიანები.

დიდი ბაკურის მშობლებს, როგორც იოანე რუფუსი იტყობინება, ჰყოლიათ კიდეც ერთი ძე - «არჩილი», რომელიც ასაკით ძმაზე უმცროსი იყო და მოგვიანებით (423-438 წწ.), უკვე საკმაოდ ხანშიშესულს, მასაც მოუწია ქართლში მეფობა. იოანე რუფუსის ცნობითვე, დიდ ბაკურს ჰყოლია სულ მცირე ორი შვილი მაინც, რომელთაგან ერთ-ერთი - «ბაკურდუხტი» ცნობილი საეკლესიო მოღვაწის - პეტრე იბერის (409-488/91 წწ.) დედა გახლდათ.

ამრიგად, ქართლის ქრისტიან მეფეთა რიგი და ქრონოლოგია მირიანიდან ვიდრე დიდი ბაკურის ზეობამდე ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე ასე გამოიყურება (რიგითი ნუმერაცია ჩვენია - ბ.ხ.):

მირვან I (=მირვან / მირიან / მიჰრან / რევ) «მართალი»_ გარდ. 338 წ.

მირვან II (=მერებან / რევ მირიანის ძე / ვაჩე) _ 338-362 წწ.

ბაკურ I _ 362-368 წწ.

საურმაგ I (=მირდატ / თრდატ რევის ძე) _ 368 წ. (ქართლის ერთპიროვნული მეფე); 369-377 წწ. (ნახევარი სამეფოს გამგებელი); 388-395 წწ. (ნახევარი სამეფოს გამგებელი).

ასფაგურ I (=ასპაკურ / ვარაზ-ბაკურ / ვარაზ-ბაქარ) _ 369-377 წწ. (ნახევარი სამეფოს გამგებელი); 377-388 წწ. (ქართლის ერთპიროვნული მეფე).

თავი II

დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის «ბიზანტიური» პერიოდი

სამწუხაროდ, დიდი ბაკურის ყრმობის პერიოდზე ჩვენ ფაქტიურად არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს. მისი პაპის მამა, როგორც ვნახეთ, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი (მირვან I) იყო, რომელიც 338 წლის ახლოს უნდა გარდაცვლილიყო. ამის შემდეგ სამეფო ტახტზე ადის დიდი ბაკურის პაპა რევ მირიანის ძე (ამიანე მარცელინეს «მერებანი»; ჩვენი ნუმერაციით: მირვან II), რომელსაც მანამდე საუფლისწულოდ მამისაგან მიცემული ჰქონდა კახეთი და კუხეთი ცენტრით უჯარმაში. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, როგორც უკვე ითქვა, რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის (324-337 წწ.) დროს ქართლისა და სომხეთის მეფეები, მირიანი და თრდატი დამოყვრებულან: იბერიელ მეფისწულ რევს ცოლად შერთეს თრდატ სომეხთა მეფის ასული სალომე. რაკილა იმ დროს თრდატ III ცოცხალი იყო, ქორწინებას 324-330 წლებს შორის პერიოდში უნდა ჰქონოდა ადგილი. სავარაუდოდ, რევ/მერებანი IV საუკუნის დასაწყისში ჩანს დაბადებული, ხოლო მისი პირმშო თრდატ/საურმაგი იმავე საუკუნის 20-იანი წლების შუაგულში. ასეთი უხეში გამოთვლებით დიდი ბაკურის დაბადების თარიღი 350 წლის მახლობლად ან ყოველ შემთხვევაში, 50-იანი წლების I ნახევარზე მაინც მოვა (ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებებისათვის იხ. 93:19-20; 21:111 შენ. 58). ქართლის წარჩინებულთა შორის იმ დროს მიღებული ტრადიციის მიხედვით, ის დედის საგვარეულო სახლში უნდა დაბადებულიყო და იქვე მამა-მძუძის მეთვალყურეობის ქვეშ აღზრდილიყო. სამწუხაროდ, პალესტინურ წარწერაში მისი აღზრდელის (მძუძეთა) სახელები გადაშლილია, მაგრამ იქ მისი ძუძუმტის სახელი -

«გრი ორმიზდ» იკითხება. ამ უკანასკნელის სახელის მიხედვითაც ვარკვევთ იმას, რომ დიდი ბაკური ერთ-ერთი ქართველი წარჩინებულის (სპასპეტის, სამეფო ეზოსმომღვრის და ა.შ.) საგვარეულო სახლში აღიზარდა. მამისეულ სახლში დაბრუნების შემდეგ მეფისწულის აღზრდა-განათლებლაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო მის განათლებულ და ღმრთისმომშიმ ბებიას - სალომე «უჯარმელს». 363 წელს ქართლის მეფე ბაკურ I-მა (მირიანის ძე) გარდაცვლილი ძმის სახლეულობას, ე.წ. რევიანებს მირიანის მიერ მათთვის სამემკვიდრეოდ მიცემული მამული შეუმცირა, კახეთი ჩამოართვა უჯარმიანად და კუხეთი დაუტოვა მფლობელობაში. მეფისწული საურმაგი (თრდატი) იძულებული გახდა დედასთან (სალომე), ცოლ-შვილთან და მისი სახლეულობის სხვა წევრებთან ერთად უჯარმიდან ქალაქ რუსთავში გადაბარგებულიყო. უნდა ვიფიქროთ, რომ 363-367 წლები დიდმა ბაკურმა სწორედ ქალაქ რუსთავში დაჰყო. 368 წელს მიიცვალა მეფე ბაკურ I (მირიანის ძე) და რომის იმპერატორის - ვალენტის (364-378 წწ.) აქტიური მხარდაჭერით ქართლის სამეფო ტახტს დიდი ბაკურის მამა, საურმაგი დაეუფლა. მას დაუპირისპირდა ბაკურ I-ის შთამომავალი - ასფაგური (ვარაზ-ბაკური), რომელმაც სპარსელთა მხარდაჭერით შეძლო საურმაგის მცხეთიდან გაძევება. რომელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინე წერს, რომ შაბურ II-მ იბერიელებზე გამგებლობა «ვინმე ასფაგურს გადასცა; თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენი (ე.ი. რომაელთა) გადაწყვეტილებისადმი შეურაცხყოფა მიეყენებინა»-ო (7:125). სპარსელთაგან 363 წლის ზავის პირობების დარღვევას იმავეთი უპასუხეს რომაელებმაც: «იბერიის სამეფოდან გამოძევებული» საურმაგი «თორმეტი ლეგიონითა და ტერენციუსითურთ გაიგზავნა უკან. უკვე მდინარე კიროსს (ე.ი. მტკვარს) რომ მიუახლოვდა, ასფაგური შეევედრა მას, როგორც ნათესავებმა ერთად ვიმეფოთო; იმ მიზეზით, რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელების მხარეს გადასვლა, რადგან მისი ძე ულტრა აქამდე მძევლის წესით სპარსელებს ჰყავდათ»-ო, წერს ამიანე (7:130). ამიანე იქვე იმასაც გვამცნობს, რომ მხარეებს შორის საზღვრად მდ. მტკვარი დაიდო, საურმაგს სომხეთისა და ლაზების მოსაზღვრე მხარე ერგო წილად, ასფაგურს კი - ალბანეთისა და სპარსელების მომიჯნავე. იბერიის სამეფოს ასეთ გაყოფას ვალენტი კეისარმა მხარი დაუჭირა, სპარსეთის მეფე - შაბურ II კი, ამან ძლიერ აღაშფოთა (7:130-131). 377 წელს, ისარგებლა რა დუნაისპირეთის მხრიდან რომის იმპერიის საზღვრებში ვესტ-გოთთა ურდოების შეჭრის ფაქტით, შაბურ II-მ იბერიიდან ხელახლა გააძევა საურმაგი და ქვეყანა მთლიანად თავის ფავორიტს - ასფაგურს დაუმორჩილა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სწორედ ამ დროს დატოვა ე.წ. რევიანთა სახლეულობამ სამშობლო და ბიზანტიას შეეხიზნა (10:23; 13:73-74 და სხვ.).

§1. დიდი ბაკური რომის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე

მეფისწული ბაკურის ბიზანტიელთა სამხედრო სამსახურში ყოფნის ფაქტი პირველად 378 წლისათვის ჩანს წერილობით წყაროებში. მას ისევ ამიანე მარცელინე ახსენებს, როგორც ადრიანოპოლთან 378 წლის 9 აგვისტოს ვესტ-გოთების წინააღმდეგ გამართული ბრძოლის აქტიურ მონაწილეს. იგი წერს, რომ «მშვილდოსნები და ფაროსნები, რომელთაც მაშინ ვინმე ბაკური იბერიელი სარდლობდა..., ფიცხი იერიშით უფრო თავშეუკავებლად გაიჭრნენ წინ და უკვე მტრებს შეებნენ; მაგრამ რაკი უდროოდ დროს გაიჭრნენ წინ, ასევე უშნოდ უკან დახევით ბრძოლის დასაწყისი წაახდინეს»-ო (7:144). აღნიშნული ბრძოლა რომაელთა და მათ რიგებში მყოფი მოკავშირეების სრული მარცხით დასრულდა; იქვე ტრაგიკულად დაიღუპა თვითონ იმპერატორი ვალენტიც. როგორც

ირკვევა, ბაკურს ამ დროს საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო თანამდებობა სჭერია, იგი ხელმძღვანელობდა იმპერატორის კარის მცველი ჯარის ერთ-ერთ ქვეგანაყოფს - ე.წ. «სკუტარიებს». როდის და რა ვითარებაში აღმოჩნდა იბერიელი მეფისწული რომის იმპერიის სამხედრო სამსახურში, ამის შესახებ წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი. ამ საკითხზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ რამოდენიმე ვარაუდის გამოთქმა: 1. ბაკური, ვითარცა სამეფო ტახტის მემკვიდრე, მამამისმა - მეფე საურმაგმა მისცა მძევლად 368 წელს ვალენტი კეისარს ქართლის მეფედ მის აღზევებაში მხარდაჭერის სანაცვლოდ; 2. ბაკური საურმაგის სახლეულობის სხვა წევრებთან ერთად კონსტანტინეპოლში მივიდა იმ დროს, როდესაც შაბურ II-მ პირველად გააძევა იბერიიდან მამამისი და ეს უკანასკნელი დახმარების მოსაპოვებლად რომაელებს ეახლა, ანუ 368 წელს; 3. ბაკურმა სამშობლო დატოვა 377 წელს, როდესაც სპარსელებმა საურმაგს იბერიის ის ნაწილიც წაართვეს, რომელიც მან 369 წელს რომაელთა დახმარებით დაიქვემდებარა.

ამიანე მარცელინეს ზოგიერთი ცნობის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბაკურმა სამშობლო 373 წლის წინარე პერიოდში დატოვა. ამას ირიბად შეიძლება მოწმობდეს ხსენებული ავტორის შემდეგი ცნობები: 373 წელს «სკუტარიების ტრიბუნის» თანამდებობას ჰფლობდა ვინმე «ბარზ(ი)მერი», რომელიც 377 წელს ქალაქ დიბალტუმის მახლობლად გამირულად დალუპულა ვესტ-გოთებთან შეტაკებისას (იხ. 7:143). ჯერ კიდევ ი.მარკვარტმა და შემდეგ გ.წერეთელმაც ამიანესეული «ბარზ(ი)მერი» პეტრე იბერის პაპის (მამის ხაზით) - «ბუზმირის» პიროვნებას გაუიგივა (97:20). პეტრეს ბიოგრაფ იოანე რუფუსის (ბეით-რუფინის) ცნობით, აღნიშნული პირი იყო დიდი ბაკურის ქალიშვილის - ბაკურდუხტის მეუღლის, ასევე «ბუზმირ»-ად წოდებული პირის მამა. მამამთილისგან განსხვავებით ბაკურდუხტის მეუღლეს იოანე რუფუსი იბერთა მეფედ აცხადებს თავის თხზულებაში. ს.ყაუხჩიშვილი ფიქრობდა, რომ უფროსი ბუზმირის დალუპვის შემდეგ სკუტარიების ტრიბუნობა ბაკურს მიენიჭა (7:92). შემდგომში დიდმა ბაკურმა უფროსი ბუზმირის ვაჟს თავისი ასული (ბაკურდუხტი) მიათხოვა ცოლად, რაც შეიძლება მოწმობდეს პირველდასახელებულ პირთა ოდინდელი სიახლოვის, ურთიერთნათესაობის ფაქტზეც. როგორც «პეტრე იბერის ცხოვრების» ტექსტის ასურული თარგმანიდან ვიგებთ, იბერიის სამეფო საგვარეულოში მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება აკრძალული არ ყოფილა და ამ ენდოგამიის არსებობის ფაქტს, სხვათა შორის, იოანე საბანისძის დაცული ცნობების მიხედვით ვიდასტურებთ უფრო გვიანდელი პერიოდისთვისაც (105:150).

ამიანე მარცელინე «ბარზ(ი)მერს» «ომის ასპარეზზე გამობრძმედილ სარდალს» უწოდებს. ჩანს, რომ ის ასაკით რამდენადმე უფროსი იყო დიდ ბაკურზე; 477 წლისათვის უფროსი ბუზმირი უკვე ცოლ-შვილის პატრონიც ყოფილა. იოანე რუფუსსთან დაცული ერთი ცნობის თანახმად, უფროსი ბუზმირის ცოლი - «ოსდუხტი» იყო ფარსმან მეფის ღვიძლი და. ხოლო «მოქცევაი ქართლისაის» ცნობით, ხსენებული ფარსმანი თრდატ რევის ძის, იგივე საურმაგ მეფის დისწული გახლდათ. თავის მხრივ, «ქართლის ცხოვრების» მატთანე გვამცნობს იმას, რომ ფარსმანი ვარაზ-ბაკურის (ასფაგურის) ძე იყო. შესაბამისად, პეტრე იბერის ბებია ოსდუხტიც ასფაგურ მეფის ასული და მეფე საურმაგის დისწული გამოდის და მაშასადამე, უფროს ბუზმირს ოსდუხტის სახით ცოლად ჰყოლია მირიან მეფის (=მირვან I) შვილთაშვილი, მეფეების - ბაკურ I-ისა და მირვან II-ის (=რევ მირიანის ძე/«მერიბანი») შვილიშვილი, მეფე ასფაგურის (=ვარაზ-ბაკურის) ასული, საურმაგ (=თრდატ რევის ძე) მეფის დისწული და დიდი ბაკურის მკვიდრი მამიდაშვილი. აღნიშნული სამეფო საგვარეულოში ენდოგამიური მოყვრობის წესის არსებობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. ამის ფონზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უფროსი ბუზმირიც იმავე საგვარეულოს ეკუთვნოდა. შესაძლოა, დიდი ბაკურის მხრიდან მეფე

ბაკურ I-თან სეხნიობის ფაქტიც არ იყოს შემთხვევითი და იმ ტრადიციიდან გამომდინარე, რომ წინაპრის (პაპის) სახელი ყველაზე უფრო დიდი სიხშირით შვილიშვილთა წრეში მეორდებოდა ხოლმე (ასეა ეს, სხვათა შორის, ჩვენს დროშიც - ბ.ხ.), საურმაგ მეფის მეუღლედ და დიდი ბაკურის მშობელ დედად მეფე ბაკურ I-ის ასული ვიგულოთ (აღნიშნულის კვალობაზე ფრიად განმტკიცდებოდა ჩვენგან ადრე გამოთქმული აზრი გრი ორმიზდის სეფეწულობის შესახებაც). ასე და ამრიგად, მივიღებთ მეტად საინტერესო სურათს: ასფაგურს (ვარაზ-ბაკურს) ცოლად ჰყოლია საურმაგის (თრდატის) ღვიძლი და, ხოლო საურმაგს პირიქით - ასფაგურის და ჰყოლია თანამეცხედრედ, ე.ი., ისინი, გარდა იმისა, რომ მკვიდრი ბიძაშვილები იყვნენ მამის ხაზით, შემდგომში გამხდარან ერთმანეთის ცოლისძმებიც. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ძირითად საკითხს.

დიდ ბაკურს სამშობლო 368 წლის მოვლენების შემდეგ უნდა დაეტოვებინა და როგორც ჩანს, მომდევნო წელს მამამისივით უკან აღარ დაბრუნებულა. 18-ოდე წლის მეფისწულს ბიზანტიაში თან გაჰყვა უახლოესი ადამიანების ამაღა. საფიქრებელია, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მეფისწულ ბაკურს სათანადო პატივით მოეკიდებოდნენ როგორც ქართლის სამეფო ტახტის მომავალ პრეტენდენტს. ბუზმირის დიბალტუმთან გამართულ ბრძოლაში დაღუპვის (377 წ.) შემდეგ ბაკურს ანდობენ იმპერატორის კარის მცველი ჯარის ქვედანაყოფის სარდლის თანამდებობას. ახალგაზრდა მეფისწულის სამხედრო კარიერა, როგორც ირკვევა, განსაკუთრებულად წარმატებით გაგრძელდა იმპერატორ თეოდოსი I დიდის (378-395 წწ.) ზეობის ხანაში. ბაკური IV ს-ის 80-იან წლებში პალესტინაში იგზავნება, სადაც მან, გელასი კესარიელის (+395 წ.) ცნობით, როგორც რომაელთა სატრაპმა, «აწარმოვა ომი ბარბაროს სარკინოზთა (ე.ი. არაბთა) წინააღმდეგ პალესტინის მწვერვალებზე და მათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა» (16:194). ცნობილია, რომ ამბოხებული პალესტინელი სარკინოზების წინააღმდეგ ბრძოლებს რომაელები IV ს-ის 80-იანი წლების I ნახევარში აწარმოებდნენ. ბაკურმა, როგორც ჩანს, აღნიშნულ ბრძოლებში ისახელა თავი. იერუსალიმში, ელიონის მთაზე გაშენებულ სავანეში 20 წლის მანძილზე (377-397 წწ.) დამკვიდრებული რუფინუს აკვილელიც (იგივე ტურანიუს რუფინუსი) აღნიშნავს ბაკურის «წმინდა მიწაზე» ყოფნის ფაქტს «დომესტიკთა კომისის» წოდებით. მაშინ ის პალესტინის საზღვრების სარდალი («დექსი») ყოფილა და ბინა ქალაქ იერუსალიმში ჰქონია დადებული (80:207). დიდი ბაკური იმპერატორ თეოდოსი I დიდის ინტერესების დამცველი, თანამოაზრე, სანდო და ერთგული სარდალი რომ იყო, ეს ჩანს სოკრატე სქოლასტიკოსის (380-440 წწ.), ზოსიმესა (V-VI სს.) და გიორგი ამარტოლის (IX ს.) ცნობებიდან. კერძოდ, სოკრატე ამბობს, რომ პალესტინის სამხედრო ნაწილების სარდლად დაყენების შემდეგ იბერიელი უფლისწული ბაკური «სტრატოლატობდა მაქსიმე ტირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომში და თეოდოსი მეფეს ეხმარებოდა»-ო (82:234). ამ დაპირისპირებამ კულმინაციას, როგორც ცნობილია, 388 წლის აგვისტოში მიაღწია, რა დროსაც თეოდოსი დიდმა მაქსიმე ტირანზე გაილაშქრა და დაამარცხა იგი. ბაკურს, როგორც საომარ საქმეებზე მზრუნველ ადამიანს, უშიშარ და ბრძენ სარდალს, იხსენიებს 392 წლით დათარიღებულ თავის ერთ წერილში (1980) ცნობილი სირიელი სოფისტი ლიბანიოსიც (314-393 წწ.); იგი ამ დროს პირადად შეჰხვედრია ქალაქ ანტიოქიაში მისულ ბაკურს (58:63-64). წერილობით წყაროებში ბაკურს ბიზანტიის სამხედრო ასპარეზზე უკანასკნელად 394 წლისათვის ვხედავთ. იგი მონაწილეობას იღებდა მდ. ფრიგიდიუსთან ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ გამართულ გენერალურ ბრძოლაში იმპერატორ თეოდოსი I დიდის მხარეზე. ცნობებს ამის შესახებ ვნახულობთ ბიზანტიელ მწერლებთან - ზოსიმესთან და გიორგი ამარტოლთან. პირველდასახელებულის საკმაოდ ბუნდოვანი ცნობის საფუძველზე, ზოგიერთმა

მკვლევარმა გამოთქვა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ბაკური თითქოსდა ბრძოლის ველზე დაეცა თეოდოსის «ბარბაროსი» მოკავშირეების (გოთები, ჰუნები, ალანები და სხვ.) დიდ ნაწილთან ერთად. ზოსიმე ბაკურს ახასიათებს, როგორც საომარ საქმეებში გაწვრთნილ კაცს და სარდალთა შორის უმამაცესს, ვისაც იმ დღეს ყველა თავისიანებზე უფრო წინ უბრძოლია (31:270). გიორგი ამარტოლის ცნობითაც, თეოდოსი დიდის ჯარის სარდლებს შორის ყველაზე მეტი მხნეობა აღნიშნულ ბრძოლაში სწორედ ბაკურს გამოუჩენია: «ვინც კი მის ახლოს მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილითაც. მან გაარღვია მტრის წყებანი, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ შეერთებული და შეკრული, დამარცხებული ჯარის შუაში წყებები გასწი-გამოსწია, გვამების გორაკებს გვერდი აუხვია და თვით ტირანთან მივიდა»-ო, ამბობს ბიზანტიელი მწერალი (18:198). როგორც ვხედავთ, აქ არც ჩანს და არც იგრძნობა ის, რომ ბაკური ბრძოლის ველზე დაეცა; პირიქით, ის გამარჯვებული ლაშქრის გმირი სარდალია. მემატეანის აღნიშნული ცნობა მართლაც ნათელი მოწმობაა დიდი ბაკურის საარაკო სიმამაცის და ბრწყინვალე საბრძოლო ოსტატობისა; აგრეთვე იმისაც, თუ რარიგ მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ ხსენებული პირი იმპერატორ თეოდოსი I დიდის ერთგულ სამხედრო ელიტაში.

395 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა რომის ერთიანი იმპერიის უკანასკნელი თვითმპყრობელი - თეოდოსი I დიდი. მან სიცოცხლეშივე (390 წ.) გაუყო იმპერია დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად თავის ორ ვაჟს; აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ ბიზანტია უფროს მეფისწულს - არკადიუსს ერგო წილად. მოვსეს ხორენაცის ცნობით, კეისარი არკადიუსი იძულებული ყოფილა ანგარიში გაეწია თეოდოსი I დიდის სარდლებისათვის, რომლებიც, მისი სიტყვით, «დაიქანცნენ, თავმობეზრებული იყვნენ მუდმივი ომიანობის სიძნელეებით» (67:212). შედეგად, კეისარ არკადიუსსა (395-408 წწ.) და სპარსეთის შაჰ ბაჰრამ IV-ს (388-399 წწ.) შორის მშვიდობიანი ურთიერთობები დამყარდა. საფიქრებელია, რომ ბაკურმა ბიზანტია თეოდოსის დიდის გარდაცვალების შემდეგ დასტოვა და სამშობლოს მოაშურა. ყოველ შემთხვევაში, გარდაცვლილი იმპერატორის ცხედრის მედიოლანიდან კონსტანტინეპოლში გადმოსვენების (395 წლის 8 ნოემბერი) შემდგომ ის იმპერიის სამხედრო სამსახურში აღარ უნდა დარჩენილიყო.

§2. მეფისწული ბაკურის რელიგიური მრწამსი და მსოფლმხედველობა

იბერიელი მეფისწული ბაკურის პიროვნება უცხოელი მწერლების ყურადღებას მარტოოდენ მისი სამხედრო ღირსება-დამსახურებებისა გამო როდი იპყრობდა. უფრო მეტიც, მისი მოღვაწეობის ეს მხარე მათ თვალში პრიორიტეტული არც კი გახლდათ. ამაში ადვილად შეგვიძლია დავრწმუნდეთ თავად ზემოხსენებულ ავტორთა ცნობების მაგალითზე. გელასი კესარიელისა და რუფინუს აკვილელის თვალთახედვის არეალში ბაკურის პიროვნების გამოჩენის ფაქტი დაკავშირებულია ქართლის მოქცევის ისტორიისადმი მათი მხრიდან დაინტერესების საფუძველზე. აღნიშნული საეკლესიო მწერლებისათვის ამ საკითხში იბერიელმა მეფისწულმა შეასრულა სანდო ინფორმატორის როლი და ისინი ასეც წერენ კიდევ, - იბერთა გაქრისტიანების ამბავი «ფრიად სარწმუნო კაცმა, ბაკურმა» გვიამბოო. ბაკურის მსოფლმხედველობის რაობის საკითხის გამორკვევისათვის აღნიშნულ ნიუანსს, შეიძლება ითქვას, რომ არაუკანასკნელი როლი ენიჭება. კერძოდ, ექვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ წმ. ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების ამბავს გარე სამყაროში ავრცელებს ასევე რწმენით ქრისტიანი კაცი; ყველა სხვა ვარიანტი აქ გამორიცხულია. ამასთანავე, ბაკურის მონათხრობის წიგნური ხასიათი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს წყაროთმცოდნე

მ.ჩხარტიშვილი, ეჭვს არ იწვევს; «ბაკურს სახელდახელოდ კი არ შეუთხზავს იბერთა მოქცევის ისტორია, არამედ წინასწარ მოფიქრებულ, საგანგებოდ შემუშავებულ ამბავს ჰყვებოდა, ... ამჟამად, რომ მისი წყაროა ადგილობრივი ვერსია, რომელიც ბაკურის ბიზანტიკაში ყოფნის დროისათვის (IV ს. მეორე ნახევარი) წერილობით გაფორმებული ჩანს»-ო, წერს იგივე მეცნიერი (92:46-47). თუ გავიხსენებთ იმას, რომ წმ. ნინოს «ცხოვრების» შემდგენელი - სალომე «უჯარმელი» ხსენებულ ბაკურს ბებიად (მამის დედად) ერგებოდა, ზემოხსენებული აზრი სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს.

თავის დროზე აკად. შ.ნუცუბიძის მიერ გამოთქმული იქნა ერთი ფრიად საყურადღებო მოსაზრება, რომლის თანახმად იერუსალიმის მახლობლად, ბეთლემის უდაბნოში გასული საუკუნის შუახანებში იტალიელი არქეოლოგის - პ.ვირჯილიო კორბოს მიერ აღმოჩენილი ქართული მონასტერი (უფრო სწორად, მისი ნაშთები) სწორედ ბაკურმა ააგო IV ს-ის II ნახევარში, შემდგომ კი - ის მისმა სახელგანთქმულმა შვილიშვილმა, პეტრე იბერმა იოანე (მითრიდატე) ლაზთან ერთად უბრალოდ განაახლა. შ.ნუცუბიძე ფიქრობდა, რომ ადგილზე დაცული წარწერა, სადაც თავად ბაკური იხსენიება გრი-ორმიზდთან ერთად, მონასტრის დაარსების თანადროულია (74:112-113). მონასტრის ადგილზე ნაპოვნი ფულის მონეტების სახეობების (ვალენტიანიანუს II-ის, 375-392 წწ. და ანასტასიუს I-ის, 491-518 წწ - იხ. 90:90) მიხედვით ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ - გ.წერეთელმაც ხსენებული წარწერების ნაწილის შექმნის დროდ ასევე IV ს. მიიჩნია (98:29). მართალია, სადღეისოდ სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, აღნიშნული წარწერებიდან უძველესი 433-444 წლებს განეკუთვნება, მაგრამ ზემოხსენებული ავტორების დასკვნები უთუოდ ანგარიშგასაწევია და დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ბაკურისა და გრი-ორმიზდის წარწერა უფრო ადრინდელი ხანის, კერძოდ, 380-იანი წლებისა თუ არა, 390-იანი წლების I ნახევრის დროინდელი მაინც იყოს. იმპერიის სამხედრო სამსახურში მყოფ ბაკურს 390 წლის ახლოს, როგორც ამას გელასი კესარიელი და რუფინუსი გვამცნობენ, პალესტინის საზღვრების დაცვა ევალა და ქალაქ იერუსალიმში ცხოვრობდა. რატომ არ უნდა ვიფიქროთ ის, რომ ზემოხსენებულ მონასტერს სამირკველი სწორედ დასახელებულ პერიოდში ჩაეყარა მორწმუნეობაზე ძლიერ მზრუნველი იბერიელი მეფისწულისა და მისი სიყრმის მეგობრის, სეფეწულ გრი-ორმიზდის მიერ? ამ შემთხვევაში შეგვეძლო დაგვეშვა ისეთი ვარაუდიც, რომ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლად აღიარებული ბაკურისა და გრი-ორმიზდის წარწერა მონასტრის აგების თანადროულია და შესაბამისად, ნახევარი საუკუნით უფრო ძველიც (თუმცა, ცხადია, გადაჭრით არც იმ აზრის გამორიცხვა შეიძლება, რომ ხსენებული წარწერის გაკეთება დიდი ბაკურის სახელოვანი შვილიშვილის - პეტრე იბერის სახელთან იყოს დაკავშირებული ბ.ხ.).

პალესტინის კესარიის- ეპისკოპოსი გელასი უკვე 390 წლისათვის იცნობს ბაკურს, როგორც მორწმუნე ქრისტიანს; მისთვის ის არის «კაცი ფრიად ღვთის-მოშიში» (16:194). ეს მითითება იმ თვალსაზრისითაც არის საყურადღებო, რომ გელასი ქრისტიანობის ორთოდოქსული მიმართულების მტკიცე მომხრე გახლდათ და შემთხვევითი როდია ის, რომ კ.კეკელიძე მას «ულტრა-მართლმადიდებლის» სახელით მოიხსენიებდა. რაკილა ბაკურის მართლმადიდებლობაში გელასისნაირ საეკლესიო მოღვაწეს ეჭვი არ შეჰქონდა, მითუმეტეს გაუმართლებელი უნდა იყოს ამის გაკეთება ჩვენის მხრიდან. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ წარსულში ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოითქვა მოსაზრება ბაკურის რწმენით არაორთოდოქსულობის ან საერთოდაც წარმართობის შესახებ (იხ. 87:13-20; 50:22; 72:74-76; 20:53; 13:68 და სხვ.). ასეთი აზრის გაჩენას საფუძველი ბაკურის შესახებ ლიბანიოსის ცნობებმა შეუქმნა. მკვლევართა ყურადღება განსაკუთრებით იმ წერილმა (1980) მიიპყრო, რომელიც ლიბანიოსს ბაკურისათვის გაუგზავნია 392 წელს. როგორც

მისი შესავალიდანვე ირკვევა, ლიბანიოსი პასუხობს ბაკურის მიერ მისთვის გამოგზავნილ წერილზე. აქ წერილის ადრესატი ბაკური დახასიათებულია, როგორც ბრძენი და სამართლიანი, უშიშარი, ზომიერების მოყვარული, ვნება-სურვილებზე მბრძანებელი და ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება. «მე კი შენ ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ შენ გიყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ, რისთვისაც შენ საყვარელი ხარ ღმერთებისათვის, რომელნიც ზრუნავენ ლოგოსებზე. ხომ ზრუნავენ ლოგოსებზე ისინი, რომლებმაც ეს [ლოგოსები] მოგვეცეს. ჩვენ რომ ასეთ ყვავილებში ვტრიალებდით, შენ, რასაკვირველია, იყავი მდელო; ამ დროს ხელში ჩამიდო მისმა მომტანმა წერილი, რომელიც არის საბუთი შენი სიყვარულისა ლოგოსებისადმი»-ო, წერს იმავე წერილში ბაკურს ლიბანიოსი (58:63-64). თავის დროზე ს.ყაუხჩიშვილმა «ლოგოსები» გაიგო, როგორც «სიტყვის, ანუ რიტორიკული ხელოვნება» (87:13-20; 58:61-62). ამის საპირისპიროდ შ.ნუცუბიძე წერდა: «საეჭვოა ვიფიქროთ, რომ აქ «ლოგოსები» ნიშნავდნენ, როგორც ხანდისხან ფიქრობდნენ, მჭერმეტყველებაში დაოსტატებას. მართალია, ბერძნული სიტყვა «ლოგოსი» ნიშნავდა სიტყვასაც და სიტყვის საშუალებით გამოთქმულ აზრსაც, მაგრამ იმავე დროს ღმერთსაც ნიშნავდა, ... ამ სიტყვის ფილოლოგიური ინტერპრეტაცია ამ შემთხვევაში არ გამოდგება»-ო. მან ბაკური ნეოპლატონური იდეალიზმის მიმდევრად, ანუ წარმართ პოლითეისტად გამოაცხადა (72:75-76). პასუხად ს.ყაუხჩიშვილმა დამაჯერებლად უჩვენა ის, რომ მოცემულ კონტექსტში «ლოგოსები» «ღმერთების» მნიშვნელობით არ არის ნახმარი (იხ. 58:61-62). აღნიშნულ საკითხს შეეხო წყაროთმცოდნე მ.ჩხარტიშვილიც, რომლის აზრით, ლიბანიოსისა და ბაკურის ახლო ურთიერთობების საფუძველი რელიგია კი არ იყო, არამედ ზოგადად მეცნიერებისადმი სიყვარული. «ლოგოსები» მისი განმარტებით მეცნიერებას აღნიშნავს (92:38). ტერმინ «ლოგოსს» მართლაც ბევრი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნულში: სიტყვა, მოთხრობა, ანგარიში, მნიშვნელობა, გონება, მსჯელობა, ყურადღება და ა.შ. საინტერესოა, რომ ლიბანიოსის წერილში ჩვენთვის საინტერესო ტერმინს მისი ერთი ძველი გამომცემელი - იოჰან ქრ. ვოლფიუს თარგმნის ლათინური «ლიტტერას»-ით, რაც ასოს (ბგერას) შეესატყვისება. შემდგომში, როდესაც დიდი ბაკურის ქართულ დამწერლობასთან მიმართების საკითხს შევხებით, დავინახავთ, რომ «ლოგოსების» მიმართ ბაკურის სიყვარულის ფაქტში მჭევრმეტყველებისა და მეცნიერების გვერდით ასოებით, სიტყვებით და აგრეთვე, მათი მნიშვნელობებით, ფაქტობრივად კი - ენათმეცნიერებით მისი ცხოველი დაინტერესებაც შეიძლება იქნას ამოკითხული. მართალია, ბაკურისადმი გაგზავნილ ლიბანიოსის წერილში «ღმერთებზეც» არის საუბარი, მაგრამ ეს ხომ წარმართი სოფისტის სიტყვებია და არა თვით ბაკურისა?! გასაოცარი ის იქნებოდა, რომ პოლითეისტ ლიბანიოსს აღნიშნული სიტყვა მხოლოდობით რიცხვში მოეცა. ლიბანიოსის აზრებს კი, სანამ ბაკურის წერილი ხელთ არ გვექნება, ამ უკანასკნელს ვერასგზით ვერ მივაწერთ. ცნობილია, რომ ადრებიზანტიური საზოგადოების არისტოკრატიული ფენებისათვის საკმაოდ დამახასიათებელი იყო ანტიკური ფილოსოფიითა და კლასიკური რიტორიკით გატაცება. მაგალითად, ა.ბოგვერაძე კიდევაც გულისხმობდა ანალოგიური ვითარების არსებობას ბაკურის შემთხვევაში (13:67-69). უადგილო არ უნდა იყოს იმის გახსენებაც, რომ ანტიკური სოფისტიკით დაინტერესებას ავლენდნენ წმ. ბასილი დიდი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. გრიგოლ ნაზიანზელი და სხვა ცნობილი საეკლესიო მოღვაწეებიც. დასახელებული პირები თავის დროზე ხსენებული ლიბანიოსის მოწაფეებიც იყვნენ (88:92). IV საუკუნისათვის ქრისტიანობის ელინიზაცია ფაქტიურად დასრულდა; საქმე იქამდე მივიდა, რომ ქრისტიანობა თვით ქრისტიანებმა გამოაცხადეს «სიბრძნის მოყვარებად», «ფილოსოფიად»; დაიწყო ძველბერძენ ფილოსოფოსთა და პოეტთა თხზულებების

შესწავლა. ბასილ დიდმა სპეციალური ტრაქტატიც კი მიუძღვნა იმას, თუ როგორ უნდა ეკითხათ და რა უნდა ეკითხათ ქრისტიან ახალგაზრდებს ანტიკური ხანის პოეზიიდან და ფილოსოფიიდან. ბერძნულ ფილოსოფიას ქრისტიანები დაეწაფნენ არა თავისთავად, არამედ საეკლესიო-თეოლოგიური აზროვნებისათვის გამოყენების მიზნით, რათა ეკამათათ «გარეშე» ფილოსოფოსებთან მათთვის გასაგებ ენაზე (51:157-158). აღნიშნულთან დაკავშირებით ნიშანდობლივად გვეჩვენება რუფინუსის ის ცნობაც, რომ იერუსალიმში ბინად მყოფი ბაკური არამხოლოდ მორწმუნეობაზე ზრუნავდა, არამედ **«ქვემარტებაზეც»**. საგულისხმოა, რომ ამ ცნობას სასულიერო პირი და საეკლესიო მწერალი გვაწვდის. შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ ბაკურმა რუფინუსის ყურადღება მიიქცია მისი არაორდინალური აზროვნებითა და მეცნიერული ძიებებით, თანაც ქრისტიანულ მორწმუნეობასთან კავშირში და არა მისგან განყენებულად. ნიშანდობლივად გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ გელასი კესარიელი 390 წლისათვის ბაკურს «იბერთა შორის სახელოვან» პიროვნებად მოიხსენიებს; იგრძნობა, რომ ამ სათარიღო ნიშნულამდე ბაკურს რაღაც ისეთი მნიშვნელოვანი ქმედება ჰქონდა «ჩადენილი», რომელსაც ეროვნული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და რომლის გამოც ბაკურს ბერძენ-რომაელ საეკლესიო მწერალთა თვალში იბერიელთა (ქართველთა) შორის გამორჩეული, სახელგანთქმული ადამიანის იმიჯი შეჰქმნია.

დიდი ბაკურის ქრისტიანულ მრწამსზე ირიბად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მან მხარი დაუჭირა იმპერატორ თეოდოსი დიდს ევგენიოს ტირანთან ომში. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელმა, რომელიც ქრისტიანობის მოამაგე თეოდოსი დიდისაგან განსხვავებით წარმართობის მფარველად გამოდიოდა, 392 წელს, მას შემდეგ რაც სარდალ არბოგასტის მხარდაჭერით თავი იმპერიის დასავლეთი ნაწილის იმპერატორად გამოაცხადა, ბრძანა რომის სენატში წარმართული ღვთაების - ვიქტორიის სამსხვერპლოს ბომონის ხელახლა აღდგენა, რომელიც მანამდე თეოდოსი I-ის ბრძანებით გამოტანილი იქნა სენატიდან. ზოსიმეს სიტყვით, 394 წელს, როდესაც თეოდოსი ევგენიოსსთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა, «ამ სამზადისის უმთავრესი ნაწილი ის იყო, რომ მოეხდინა კარგი არჩევანი სარდლებისა» (31:269); შერჩეულ სარდლებს (ტიმასიოსი, ვანდალი სტელიხონი, გოთი გაინა, ალანი საული და სხვ.) შორის ირიცხებოდა ბაკურიც. ცხადია, ეს უკანასკნელი რომ წარმართობის მოტრფიალე ყოფილიყო, იმპერატორი თავის არჩევანს მასზე არ შეაჩერებდა. თეოდოსი დიდისა და ევგენიოს ტირანის დაპირისპირებას ძალაუფლებისათვის ბრძოლის გარდა რელიგიური სარჩულიც გააჩნდა და ქრისტიანული ეკლესიის თავგამოდებული ქომაგი იმპერატორი უთუოდ ითვალისწინებდა აღნიშნულ ფაქტორს.

წერილობით წყაროებში ჯერჯერობით ვერ ვიდასტურებთ იმას გელასი კესარიელისა და რუფინუს აკვილელის გარდა ჰქონდა თუ არა დიდ ბაკურს პირადი ნაცნობობა კიდევ რომელიმე სხვა გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწესთან. მაგრამ ზოგიერთი ობიექტური მონაცემის გათვალისწინებით სრულიად დასაშვებად გვესახება ის შესაძლებლობა, რომ ბაკურს პირადად სცნობოდა წმ. იოანე ოქროპირი (347-407 წწ.), რომელიც 392 წელს იბერიელი მეფისწულის ლიბანიოსთან სტუმრობისას იქვე, ანტიოქიაში იმყოფებოდა და თავისი შესანიშნავი ქადაგებებით თანამოქალაქეთა შორის უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა.

დიდ ბაკურს, როგორც მაქსიმე და ევგენიოს ტირანთა წინააღმდეგ თეოდოსი I დიდის მიერ წარმოებული ომების მონაწილეს, ჩვენი აზრით, ასევე პირადად უნდა სცნობოდა წმ. ამბროსი მედიოლანის ეპისკოპოსიც (374-397 წწ.). ცნობილია, რომ 394 წლის შემოდგომაზე ამ უკანასკნელმა საზეიმო შეხვედრა მოუწყო ევგენიოს ტირანზე გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვების შემდეგ ქალაქ მედიოლანში (ახლ. მილანში)

მისულ კეთილმსახურ იმპერატორსა და მის ლაშქარს, რომლის რიგებში, როგორც ითქვა, ირიცხებოდა სარდალი ბაკურ იბერიელიც. წმ. ამბროსის სახელი იმ დროისათვის შორს იყო გავარდნილი, მასთან შესახვედრად იტალიაში სპეციალურად ჩადიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის შვილები (მაგ. მას მედიოლანში ერთხელ სპარსეთიდანაც კი ეწვია თურმე ორი ბრძენკაცი). ძნელად წარმოსადგენია, რომ ჭეშმარიტებასა და მორწმუნეობაზე ზრუნვით შეპყრობილ იბერიელ მეფისწულს საქვეყნოდ ცნობილი ღმრთისმეტყველის ახლოს გაცნობის სურვილი არ გასჩენოდა მისი იტალიაში ყოფნის ჟამს.

პალესტინის საზღვრების სარდლად მყოფ და ქალაქ იერუსალიმში ბინადადებულ ქართველ მეფისწულს, რომელიც ქართლის მოქცევის ისტორიას მოუთხრობდა «წმინდა მიწაზე» მოღვაწე უცხოელ საეკლესიო მწერლებს - გელასი კესარიელსა და ტურანიუს რუფინუსს, უთუოდ პირადად უნდა სცნობოდა იმ პერიოდში იერუსალიმის ეკლესიის მღვდელთმომღვარი, მთავარეპისკოპოსი წმ. კირილე (350-387 წწ.), ვისი შთაგონებითაც შეუდგა, სხვათა შორის, «საეკლესიო ისტორიის» წერას მისი დისწული გელასი.

დიდ ბაკურს უნდა სცნობოდა, აგრეთვე, აკვილელი ტურანიუს რუფინუსის სიყრმის მეგობარი და 385 წლიდან წმინდა მიწაზე, ბეთლემში დამკვიდრებული ლათინური «ვულგატას» (ე.ი. საღმრთო წერილის კანონიკური ლათინური რედაქციის) შემოქმედი ნეტარი იერონიმე (340/42-419/20 წწ.) და ალბათ, იმ დროის კიდევ ბევრი სხვა გამოჩენილი თუ მეტნაკლებად ცნობილი საეკლესიო მოღვაწეც. დასახელებულ პირებთან ბაკურის ურთიერთობების ამსახველი კონკრეტული მასალის დღემდე აღმოუჩენლობის ფაქტი ზემოაღნიშნული ვარაუდის რეზონულობის ხელშემშლელ პირობად მაინც არ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ხომ ჯერჯერობით ძლიერ მწირ ინფორმაციას ვფლობთ დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის სრულ სურათზე?!

ზემოთ აღნიშნულის ფონზე, თავისთავად ცხადია, დიდი ბაკურის მხრივ ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრობის ფაქტი არავითარ ეჭვსა და კამათს არ შეიძლება რომ იწვევდეს.

თავი III

ქართლის სამეფოს პოლიტიკური ვითარება 378-394 წლების პერიოდში

დიდი ბაკურის სამშობლოში დაბრუნება რომ 395 წელს იგულება, ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. რა ვითარებაში მოხდა მისი სამეფო ტახტზე აღზევება, ძნელი სათქმელია. ლეონტი მროველის თხზულებაში დიდი ბაკურის შესახებ პრაქტიკულად არაფერი წერია იმ უბრალო მიზეზით, რომ მემატიანეს ის, ერთადერთი ქრისტიანობის ეპოქის ქართლის მეფეებიდან, გამოტოვებული ჰყავს. არადა, საეჭვო არ არის ის, რომ ლეონტი იცნობდა და სარგებლობდა «მოქცევაი ქართლისაის» ქრონიკით, სადაც ჩვენთვის საინტერესო პირი მოხსენიებულია, ბაკურ თრდატის ძის სახელით: «და მეფობდა ბაკურ ძე თრდატისი და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიაი ბოლნისს და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვის» (65:92). ლეონტი მროველთან აღნიშნული მეფის სახელი კი არის გამოტოვებული, მაგრამ «მოქცევაიში» მასთან დაკავშირებით მოყვანილი ცნობები იქ გამოყენებული ჩანს, მიწერილია წინამორბედ და მომდევნო მეფეებისადმი. ეს უცნაური ფაქტი, ერთის მხრივ, ინტერესსაც ჰბადებს და მეორეს მხრივ, სათანადო ახსნასაც მოითხოვს. წყაროთმცოდნე

გ.არახამია აღნიშნულ ფაქტს იმით ხსნის, რომ «მეფეთა ცხოვრებაში» «მოქცევისთან» შედარებით ერთი ზედმეტი მეფე (მირდატი) აღმოაჩნდათ და ამ შემთხვევაში მემატიაანემ თითქოსდა «მოქცევის» მატიაანეში წარმოდგენილი ქრისტიანი მეფეების და ერისმთავრების რაოდენობის თავის თხზულებაში შენარჩუნების სურვილით იხელმძღვანელა (8:64-65). ეს აზრი რომც დაგვეშვა, მაინც მოგვიწევდა პასუხის გაცემა შეკითხვაზე: რა მიზეზით მიაწერა ბაკურთან დაკავშირებული ამბები მემატიაანემ, ვთქვათ, ფარსმან მეფეს, რომლის შესახებაც «მოქცევაი ქართლისაი» პრაქტიკულად არაფერს საგულისხმოს არ იუწყება? გარდა ამისა, მემატიაანის მხრივ «მოქცევაი ქართლისაის» ქრონიკაში დასახელებული მეფეებისა და ერისმთავრების რიცხოვრივი რაოდენობის შენარჩუნების სურვილს რატომ მაინცდამაინც ბაკურ თრდატის მის გამოტოვება მოჰყვა წყაროში და არა, თუნდაც «მცირედ-ჟამ» მეფედ მყოფი ფარსმანისა ან სხვა რომელიმე ხელისუფლისა, ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობთ ზემოხსენებული მკვლევრის წერილში. პირადად ჩვენში ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ დიდი ბაკურის სახელი ლეონტი მროველის თხზულებაში გამოტოვებულია შეგნებულად.

377 წელს, როგორც უკვე აღინიშნა, ქართლის სამეფოს ორ ნაწილად გაყოფა სპარსელებმა მოშალეს (13:59,73). ასფაგური (ვარაზ-ბაკური) ქვეყნის ერთპიროვნული ხელმწიფე შეიქნა, ხოლო განდევნილმა საურმაგმა (თრდატ რევის ძემ), უნდა ვიფიქროთ, რომ ბიზანტიაში ან მის საზღვრებთან ახლოს, კლარჯეთში დაიდო ბინა. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მიღწეული შეთანხმებით სომხეთის დიდ ნაწილზე დამყარდა სპარსელთა ხელისუფლება, ხოლო 387 წელს დადებული ზავით მოხდა სომხეთის გაყოფა ამ ორ იმპერიას შორის. ქართლის სამეფო კვლავინდებურად მთლიანად სპარსელთა გავლენის სფეროში რჩებოდა. სომეხთა მეფე ხოსროვ IV (383-388 და 390/91 წწ.) შეეცადა 387 წლის ზავის სომხეთისათვის მძიმე პირობების გადასინჯვას, რაც ქვეყნის მთლიანობის აღდგენის სურვილით იყო ნაკარნახები, და ამ მიზნით კეისარს მიმართა თხოვნით - «მიენდო მისთვის ბერძენთა წილი სომხეთი, რომელსაც ძველებურ ბარაქას შეუნარჩუნებდა და უკლებლივ გადაიხდიდა ყოველივეს, რასაც კეისარი თავისი მოხელეების მეშვეობით იღებდა», რაზედაც კეისარი დათანხმებულია (67:218). აღნიშნულის გამო ხოსროვ IV-სა და სპარსეთის შაჰს შორის ურთიერთობა ძლიერ დაიძაბა. მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად სომეხთა მეფემ ბიზანტიელებს პირდაპირ მოსთხოვა სპარსელებთან დადებული ზავის დარღვევა და ჯარის მისთვის მიშველება, რის სანაცვლოდ იგი მთელი თავისი ქვეყნის კეისრისათვის გადაცემის პირობას იძლეოდა (64:219). განრისხებულმა შაბურ III-მ (383-388 წწ.) სომხეთში დიდი დამსჯელი ჯარი მიავლინა. ლეონტი მროველის ცნობით, «გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად», რის საპასუხოდ «სომეხთა მოგზავნის ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან და განახუნენ კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნეთ ოვსნი და ლეკნი და წინააღუდგნენ სპარსთა, და წარჩინებულნიცა თვისნიცა ეტყოდეს წინააღმომასა სპარსთასა», მაგრამ ქართლის მეფემ «არა ისმინა არცა სომეხთა, არცა წარჩინებულთა თვისთა, ...უკუჯდა იგი ხევსა კახეთისასა, და აღაშენა ციხე ხიდარს და განამაგრა ციხე-ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა დამალენ ჯუარნი. და მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და მოაოხრეს სომხითი» (57:135). «მოქცევაი ქართლისაის» მატიაანეც გვიდასტურებს აღნიშნულს: ვარაზ-ბაკურის ზეობისას «სპარსთა მეფისა მარზაპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ხიდარდ უკუჯდა... და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზად სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად, კალად ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი» (68:91-92). მოვსეს ხორენაცის ცნობითაც, კეისარმა «მხარი არ დაუჭირა ხოსროვს და არც სხვა რომელიმე

უცხო ნათესავი დაეხმარა მას», ამიტომ სომეხთა მეფე თავისი ფეხით ეახლა სპარსელთა ჯარის წინამძღოლს და მისგან დატყვევებული სპარსეთში იქნა წაყვანილი (67:219). ლეონტი მროველის ცნობით უკეთეს მდგომარეობაში არც ქართლის მეფე ასფაგური აღმოჩენილა; ის თურმე «ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშვიდობა» სპარსელთა ერისთავისგან, «ხოლო ერისთავმან სპარსთამან რქუა მას: ...გაქუნდეს უკუე ქართლი და ხარკსა მისცემდეთ მეფეთა ხუასროვანთა» და ასფაგურმა «ვერღარა პასუხი მიუგო შიშისაგან დიდისა, მისცა რანი და მოვაკანი, და განუკუეთა ხარკი» (57:136). ჩვენს წყაროებში არ ჩანს ის, თუ რა მიზეზით დაიტეხა თავს ასფაგურმა მისი ძველი მფარველის - სპარსეთის ხელისუფლების რისხვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მფარველობა მისთვის საკმაოდ მძიმე პირობებს მოიცავდა. ჩანს, რომ ქართლის მეფე ხოსროვ IV-ს თანაუგრძნობდა და ეტყობა, მათ შორის რაღაც მოლაპარაკებასაც ჰქონდა ადგილი სომეხთა მეფის სპარსელთაგან განდგომამდე. შესაძლოა, სპარსეთის ხელისუფლებამ 387 წლის ზავის პირობებით რაღაცნაირად კიდევ უფრო შეუზღუდა ძალაუფლება ასფაგურს და ამით გაღიზიანებულმა ქართლის მეფემ სპარსეთისგან განდგომა განიზრახა. თუმცა, როგორც უკვე ვიხილეთ, პრაქტიკულად სომხეთ-ქართლის პოლიტიკური ალიანსი არ შედგა.

საინტერესოა, რომ ქართულ წყაროებსა და მოვსეს ხორენაცის თხზულებაში აღწერილი ზემოხსენებული მოვლენები ზუსტ დათარიღებას ექვემდებარება. სომეხი ავტორის ცნობით, სპარსელთა სომხეთში გამოლაშქრების შემდგომ მალევე გარდაცვლილა შაჰი შაბურ III (383-388 წწ.). ამდენად სპარსელთა ჯარის სომხეთში მოსვლა 388 წლის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. ქართლის დალაშქვრაზე იქ არაფერია ნათქვამი, მაგრამ აღნიშნულია ის, რომ სპარსელთა ჯარის წინამძღოლმა «დატოვა სომხეთში დიდი რაზმი» (67:219). აქედან ჩანს, რომ სპარსელთა სამხედრო აქცია იმ დროს მხოლოდ დროებით იქნა შეწყვეტილი; საფიქრებელია, რომ შაბურ III-ის სიკვდილის მიზეზით. რომ ჩვენ არ ვცდებით, ამაში გვარწმუნებს «მოქცევაი ქართლისაის» ცნობა «ქრამ ხუარ ბორზად (სინურ ხელნაწერშია: «ქარზამ ხუარ ბარზ ადურ» - იხ. 5) სპარსთა მეფისა პიტიახშის» მიერ ქართლის დახარკვის შესახებ. აღნიშნული პირი, როგორც ეს ჩვენს მიერ იქნა გამორკვეული (იხ. 102:87-88), რეალურად სპარსელ პიტიახშს (ერისთავს) კი არ შეესატყვისება, არამედ სპარსეთის მეფე ბაჰრამ IV-ს (388-399 წწ, რომელსაც მოვსეს ხორენაცის სიტყვით, თურმე «კრმანიც» (შდრ. «ქრამ»-ს) ჰრქმევია სახელად (67:221). მაშასადამე, ქართლი სპარსელთა მოხარვე გამხდარა 388 წელს, ბაჰრამ IV-ის ზეობის დასაწყისში. ამის შემდეგ, როგორც ლეონტი მროველის ცნობებით ირკვევა, ასფაგურს (ვარაზ-ბაკურს) დიდხანს აღარ უცოცხლია. ზოგიერთი მასალების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის საერთოდაც აღარ (ან ვეღარ) დაბრუნებულა სატახტო ქალაქ მცხეთაში. სინას მთის მონასტრის ერთ ქართულ ხელნაწერში (Sin-50) მოცემულია საყურადღებო ცნობა ვარაზ-ბაკურისა და მისი ოჯახის წევრების (ცოლის, ორი ძისა და სამი ასულის) ნეშტების, როგორც ზ.ალექსიძე მიიჩნევს, ხიდარიდან (ჟინვალთან, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე) ზედაზნის ეკლესიაში გადასვენების შესახებ. უცნობი ავტორის ცნობით, ზედაზნის ეკლესიაში არსებული «ერთი იგი ლუსკუმაი ვარაზ-ბაკურ მეფისა ხიდარელისაი არს. და ორნი ძენი მისნი - ვარაზ, ვარაზ-ჰარან და სამნი ასულნი და დედაი მათი სიმენავრი გუ(ა)სპურაგნელი მთავართა შვილი» (იხ. 5). საინტერესოა, რომ აღნიშნულ ცნობაში არ იხსენიებიან ფარსმანი, მირდატი და თრდატი, რომელთაც ვარაზ-ბაქარის ძეებად ასახელებს ლეონტი მროველი, აგრეთვე, სპარსელებთან 369 წელს მძევლად მყოფი ულტრა ასფაგურის ძე, რომლის შესახებაც ამიანე მარცელინე გვამცნობს. ლეონტი მროველის ცნობით, ვარაზ-ბაქარს ორი ცოლი ჰყოლია - თრდატის (საურმაგის) ასული და «მისწული ფეროზისი». როგორც ვხედავთ, არც ამ შემთხვევაში გვაქვს

თანხვედრა. მაგრამ ეს გარემოება, ჩვენი აზრით, უფრო ლეონტი მროველის ცნობების უზუსტობაზე უნდა მეტყველებდეს. ზოგიერთი მეცნიერი ვარაზ-ბაკურსა და დიდ ბაკურს ერთმანეთთან აიგივებს. ზემოხსენებული ცნობით ეს ისედაც ფრიად საეჭვო ვარაუდი სრულიად ქარწყლდება. დიდ ბაკურს ჰყავდა ერთადერთი მეუღლე, რომელსაც «დუხტი» ერქვა სახელად. ზემოხსენებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ ვარაზ-ბაკურს მეუღლედ ჰყავდა «გუასპურაგნელ მთავართა შვილი», რაც ისტორიული სინამდვილის ანარეკლი ჩანს. ვასპურაკანის დიდი ნაწილი განსახილველ პერიოდში ოთხი წარჩინებული საგვარეულო სახლის - ალბაქის არწრუნების, მარდპეტაკანის არწრუნების, რუმტუნებისა და ამატუნების ხელში იყო. «მარდპეტი» არწრუნების სახლის ზოგად საგვარეულო ტიტულს წარმოადგენდა (4:319). მაგრამ დავუბრუნდეთ თავდაპირველ სათქმელს. ასფაგური რომ ხიდარიდან მცხეთას აღარ დაბრუნებულა, ეს ირიბად ჩანს «მოქცევაი ქართლისაის» იმ ცნობიდანაც, რომ ქართლის დახარკვის შემდეგ მცხეთაში ეკლესიის შენება მიმდინარეობდა ადგილობრივ აზნაურთა მეთავეობით. ქართლის წარჩინებულთა იმ დროს გააქტიურებაზე მეტყველებს ლეონტი მროველის ის ცნობაც, რომლის თანახმად მათ «ზრახვა ყვეს და დასვეს მეფედ ... ძე რევისი, ძის წული მირიანისი, კაცი მოხუცებული, სახელით თრდატ», რომელიც იგივე მემატეანის სიტყვებით: «იყო კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი, ამან სიბრძნითა თვისითა დაამშვიდნა სპარსნი, ... ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფესა» (57:137). თრდატ რევის ძე, (იგივე საურმაგ მერიბანის ძე) «მოქცევაი ქართლისაის» ქრონიკაში ვარაზ-ბაკურის წინამორბედ მეფედ არის დასახელებული, ხოლო «ქართლის ცხოვრებაში» ის ვარაზ-ბაქარის მომდევნო მეფეა. ჩვენი აზრით, აქ ასახული უნდა იყოს რეალურად არსებული ვითარება: საურმაგი «ყოველ ქართლზე» პირველად მეფობდა 368 წელს, რა დროსაც ის ასფაგურმა და მისმა მომხრე სპარსელებმა გააძევეს ქვეყნიდან; ხელმოკრედ საურმაგმა «ყოველი ქართლის» მეფობას 388 წლის მახლობელ ხანებში მიაღწია, რა დროსაც სპარსელთა შიშით ასფაგურმა მცხეთა დასტოვა და ხიდარს გაიხიზნა. ზემოხსენებული ქართული წყაროების ჩვენებათა წინააღმდეგობებიც ამ ნიადაგზე უნდა აიხსნას. უაღრესად საინტერესოა ის გარემოება, რომ რომაელთა ოდინდელი ფავორიტი - საურმაგი (თრდატ რევის ძე) მოხუცებულობის ჟამს სპარსელებთან მორიგებულა, ხოლო ასფაგური (ვარაზ-ბაკური) პირიქით იძულებული გამხდარა სპარსელთა შიშით მცხეთას გასცლოდა. ცხადია, საინტერესო იქნებოდა იმის გამორკვევა, თუ რამ გამოიწვია აღნიშნულ პირთა მხრიდან ადრინდელი პოლიტიკური ორიენტაციების ესოდენ მკვეთრი ცვლილების ფაქტი. სამწუხაროდ, ჩვენს წყაროებში პირდაპირი პასუხი ამ კითხვაზე არ მოიპოვება. მაგრამ ნავარაუდევია ფაქტის რეალურობის დასტური შეიძლება იყოს შემდეგი გარემოება: ლეონტი მროველის ცნობით, ვარაზ-ბაქარის (ასფაგურის) უფროსი ვაჟი იყო ფარსმანი, შემდგომში ქართლის მეფე, რომელიც მემატეანის სიტყვით, ასფაგურს თითქოსდა «უშვა ფეროზის ძისწულმან» (57:135). ჩვენ უკვე გამორკვეული გვაქვს ის, რომ ხსენებული ფარსმანი რეალურად მეფე საურმაგის (თრდატის) დისწული იყო (ამ ფაქტის დამახინჯებული ანარეკლი ჩანს ლეონტის ის ცნობა, რომ ვარაზ-ბაქარს ცოლად თრდატ რევის ძის ასული ჰყავდა - ბ.ხ.), როგორც ამას «მოქცევაი ქართლისაი» გვამცნობს და ამდენად, ის დიდ ბაკურს მამიდაშვილად ეკუთვნოდა (რომ ვარაზ-ბაქარის ოჯახობის შესახებ ლეონტი მროველთან დაცული ცნობები უზუსტოა, ეს მართებულად შენიშნა ვ.გოილაძემაც. იხ.21:87-89). ფარსმანის შესახებ საგულისხმო ცნობებს ვნახულობთ პეტრე იბერის ბიოგრაფ იოანე რუფუსის თხზულებაში. კერძოდ, როგორც აღნიშნული ავტორი გვამცნობს, მეფისწული ფარსმანი «რომაელთა მეფეს არკადიუსს დიდ პატივში ჰყავდა, ჯარის სარდლის თანამდებობაც ეკავა და პირველი ადგილი ეპყრა, ხოლო, უკანასკნელ, არკადიუსის მეუღლის, ევდოქსიას შეყვარების გამო, იგი გაიქცა და

დაიმალა, სასწრაფოდ თავის სამშობლოში წავიდა; როდესაც ის იბერებზე ბატონობდა და თან მიიყვანა თეთრი ჰუნნები, იბერთა მეზობლები, იმათთვის, რომელნიც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მრავალი უბედურების მიზეზი შეიქმნა» (37:248-249; 96:81). როგორც ზემოთ აღინიშნა, 388 წლის შემდეგ ასფაგური მცხეთაში აღარ დაბრუნებულა და ხიდარში გარდაიცვალა. ქვეყნის წარჩინებულებმა ტახტის ძველი მპყრობელი და შემდგომში ქართლიდან გაძევებული საურმაგი უკან იხმეს, სპარსელებთან მოარიგეს და კვლავ მეფედ დასვეს. საურმაგმა კი, ტახტზე ხელმეორედ აღზევების სანაცვლოდ სპარსელებს ხარკის ძლევის პირობა მისცა. შესაძლოა, საურმაგმა ისევ მხოლოდ მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აღადგინა თავისი ხელისუფლება და არა «ყოველ ქართლში», მაგრამ ამ შემთხვევაშიც ასფაგურსა და მის სახლეულობას მცხეთაში სპარსელები აღარ გააჩერებდნენ; წყაროთა ცნობებით ჩანს კიდევ, რომ ასფაგურის სახლეულობა არაგვის ხეობაში გადაბარგდა და მცხეთა დროებით აზნაურთა ხელისუფლების ამარა დარჩა. ასეთ ვითარებაში ასფაგურის უფროს ვაჟსა და სამეფო ტახტის რეალურ პრეტენდენტს - ფარსმანს ისღა დარჩენოდა სამშობლო დაეტოვებინა და ბიზანტიაში წასულიყო დახმარების საძიებლად. საინტერესოა, რომ ერთი ბიზანტიური საბუთის (წმ. ნილოსის წერილი «ფარესმანისადმი») საფუძველზე ვ.გოილაძემ მეფისწულ ფარსმანის კონსტანტინეპოლში ჩასვლა 382-390 წწ.-ს შორის პერიოდში ივარაუდა (იხ. 21:93-94). წმ. ნილოსის წერილიდან ირკვევა, რომ დეცემვირად მყოფი «ფარესმანი», რომელსაც, ჩვენი აზრით, ვ.გოილაძე სავსებით სამართლიანად აიგივებს ფარსმან ვარაზ-ბაკურის ძესთან, დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც ტახტის ბიზანტიელთა დახმარებით დაბრუნების იმედის გაცრუებითა და მისი სამშობლოდან უცხო ქვეყანაში გადახვეწის ფაქტით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ასფაგურის ძის გეგმების ჩაშლაში, უნდა ვიფიქროთ, არაუკანასკნელი როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ ფარსმანის კონსტანტინეპოლში, საიმპერატორო კარზე მისვლამდე (ე.ი. 388 წლამდე) იქ უკვე იმყოფებოდა და უდიდესი ავტორიტეტითაც სარგებლობდა მისი ბიძაშვილი და ქართლის სამეფო ტახტის რეალური პრეტენდენტი - დიდი ბაკური. ბიზანტიაში მისულ ფარსმანს მაღალი სამხედრო თანამდებობა უბოძეს და ეტყობა, მას საიმპერატორო კარზე მეტს არც ჰპირდებოდნენ. 395 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა იმპერატორი თეოდოსი I დიდი. იმავე წლის 27 აპრილს კონსტანტინეპოლში მოსულმა თეოდოსის უფროსმა ვაჟმა - არკადიუსმა ჯვარი დაიწერა ევდოქსიაზე. ამ უკანასკნელმა სასიყვარულო რომანი გააბა ფარსმანთან; ეს ამბავი მალევე გამჟღავნდა და იბერიელ მეფისწულს ამის გამო კონსტანტინეპოლის სასწრაფოდ დატოვება მოუხდა. იმ დროს (395 წ-ის ივლისიდან მოყოლებული) წინა აზიაში კავკასიონის ქედის გადმოვლით ჰუნების მარბიელი რაზმები იყვნენ შემოჭრილი და ბიზანტიის იმპერიის კუთვნილი სომხეთისა და სირიის ტერიტორიებს აოხრებდნენ (113:74). სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ჰუნები ბიზანტიის ქვეშევრდომებს ფარსმანმა შეუსია, როდესაც ის ქართლში დაბრუნდა (13:60). მაგრამ იოანე რუფუსის თხზულებაში მოყვანილი ცნობით ჩანს, რომ კონსტანტინეპოლიდან გაქცეულმა ფარსმანმა სამშობლოში «თან მიიყვანა» იბერთა მეზობელი თეთრი ჰუნები, რომელთა შემწეობით ხელთ იგდო სამეფო ტახტი. შემდეგ კი, მრავალი უბედურება დაატეხა რომაელთა ქვეშევრდომებს, ანუ როგორც ეს ჩვენ გვგონია, რევინანებს. ჩვენი აზრით, იბერთა მეზობელ ჰუნებში იგულისხმებიან იმ დროს სომხეთში მოთარეშე ჰუნთა რაზმები. კონსტანტინეპოლიდან გაქცეულ ფარსმანს, როგორც ჩანს, თავდაპირველად თავი სომხეთში შეუფარებია, იქ დამალულა. ამის თქმის საფუძველს სხვასთან ერთად ისიც იძლევა, რომ ფარსმანის მამის - ასფაგურის (ვარაზ-ბაკურის) ორი ცოლიდან ერთ-ერთი ვასპურაკანის (ქართული წყაროების «გუასპურაგანი») მთავრების სახლის შვილი იყო და თვითონ ფარსმანის

დედის დედა (ბებია) სალომეც ხომ, ლეონტი მროველის ცნობით, სომეხ მეფეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა?! ცხადია, მეფისწული ფარსმანი თავშესაფარს თავის სომხეთელ მოყვრებში ადვილად იპოვნიდა. მაგრამ რომ ამ უკანასკნელთათვის გარკვეული უხერხულობა არ შეექმნა თავისი სტუმრობით (ბიზანტიელებს ხომ შეეძლოთ სომხეთათვის მისი თავის გადაცემა მოეთხოვათ?!), ის იქ მაინც ფარულად იმყოფებოდა იმ დრომდე, სანამ სომხეთში მოთარეშე ჰუნების რაზმების დაქირავება არ მოახერხა და მათთან ერთად სამშობლოში არ დაბრუნდა. ფარსმანს ჰუნთა რაზმების დაქირავება შეეძლო მხოლოდ 395 წლის ივლისის შემდგომ პერიოდში, რადგან 540 წელს დაწერილი «ედესის ქრონიკა» სწორედ ამ დროით ათარილებს ჰუნთა იმპერიის ფარგლებში შემოჭრის ფაქტს (იხ. 77:91).

«მოქცევაი ქართლისაის» ცნობით, ბაკურ თრდატის ძემ ფარსმანზე უფრო ადრე დაიკავა სამეფო ტახტი. თუ ეს ცნობა მცდარი არ არის, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საურმაგი 395 წლის დასაწყისში გარდაიცვალა და ბაკურის სამშობლოში დაბრუნებასაც წინ აღარაფერი ედგა. ბაკურთან ერთად იბერიაში დაბრუნდნენ მისი ამაღლის წევრები და თანამებრძოლებიც. მალევე გამოჩნდა დაქირავებულ ჰუნთა რაზმებთან ერთად ფარსმანიც, რომელმაც მცხეთა დაიკავა. ჩვენს წყაროებში არ ჩანს, იყო თუ არა რეალური დაპირისპირება ფარსმანსა და ბაკურს შორის, მაგრამ იოანე რუფუსის ის ცნობა, რომ ფარსმანს საგრძნობი ზიანი მიუყენებია «რომაელთა ქვეშევრდომთათვის», გვაფიქრებინებს იმას, რომ ასეთ დაპირისპირებას რეალურად შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი. ფარსმანის მცხეთაში მბრძანებლობა რომ დიდხანს არ გაგრძელებულა, ამაში გვარწმუნებს «მოქცევაი ქართლისაის» დუმილი ამ მეფის ზეობისას მომხდარი მოვლენების შესახებ. რა ბედი ეწია ფარსმანს შემდგომში (ბუნებრივი სიკვდილით მიიცვალა, მოჰკლეს თუ განდევნეს ქვეყნიდან ?) და რა ვითარებაში დაეუფლა დიდი ბაკური მცხეთას, მნელი სათქმელია. თუმცა სავარაუდოა, რომ ბაკურს დახმარების ხელი ისევ სპარსელებმა გაუწიეს, რადგან თავნება და არაკონტროლირებადი ფარსმანი მათვის მიუღებელი კანდიდატურა უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფო ტახტზე. 395/96 წწ.-ის მიჯნასთან ახლოს დიდი ბაკური მცხეთის მხარეს გადადის და ამიერიდან უკვე «ყოველი ქართლის» თვითმპყრობელი ხდება. «მოქცევაი ქართლისაი»-ს ლაკონიური ცნობა იმის შესახებ, რომ ბაკური «იმეორ განვიდა», ნათელი მოწმობაა იმისა, რომ ბაკური იბერიის რევიანთა კუთვნილი ნაწილიდან მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და «ყოველი ქართლის» მპყრობელი შეიქნა.

თავი IV

დიდი ბაკური ქართლის სამეფო ტახტზე

იმ დროს, როდესაც დიდი ბაკური სამეფო ტახტზე აღზევდა, ბიზანტიის იმპერატორ არკადიუსსა და სპარსეთის შაჰ ბაჰრამ IV-ს შორის, როგორც ითქვა, მშვიდობიანი ურთიერთობები სუფევდა. ამასთანავე, ისტორიული სომხეთის დიდ ნაწილი და ქართლის სამეფო კვლავინდებურად სპარსეთის გავლენის სფეროდ რჩებოდა. თუმცა არკადიუსიცა და ბაჰრამ IV-ც საკმაოდ სუსტი მმართველები იყვნენ თავიანთი ქვეყნებისა. ეს კი, საკმაოდ ხელსაყრელ ვითარებას ჰქმნიდა იმისათვის, რომ მუდმივად დაპირისპირებულ მხარეთა შორის შედარებითი მშვიდობიანობის არსებობის ფონზე

ამიერკავკასიის ქრისტიანულ ქვეყნებში - ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება მნიშვნელოვნად გამოცოცხლებულიყო. მართალია, ეს ქვეყნები უკვე IV ს-ის დასაწყისიდან ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობას აღიარებდნენ, მაგრამ მაზდეანური სპარსეთის გავლენის სფეროში ყოფნის ფაქტი მნიშვნელოვნად აფერხებდა ამიერკავკასიის ხალხების ქრისტიანიზაციის პროცესის საყოველთაოობას. სპარსეთის ოფიციალური ხელისუფლება ადგილობრივი არისტოკრატის რენეგატულად განწყობილი წარმომადგენლების მეშვეობით გამუდმებით ცდილობდა ამ ქვეყნების მკვიდრთა შორის დაენერგა საკუთარი იდეოლოგია (ქართლში, ლეონტი მროველის ცნობით, ამ მისიის შესრულება მეფე ვარაზ-ბაკურს, ანუ ასფაგურს უკისრია. - ბ.ხ.), ხოლო უკიდურეს შემთხვევაში მხარი დაეჭირა ქრისტიანობის იმ მიმდინარეობებისათვის და სექტებისათვის, რომლებსაც დისონანსი და შფოთი შეჰქონდათ ბიზანტიის ოფიციალური ეკლესიის ცხოვრებაში და ამდენად, ხელს უშლიდა ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნების ჯერ იდეოლოგიურ და შემდგომ უკვე პოლიტიკურ დაახლოვებას სპარსეთის მეტოქე ბიზანტიის იმპერიასთან. თავის მხრივ ეს უკანასკნელიც მისი რელიგიური ემისრების მეშვეობით ცდილობდა იმპერიის ფარგლებში შემავალი თუ მისი საზღვრების სიახლოვეს მცხოვრები განსხვავებული კულტურის, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების მქონე ხალხების საკუთარი გავლენის ოქვეშ მოქცევას. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ის გარემოება, რომ იმპერიაში ქრისტიანული ეკლესიის პირველი იდეოლოგიები საზოგადოდ საუბრობდნენ და წერდნენ ბერძნულად, ბერძნული იყო იმ ეპოქაში ქრისტიანული ლიტურგიის ენაც. შემთხვევითი სრულებითაც არ იყო ის, რომ კონსტანტინე დიდმა (306-337 წწ.) თავის დროზე დაუფარავი სიხარულით მიიღო ცნობა იბერიელთა ქრისტეს რჯულზე მოქცევის შესახებ; რუფინუსის სიტყვებით, «ის ამით უფრო მეტად იყო გახარებული, ვიდრე [მაშინ იქნებოდა, რომ] რომის იმპერიისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები შეეერთებინა»-ო (80:206-207), გელასი კესარიელი კი, წერს: «ამავე დროს მას (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც უცხოთესლთ უქვემდებარებს მას» (80:194). ასეთ პირობებში ქრისტიანობაზე ახალმოქცეულ ხალხებში ბუნებრივად დაიბადა საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად ეფექტური საშუალებებისა და გზების გამონახვის დაუოკებელი სურვილი და მისწრაფება.

ქეშმარიტად ღვთის წყალობა იყო აღნიშნული პერიოდის იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ისეთი მასშტაბური და არაორდინალური პიროვნების გამოჩენის ფაქტი, როგორსაც წარმოადგენდა დიდი ბაკური. ლოგიკური იქნებოდა ის, თუ ამ პიროვნების შესახებ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში მდიდარ ინფორმაციას დავიდასტურებდით. მაგრამ რეალურად გვაქვს საპირისპირო ვითარება: საისტორიო და საეკლესიო ტრადიციამ საგულისხმო ბევრი არაფერი იცის აღნიშნული მოღვაწის შესახებ. ეს გარემოება უცნაურად შეიძლება არც მოგვჩვენებოდა, რომ თუნდაც სამიოდე უცხოურ წერილობით წყაროში არ დაგვედასტურებინა ფრიად საყურადღებო ცნობები დიდი ბაკურის შესახებ. ეს წყაროებია: იოანე რუფუსის «პეტრე იბერის ცხოვრება», კორიუნის «ცხოვრება მამტოცისა» და მოვსეს ხორენაცის «სომხეთის ისტორია». სამივე დასახელებული ავტორი V ს-ის მოღვაწეებად არიან მიჩნეული. ეს კი იმაზეც შეიძლება მეტყველებდეს, რომ დიდი ბაკური უკვე V ს-ში ცნობილი ყოფილა გარე სამყაროში, როგორც სახელგანთქმული ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მონარქი. ძნელია იმის მიზეზის ახსნა, თუ რით არის გამოწვეული ადგილობრივი წერილობითი ტრადიციის «უცოდინრობა» დიდი ბაკურის ნამოღვაწარის მიმართ. თუმცა, რა ვიცით ჩვენ საერთოდ ადრექრისტიანული ხანის ქართული მწერლობის შესახებ? მაგალითისათვის შორს რომ

არ წავიდეთ, ცნობილია, რომ თავის დროზე სათითაოდ ყოფილა აღწერილი ათცამეტი ასურელი მამის «ცხოვრებანი»(VI ს.), მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ შემორჩენილ ფრაგმენტს, დღეს ჩვენთვის პრაქტიკულად უცნობია იმ მიზეზით, რომ ისინი ძველ დროშივე დაკარგულა. დღეს ნაკლებად თუ ვინმეს ეეჭვება ის ფაქტი, რომ იაკობ ხუცესის «შუმანიკის მარტვილობა» მხოლოდ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ლიტერატურული ნაწარმოებია და არა საერთოდ უძველესი ქართული თხზულება. V ს-ის I ნახევრის დროინდელი ქართული მწერლობის ნიმუშები, სამწუხაროდ, ჟამთა სიავეს ემსხვერპლა და დღევანდლამდე უკვალოდ არის გამქრალი.

ერთადერთი ქართული წერილობითი წყარო, სადაც ჩვენთვის საინტერესო პიროვნება იხსენიება, არის «მოქცევაი ქართლისაი»-ს მატიაზე: «მეფობდა ბაკურ, ძე თრდატისი. და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიაი ბოლნისს და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვის» (68:92). როგორც ვხედავთ ცნობა ფრიად ლაკონიურია. იგივე ინფორმაცია თავის თხზულებაში გამოყენებული აქვს ლეონტი მროველსაც, მაგრამ ფარსმანის ზეობასთან დაკავშირებით. მაშასადამე, მემატიაზე კარგად იცნობდა «მოქცევაი ქართლისაი»-ს ამ ადგილს და გაუგებარია, რას უნდა მივაწეროთ მისი დუმილი ბაკურის შესახებ. წყაროთმცოდნე გ.არახამია ამას იმით ხსნის, რომ «მეფეთა ცხოვრებაში» «მოქცევისთან» შედარებით ერთი ზედმეტი მეფე (მირდატი) აღმოაჩნდათ და ამ შემთხვევაში მემატიაზე, თითქოსდა, «მოქცევაი ქართლისაი»-ს მატიაზეში წარმოდგენილი ქრისტიანი მეფეებისა და ერისმთავრების რაოდენობის თავის თხზულებაში შენარჩუნების სურვილით იხელმძღვანელა (8:64-65). მაგრამ მემატიალის მხრივ ქრონიკაში დასახელებული მეფე-ერისმთავრების რიცხოვრივი რაოდენობის შენარჩუნების სურვილს რატომ მაინცდამაინც ბაკურ თრდატის ძის გამოტოვება მოჰყვა წყაროში და არა, თუნდაც ურჯულო მეფე ვარაზ-ბაქარისა ან «მცირედ-ჟამ» მეფედ მყოფი ფარსმანისა და სხვა რომელიმე ხელისუფლისა, ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობთ ზემოხსენებული მკვლევარის წერილში. ჩვენთვის სრულიად აშკარა გახლავთ ის, რომ ბაკურის სახელი «ქართლის ცხოვრებაში» მექანიკურად არ არის გამორჩენილი. ეს აზრი რომც დაგვეშვა, მაინც მოგვიწევდა პასუხის გაცემა შეკითხვაზე: რა მიზეზით მიაწერა ბაკურთან დაკავშირებული ამბები მემატიაზე ფარსმანს, რომლის შესახებაც თვითონ სახელის გარდა «მოქცევაი ქართლისაის» ისტორიული ქრონიკა პრაქტიკულად არაფერს იუწყება? მაგრამ არა მხოლოდ ფარსმანს, არამედ, როგორც შემდგომში დავინახავთ, ბაკურ მირიანის ძესაც ასევე მიაწერა ჩვენმა მემატიაზე დიდი ბაკურის კუთვნილი ზოგიერთი ღვაწლთაგანი.

დიდ ბაკურს V ს-ს დასაწყისში ქართლის მეფედ იცნობენ სომეხი მწერლები კორიუნი და მოვსეს ხორენაცცი. აღნიშნული ავტორების თხზულებები ჩვენამდე გვიანდელი ხელნაწერებით (მათგან უძველესი თარიღდება XIV ს-ით - ბ.ხ.) და რაც მთავარია, ფრიად შერყენილი და დამახინჯებული სახით არის მოღწეული. მათში საუბარია ბაკურის ზეობისას ქართული ანბანის შექმნის შესახებ (იხ. 56:49; 67:223-224). ყველაზე უხვი ცნობები ჩვენთვის საინტერესო პიროვნებაზე პეტრე იბერის ბიოგრაფს - იოანე რუფუსს დაუტაცვს თავის თხზულებაში, რომელმაც ჩვენამდე ბერძნულიდან გაკეთებული ასურული თარგმანის სახით მოაღწია. აღნიშნული მწერლის ცნობების ფასი ფრიად დიდია, რადგან ისინი დიდი ბაკურის ღვიძლი შვილიშვილის - პეტრე იბერის მონათხრობის საფუძველზე აქვს აგიოგრაფს შეთხზული. სწორედ იოანე რუფუსის ცნობებით ვიგებთ იმას, რომ დიდი ბაკური იყო პეტრე იბერის პაპა დედის მხრით. მისი მეუღლის სახელი ყოფილა «დუხტი»-ა, ანუ სპარსულად «ასული, ქალიშვილი». იოანე რუფუსი წერს, რომ «ეს ბაკური ამ ქვეყნის მმართველთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო, რომელმაც მთელი ხალხი ღვთისმომშიშობამდე მიიყვანა. ყველა მათ, რომელნიც მის

შემდეგ იბერთა მეფეები და დედოფლები იყვნენ, თავიანთი სათნოებამოსილებით ზეცის სასუფეველი დაიმკვიდრეს»-ო (96:81). დიდ ბაკურს იოანე რუფუსი «იბერთა პირველ ქრისტიან მეფედ» სხვაგან კიდევ ერთხელ მოიხსენიებს (იხ. 96:82), რაც მოწმობს იმას, რომ მწერალს არათუ არაფერი შეშლია ამ შემთხვევაში, არამედ მას დიდი ბაკურის ღვაწლთაგან აღნიშნული უმთავრესად მიუჩნევია. თავის დროზე ზოგიერთმა მეცნიერმა აღნიშნული ცნობა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და ამის საფუძველზე პეტრე იბერის პაპა - დიდი ბაკური მირიანის ვაჟიშვილ ბაკურთან გააიგივა. ზოგმა კი, ცნობაში ისეთი ინფორმაცია ამოიკითხა, რომლის თანახმად დიდი ბაკური ქართლში ქრისტიანობის არიანული (არიოზული) მიმართულების ნაცვლად მართლმადიდებლობის დამამკვიდრებლად შერაცხა. რომ არცერთი ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეეფერება, ამაში ჩვენ ოდნავ მოგვიანებით თვალნათლივ დავრწმუნდებით.

იოანე რუფუსს მოეპოვება მეტად ძვირფასი ცნობები დიდი ბაკურის მსოფლმხედველობის რაობის გამოსარკვევად მისი იბერიაში ზეობის პერიოდში. მათი განხილვის შემდეგ სრულიად ნათელი ხდება ის გარემოება, რომ მეფისწულობისდროინდელი რელიგიური მრწამსი დიდ ბაკურს არათუ არ შეუცვლია, არამედ იმ ზომამდე გაუღვივებია და გაუზრდია, რომ ამ კუთხით სამაგალითო გამხდარა ქრისტიანული ასკეტურ-მონაზვნური ყოფის ნიუანსებში ისე ღრმად ჩახედული ადამიანის თვალში, როგორც იყო პეტრე იბერის მოწაფე და მისი მემკვიდრე მაიუმის საეპისკოპოსო საყდარზე - იოანე რუფუსი (ბეით-რუფინი). ამ უკანასკნელის ცნობით, მეფე ბაკური და მისი თანამეცხედრე, დედოფალი დუხტი(ა) «ქრისტეს მიმართ ღვთისმომშიშობის ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ, ისეთი სათნოება და საქციელი გამოავლინეს, რომ თუმცა მეფური ჩამომავლობისა იყვნენ, მაინც თავიანთი მმართველობის დროს მონაზონურ-ასკეტურ ცხოვრებას მისდევდნენ და [ამ ცხოვრებით] არსებობდნენ. ხოლო ერთმანეთში დადებული მშვენიერი შეთანხმების საფუძველზე მათ ხორციელი კავშირი შეწყვიტეს და დაკმაყოფილდნენ იმ შვილებით, რომლებიც მათ შეეძინათ (აქედან ჩანს, რომ ბაკურს სულ მცირე ორი შვილი მაინც უნდა ჰყოლოდა - ბ.ხ.). თავის მხრით მორწმუნე ბაკური, რომელიც მკაცრად იცავდა მარხვას, ლოცულობდა და მოწყალებას იღებდა, კვირაში სამჯერ საკუთარი ხელით ჰგვიდა ქალაქის ეკლესიას. მას არაჩვეულებრივ ძლიერ უყვარდა გლახაკნი. თავის ღირსების დამცირებად არ მიაჩნდა, როცა თავის სასახლეში მათთვის სხვადასხვანაირ საჭმელებს ამზადებინებდა; შემდეგ ეს საჭმელები კალათებით თვითვე მიჰქონდა ღამ-ღამობით მის მიერვე გლახაკთათვის აგებულ თავშესაფარში და, ვინც იქ იწვნენ, მათ თავისი ხელით აჭმევდა» (96:82-83). ქრისტიანული სათნოებებით მეუღლეს, როგორც პეტრეს ბიოგრაფი გვამცნობს, არც დედოფალი დუხტი(ა) ჩამოუვარდებოდა, მან «მეფური სამკაულები მოიხსნა და ტანთ ჩაიცვა ძაძა, გაყიდა თავისი მოაბა, რომელსაც ბასტერნიონ ეწოდება, აგრეთვე ოქროული და მარგალიტები და მიღებული თანხა გლახაკთ გაუნაწილა. ხშირად, როდესაც ის შაბათობით მარხულობდა და ლოცულობდა, ჩვენი უფლისაგან იმდენ მოწყალებას იღებდა, რომ მხოლოდ მისი ხელდასხმა იყო საკმარისი ავადმყოფის უმაღვე განკურნებისათვის» (96:82-83). ჯერ კიდევ ძველი ლათინები ამბობდნენ: *Virtus hominum jugit deo* - «სიქველე ადამიანს ღმერთთან აკავშირებს»-ო. შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ სადა ჭეშმარიტებას.

მონაზვნური ასკეტიზმისადმი მიდრეკილებით, როგორც იოანე რუფუსის ცნობებით ირკვევა, დიდ ბაკურს ტოლს არ უღებდა მისი ღვიძლი ძმა არჩილიც, შემდგომში ასევე ქართლის მეფე (323-338 წწ.). ბაკურის შვილიშვილის - პეტრე იბერის ყრმობიდანვე მონაზვნური ასკეტიზმისაკენ მიდრეკილების შესახებ როდესაც საუბრობს მისი

ბიოგრაფი, სხვასთან ერთად უთითებს იმაზეც, რომ თავისი წინაპარ-ახლობელთა მოსახსენებელი პეტრემ დააწესა საზღაურად «იმ მშვიდობისთვის, რომელიც მათ მიანიჭეს იმას, და რომელიც მან აირჩია, რათა ეს მიწიერი ცხოვრება უარეყო»; აგიოგრაფის ცნობით, პეტრეს მსგავსი «ყვავილის» წარმომშობი გარემო სწორედ მისი ნათესავ-ახლობლობა, ოჯახური წრე გახლდათ (37:249). გადაჭარბების გარეშე შეიძლება იმის თქმა, რომ სახეზე გვაქვს სამეფო ოჯახი (ე.წ. რევიანთა შტო), რომლის წევრებიც თავიანთი ცხოვრების წესით გასაოცარ მიდრეკილებას იჩენენ მონაზვნური ასკეტობისადმი. საერთოდ, როგორც მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე ამას სამართლიანად აღნიშნავს, «ქართლში ქრისტიანულ მიმართულებას ასკეტური სულისკვეთება წმ. ნინომ მიანიჭა» და ქრისტიანობის ეს ახალი «ელინისტური ნაკადი ძველი იუდაურისაგან ძირითადად იმით განსხვავდებოდა, რომ მონაზვნური სულისკვეთების შემომტანი და დამნერგავი იყო, კერძოდ, ახასიათებდა ასკეტიზმი და ნაზარეველობა» (110:11-12). პეტრე იბერის ბიოგრაფი - იოანე რუფუსი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ მთავარი ფიგურა ზემოხსენებულ ოჯახში დიდი ბაკური იყო. მხოლოდ მას, შვილიშვილის მოსიყვარულე პაპას შეეძლო პეტრესათვის ეწოდებინა ისეთი სახელი, როგორცაა «ნაბარნუგი», ანუ სპარს. «ნაბა(რ)ნიაკა» - ქართ. «პაპის გვარის», «ბაბუის მოდგმისა». აკი იოანე რუფუსიც ამბობს იმას, რომ პეტრე იბერი «როგორც ვარდი, ისე აღმოცენდა ასეთი წმინდა ძირიდან, ასეთივე წმინდა მშობლებიდან და ასევე ღვთისმშობიმ აღმზრდელთაგან აღიზარდა, გახდა სამართლიანი ბრძენი და თავის წარმომშობთა და აღმზრდელთა გვარის შესაბამისად»-ო (96:87). ყრმა პეტრე იბერს მონაზვნური ასკეტობისაკენ ძლიერი ლტოლვა რომ ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას გაუჩნდა, ამის შესახებ იოანე რუფუსი გვამცნობს: «მას სახლიდანვე, მშობლებისაგან, მოყოლილი ჰქონდა ღვთისადმი სიყვარული, როგორც ცეცხლის ნაპერწკალი...»-ო, ამბობს აგიოგრაფი (96:91). დიდ ბაკურს იმავე სულისკვეთებით აღუზრდია საკუთარი ქალიშვილიც, პეტრე იბერის დედა - ბაკურდუხტი, რომელიც, მას შემდეგ, რაც სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა, იოანე რუფუსის ცნობით, «მისდევდა განუწყვეტლივ მარხვასა და ლოცვას; არასგზით არ ისურვა მეორე ქმარს გაჰყოლოდა,...ამჯობინებდა თავის სოფლებში ასკეტურ ცხოვრებას შესდგომოდა, მან ყოველ გზაჯვარედინზე უცხოთა თავშესაფარი და საავადმყოფო ააშენა» (37:253). ეს მაგალითებიც იკმარებდა დიდი ბაკურის რელიგიური მრწამსისა და მსოფლმხედველობის რაობის გასარკვევად. მაგრამ პეტრე იბერის ბიოგრაფს მოეპოვება კიდევ ერთი ცნობა, რომლის შინაარსი არავითარ ეჭვს არ სტოვებს იმისას, რომ დიდი ბაკური ღრმად მორწმუნე ქრისტიანი გახლდათ. კერძოდ, იოანე რუფუსი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწნა ბაკურმა თავისი სურვილით აღმსარებლობის (წამებულის) გვირგვინი ერთხელ, როდესაც ის სპარსთა მეფეს ახლდა სალაშქროდ. მზის ამოსვლისას სპარსთა მეფე და მისი თანმხლები ამაღლის წევრები ცხენებიდან ჩამოქვეითებულან და მზისათვის თაყვანი უციათ. ერთადერთი დიდი ბაკური არ განძრეულა ამ დროს ადგილიდან და არც ცხენიდან ჩამოქვეითებულა; იგი სხვა სარდლებმა ამის გამო მეფესთან დაასმინეს. მეფის კითხვაზე - მართალია თუ არა ის, რაც თქვესო?, ბაკურს მთელი ჯარის წინაშე გულახდილად უთქვამს: «**მე ქრისტიანი ვარ** და არა მაქვს უფლება უარეყო ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი, ყოველთა შემოქმედი, და თაყვანი ვსცე მის მიერ გაჩენილს [მზეს], რომელიც დაბადებულია ჩემი და ყველა ადამიანის სამსახურებლად და გასანათებლად». ასე რომ, მეფე თუმცა განცვიფრდა და მის გულახდილობაზე გაწითლდა კიდევ, მაგრამ მაინც მიუბრუნდა თავისიანებს და ჩუმად უთხრა: «ის ბაკურია და ჩვენ გვჭირდება. რა უნდა ვუქნათ მას?»-ო, გვამცნობს აგიოგრაფი (96:83-84; 37:250-251). დიდი ბაკურის პოზიცია მუდამ არეოპაგიტული ღმერთისა და მზის ანალოგიის საკითხთან მიმართებაში სრულად თანხვდება წმ. იოანე

ოქროპირის პოზიციას და რადიკალურად განსხვავდება აღნიშნული საკითხის მიმართ წარმართი ნეოპლატონიკოსების შეხედულებისაგან, რომლის მცდარობის მხილების მიზნით წმინდა მამა ამბობდა: «რა უნდა იყოს იმაზე მეტი უგუნურება, რომ შექმნილიდან ვერ დაასკვნა შემქმნელზე და ისეთ ცთუნებაში ჩავარდე, რომ შექმნილი შემოქმედის დონემდე აამაღლო»-ო (63:98-99). თავის დროზე შ.ნუცუბიძე მიიჩნევდა, რომ ბაკური აღნიშნულ საკითხზე არისტიდეს მარკიანეს (ქრისტიანობის აპოლოგეტი ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის საფუძველზე II ს-ში - ბ.ხ.) «აპოლოგიის» წანამდღვრებით მსჯელობდა (72:75-76 და შმდ.).

ზემოაღნიშნულ ცნობაში ნახსენები ლაშქრობა, რომელშიც დიდი ბაკური სპარსეთის შაჰთან ერთად იღებდა მონაწილეობას, სხვა წყაროებით უცნობია. ბუნებრივია, როდესაც ჩვენ არ ვიცით ის, თუ კონკრეტულად სად და რომელი სპარსელი მეფის ზეობისას ხდებოდა ლაშქრობა, მისი ზუსტი დათარიღებაც გვიძნელებს. კ.კეკელიძე თვლიდა, რომ იოანე რუფუსის მიერ აღწერილ ეპიზოდში ბაკური სპარსეთის მეფემ სიკვდილით დასაჯა (51:273). საწინააღმდეგო თვალსაზრისს ანვითარებდნენ ამ საკითხზე ს.კაკაბაძე და ა.ბოგვერაძე (41:151; 13:62-63). თუკი კ.კეკელიძის მოსაზრება გამართლდებოდა, ჩვენ უნდა გვეღიარებინა ის, რომ ზემოხსენებული ლაშქრობა 410-იანი წლების შუახანებით ან უკიდურეს შემთხვევაში II ნახევრის დასაწყისით (სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, დაახლოებით ამ დრომდე მეფობდა ქართლში ბაკური - ბ.ხ.) თარიღდება, მაგრამ როგორც ამას ა.ბოგვერაძე სამართლიანად ფიქრობდა, საეჭვოა, რომ 378 წლის ადრიანოპოლის ბრძოლის მონაწილე ბაკურს 40 წლის შემდგომ სალაშქრო ცხოვრების ატანა და ჯარის სარდლობა კიდევ შეძლებოდა (13:72). ამდენად, უფრო საფიქრებელია, რომ ხსენებულ ლაშქრობას ადგილი 390-იანი წლების II ნახევარში, დიდი ბაკურის ზეობის დასაწყისში და ბაჰრამ IV-ის (388-399 წწ.) დროს ჰქონოდა. საინტერესოა იოანე რუფუსის ის ცნობა, რომ ბაკურს სპარსეთის მეფესთან საზავო ხელშეკრულება ჰქონია დადებული და მისი ერთ-ერთი სარდალთაგანიც ყოფილა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ დიდი ბაკურის ქართლის სამეფო ტახტზე ასვლის ფაქტი სპარსეთის ხელისუფლების თანხმობის გარეშე არ მომხდარა. როგორც ჩანს, შაჰთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ქართველთა მეფეს ევალეობდა სპარსელთა ლაშქრობებში ჯარის გაყვანა და მასთან ერთად პირადად მონაწილეობის მიღებაც; უეჭველია, რომ წინამორბედთა მსგავსად ისიც იძულებით იხდიდა სპარსელთა სასარგებლოდ ხარკს. მაგრამ «მოქცევაი ქართლისაის» მატიაწეში დაცული ის ცნობა, რომ ბაკურმა სპარსეთისგან მომდინარე საფრთხის მიზეზით ხელი მიჰყო «არმაზის» საფორტიფიკაციო ნაგებობების აღდგენა-განახლებას, გვაფიქრებინებს იმასაც, რომ შემდგომში დიდი ბაკური სპარსეთს გადაუდგა და უწინდებურად აღარ მორჩილებდა მას. სამწუხაროდ, წყაროებიდან არ ჩანს ის, თუ როგორ განვითარდა შემდგომში მოვლენები, მაგრამ ზოგიერთი მინიშნებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დიდმა ბაკურმა გარკვეულწილად და დროებით მაინც შეძლო იბერიაზე სპარსელთა პოლიტიკური გავლენის შესუსტება. ჩვენდა სამწუხაროდ, იოანე რუფუსმა არ ჩათვალა საჭიროდ მოეთხრო დიდი ბაკურის მრავალრიცხოვანი დამსახურებების შესახებ, რომელთა შესახებ მას პეტრე იბერისაგან სმენოდა. მაგრამ აგიოგრაფის სიტყვები, - «და ეს არის ბაკურის დიდ საქმეთა ერთი ნაწილი»-ო (იხ. 96:84), - ფრიად საგულისხმოდ ჟღერს და აშკარად გვაგრძნობინებს იმას, რომ იოანე რუფუსის ცოდნა დიდი ბაკურის პიროვნების შესახებ იმაზე გაცილებით ფართო იყო, ვიდრე ეს ჩანს მის მიერ დაწერილ «პეტრე იბერის ცხოვრების» ტექსტში. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ა.ბოგვერაძეს, რომლის აზრითაც პეტრეს პაპა დიდი ბაკური რომ ქრისტიანული დასავლეთისათვის კარგად ცნობილი ბაკურ იბერიელი ყოფილიყო, წარმოუდგენელია იოანე რუფუსს ეს არ

აღნიშნა (13:72). იოანე რუფუსმა მოიხსენია მხოლოდ ის, რაც საჭიროდ ჩათვალა და მას, როგორც პეტრე იბერის ბიოგრაფს, სრულებითაც არ მოეთხოვებოდა დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის თითოეულ ეპიზოდზე ყურადღების გამახვილება. ამასთანავე, შეგვიძლია დავუშვათ ისეთი აზრიც, რომ ქვეყნის, ერისა და ადგილობრივი ეკლესიის წინაშე დიდი ბაკურის მრავალრიცხოვანი დამსახურებების შესახებ ინფორმაცია უკვე თავად პეტრე იბერს ჰქონოდა წერილობით გაფორმებული. მან ხომ ფრიად ბევრი საგულისხმო ფაქტი უწყობდა თავისი დიდი წინაპრის ცხოვრებიდან?! ერთი სიტყვით, დიდი ბაკურის შესახებ იოანე რუფუსსთან დაცული ფრაგმენტული ცნობები, ადვილი შესაძლებელია, წარმოადგენდნენ პეტრეს მიერ მისი სახელოვანი პაპის შესახებ თავის დროზე დაწერილი და ჩვენამდე არმოდღეული «ცხოვრებიდან» ამოღებულ ექსცერპტებს.

ზემოთ ჩვენ უკვე ავღნიშნეთ იმის შესახებ, რომ დიდი ბაკურის ზეობისდროინდელი მოვლენები ლეონტი მროველს დაკავშირებული აქვს IV ს-ის ზოგიერთი ქართველი მეფის სახელთან. თუკი ბაკურმა მიმართებაში ეს გარემოება ეჭვს აქამდეც არ იწვევდა, ბაკურ მირიანის ძესთან დაკავშირებით იგივე არავის არ აღუნიშნავს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ლეონტი მროველის ის ცნობა, რომლის მიხედვითაც ბაქარ მირიანის ძემ თურმე «მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა» (57:130). ერთი შეხედვით, აქ დასაეჭვებელი არაფერია, რადგან იმავე ავტორისვე ცნობით, მირიანის დროს თურმე «არა ნათელიღეს მთიულთა კავკასიანთა» (57:116). მაგრამ «მოქცევაი ქართლისაი» ამ საკითხზე განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის. კერძოდ, წმ. ნინომ მთიელთა მხოლოდ ერთი ნაწილის მოქცევა შეძლო ახალ რჯულზე, ფხოველთა წინაპრები - «ყუარელნი» მის ნებას არ დამორჩილდნენ და «გარდაკრბეს თუშეთა, რომელნი უკუნაისკნელ იპოვნეს: თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა»-ო, გვამცნობს ქრონიკის შატბერდული რედაქცია (68:89). იმავე მოვლენაზე ლეონტი მროველი წერს: «ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს; და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცნეს, ... და რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე მათგანი დარჩეს წარმართობასავე შინა დღესაქამომდე» (57:126). აშკარაა, რომ შატბერდულ ნუსხაში უფრო ძველი და სწორი ვითარებაა ასახული. ხოლო რადგან ამ წყაროში თრდატი ჰქვია ჩვენთვის საინტერესო პიროვნების - დიდი ბაკურის მამას, ლეონტი მროველის ზემოხსენებულ ცნობაშიც ამის შესაბამისად, შესაძლოა, რომ ბაკურ თრდატის ძის ღვაწლი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი მიზეზის ნიადაგზე მიწერილი ჰქონდეს სეხნია მეფეს - ბაკურ (ბაქარ) მირიანის ძეს. ზოგიერთი მკვლევარისგან შენიშნულია ის ფაქტი, რომ «მოქცევაი ქართლისაი»-ს რომელიღაც ნუსხის დეფექტურობის მიზეზით ლეონტი მროველს ელია ეპისკოპოსის აღსაყდრების ფაქტი ბაკურ თრდატის ძის ზეობის ხანიდან გადატანილი აქვს უკან, მეფე თრდატის ზეობის ხანაში (12:97 შენ. I; 41:149). ორი სეხნია მეფის ერთმანეთში აღრევას ადვილი შესაძლებელია ხელი იმანაც შეუწყო, რომ ძველი წყაროების ცნობებით, მეფისწულობის ჟამს მათ, ორთავეს ბიზანტიაში მოუწიათ ყოფნა. დიდი ბაკურის ბიზანტიაში 369-394 წწ.-ის პერიოდში ყოფნის შესახებ ინფორმაცია, ჩანს, რომ მისი წინამორბედი სეხნია მეფის - ბაკურ მირიანის ძის ბიზანტიაში მძევლად ყოფნის ამბავს გადაეხლართა მემატეანის თვალში. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ «მოქცევაი ქართლისაის» ქელიშურ რედაქციაში დიდი ბაკურის სახელი წარხოცილია და ნაშთის სახით გვაქვს მხოლოდ «[...] ძე თრდატისი». თუ ჩვენი აზრი, მთიელთა საგრძნობი ნაწილის დიდი ბაკურისგან ქრისტიანობაზე მოქცევის შესახებ, მცდარი არ არის, მაშინ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ მისი სახელი ერთ დროს მოციქულებრივი ღვაწლის შარავანდედით იყო შემოსილი და ინფორმაცია ამის შესახებ, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი მიზეზით, საეკლესიო ტრადიციამ ძველადვე დაჰკარგა.

ამჟამად სპეციალურ ლიტერატურაში სხვასთან ერთად არსებობს ისეთი თვალსაზრისიც, რომ თითქოსდა ბოლნისის სიონის ცნობილი ბაზილიკა დიდი ბაკურის ზეობისას აიგო (41:149-154; 12:97-98; 11:159-177; 21:123-126; 75:140-159; 2:68-69 და სხვ.). გაბრამიშვილმა დიდი ბაკური ეროვნული ქრისტიანული იკონოგრაფიის ფუძემდებლადაც კი გამოაცხადა (იხ. 2). არსებითად, «მოქცევაი ქართლისაის» მატთანეში მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ ბაკურ თრდატის ძის ზეობისას ბოლნისში აშენდა ეკლესია, მაგრამ არა მაინც და მაინც «სიონის» ბაზილიკა, რომლის მიდამოებში, ე.წ. «ლამაზ გორაზე», სხვათა შორის, არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა IV-V სს-ის მიჯნით დათარიღებული სამნავიანი ბაზილიკური ტაძრის ნაშთები. ეს ტაძარი, რომელიც მართლაც დიდი ბაკურის ზეობის ხანაში ჩანს აგებული, ადგილზე ძველად არსებული დიდი სამონასტრო კომპლექსის მთავარი ნაგებობა ყოფილა. უნდა ვიფიქროთ, რომ «წმინდა მიწაზე» დაწყებული მონასტრების მშენებლობის საქმე ბაკურმა სამშობლოშიც აქტიურად გააგრძელა. საერთოდ კი, დიდი ბაკური ფრიად მაშენებელი კაცი ყოფილა. ის აფუძნებდა არამხოლოდ ქრისტიანულ სამლოცველოებს, არამედ ციხე-სიმაგრეებსაც, გლახაკთა და ყარიბთა თავშესაფრებსა და სასნეულოებსაც. ცხადია, ასეთი მშენებლობების პრაქტიკულად განხორციელებას სხვა ყველაფერთან ერთად სათანადო დროც სჭირდებოდა.

მართალია, დიდი ბაკურის გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ სომეხი მწერლების - კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის ზოგიერთი ცნობის საფუძველზე ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ მას 410-იანი წლების შუახანებამდე ან სულაც იმავე წლების ბოლომდე უნდა სჭეროდა ტახტი. ძველი წერილობითი წყაროების ცნობების ანალიზი ცხადყოფს იმას, რომ 420-იანი წლების დამდეგს ქართლის სამეფო ტახტი დიდი ბაკურის სიძეს, ანუ პეტრე იბერის მამას - უმცროს ბუზმირს (შეესატყვისება ქართული წყაროების «მირდატს», რომელიც «ვარაშ» სპარსელმა პიტიახშმა დაატყვევა და შაჰის კარზე წაიყვანა. - ბ.ხ.) ეჭირა, ხოლო 423 წელს ქართლის მეფედ უკვე დიდი ბაკურის უმცროსი ძმა, იმხანად უკვე ხანში შესული არჩილი ჩანს. აღნიშნულის ფონზე დიდად არ ვიქნებით შემცდარი, თუკი დიდი ბაკურის გარდაცვალების თარიღს 416 წლის მახლობლად ვივარაუდებთ. მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო პირს ქართლის სამეფო ტახტი ორი სრული ათეული წლის მანძილზე სჭერია. საფიქრებელია, რომ დიდი ბაკური თავდაპირველად წინაპართა საძვალეში - მცხეთის «ქვემო ეკლესიაში», ანუ სვეტიცხოვლის ამჟამინდელი ტაძრის ადგილზე მეფე მირიანისა და წმ. ნინოს დროს აგებულ ძველ საყდარში დაიკრძალა, რომლის საძირკვლების კვალი მიკვლეული იქნა არქ. ვ.ცინცაძის ხელმძღვანელობით 1970-1971 წლებში ჩატარებული სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების დროს. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, არჩილ მეფის ზეობისას (423-438 წწ.) «დაეცა ქვემოი ეკლესიაი და [მთავარეპისკოპოსი] იონა მიიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა და სუეტი იგი ცხოველი თანა წარმოიღო» (69:92). დაქცეული «ქვემო ეკლესიის» საფუძველზე ახალი ტაძრის აგებას იგივე ტრადიცია ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირებს. ძნელი სათქმელია, მეფე არჩილმა ძმისა და წინაპართა ნეშტები დაქცეული საყდრიდან რომელიმე სხვა ეკლესიაში (მაგ., თუნდაც იგივე «გარეუბნის ეკლესიაში») გადაკრძალა, თუ ისევ ძველს ადგილზე დატოვა ისინი. დასახელებულ ადგილზე მომავლის არქეოლოგიური კვლევა-ძიებები, ვიმედოვნებთ, სხვასთან ერთად ამ საკითხსაც მოჰყენს ნათელს.

თავი V

დიდი ბაკური - ეროვნული ქრისტიანული დამწერლობისა და ორიგინალური საეკლესიო წელთაღრიცხვის სათავეებთან.

*«...სიმრავლესა შინა სიბრძნისა სიმრავლე
მეცნიერებისა არს; და რომელმან შესძინოს
ცნობა, შესძინოს მან საღმობა.»*

ეკლესიასტე - 1, 18

*«...მეცნიერებაი იგი ღმრთისაი ცხად არს მათ
შორის, რამეთუ ღმერთმანვე გამოუცხადა მათ.»
ჰრომაელთა მიმართ - 1, 19*

*«ნეტარ იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ
იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ.»*

მათე - 5, 9

IV საუკუნე ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მშფოთვარე ხანა იყო. მართალია, 325 წელს ქ. ნიკეაში გამართულმა I-მა მსოფლიო საეკლესიო კრებამ რამდენადმე მოაწესრიგა ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებულ სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის იმ დროს არსებული დაძაბული ურთიერთობანი, მიიღო სარწმუნოების ყველა ქრისტიანისათვის სავალდებულო სიმბოლო, მაგრამ ჯერ საკმაოდ რიცხვმრავალი არიანელების აგრესიულობამ, შემდეგ კი, დამატებით იმპერატორ იულიანეს (361-363 წწ.) მხრივ წარმართობისაკენ შემობრუნების ფაქტმა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ოფიციალური, ორთოდოქსული ეკლესია და მისი მომხრეები. შექმნილ ვითარებაში გარდატეხა მოხდა იმპერატორ თეოდოსი I დიდის (379-395 წწ.) ძალისხმევით შედეგად: ჯერ იყო და 380 წლის 27 თებერვლის ედიქტით მან ნიკეის კურსის მიმდევრები გააძლიერა; შემდეგ წელს მან ოფიციალურად აკრძალა წარმართულ ტაძრებში სიარული, 385 წლის ბრძანებით კი - სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა წარმართ მისნებს; საბოლოოდ, თეოდოსი I დიდის 392 წლის ბრძანებით წარმართული რიტუალების შესრულება რომის იმპერატორის (ავგუსტოსის) პირად შეურაცხყოფად გამოცხადდა. ორთოდოქსული ეკლესიის მომხრე იმპერატორმა დაუნდობლად გაანადგურა წარმართთა (აგრეთვე, არიანელთა) სალოცავები და წიგნთსაცავები, დახურა წარმართული ფილოსოფიური სკოლები, ხოლო 381 წელს არიანელობისა და ეკლესიის წიაღში არსებული სხვა მწვალებლობისაგან მართლმადიდებლობის გულმოდგინე დამცველი რომის პაპის - დამასუსის (366-384 წწ.) თხოვნით კონსტანტინეპოლში მოიწვია II მსოფლიო საეკლესიო კრება, სადაც მართლმადიდებელმა მამებმა დაამტკიცეს ნიკეის სწავლება და დაგმეს ღმრთისმგმობელი მაკედონიოსისა და სხვადასხვა ერეტიკული მიმდინარეობები (სექტები). დიდი ბაკური, როგორც იმპერატორ თეოდოსი I დიდის ერთგული თანამებრძოლი და ორთოდოქსი ქრისტიანი, ეჭვსგარეშეა, რომ ამ საკითხში მთლიანად იზიარებდა უმაღლესი სუბერენის პოზიციას.

როგორც ცნობილია, იმპერიაში პირველი საუკუნეების მანძილზე ქრისტიანული ეკლესიის იდეოლოგიები საზოგადოდ საუბრობდნენ და წერდნენ ბერძნულ ენაზე; ბერძნული იყო იმ ეპოქაში ქრისტიანული ღმრთისმსახურების ენაც. მაგრამ სხვადასხვა

ხალხების იმ მისწრაფების განვლვა, რომ საკუთარ, ეროვნულ ენაზე ჰქონოდათ «საღმრთო წერილი» და სხვა ქრისტიანული ლიტერატურა, რაც თავის მხრივ, საეკლესიო ლიტურგიის მშობლიურ ენაზე დაფუძნების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა, იმპერიის ბერძნულენოვან ოფიციალურ ეკლესიას, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო უჭირდა. უკვე IV ს-ის შუახნებში ვესტ-გოთების ეპისკოპოსი ვულფილა (311-383 წწ.) ბერძნული უნციალური დამწერლობის საფუძველზე ჰქმნის გოთურ ანბანს და მისი მეოხებით გოთურ ენაზე თარგმნის «საღმრთო წერილს». ნიშანდობლივია, რომ ვულფილა შეგნებულად იღებს ხელს ტრადიციულ რუნულ დამწერლობაზე, რითაც ის, როგორც ქრისტიანი მოღვაწე, მკვეთრად ემიჯნება ძველ, წარმართულ-გოთურ სამყაროს. რომის იმპერიის მმართველი საეკლესიო წრეები თავის მხრივ კონტრზომებით ცდილობდნენ აღეკვეთათ ქრისტეს მორწმუნე მცირე ერთა აღნიშნული მისწრაფებანი. იმპერატორ თეოდოსი I დიდის (379-395 წწ.) ზეობისას ნეტარმა იერონიმემ (340/42-419/20 წწ.) ჩამოაყალიბა «საღმრთო წერილის» ახალი ლათინური რედაქცია, ე.წ. «ვულგატა», რომელიც 382 წელს მისმა მეგობარმა, რომის პაპმა დამასუს I-მა (366-384 წწ.) ერთდერთ კანონიკურ ტექსტად გამოაცხადა საქრისტიანო სამყაროში და მოითხოვა ბიბლიის ყველა იმ სხვა დანარჩენი თარგმანების მოსპობა, რომლებიც კი სრულად არ ემთხვეოდნენ იერონიმეს მიერ თარგმნილ ტექსტს, რათა ყველა ქრისტიან ხალხს მხოლოდ «ვულგატით» ეხელმძღვანელა. მაგრამ ამ მოთხოვნას იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ძალა არ ჰქონდა, რადგან ლათინური ენის ხმარება აქ ფრიად შეზღუდულ ხასიათს ატარებდა და კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარზე თუ ჰქონდა გასავალი.

წმ. ნინოს ქართლში მოსვლის და აქ ქრისტიანობის ქადაგების დაწყების დროს ადგილობრივ მკვიდრთა შორის ტრადიციულად ხმარებაში იყო ბერძნული და არამეული წერა-კითხვა. ამასთანავე, არამეულს აქ, ისევე როგორც ზოგიერთ მეზობელ ქვეყნებში (მაგ., სპარსეთში, სომხეთში) ადგილობრივი კურსივი ჰქონდა გამომუშავებული - ე.წ. «არმაზული» არამეული, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, ჰეტეროგრაფიის პრინციპის დაცვის პირობებში ერთგვარად ასრულებდა ადგილობრივი დამწერლობის მოვალეობას ძვ. წ. I - ახ. წ. IV სს-ის პერიოდის იბერიაში (14:70-71, 77; 98:56; 15:198-201). ვარაუდობენ, რომ «არმაზული» დამწერლობით ანტიკური ხანის ქართლში იქმნებოდა ქრონიკები და ლიტერატურული ძეგლებიც (64:106; 15:200-201; 95 და სხვ.). სპეციალისტთაგან «არმაზული» წარწერების ენაში შენიშნულია «იბერიზმები», აგრეთვე, ქართულის მეშვეობით ბერძნულის გავლენაც (17:156; 98:55-56 და სხვ.). ზოგიერთი სპეციალისტი მიუთითებს ზოგიერთ გრაფიკულ პარალელზეც «არმაზულისა» და «ასომთავრულის» ნიშნებს შორის, რაც მათ ამ ორი დამწერლობის ნათესაობის მოწმობად მიაჩნიათ. ამ დებულებას თავის დროზე სამართლიანად აკრიტიკებდა აკად. ა.შანიძე. ჩვენი აზრით, გრაფიკული პარალელები «არმაზულსა» და «ასომთავრულს» შორის წმინდა კალიგრაფიული ხასიათისაა. კერძოდ, ასომთავრული ანბანის შემქმნელი პირები, ფლობდნენ რა მანამდე «არმაზული» არამეულით წერის ჩვევებს, ახალი ანბანური დამწერლობის შექმნის პროცესში უნებლიედ ამჟღავნებდნენ უკვე ადრიადავს ჩამოყალიბებულ კალიგრაფიულ ხელწერას. სულ უკანასკნელად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ისეთი ვარაუდიც, რომლის თანახმად ჩვ. წ. აღ-ის IV ს-მდე, ვიდრე ასომთავრული ანბანი იქნებოდა პრაქტიკაში შემოღებული, კოლხეთსა და იბერიაში თითქოსდა ხმარებაში ყოფილა დამწერლობის ადგილობრივი, ორიგინალური სახეობა, ე.წ. პროტოქართული (თუ კოლხური) ანბანი, რომლის ნიშნებსაც ვ.ლიჩელი ხედავს დაბლაგომსა და სხვა ადგილებში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებზე (იხ. 60:5-29).

მაგრამ, როგორც არ უნდა გადაწყდეს წინაქრისტიანულ ხანაში ადგილობრივი დამწერლობის რაობის საკითხი, მაინც ურყევი დარჩება თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ასომთავრული ანბანი არის პირველი სრულყოფილი და ჭეშმარიტად ეროვნული ქართული დამწერლობის სისტემა, რომელშიც სრულად იქნა გათვალისწინებული თანადროული ქართული ენის ბგერითი ინვენტარი.

როგორც ითქვა, არამეულის გვერდით იბერიაში ძველთაგანვე ხმარებაში იყო ბერძნული ენა და მართლწერა. ბერძნული ენა ელინისტური ხანიდან მოყოლებული «მსოფლიო ენის» როლში გამოდიოდა, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ცივილიზებულ სამყაროში. საფიქრებელია, რომ ბერძნულს სათანადოდ ფლობდნენ ქართლის სამეფოს არისტოკრატიულ წრეებშიც. ამის ნათელი მაგალითია 2001 წლის ზაფხულში მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის საძირკველის შესწავლისას არქეოლოგთაგან მიკვლეული სამეფო მწიგნობართუხუცესის სამარხის ჩვ. წ. აღ-ის II-III სს-ით დათარიღებული უნიკალური საწერი მოწყობილობა ბერძნულ ენაზე შესრულებული ზედწერილების თანხლებით (იხ. 9:36-39). ბერძნული ენის როლი და გავლენა იბერიის ქრისტიანიზაციასთან ერთად ადგილობრივ კიდევ უფრო გაიზარდა. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, პირველი მღვდელმსახურები მცხეთაში «საბერძნეთიდან» (ე.ი. ბიზანტიიდან) მოვიდნენ და საეკლესიო ლიტურგიის ენაც პირველხანებში, ეჭვსგარეშეა, რომ ასევე ბერძნული იყო. ამის ნათელი მოწმობაა წილკნის ადრექრისტიანული ხანის აკლდამის ბერძნული ეპიტაფია, რომელშიც მოხსენიებული არიან ადგილობრივი პირველთაგანი ქრისტიანი ღმრთისმსახურები: ტიკასი, ბერი ამბა ფარანუსესი, პაპრიუპასი და ისდიგერდესი (იხ. 89:135).

ცხადია, ქართლის ეკლესიაში უცხო ენის «ბატონობის» ფაქტი მნიშვნელოვნად აფერხებდა მთლიანად ქვეყნის ქრისტიანიზაციის პროცესს. ადგილობრივი არაელინური მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავინდებურად ქრისტიანულ დოგმატებში უმეცარი რჩებოდა. შემთხვევით როდი მიუთითებდა ძველი სომეხი მემატიანე - ფავსტოს ბუზანდი (V ს.) იმაზე, რომ გრიგოლ განმანათლებლის მიერ სომხეთის მოქცევის შედეგად ადგილობრივმა მკვიდრებმა «მხოლოდ სახელი მიიღეს ქრისტიანისა», მათი ცხოვრების წესი კი ძველი, წარმართული დარჩა იმ დრომდე, სანამ მესროპ-მამტოცისა და საჰაკ დიდის ძალისხმევით სომეხები მშობლიურ ენაზე არ გაეცვინენ «საღმრთო წერილს». სწორედ ადგილობრივი ეკლესიის მოთხოვნილება და საჭიროება გახდა შემდგომში იმის საწინდარი, რომ ქრისტიან ქართველებს, სომეხებსა და ალბანელებს ეზრუნათ ორიგინალური ეროვნულ-ქრისტიანული დამწერლობების შექმნაზე, მისი მეოხებით ძირითადი ქრისტიანული ლიტერატურის მშობლიურ ენაზე გადმოღებისა და კანონიკური საეკლესიო ლიტურგიის მშობლიურსავე ენაზე დაფუძნების შესახებ. იმავდროულად დღის წესრიგში დადგა საკუთარი ქრისტიანული წელთაღრიცხვის შემუშავებისა და საეკლესიო პასქალური კალენდრის მოწესრიგების საკითხიც აღდგომა-დღის საერთო (საყოველთაო) პრინციპით აღნიშვნასთან დაკავშირებით ნიკეაში გამართულ I მსოფლიო საეკლესიო ფორუმზე (325 წ.) მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. კომპლექსში ამ ამოცანის წარმატებულად გადაჭრა მოითხოვდა კოლოსალურ გონებრივ შრომას, უზარმაზარ ნიჭსა და მეცნიერულ ალღოს, თეოლოგიური ასპექტების ღრმად წვდომისა და ფილოსოფიური აზროვნების უნარს, ქრისტიანული მისტიციზმის უხილავი სამყაროს ინტუიციურ შეცნობასა და ჭვრეტას იმ პიროვნებისაგან ან პიროვნებათა კოლექტივისაგან, ვინც ღვთის ნებით აღნიშნული ურთულესი მისია იტვირთა. საკმარისია თვალი გადავაავლოთ იმ ძველ წერილობით ძეგლებს, რომლებიც მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ რა გარჯა და წვალება გადახდათ თავს აღნიშნულ ამოცანას შეჭიდებულ ადამიანებს: მაგალითად, მესროპ-მამტოცსა და

საჰაკ დიდს ან კონსტანტინე-კირილესა და მეთოდოსს. მატერიალისტურად მოაზროვნე ადამიანის თვალში ეროვნული დამწერლობის, იგივე ენის, ანუ სამეტყველო ინსტრუმენტის შექმნის ფაქტი ეს მხოლოდ დიდი მეცნიერული აზროვნებისა და გარჯის გამოხატულებაა. მაგრამ ღრმად მორწმუნე ქრისტიანისათვის იგივე მოვლენა ზემოთა სამყაროს მისტიკურ ჭვრეტასთან, ღვთაებრივ გამოცხადებასთან ასოცირდება. პირველთათვის ის სამეცნიერო დისციპლინების - მათემატიკის, გეომეტრიის, ასტრონომიის, გრამატიკის, ფილოსოფიის და სხვა მისთანების მიმართ დაგროვილი კაცობრივი ინტელექტის გამოვლინების ფაქტია, მეორეთათვის კი, ის ღმერთშემოსილ ადამიანზე (ადამიანებზე) გადმოსული სულიწმიდის მადლია. საკითხისადმი მიდგომის თვალსაზრისით არცერთი აღნიშნული მხარე არ სცოდავს, რადგან ჩვენი ინფორმირებულობის ამჟამინდელი დონეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელის - დიდი ბაკურის პიროვნება სრულად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ორივე მხარის მოთხოვნებს. შემთხვევითი არ არის ის, რომ რუფინუს აკვილელის დახასიათებით, იმხანად იერუსალიმში ბინადმყოფი ბაკური არამხოლოდ მორწმუნეობაზე ზრუნავდა თურმე დიდად, არამედ თანაბრად «ჭეშმარიტებაზე». ასომთავრული დამწერლობის შემოქმედი დიდი ბაკური არ შეიძლება «ლოგოსების» მოყვარული (როგორადაც ის ლიბანიოსს მიაჩნდა) არ ყოფილიყო, რადგან სწორედ მათი შეცნობისა და გონებაში გააზრების გზით ჰქმნიდა ის ქართული მწიგნობრობის ბალავარს - ეროვნულ ანბანს, რომლის მწკრივში განლაგებული ასოები «ან»-იდან «ჯ»-ანამდე ხომ იმ ბგერით ერთეულებს (ფონემებს) წარმოადგენდნენ, რომლებიც ქართული «ლოგოსებიდან», სიტყვა-გამოთქმებიდან, ანუ მშობლიური ენის სამეტყველო ფონდიდან გამოჰყო მან და რომლებიც სამომავლოდ მწიგნობრობის გზით კვლავ «ლოგოსებადვე» უნდა გარდასახულიყვნენ?! ვინ მოთვლის რამდენმა ასეთმა «ლოგოსმა» გაიარა ბაკურის გონებაში, რათა ბგერით ერთეულებად დანაწევრებული «იბერიული» ენა დიდებულ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში გრაფიკული სიმბოლოების სახით ჩამონაკვთილიყო. ამა თუ იმ ენისათვის დამწერლობის შექმნის მოვლენა «ეს არის არსებითად ენის ბგერითი, ფონემური ანალიზი, რაშიც ვლინდება დამწერლობის შემქმნელის ლინგვისტური ალღო და ინტუიცია: იგი წინასწარ ანაწევრებს ენას უმცირეს ბგერით ერთეულებად, რომელთა ერთობლიობა ენის ბგერით სისტემას ქმნის»-ო, სამართლიანად ბრძანებს ფრანგი ლინგვისტი ჰ.როზენი (იხ. 15:118). ამასთანავე, ადრექრისტიანულ პერიოდში ენის გაგება, როგორც გარკვეული არსისა აზრისგან ცალკე, ანტიკური პერიოდის მსგავსად ჯერ კიდევ არ არსებობდა. გონება და მეტყველება წარმოიდგინებოდა ერთიანობაში, როგორც ერთიანი «ლოგოს»-ი. სწავლება სიტყვა «ლოგოს»-ზე არის საფუძველი ძველბერძნული სწავლებისა ენის შესახებ მის ონტოლოგიურ, ლოგიკურ და თვითონ გრამატიკულ მახასიათებლებთან ერთიანობაში. აღნიშნული სწავლება, ყველა ნიშნით, ცნობილი უნდა ყოფილიყო დიდი ბაკურისათვის. აკად. თ.გამყრელიძის დასკვნით: «ქართული ანბანის შემქმნელს ზედმიწევნით სისრულით აქვს წარმოდგენილი თანადროული ქართული ენის ბგერითი სისტემა: იგი სრულად და ამომწურავად ითვალისწინებს ქართული ენის ბგერათა (ფონემათა) ინვენტარს, რომელთა გრაფიკული გამოხატვა აუცილებელია ქართული ენის ადეკვატური წერილობითი გადმოცემისათვის. ქართული ენის ბგერითი ინვენტარი იმდენად სრულად და თანმიმდევრულად არის ასახული ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, რომ მას ამ თვალსაზრისით შემდგომ არსებითი ცვლილებები არც კი განუცდია» (15:129).

ბერძნული განათლების მქონე ქართული ანბანის შემქმნელი პირის მხრიდან კლასიკური ბერძნული ფონეტიკური თეორიის ცოდნის შესახებ აზრი ჯერ კიდევ

გერმანელმა ლინგვისტმა ვ.ბედერმა გამოთქვა და შემდეგ თ.გამყრელიძის სპეციალურმა გამოკვლევამაც დაადასტურა იგივე გარემოება: ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი ფლობდა უაღრესად ფართო ფილოლოგიურ ერუდიციას, რომელიც მოიცავდა იმდროინდელი ბერძნული ლინგვისტური თეორიისა და ბერძნული გრაფიკული სისტემების ცოდნას (15:156 შენ., 193 შენ.). ცნობილმა ენათმეცნიერმა არგუმენტირებულად უჩვენა ის გარემოება, რომ ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ხელოვნურად არის შექმნილი ნიმუშად აღებული ბერძნული გრაფიკული სისტემის გარდაქმნისა და სტილიზაციის შედეგად. იგი წერს: «ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი წერით ნიმუშად, გრაფიკულ პროტოტიპად და მოდელად იღებს მის თანადროულ მონუმენტურ ბერძნულ წერით სისტემას და ახდენს მის სტილიზებულ «არქაიზაციას», რაც გამოიხატა ძირითადად სათანადო ბერძნულ გრაფიკულ სიმბოლოთა პირმარცხნივ შებრუნებაში» (15:182). იმავე მეცნიერს ეკუთვნის კიდევ ერთი საგულისხმო დასკვნა იმის შესახებ, რომ ასომთავრული ანბანის შემქმნელი იცნობდა მის თანადროულ სხვადასხვა წერით სისტემებს, მათ შორის ეპისკოპოს ვულფილას (ულფილას) მიერ IV ს-ის შუა ხანებში შექმნილ გოთურ ანბანსაც, რომლის მონაცემებს იგი ახალი დამწერლობის შექმნისას ითვალისწინებდა (იხ. 15:190-191).

ამრიგად, ენათმეცნიერული კვლევა-ძიებების შედეგად მოპოვებული საყურადღებო მასალების საფუძველზე დაიხატა ქართული ანბანის შემოქმედის, იმხანად ჯერ კიდევ ანონიმი პირისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშან-თვისება, რომელიც ზედმიწევნით მოერგო დიდი ბაკურის პიროვნებას (იხ. 102:95-117 და შმდ.). IV ს-ის II ნახევარსა და V ს-ის I მეოთხედში, რა დროისთვისაც ივარაუდება ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის მოვლენა, დიდი ბაკურის შესადარი ინტელექტითა და მრავალმხრივი ღირსებებით შემკული პიროვნება ქართულ სამყაროში უბრალოდ არც ჩანს. დიდი ბაკურის ღრმად განსწავლულობის ფაქტი ბერძნულში საკამათო არ შეიძლება იყოს არა მხოლოდ მისი ბიზანტიაში მეოთხედი საუკუნის მანძილზე ცხოვრება-მოღვაწეობის გამო, რაც თავისთავად გულისხმობს იბერიელი მეფისწულის მხრიდან რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში (ბიზანტიაში) სახელმწიფო სტატუსის მქონე ბერძნული ენის სრულფასოვნად ფლობას, არამედ, უპირველესყოვლისა, ლიბანიოსის, გელასი კესარიელისა და რუფინუსის მსგავსი განათლებული მწერლების მიერ დიდი ბაკურის მაღალი ინტელექტუალური დონის ხაზგასმის საფუძველზე. საგულისხმოა, რომ წერილობითი წყაროების ცნობებით დიდ ბაკურს უშუალო შეხება ჰქონდა გოთების სამყაროსთან: მას, როგორც ბიზანტიის ჯარის ერთ-ერთ სარდალს, მოუწია მონაწილეობის მიღება ვესტ-გოთთა წინააღმდეგ იმ რეგიონში (ბალკანეთის ნ.კ.) გამართულ შეტაკებებში, სადაც 350-წლიდან მოყოლებული თვისტომ თანამოაზრეებთან ერთად ხანგრძლივი დროის მანძილზე სახლობდა თვით გოთური ქრისტიანული დამწერლობის შემქმნელი პირი - ეპისკოპოსი ვულფილა. დიდ ბაკურს გოთ მეომრებთან და სარდლებთან (მაგალითად, სახელგანთქმულ გაინასთან) ახლო ურთიერთობა უწევდა იმპერატორ თეოდოსი I დიდის ლაშქარშიც, სადაც ისინი მრავლად ირიცხებოდნენ IV ს-ის 80-იანი წლების დასაწყისიდან. უეჭველია, რომ იგი ხვდებოდა გოთებს იმპერიის სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლშიც, სადაც ბევრ მათგანს თეოდოსი I-ის ზეობის პერიოდში მნიშვნელოვანი სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობები ეკავა. ყოველივე აღნიშნული შეგვიძლია მივიჩნიოთ იმის მოწმობად, რომ უკვე IV ს-ის 80-იანი წლების დამდეგს დიდი ბაკურისათვის სრულიად ხელმისაწვდომი იყო ეპისკოპოს ვულფილას მიერ შექმნილი გოთური ქრისტიანული დამწერლობა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერჯერობით კვლავ უცნობი რჩება ის, თუ კონკრეტულად როდის, სად და რა გზით მოახერხა იბერიელმა მეფისწულმა ისეთი სრულყოფილი და

ღრმა განათლების დაუფლება, რომელმაც მას დღევანდელი საზომებითაც კი განსაცვიფრებელი ქართული «ასომთავრულის» შექმნა შეაძლებინა. თავის დროზე, აკად. მ.ნუცუბიძე ვარაუდობდა იმას, რომ ბაკურს განათლება კოლხეთში, ფაზისთან არსებულ და IV საუკუნეში სახელგანთქმულ რიტორიკულ სკოლაში ჰქონდა მიღებული. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია ისეთი ვარაუდიც, რომ ყრმა მეფისწულისათვის აღნიშნული სასწავლებლიდან სპეციალურად მოიწვიეს იბერიაში აღმზრდელი (ან აღმზრდელთა ჯგუფი). მაგრამ ცხადია, ვერც იმ შესაძლებლობას გამოვიცხავთ, რომ ბაკურს 369-378 წწ.-ს შორის იმპერიის ფარგლებში არსებულ რომელიმე ცნობილ საგანმანათლებლო კერაში (მაგ. ათენში, ალექსანდრიაში, პალესტინის ღაზაში, ბეირუთში, ანტიოქიაში, ედესაში, თარსუსში, სელევკიაში, გალატიის კესარიაში და სხვ.) მიეღო ის განათლება, რომლითაც შემდგომში ის ასე ანცვიფრებდა გარშემომყოფთ. როდესაც დიდი ბაკურის ერუდიციის მაღალ დონეზე ვსაუბრობთ, სათვალავიდან არ უნდა გამოგვრჩეს მისი თანდაყოლილი, ჭეშმარიტად ღვთისგან ბოძებული გონებრივი მონაცემებიც, ანუ ლიბანიოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი «ბუნებრივი ნიჭი». დიდი ბაკური, როგორც უკვე ავღნიშნეთ, თავისი მრწამსით ორთოდოქსი ქრისტიანი იყო ყრმობის ასაკიდანვე. ამასთანავე, მას, ქართლის სამეფო ტახტის შესაძლო პრეტენდენტს, ანუ საერო პირს ჰქონდა გამოხატული მიდრეკილება მონაზვნური (ქრისტიანული) ასკეტიზმისაკენ და ამ თვალსაზრისით მისი ბუნებისათვის ფრიად მახლობელი იყო ქრისტიანული მისტიკაც. მისი თანადროული უცხოელი მწერლების ცნობებით ირკვევა, რომ იბერიელი მეფისწული ბიზანტიის სამხედრო ასპარეზზე მყოფიც ახერხებდა ქრისტიანული ასკეტიზმის პრინციპებით ცხოვრება-მოღვაწეობას და როგორც პეტრე იბერის ბიოგრაფი იოანე რუფუსი გვამცნობს ამას, დიდ ბაკურს ცხოვრების ამ სიყრმითგანვე გათავისებული წესისათვის არც სამეფო ტახტზე ყოფნის ჟამს უღალატია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბაკურის სახით ჩვენს წინაშეა უნიკალურად თავმდაბალი, ღრმა სულიერების, დიდი ინტელექტისა და ქრისტიანული ასკეტიკურ-მისტიკური შეხედულებების მქონე ღვთისმოსავი კაცი-მონარქი, რომლის სახე სრულ უნისონში მოდის წმ. იოანე ოქროპირის მიერ იდეალურ მონარქად წარმოდგენილ პორტრეტთან, რომელიც ხელმწიფისა და მონაზვნის შედარებისას დაუხატა სიტყვიერად მორწმუნეებს წმინდა მამამ 476 წელს შედგენილ ერთ თავის წერილში; მისი სიტყვებით: «ჭეშმარიტად მეფეა ის, ვინც ამარცხებს მრისხანებას და შურს და ავხორცობას, უმორჩილებს ყოველივეს ღმრთის მცნებებს, ინახავს საკუთარ გონებას თავისუფლად და არ აძლევს უფლებას სულიერ ვნებებს დამორჩილდნენ სიტკბოებას. მე ვისურვებდი ასეთი კაცი მენახა მეთაურად ხალხებზე, ხმელეთსა და ზღვაზე, და ქალაქებსა და მხარეებზე, და ლაშქრებზე; რადგან, ვინც სულიერი ვნებები დაუმორჩილა გონებას, ის იოლად შეძლებდა ემართა ხალხი ღვთაებრივი მცნებების მიხედვით ისე, რომ ის იქნებოდა მამის მაგიერი ქვეშევრდომთათვის» (36:125-126).

ანბანი ძველთაგანვე რელიგიის ენად იყო მიჩნეული. რელიგიის მესვეურები მას ღვთაებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. რაკილა ძველად ანბანი კრიპტოგრაფიული და კაბალისტიკური ახსნა-განმარტების საფუძველსა და საშუალებასაც წარმოადგენდა, ის ამდენად მისტიკის სფეროსაც განეკუთვნებოდა. ხოლო ქრისტიანი მისტიკოსისათვის შემეცნების მთავარი წყარო ცალსახად არის ღვთიური გამოცხადება, რომელსაც ეზიარა უფალი იესუ ქრისტე. ექსტაზისას ქრისტიან მისტიკოსს უდიდესი საიდუმლოებების შემეცნების ნიჭი ეძლევა; ამ დროს მას ესმის «გამოუთქმელი სიტყვები, რომელთაც ადამიანი ვერ წარმოთქვამს» (მეორე კორინთელთა-12,4). ანბანი ძველად აგრეთვე განიხილებოდა, როგორც «გამოუთქმელ საიდუმლოთა საწყაული». მორწმუნეთა რწმენით, ბიბლიაში მოცემული წიგნები ღვთის შთაგონებით დაიწერა. ამიტომ ძველი

ქრისტიანების წარმოდგენით, ჩვეულებრივი «კაცობრივი სიბრძნე» არ იყო საკმარისი «საღმრთო წერილის» გულისხმისყოფისთვის, მხოლოდ რჩეული, «ღვთივ განბრძნობილი» ქრისტიანებისათვის იყო შესაძლებელი «გამოუთქმელ საიდუმლოთა» შეცნობა და ისიც მხოლოდ ღვთაებრივი სულიწმიდის ჩაგონების მეოხებით. ასეთ ადამიანებს, მორწმუნეთა რწმენით, უფლისაგან უდიდესი მადლი იმიტომ ენიჭებოდათ, რომ «ყოფილიყვნენ ღმრთის სიტყვების მთარგმნელები მოკვდავთა წინაშე, გულისხმა ეყოთ ღვთიური სიტყვა ისე, როგორც მას ხმარობდა თავად ღმერთი, და განემარტათ იგი ადამიანებისათვის ისე, როგორც მათ შეუძლიათ რომ გულისხმა ჰყონ»-ო, ბრძანებდა წმ. გრიგოლ სასწაულთმოქმედი.

ყოველივე ზემოთქმული თვალნათლივ წარმოდგენას გვიქმნის იმასთან დაკავშირებით, თუ რა რთული ამოცანის წინაშე იდგნენ ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი პირები და კერძოდ, ბაკური დასახული მიზნის განხორციელების წინ. ქართული ეროვნული დამწერლობის შექმნის უმთავრესი მიზეზი და მიზანი ხომ «საღმრთო წერილის» - იგივე «ღმრთის სიტყვის» მშობლიურ ენაზე აჟღერება გახლდათ?! გარდა ამისა, ქართული ასომთავრული ანბანი, როგორც ახლა უკვე ეს გამორკვეულია, წერით დანიშნულებასთან ერთად კალენდარულ ფუნქციასაც ითავსებდა. კერძოდ, მათემატიკოსებმა - ნ.კანდელაკმა და გ.ცერცვაძემ სრული დამაჯერებლობით ცხადყვეს ის გარემოება, რომ ქართული ქრონოლოგიური წელთაღრიცხვის სისტემის (რომელსაც ეყრდნობა ქართული «დასაბამითგან»-ი წელთაღრიცხვა. - ბ.ხ.) წარმომავლობა ცალსახად ასომთავრული ანბანით არის განპირობებული, ეფუძნება მის რიგ-სათვალავს და შექმნილია უშუალოდ ქრისტეს სახელზე, ასახავს რა მისი ცხოვრების (ხარება, შობა, ჯვარცმა და აღდგომა) ქრონოლოგიას «სამყაროს შექმნისა» და «მეორედ მოსვლის» შესახებ არსებულ საეკლესიო მოთხოვნებთან კავშირში. მათივე აზრით, «უცნობმა ქართველმა კომპიუტისტმა» IV ს-ში ბიბლიური იდეა შესაქმნისა და მეორედ მოსვლის შესახებ სრულიად ახლებურად გაიაზრა, მძთელი ყურადღება და ძალისხმევა გადაიტანა სამყაროს დასაბამიდან წლების თვლის ანბანურ სისტემაზე და «ყოველი საიდუმლო» ეროვნულ წელთაღრიცხვასა და ასომთავრულ ანბანში სამარადისოდ ჩაბეჭდა. ქართული ანბანის 37-ივე გრაფიკულ ნიშანს თავის დროზე ქრონოლოგიური ფუნქციაც ჰქონიათ დაკისრებული, ანუ ასომთავრული ანბანური თვლის სისტემით განპირობებული ქრონოლოგიური წელთაღრიცხვა ზუსტად იმდენ მოქცევას მოიცავდა, რამდენი ასონიშანიც იყო ანბანში; თვლის ასეთი სისტემა თავის მხრივ ოპტიმალურია 532-წლიანი მოქცევების (პასქალური ციკლების) მიმართ, ხოლო 532-ის ინდექსი არის 37. აღნიშნულ ავტორთა აზრით, სწორედ ამ ფაქტის არსებობამ შეასრულა გადამწყვეტი როლი 37-ნიშნიანი ოპტიმალური ანბანური სისტემისა და ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვის ფორმირების საქმეში (42:143-148). ერთი სიტყვით, საეჭვო აღარ არის ის, რომ ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვა ეფუძნება ასომთავრული ანბანის რიგ-სათვალავს და მასში გათვალისწინებულია ჩვ. წ. აღ-ის IV ს-ის შუახნებამდე ქრისტიანულ ქრონოლოგიაში არსებული მდგომარეობა. ნ.კანდელაკისა და გ.ცერცვაძის, უფრო ადრე კი - რ.პატარიძის გამოკვლევებმა ცხადყვეს ის გარემოება, რომ ქართული ასომთავრულის სახით ჩვენს წინაშეა «ანბანი-კალენდარი», რომელსაც, ჩვენი აზრით, მსოფლიო ანბანურ სამყაროში ანალოგია არ მოეძებნება. ასეთი უნიკალური ქმნილების შესაქმნელად, გარდა ზემოთ უკვე აღნიშნულისა, ცხადია, საჭირო იყო საფუძვლიანი მათემატიკურ-ასტრონომიული ცოდნაც და ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ამოცანის სირთულეს, რომლის წინაშეც იდგა დიდი ბაკური მიზნისკენ სავალი გზის დასაწყისში. ჩვენ სხვაგან უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ დიდ ბაკურს ამ საქმეში ჰყავდა თანამდგომი სეფეწულ გრი ორმიზდის სახით, რომელიც, ქალაქ ბეთლემის მახლობლად იორდანეს

უდაბნოში მდებარე ქართული მონასტრის მოზაიკური წარწერის მიხედვით, ბაკურს ძუმუმტედ ეკუთვნოდა (იხ. 90:95-96). სწორედ გრი ორმიზდს შეესატყვისება კორიუნთან და მოვსეს ხორენაცისთან ნახსენები სხვადასხვა ენების მცოდნე და «ჭეშმარიტების მეტყველი» კაცი სახელით «ჯალ»-ი. სომეხ მწერლებთან აღნიშნული პიროვნების სახელის მხოლოდ პირველი ნაწილია მოცემული, გვიანდელი და ისიც დამახინჯებული სახით: ტექსტში ახ.სპარსული სიტყვა «ჯან»-ი (ნიშნავს «სულს») დაზიანებულია «ჯალ»-ის სახით, ხოლო ახ.სპარსული «ჯან»-ის შესატყვისი სამ.სპარსულში იყო პართიული წარმომავლობის სიტყვა «გრი» (ნიშნავს «სულს». იხ. 93:34), რომელიც სომხურში «ასოს», «ბგერის», «წიგნის», «ანბანის» აღმნიშვნელ ტერმინს ემთხვევა და ჩანს, რომ სხვასთან ერთად ამ მიზეზით წარმოქმნილი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით კორიუნის თხზულების ტექსტის გვიანდელმა (VIII ს-ის შემდგომი დროის) რედაქტორ-ინტერპოლატორმა სამ.სპარსული სიტყვა მისი ახ.სპარსული ექვივალენტით შეცვალა (იხ. 102:121-123). სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცნობი რჩება ის, თუ როგორ ჰქონდათ ერთმანეთში განაწილებული ფუნქციები დიდ ბაკურსა და გრი-ორმიზდს (გვახსენდება: «უმჯობეს არიან ორნი ერთისა, რომელ არს მათდა სასყიდელი, კეთილ არს შრომასა შინა მისსა» - ეკლესიასტე 4-9). პირადად ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოვლენის მთავარი მომქმედი პირი დიდი ბაკური იყო. თუმცა, ამ საკითხის დაზუსტების გარეშეც თამამად შეგვიძლია გრი ორმიზდი დიდ ბაკურთან ერთად ორიგინალური ქრისტიანული დამწერლობისა და წელთაღრიცხვის შემქმნელად პირად ვცნოთ.

როდესაც გაირკვა ის საგულისხმო ფაქტი, რომ ქართულ ასომთავრულს მისმა შემქმნელებმა წერიტთან ერთად კალენდარული ფუნქციაც დააკისრეს იმთავითვე, უკვე სრულიად ნათელი გახდა დავათის ქვასვეტზე გამოსახული იკონოგრაფიისა და «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის» პროზაულ ჰიმნში გაცხადებული ინფორმაციის შინაარსი და მიზანდასახულობა. ორივე აღნიშნული ძეგლი ქრისტიანული მისტიკის (ე.ი. ალეგორიულ-სიმბოლიკური) ენით მოგვითხრობს ქართული ანბანის, ანუ იგივე ენის «წილ-ხვედრზე» უფლის მეორედ მოსვლის მოლოდინში. თუკი «ქებაის» უცნობი ავტორი ქართულს «ქრისტეს ენად» აცხადებს, დავათის ქვასვეტზე იგივე აზრი იკონოგრაფიული სიმბოლიკის ენით არის გაცხადებული (იხ. 102:27-68). ორივეგან გვაქვს მინიშნება იმაზე, რომ ქართული ანბანის «საიდუმლო» ქართულ კალენდარულ ქრონოლოგიასთან არის მჭიდრო კავშირში. დავათის ქვასვეტზე მონიშნული რიცხვი «5.320» მეთერთმეტე 532-წლიანი მოქცევის (ციკლის) დასაწყისზე უთითებს. ქორონიკონულ ციკლებზე აგებული ქართული «დასაბამითგანი» წელთაღრიცხვით, როგორც ცნობილია, ქრისტეს დაბადება 5.604-ე წელზეა დადებული, რაც ქორონიკონით მეთერთმეტე მოქცევის 284-ე (10X532+284=5.320+284=5.604) წელს შეესატყვისება. წარსულში ზოგიერთი მკვლევარის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ დავათის ქვასვეტზე აღბეჭდილი რიცხვი «5.320» ძვ. წ. აღ-ის 284 წელზე, ანუ თითქოსდა ლეგენდარული ფარნავაზ მეფის მიერ აღნიშნულ დროს ქართული დამწერლობის შემოღებაზე უთითებს, გაუგებრობის ნიადაგზეა აღმოცენებული. ქრისტიანული, ანუ საეკლესიო წელთაღრიცხვის ქორონიკონული და «დასაბამითგან»-ი სისტემები დროის ათვლას ახდენდნენ სამყაროს შექმნის საწყისი სიმბოლური პირველი წლიდან ქრისტეს «პირველად მოსვლისა» (ქრისტეს დაბადება) და შემდგომ უკვე «მეორედ მოსვლის» მისტიური მოვლენის მიმართულებით და არა პირუკუ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი სჩადის. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, თვით სახელწოდება «დასაბამითგან» არის აღნიშნულის ნათელი მოწმობა. ამასთანავე, ნ.კანდელაკისა და გ.ცერცვაძის დაკვირვებით, ქრისტიანული ქართული წელთაღრიცხვა წარმოადგენს ქრისტიანთა მდევნელი დიოკლეტიანეს ერის (რომლის ათვლის წერტილია ჩვ. წ. აღ-ის 284 წ.) საპირისპირო

წელთაღრიცხვას. მათივე გამოკვლევით გამოირკვა, რომ ქორონიკონში ალტერნატიული ფორმით არის გათვალისწინებული ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის ქრონოლოგია მისი მოკლე და გრძელი ვერსიების შესაბამისად: პირველი ვერსიის მიხედვით ღვთისმშობლის ხარებას ადგილი უნდა ჰქონოდა დასაბამიდან 5.604 წლის 25 მარტს, ანუ XI მოქცევის 284-ე წელს, მეორე ვერსიის მიხედვით კი, ხარება უნდა მომხდარიყო დასაბამიდან 5.601 წლის 25 მარტს, ანუ XI მოქცევის 281 წელს (42:145). მანამდე უფრო ადრე კ.კეკელიძე Fფიქრობდა, რომ VII ს-მდე ქართველები მისდევდნენ ანდრია ბიზანტიელის (IV ს.) პასქალურ-ქრონოლოგიურ სისტემას, რომელიც ქრისტეს დაბადების თარიღს ოთხი წლით ადრე სდებდა, 5.600-წლიან ერას. შემდგომში გადასულან იმ ვარიანტზე, რომელიც ქრისტეს დაბადებას ოთხი წლით გვიან გულისხმობდა და ამრიგად პრაქტიკაში 5.604-წლიანი ერა დაუმკვიდრებიათ (47:330). IV საუკუნის ქრისტიანთა შორის გავრცელებული შეხედულებით, რომელიც გადმოცემულია ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და არიანელობის წინააღმდეგ უკომპრომისო მებრძოლის - ჰილარიუს პიკტავიელის, იგივე პოტიერის (315-368 წწ.) სახარებების «განმარტებებში», სამყაროს არსებობის დრო მათეს სახარების XX თავის მევენახის იგავის საფუძველზე დღის 12 საათის შესაბამისად განისაზღვრებოდა თორმეტი 500-წლიანი მონაკვეთით; მე-11 საათით «ქრისტეს მოსვლის» დრო აღინიშნებოდა (ჰილარიუსის თანახმად, ქრისტე დაიბადა სამყაროს დასაბამიდან 11X500=5.500 წელს), სამყაროს არსებობის ხანგრძლივობა კი, 12X500=6.000 წლით იფარგლებოდა. რიცხვი «6.000» «მეორედ მოსვლის» საათის დასაწყისის მაუწყებელი გახლდათ. მეორედ მოსვლისას სამყაროს აღსასრული უნდა დამდგარიყო, მესიას ცოდვილი კაცობრიობა უნდა განესაჯა და მომავალი «ათასწლოვანი სამეფოსათვის» ჩაეყარა საფუძველი, - ასეთი იყო იმ დროინდელ ქრისტიანთა რწმენა-წარმოდგენა. საერთოდ, ადრექრისტიანული პერიოდის საეკლესიო ქრონოლოგიური სისტემები (და მათ შორის, ცხადია, ქართულიც) მთლიანად ბიბლიურ კოსმოგონიას ემყარებოდა, რომლის თანახმად, ღმერთმა სამყარო შექმნა 6 დღის მანძილზე, მე-6 დღეს შექმნა ადამიანი და ვინაიდან ბიბლიური რწმენითვე ერთი დღე ათასი წლის ტოლია, სამყაროს არსებობის ხანგრძლივობასაც ამის შესაბამისად წმ. მამების უმრავლესობა 6X1.000=6.000 წლით საზღვრავდა. ასე, მაგალითად, წმ. ბასილი დიდი («ჰომილია 2», «ექუსთა მათ დღეთათვის») და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (44-ე სიტყვა) ამბობდნენ, რომ შესაქმეთა მე-7 დღე არის სახე ამა ქვეყნის საუკუნის აღსრულებისა. ცნობას აღნიშნულის შესახებ ვხვდებით კირილე იერუსალიმელთან, იპოლიტე რომაელთან, ისიდორესთან, იოანე დამასკელთან, გერმანე კონსტანტინეპოლელთან და ძველი დროის სხვა საეკლესიო მოღვაწეებთან (იხ. 33:249, 328-329 შენ. 2). «ქრისტეს მოსვლას», იმდროინდელი ქრისტიანული მოძღვრების იდეოლოგიების მოსაზრებით, VI ათასწლეულში - 5.500 წელს უნდა ჰქონოდა ადგილი. 500-წლიანი მონაკვეთების 532-წლიანი პასქალური ციკლებით შეცვლის ფაქტს შედეგად აღნიშნული დებულებების გადასინჯვა არ მოჰყოლია: მე-11 მოქცევა უწინდებურად «ქრისტეს მოსვლის» საკრალურ «საათად» დარჩა. ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვის მიხედვითაც იესუ ქრისტეს დაბადება მე-11 მოქცევის ფარგლებშია ნაჩვენები და გამოხატულია ღმერთის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვის «თეოს» იზოფსეფიით, ანუ რიცხვით «284». გარდა ამისა, ქართული «დასაბამითგანი» წელთაღრიცხვა ქრისტეს დაბადების დროს უჩვენებს 5.000 წლის შემდეგ, ანუ მე-6 ათასწლეულში რიცხვით «600», რაც ასომთავრულ ანბანში გრაფიკულად ქრისტეს სიმბოლოს - ჯვარს გადმოცემს, ხოლო ბგერითი მნიშვნელობის თვალსაზრისით უფლის ძირითადი სახელის (ქ-რისტე) ინიციალს - «ქ» (42:145). ეჭვსგარეშეა, რომ ეს სრულიად გააზრებულად არის გაკეთებული. აღნიშნულის ფონზე აღარც ის უნდა იწვევდეს

გაკვირვებას, რომ ასომთავრულ ანბანში «ხან» ასო-ნიშნის სახელწოდებისა და რიცხვითი მნიშვნელობის (6.000) ერთობლიობით გაცხადებულია ქართული ანბანისა და წელთაღრიცხვის შემქმნელთა რწმენა-მოლოდინი უფლის «მეორედ მოსვლის» ჟამის დადგომის შესახებ. სრულიად ცხადი ხდება ის გარემოება, რომ ქართული ქრისტიანული დამწერლობისა და წელთაღრიცხვის შემქმნელები ორ სათარიღო მიჯნას შორის იმყოფებოდნენ: წარსულში რჩებოდა ქრისტეს დაბადების სიმბოლური თარიღი - სამყაროს «დასაბამითგან» 5.604-ე (ან მეორე ვერსიით: 5.600-ე) წელი და მომავალში იყო «მეორედ მოსვლის» მოლოდინის აღმნიშვნელი სიმბოლური თარიღი - სამყაროს «დასაბამითგან» მე-6.000 წელი. ასე და ამრიგად გამოირკვა ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ზედა ქრონოლოგიური მიჯნა: 6.000-5.604=ჩვ. წ. აღ-ის 396 წელი ან 6.000-5.600=ჩვ. წ. აღ-ის 400 წელი. რაც შეეხება იმავე მოვლენის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს, ის, წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ უკვე დამოწმებული სხვადასხვა მასალების საფუძველზე, ზოგადად IV ს-ის II ნახევრის ფარგლებში იგულებოდა. ამ აზრის სასარგებლოდ, პირველყოვლისა, მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული დამწერლობის შექმნის პროცესში გამოყენებული იქნა აღნიშნული ასწლეულის შუახანებში ეპისკოპოს ვულფილას მიერ შექმნილი გოთური ანბანი. დამატებით იმავე თვალსაზრისის მართებულობის აღიარებისათვის არგუმენტის სახით შეიძლება იქნეს გამოყენებული ქართული ანბანის «ჯან» ასო-ნიშნის გრაფიკული სახეც. კერძოდ, სპეციალურ ლიტერატურაში ამჟამად მიღებული აზრით, აღნიშნულ ნიშანს, რომელიც ჯვრის მოხაზულობით ხასიათდება, საფუძველად აკროფონული პრინციპი დაედო (106:226; 74:117, 123, 151, 233 და შმდ.). ე.მაჭავარიანის აზრით, აღნიშნული გრაფემა ორად იშლება და უფლის სახელის: «ი(ესუ) ქ(რისტე)» საწყისი ინიციალების კომბინაციას წარმოადგენს (62:49-54). ქართული ასომთავრულის შექმნის ხანაში «ჯ»-ანი ჩვენი ანბანის უკანასკნელი ფონემური ერთეული იყო, ისევე, როგორც სომხურ ანბანში ქრისტეს მონოგრამად აღიარებული და ჯვრის მოხაზულობის მქონე «ქ»-ე ასო-ნიშანი. მაგრამ ასომთავრულში «ქ»-ან გრაფემის სახით ჩანს ოთხმკლავიანი, ანუ «ლათინური» ჯვრის («იმმისა») ნიშანი. ამასთანავე, ქართული ანბანის შემქმნელებს არ გამოუყენებიათ პირველ საუკუნეებში შექმნილი და IV ს-ის დასაწყისში უკვე ფართოდ გავრცელებული ქრისტეს მონოგრამა (ე.ი. ჯვრის ბერძნული მონოგრამული ფორმები). მართალია, ჯვარი ქრისტიანთა საბოლოო გამარჯვების სიმბოლოდ ჯერ კიდევ პავლე მოციქულმა აქცია თავის ქრისტოლოგიაში (მისთვის ის იყო «ძალი ღვთისა»; - ბ.ხ.), მაგრამ ხალხის გაუთვითცნობიერებელი მასების თვალში ის დიდხანს დარჩა მაცხოვრის ვნებისა და სიკვდილის იარაღის ნიშნად. ესეც არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ I-II სს-ის რომაულ კატაკომბებში ფრესკებზე გვხვდება კეთილი მწყემსის, სამსხვერპლო კრავის, პალმის ან ზეთისხილის რტოს, ღუზის, მტრედის და თევზის საიდუმლო ნიშნის გამოსახულებები, ჯვარი კი იქ ფაქტიურად არ ჩანს. კატაკომბურ წარწერებში ქრისტეს სახელის ბერძნული «X» და «P» ასო-ნიშნებისაგან შედგენილი მონოგრამით გადმოცემის შემთხვევები IV ს-ის დასაწყისამდე საერთოდაც იშვიათობას წარმოადგენს (84:200). თუმცა მისტიკური მნიშვნელობით ჯვარი მორწმუნეთათვის მუდამ იყო და არის კიდევ მაცხოვრის ტანჯვის მეშვეობით გამოვლენილი სიყვარულის საიდუმლო, ხოლო სიმბოლიკის თვალსაზრისით იგი ქრისტეს მიერ აღსრულებული სოფლის ცხოვნების, ანუ სამყაროს ხსნის სახეს წარმოადგენს; ასკეტური თვალსაზრისით ჯვარი თავის უარყოფის სახეა, ესქატოლოგიურით კი - ლოგოსის სიყვარულისა ზეციური ეკლესიის მიმართ და ქრისტეს დაწინდვისა ადამიანის სულთან. ქრისტიანისთვის ჯვარი არა სიკვდილის, არამედ სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენს, იგია ღმრთაებრივი სიმართლისა და ღმრთაებრივი სიყვარულის ერთიანობა. (46:133-137).

როგორც კი იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306/24-337 წწ.) ოფიციალურად აკრძალა ადამიანთა ჯვარცმით დასჯის წესი, ხალხშიც თანდათანობით განელდა ჯვრის წამების იარაღთან გაიგივების უსიამოვნო გრძობა. ნიშანდობლივია, რომ ოთხმკლავიანი ჯვარი, რომელიც ასომთავრულ ანბანში მოცემულია «ქ»-ან გრაფემის შემთხვევაში, საყოველთაო თაყვანისცემის სიმბოლოდ მხოლოდ IV ს-ის II მეოთხედიდან იქცა, როდესაც ის კონსტანტინე დიდს მაქსენციუსსთან ომის დროს, 321 წლის 28 ოქტომბერს ცაზე გამოესახა წარწერითურთ: «ამით სძლიე», ხოლო ელენე დედოფალმა თავის მხრივ 326 წელს იერუსალიმში იპოვნა მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვარი, რასაც მოჰყვა გოლგოთაზე მანამდე არსებული წარმართული სამლოცველოს მოშლა და 335 წელს მის ადგილას ქრისტიანული ეკლესიის აგება. ამ დროიდან მონოგრამული ჯვრის თაყვანისცემა მორწმუნეთა შორის თანდათანობით ქრება (111:12). მონოგრამული ჯვარი საბოლოოდ გამარტივდა IV ს-ის II ნახევრის დასაწყისში. ჯვრის სადღესასწაულო თარიღის (უძრავი კალენდრით: 7 მაისი) აღნიშვნა დასაბამს იღებს 350 წლიდან და დაკავშირებულია წმ. კირილე იერუსალიმელის (350-387 წწ.) სახელთან. ამასთანავე, ელენე დედოფლის მიერ გოლგოთაზე ცხოველმყოფელი ჯვრის პოვნის ლეგენდის წერილობით წყაროებში დამოწმების ჯერჯერობით ყველაზე ადრინდელი შემთხვევა 394 წლისათვის არის დადასტურებული (თუმცა, თვით ფაქტის შესახებ ცნობებს უფრო ადრინდელ წყაროებშიც ვხვდებით. - ბ.ბ.). რაც შეეხება «ჯ»-ან ასო-ნიშანს, მასში სწორედ მონოგრამული ჯვრის გამარტივების შედეგად მიღებული ორი ნიშნის - «კრუზ დეკუსსატას» და «კრუზ კომმისასას» კომბინაციისა და სტილიზებულად გამოსახვის მცდელობის ფაქტია დასაძახი. ვფიქრობთ, რომ არ შემცდარან თავის დროზე ვ.ბოლოტოვი და კ.კეკელიძე, როდესაც «ჯ» ასო-ნიშანი სიტყვა «ჯუარის» (ან «ჯუარცმის») აბრევიატურად მიიჩნიეს; გრაფიკული მოხაზულობის გარდა ამაზე აღნიშნული ასო-ნიშნის ბგერითი მნიშვნელობაც უნდა მეტყველებდეს.

ერთი სიტყვით, ქართულ ანბანში ჯვრის ცნობილი სახეობების - «იმმისასას», «დეკუსსატას» და «კომმისასას» დადასტურების ფაქტი კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ ასომთავრული დამწერლობა IV ს-ის II ნახევარშია შექმნილი. შემთხვევითი არც ის არის, რომ ასომთავრული «წილ»-ის ნიშანი ფაქტიურად იმეორებს ბერძნული «ბეტა»-ნიშნის კურსივულ (ანუ ხელით ნაწერ) ფორმას, მომდევნო «ძილ»-ის ნიშანი ბერძნული კურსივის «ალფა»-ნიშანს და ასევე მომდევნო «ჭარ»-ის ნიშანი კი, ბერძნული კურსივის «დელტა»-ნიშანს. ჩანს, რომ ქართული ანბანის შემქმნელებმა ე.წ. დანართი ნიშნების (სპეციფიურ ქართულ ბგერებს რომ გადმოსცემენ ასომთავრულში) შემუშავებისას სხვასთან ერთად იხელმძღვანელეს ბერძნული ანბანის კურსივული სახეობითაც. ბერძნული კურსივის ჩამოყალიბების დრო კი ჩვ. წ. აღ-ის III ს-ზე მოდის (იხ. 59:119) და ბუნებრივია, რომ წერის ეს სახეობა IV ს-ის II ნახევარში ბიზანტიაში მოღვაწე და ბერძნულში სათანადოდ გაწაფულ ქართული ანბანის შემქმნელ პირებსაც სცოდნოდათ.

უკვე მას შემდეგ, რაც ქართული დამწერლობის შექმნის მოვლენა დიდი ბაკურის სახელს დაუკავშირეთ (იხ. 101), შესაძლებლობა მოგვეცა უფრო დაგვეზუსტებინა ამ მოვლენის თარიღი. ბაკური, როგორც უკვე აღინიშნა, ბიზანტიიდან სამშობლოში 395 წლისათვის დაბრუნდა. ჩვენ ასევე უკვე გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით იმაშიც, რომ ქართული ანბანის გამოგონების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს ჩვ. წ. აღ-ის 396 წელი (ან უკიდურეს შემთხვევაში, ჩვ. წ. აღ-ის 400 წ.) წარმოადგენდა. ამდენად, ცხადი გახდა ის გარემოებაც, რომ ქართული ასომთავრული ანბანის შექმნას ადგილი დიდი ბაკურის სამშობლოში დაბრუნებამდე ჰქონდა, ანუ ის ჩამოყალიბდა იბერიის ფარგლებს გარეთ, ბიზანტიაში. ეს ფაქტი მოულოდნელად სრულიადაც არ უნდა მოგვეჩვენოს,

რადგან ანალოგიური ვითარების არსებობას ვიდასტურებთ, მაგალითად, სომხური და სლავური დამწერლობების შექმნის მოვლენებთან დაკავშირებითაც.

ზემოთ, როდესაც გელასი კესარიელის იმ ცნობაზე გავამახვილეთ ყურადღება, რომლის თანახმად, უკვე 390 წლისათვის ბაკურს რაღაც განსაკუთრებული დამსახურებისათვის (ოღონდ არა სამხედრო ასპარეზზე, რადგან საეკლესიო მწერლისა და კესარიის ეპისკოპოს გელასისათვის დიდი ბაკურის მოღვაწეობის ამ მხარეს დიდად არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა - ბ.ხ.) «იბერთა შორის სახელოვანი» ადამიანის იმიჯი ჰქონია შექმნილი საზოგადოებაში, ჩვენ დროებით ღიად დავტოვეთ თავად ნავარაუდები ღვაწლის რაობის საკითხი. ამჯერად თავს ნებას მივცემთ და თამამად განვაცხადებთ იმას, რომ 390 წლისათვის ქართული ასომთავრული დამწერლობა უკვე სახეზე იყო და «საღმრთო წერილის» ქართულად გადმოღების პროცესიც იმავე დროისთვის უკვე დაწყებული გახლდათ, ანუ მიმდინარეობდა. ყოველ შემთხვევაში, ქართული ანბანის შემქმნელთა წრეში დაწერილი «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის» პროზაული ჰიმნის მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ ის, რომ IV ს-ის მიწურულისათვის ქართულ ენაზე უკვე ნათარგმნი იყო მათესა და იოანეს სახარებები, იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადება, ფსალმუნი...

დავათის ქვასვეტზე დიდ ბაკურთან ერთად, როგორც ეს ჩვენ მიერ უწინ აღინიშნა (იხ. 102:31, 33, 125-126), გამოსახულია მისი ძუძუსმტე, სეფეწული გრი ორმიზდი. ბაკური, რომლის რელიეფური გამოსახულებაც წინა პლანზეა გამოსახული, მარჯვენა ხელის მტევნით უთითებს გვერდით მდგომ გრი ორმიზდზე, რომელსაც მარცხენა ხელში უპყრია დახვეული ეტრატის გრაგნილი, - სიმბოლო წიგნისა და საზოგადოდ მწიგნობრობისა, - «წერილი». დიდად არ შევცოდავთ, თუკი აღნიშნულ სცენაში გრი ორმიზდის მიერ «საღმრთო წერილის» ქართულ ენაზე გადმოღების ფაქტს ამოვიკითხავთ. გრი ორმიზდი, როგორც ითქვა, იგივე სომხური წყაროების «ჯალ»-ია, რომელიც, მოვსეს ხორენაცის თხზულებაში დაცული ცნობით, ქართული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი და უცხო ენებიდან მთარგმნელი პირია, კორიუნის სიტყვებით კი, ის «წიგნის მცოდნე» (სომხ. «გრაგეტ»), ანუ, როგორც ეს ჩვენ გვგონია, - «[საღმრთო] წერილის მცოდნე», და «ჭემმარიტების მეტყველი» (სომხ. «ჭმმარტახოს») კაცია. ქართლის სეფეწულთა წრიდან გამოსული გრი ორმიზდი, რომელიც ვითარცა ძუძუსმტე და სიყრმის მეგობარი, მეფისწულ ბაკურს თავის დროზე თან უნდა გაჰყოლოდა ბიზანტიაში. ბაკურის პალესტინის საზღვრების სარდლად გამწესების შემდეგ გრი ორმიზდი კვლავ მის გვერდით უნდა ვიგულოთ «წმინდა მიწაზე». ქალაქ ბეთლემის მახლობლად ქართული სამონასტრო კერის (შემდგომში რომ დიდი ბაკურის სახელოვანმა შვილიშვილმა - პეტრე იბერმა და მისმა მასწავლებელმა - იოანე ლაზმა ერთობლივ განაახლეს) დაარსების სათავეებთან (დაახლ. IV ს-ის 80-იანი წლებში) დიდ ბაკურთან ერთად უეჭველად გრი ორმიზდიც იდგა და ადვილი შესაძლებელია, რომ შემდგომში ის იქვე მოღვაწეობდა კიდევ მანამდე, სანამ ბაკურის სამშობლოში დაბრუნების ჟამმა არ ჩამოჰკრა. ქართულ ასომთავრულ დამწერლობასა და საეკლესიო წელთაღრიცხვასაც, ჩვენი აზრით, იერუსალიმთან ერთად სწორედ აქ, ბეთლემის შემოგარენში არსებულ ქართულ სამონასტრო კერაში უნდა ჩაჰყროდა საფუძველი; აქვე უნდა შესრულებულიყო პირველად ახლადშექმნილი ანბანის მეოხებით «საღმრთო წერილის» პირველი ქართული თარგმანებიც. რომ ყოველივე აღნიშნულს ადგილი IV ს-ის 80-იან წლებში უნდა ჰქონოდა, ეს ჩანს შემდეგი გარემოებიდანაც. 532-წლიან პასქალურ ციკლებზე დაფუძნებული ქრისტიანული ქრონოლოგიის ქართული სისტემა - «დასაბამითგანი», როგორც ცნობილია, წარმოადგენს ისეთ კალენდარულ წელთაღრიცხვას, რომლის წლის დასაწყისად მოაზრებულია 25 მარტი. ქრისტიანულ სამყაროში ამ თარიღისადმი

ძველთაგანვე უდიდეს ყურადღებას იჩენდნენ; დასავლეთის ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენლების: იპოლიტე რომაელის, ტერტულიანის და ავგუსტინის მიერ ის იესუ ქრისტეს ჯვარცმის თარიღად იყო აღიარებული, ხოლო აღმოსავლეთის ეკლესიის მესვეურებს 25 მარტი (კვირა დღე) III ს-დან მოყოლებული იესუ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის მისტიური მოვლენის თარიღად ესახებოდათ; იმავდროულად ღმრთისმეტყველთა შორის ჩამოყალიბდა შეხედულება იმის შესახებაც, რომ ღმერთმა სწორედ 25 მარტს შექმნა სამყარო, რომ ამავე დღეს ახარა გაბრიელ მთავარანგელოზმა ქალწულ მარიამს «ღვთის სიტყვის» მომავალი ხორცშესხმის (განკაცების) ამბავი და რომ უშუალოდ «მეორედ მოსვლის» ჟამის დადგომის წინ უკანასკნელად სწორედ 25 მარტის კვირა-დღეს ექნებოდა ადგილი ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს. საინტერესოა, რომ III-IV სს.-ის ერთ-ერთი სექტა («მეათოთხმეტეტიანნი») მუდმივად აღნიშნავდა უფლის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს ყოველი წლის 25 მარტს, იმისდამიუხედავად, თუ კვირის რომელ დღეზე მოდიოდა ეს თარიღი ამა თუ იმ წლის ფარგლებში. იგივე 25 მარტის თარიღი ქრისტეს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით ფიგურირებს «კონსტანტინეპოლის 395 წლის კონსულთა სიაშიც» (იხ. 54:242). სამყაროს დასაბამიდან 5.539 წლის, ანუ ჩვ. წ. აღ-ის 31 წლის 25 მარტის კვირა-დღეს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაზე უთითებდა მის მიერ შექმნილ წელთაღრიცხვაში ბერი დიონისე მცირე (VI ს.); სამყაროს დასაბამიდან 5.550 წლის, ანუ ჩვ. წ. აღ-ის 42 წლის 25 მარტის კვირა-დღეს უფლის აღდგომის თარიღად აცხადებდა თავის დროზე ანიანოს ალექსანდრიელიც (დაახლ. ჩვ. წ. აღ-ის 400 წ.) და ა.შ. (იხ. 79:69). ერთი სიტყვით, ქართული ასომთავრული ანბანის შექმნისას, რა დროსაც მისი ავტორები წერითთან ერთად მას კალენდარულ ფუნქციასაც ანიჭებდნენ, თარიღი: «25 მარტი, კვირა-დღე», - დაკავშირებული ხარებისა და აღდგომის საუფლო დღესასწაულებთან, - საქრისტიანო სამყაროში საზოგადოდ კარგად ცნობილი და პოპულარული გახლდათ და ამდენად, შემთხვევითობასთან დაკავშირებული ნამდვილად არ ჩანს ის გარემოება, რომ ზემოდასახელებულმა პირებმა მათ მიერ შემუშავებული კალენდარული წელთაღრიცხვის ამოსავალ თარიღად სწორედ «25 მარტი, კვირა-დღე» შეარჩიეს. ღვთისმშობლის ხარების დღესასწაული საეკლესიო კალენდარში ოფიციალურად შეტანილი იქნა მას შემდეგ, რაც 354 წელს ქრისტიანულმა ეკლესიამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება ცალკე-ცალკე აღნიშნა ქრისტეს შობისა (25 დეკემბერი) და ნათლისღების (6 იანვარი) უძრავი დღესასწაულები, რომლებსაც ის ადრე ერთდროულად აღნიშნავდა. კერძოდ, საბერძნეთსა და აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში ქრისტეს შობას ნათლისღებასთან ერთად დღესასწაულობდნენ 6 იანვარს და მას «განცხადება» (ბერძნ. «ეპიფანია») ეწოდებოდა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა ქრისტეს გამოჩენას, როგორც შობის, ისე ნათლისღების ფაქტით. შობისა და ნათლისღების დღესასწაულების ერთად აღნიშვნის ძველი პრაქტიკა ბოლომდე იქნა შენარჩუნებული მხოლოდ სომხეთში, ხოლო იერუსალიმში ის ოფიციალურად, როგორც ფიქრობენ, V საუკუნის გასულს გაუქმდა. ქრისტეს შობის დღესასწაულის 25 დეკემბერს აღნიშვნის პრაქტიკა აღმოსავლეთის საქრისტიანო სამყაროში ოფიციალურად პირველად ჩნდება კონსტანტინეპოლში 376 წელს და შემდეგ ანტიოქიაში 386 წელს (იხ. 48:64-65). ჩვენთვის უფრო საყურადღებო შეიძლება იყოს უკანასკნელი თარიღი, რადგან, როგორც ფიქრობენ, განსახილველ პერიოდში ქართლის ეკლესია სწორედ ანტიოქიის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა (იხ. 61:15; 22:91-94 და სხვ.). გარდა ამისა, იმავე პერიოდში ქართული ანბანისა და საეკლესიო წელთაღრიცხვის მესამირკველები - დიდი ბაკური და გრი-ორმიზდიც ხომ ანტიოქიიდან არც ისე შორს, მეზობელ პალესტინაში იმყოფებოდნენ, ხოლო პირველი, როგორც უკვე დავრწმუნდით, ანტიოქიასაც

სტუმრობდა ხოლმე. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დიდი ბაკური, როგორც კეთილმსახური იმპერატორის - თეოდოსი I დიდის (379-395 წწ.) ერთგული სარდალი და თანამოაზრე, მთლიანად იზიარებდა «ღვთაებრივი ავგუსტოსის» რელიგიურ შეხედულებებს, რომლებიც თავის მხრივ თანხვედრაში იყვნენ იმპერიის ოფიციალური, ანუ ორთოდოქსული ეკლესიის მოთხოვნებთან. გარდა აღნიშნულისა, უთუოდ ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 386 წელს იქვე, ბეთლემში დამკვიდრდა დასავლეთის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე - ნეტარი იერონიმე (340/42-419/20 წწ.), რომელმაც «საღმრთო წერილის» ლათინურ თარგმანზე («ვულგატა») 382 წელს დაწყებული მუშაობა ფაქტიურად დაასრულა 390 წლისათვის სწორედ ბეთლემში, რომლის შემოგარენში ბაკურმა და გრი ორმიზდმა იმავე პერიოდში საფუძველი ჩაუყარეს ქართველთა ჩვენთვის ცნობილ მონასტერს, რომელიც თავის მხრივ ნახევარი საუკუნის შემდეგ პეტრე იბერმა და იოანე ლაზმა განაახლეს. ნეტარი იერონიმეს საკმაოდ გახმაურებულ ღმრთივსათნო საქმიანობას, ჩვენი აზრით, შეეძლო არამხოლოდ საგრძნობი გავლენის მოხდენა დიდი ბაკურისა და გრი ორმიზდის სურვილსა და ინიციატივაზე, არამედ გადამწყვეტი ბიძგიც კი მიეცა მათ მიერ «საღმრთო წერილის» ქართული რედაქციის შექმნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯებისათვის. მოკლედ, ჩვენ ამით იმის თქმა გვსურს, რომ ქართული ქრისტიანული დამწერლობის შექმნასა და მისი მეოხებით «საღმრთო წერილის» მშობლიურ ენაზე პირველად თარგმნის ფაქტს ადგილი საქართველოს ფარგლებს გარეთ, «წმინდა მიწაზე» ჰქონდა. ვფიქრობთ, დიდად არ შევცდებით, თუ ქართული ასომთავრულის შექმნის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს 386 წელთან გავავლებთ და აღნიშნულის საფუძველზე ქართული ქრისტიანული დამწერლობისა და წელთაღრიცხვის შექმნის მოვლენას ადგილს 386-390 წლებს შორის მივუჩენთ; საკითხის კვლევის ამ ეტაპზე დასახელებული მოვლენის ოპტიმალურ თარიღად შეგვიძლია 387 წელი გამოვაცხადოთ (ამასთანავე, აღნიშნული დასკვნა არ გამორიცხავს იმგვარ შესაძლებლობასაც, რომ ქართული ეროვნული დამწერლობისა და წელთაღრიცხვის შემუშავების პროცესს უკვე 381-383 წლებში კონსტანტინეპოლში გამართული II მსოფლიო საეკლესიო კრების დამთავრებისთანავე მისცემოდა ბიძგი და შესაბამისად, ქართული ასომთავრულიც ზემოდასახელებულ თარიღზე ერთი-ორი წლით ადრე იყოს შექმნილი - ბ.ხ.). გაგვაჩნია დამატებით სხვა არგუმენტებიც, რომლებიც აღნიშნული თვალსაზრისის მართებულობას დაადასტურებენ.

ზემოთ ჩვენ «კირიოპასხა» შემთხვევით არ გვიხსენებია. მართალია, ხარება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა უძრავი ქრისტიანული დღესასწაულია, საუფლო პასექი (აღდგომა) კი მოძრავი, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ეს ორი უდიდესი საეკლესიო დღესასწაული ერთმანეთს ემთხვევა ხოლმე, რასაც ბერძნულად «კირიოპასხა», ანუ საუფლო პასექი ეწოდება და რაც, თავის მხრივ, იმის აშკარა მინიშნებას წარმოადგენს, რომ აღდგომის მისტიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა 25 მარტს, კვირა-დღეს. ქართულ საეკლესიო წელთაღრიცხვაში ქრისტეს აღდგომის სიმბოლურ დროდ მონიშნული იყო დასაბამიდან 5.635-ე წელი, ანუ ქორონიკონით XI მოქცევის 315-ე წელი, რაც ჩვ. წ. აღ-ის 31 წლის 25 მარტის (კვირა-დღე) თარიღს ეთანადება (იხ. 44:162). ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამ დროს ხარებისა და აღდგომის დღესასწაულთა ბედნიერ დამთხვევასთან, ანუ «კირიოპასხა»-სთან გვაქვს საქმე. მსგავსი თანხვედენაა ანთანოს ალექსანდრიელის მიერ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისათვის შერჩეული თარიღის - ჩვ. წ. აღ-ის 42 წლის 25 მარტის - შემთხვევაშიც და ჩვ. წ. აღ-ის I ს-ის F ფარგლებში კიდევ ერთხელ - 53 წლის 25 მარტს. ქორონიკონულ პასქალურ ციკლებზე დაფუძნებული ქართული «დასაბამითგანი» წელთაღრიცხვის შემთხვევაში აღნიშნული სამიდან ერთადერთი მისაღები თარიღი მხოლოდ ჩვ. წ. აღ-ის

31 წლის 25 მარტის კვირა-დღე იყო. ამასთანავე, სამყაროს არსებობის ხანგრძლივობა ქრისტიანთა შორის იმ დროს (III-IV სს.) გავრცელებული წარმოდგენის შესაბამისად ქართული ანბანისა და წელთაღრიცხვის შემქმნელებს, როგორც ითქვა, განსაზღვრული ჰქონდათ 6.000 წლით. მაშასადამე, ისინი ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულის უკანასკნელად აღნიშვნას წინასწარმეტყველებდნენ სამყაროს არსებობის «უკანასკნელი», 5.999 წლის 25 მარტის კვირა-დღეს, ანუ მათ მიერვე შემუშავებული 5.600 და 5.604-წლიანი წელთაღრიცხვის სისტემებით რომ ვიხელმძღვანელოთ, ჩვ. წ. აღ-ის 399 და ჩვ. წ. აღ-ის 395 წელს. უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩვ. წ. აღ-ის 395 წლის 25 მარტი არის კვირა-დღე და რაც უფრო საგულისხმოდ მიგვაჩნია, ამ დროს ადგილი აქვს სწორედ «კირიოპასხას» - საუფლო პასექს!!! ჩვ. წ. აღ-ის IV ასწლეულში, ნიკეას საეკლესიო კრების (325 წ.) შემდგომ პერიოდში ეს გახლავთ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ხარებისა და აღდგომის დღესასწაულების ერთმანეთთან დამთხვევას აქვს ადგილი; მომდევნო «კირიოპასხა» 479 წლის 25 მარტის (კვირა) თარიღს თანხვდება. აღნიშნული ფაქტის უბრალო შემთხვევევითობად მიჩნევის შესახებ აზრის დაშვება, ჩვენი აზრით, დიდი უსამართლობა იქნებოდა. გარდა ამისა, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვის შემქმნელებმა «მეორედ მოსვლის» საათის დაწყება ქრისტეს შობიდან IV ასწლეულის ბოლო წლებით განსაზღვრეს. მართალია, ქრისტიანთა მოძულე იმპერატორ იულიანე «განდგომილის» (361-363 წწ.) უდროო, ტრაგიკულმა სიკვდილმა წარმართობა ერთგვარად წელში გატეხა, მაგრამ მისი მიმდევრები და ლიბანიოსის მსგავსი წარმართი სოფისტების მოწაფეები იულიანეს შემდგომაც არ თმობდნენ წარმართობის აღდგენის სანუკვარ ოცნებას. კერძოდ, როგორც ირკვევა, მათ შორის იმ დროს ფართოდ ყოფილა გავრცელებული რწმენა იმის შესახებ, რომ მათი ძველი ღმერთები მალე უნდა გაცოცხლებულიყვნენ და ქრისტეზე გაემარჯვათ. წარმართი მისნები ხალხში ავრცელებდნენ ვითომცდა ძველ წინასწარმეტყველებას, რომლის თანახმად, - მათი აზრით, პეტრე მოციქულის ჯადოქრობათა შედეგად, - ქრისტიანთაგან მოპოვებული ყველა წარმატება, IV ასწლეულით უნდა დასრულებულიყო და ჩვ. წ. აღ-ის მე-400 წელი უნდა აღნიშნულიყო ქრისტიანობის სამარცხვინო დაცემითა და წარმართობის სრული ზეიმით. ხალხის ბნელი მასები, მიდრეკილნი ყოველივე გასაიდუმლოებულისაკენ, არცთუ აუღელვებლად ელოდნენ ხსენებული საუკუნის დასასრულს. იმპერატორები - არკადიუსი და განსაკუთრებით კი, ჰონორიუსი - ენერგიული ზომებით აქარწყლებდნენ წარმართთა აღნიშნულ ბრმა ოცნებებს (იხ. 36:62). ნაკლებად საეჭვოა ის, რომ ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვის IV ს-ის 80-იანი წლების შუახანებში შემუშავების ფაქტი პირდაპირ კავშირშია აღნიშნულთან. დიდმა ბაკურმა და გრი ორმიზდმა წარმართული საზოგადოების ზემოხსენებული «წინასწარმეტყველების» საპირისპიროდ IV ასწლეულის გასულს ქრისტეს «მეორედ მოსვლის» მისტიური მოვლენის საათის დაწყებაზე მიუთითეს, საიდანაც, სხვათა შორის, თვალნათლივ ჩანს ისიც, თუ რა დროის მოვლენაა ქართული დამწერლობის შემოღება და როგორი მსოფლმხედველობისანი იყვნენ მისი შემქმნელები.

სპეციალურ ლიტერატურაში ერთხანს გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ 532-წლიანმა პასქალურმა ციკლმა, რომელიც საფუძვლად უდევს ქართულ საეკლესიო წელთაღრიცხვას, ჩვენში მხოლოდ VIII ს-ის II ნახევარში მოიკიდა ფეხი. დავათის ქვასვეტზე (VI ს.) რიცხვის «5.320» დამოწმების ფაქტმა, ვგონებთ, ცხადყო ის გარემოება, რომ ქორონიკონული წელთაღრიცხვა ქართული ეკლესიის მიერ გაცილებით ადრე იქნა შემოღებული (იხ. 3; 76:134, 141-142; 39:53). ამჟამად უკვე გამორკვეულია ის, რომ აღნიშნული ციკლის დაფუძნება III ს-ის ცნობილი ქრისტიანი პასქალისტის - ანატოლი

ლაოდისკელის დამსახურებაა, მაგრამ V ს-მდე ის ფართოდ არ ყოფილა ცნობილი; მასზე ყველაზე ადრინდელი მინიშნებები დაკავშირებულია V ს-ის საეკლესიო მოღვაწეების - ანიანოს ალექსანდრიელისა და ვიქტორიუს აქიტანელის სახელებთან (26:108). «დიდი ინდიქტიონის» სახელით ცნობილი 532-წლიანი ციკლი პასქალურ გამოთვლებში რომ მანამდეც გამოიყენებოდა, ამას ნიკეას 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრების მასალებიც ცხადყოფენ. სხვათა შორის, იგივე ციკლი გამოუყენებია VI ს-ში ეროვნული წელთაღრიცხვის რეფორმირების პროცესში (რომელიც ადგილობრივი ეკლესიის პასქალიის მოწესრიგების მიზნით ჩატარდა) სომხეთის ქრისტიანულ ეკლესიასაც (53:42-44).

მათემატიკოსებმა ნ.კანდელაკმა და გ.ცერცვაძემ არგუმენტირებულად ცხადყვეს ის გარემოება, რომ ქართული დასაბამიდან «მეორედ მოსვლამდე» განვლილი დროის ხანგრძლივობის ძირითადი საზომი ერთეული - 532 წელი არის მეგობრული რიცხვების პითაგორას წყვილისა («220» და «284») და სრულყოფილი რიცხვის «28» არითმეტიკული ჯამი, რაც წარმოადგენს ცნობილი ბიბლიური იდეის უშუალო განვითარებას, რომლის მიხედვით სამყაროს ექვს დღეში შექმნა რიცხვის «6» სრულყოფილობითაა განპირობებული (42:145). მათემატიკოსთა ხსენებულმა დუეტმა ერთი მეტად საყურადრებო დასკვნაც გააკეთა, რომლის თანახმად დიონისე მცირემ თავისი წელთაღრიცხვის ეპოქის დადგენისას ისარგებლა «ქართველი ანონიმი კომპიუტისტის» მიერ ჩატარებული გამოთვლებით და ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის მოკლე ვადიანი კონცეფციით (42:146). მაშასადამე, VI ს-ის I ნახევარში ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვა არათუ არსებობდა, არამედ იგი ცნობილი ყოფილა გარე სამყაროშიც. ამდენად, შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ შემდგომში, VIII ს-ის გასულს ქართულ წერილობით ძეგლებში უკვე ვხედავთ წელთაღრიცხვის აღნიშნულ სისტემას, თუმცა მისი სხვა მსგავსი სისტემებისაგან (მაგ. ბიზანტიური, იერუსალიმური, ალექსანდრიული და ა.შ.) განსხვავებულობის მიზეზი X ს-თვის ჩვენში უკვე აღარ სცოდნიათ. ყოველ შემთხვევაში, იოანე-ზოსიმე საბაწმინდელ-სინელს (905-990 წწ.) მის ცნობილ ტრაქტატში «გამოძიებისათვის ჟამთა და წელთა» ქართულ და იერუსალიმურ წელთაღრიცხვებს შორის არსებული 112-წლიანი სხვაობის ფაქტი «ვისისაგანმე მოცთუნებითა»-ს საფუძველზე აუხსნია (იხ. *პ.ინგოროყვა. თხზ. კრებული შვიდ ტომად*, ტ. III, თბ., 1965:215). XIII ს-ის მოღვაწე აბუსერიძე ტბელი კი წერდა შემდეგს: «რასა მიზეზისათვის უმეტესთა წელთა თუალვენ სოფლის დასაბამითგან ქართველნი?...იგი სისულელისა ჩუენისათვის გასაგონებელად საჭირო უჩნდა წმიდათა ღმრთისათა...» (47:337). მართლაც დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ხსოვნა ადგილობრივი ქრისტიანული წელთაღრიცხვის შემოღების, ავტორისა (ავტორთა) და საერთოდ, რაობის შესახებ ქართულ საეკლესიო წრეებში X ს-ისათვის პრაქტიკულად აღარ არსებობდა, ისევე, როგორც აღარ იყო ან ყოველ შემთხვევაში, იმ დროს უკვე ფრიად გაბუნდოვნებული გახლდათ ხსოვნა ქართული ასომთავრული ანბანის შემქნელთა და «საღმრთო წერილის» პირველი მთარგმნელების შესახებ. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სამივე აღნიშნული მოვლენა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და შესაბამისად ამისა, ერთადვეა მათი ხსოვნა მიმქრალი. მაგრამ რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ჩვენამდე მოღწეულ V-VII სს-ის ქართულ წერილობით ძეგლებში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ დავათის ქვასვეტს - ბ.ბ.) ვერსად ვხვდებით წელთაღრიცხვის ქართული სისტემების გამოყენების კვალს? ხომ ძნელი წარმოსადგენია ისეთი აზრის დაშვება, რომ ის, რაც VI ს-ის I ნახევარში ცნობილი იყო რომის პაპის არქივარიუსიად მყოფ დიონისე მცირესათვის, უცნობი იყო საკუთრივ იბერიის საეკლესიო წრეებისათვის? მაშინ რა ვუყოთ დავათის ქვასვეტის მონაცემებს, ანდა იმ ფაქტს, რომ წელთაღრიცხვის ხსენებული სისტემები VIII

ს-ის გასულს უკვე გამოყენებული ჩანს იმავე წერილობით ძეგლებში? ამ კითხვებზე პასუხების ძიებისას ბუნებრივად იბადება აზრი იმის შესახებ, რომ ბაკურისა და გრი ორმიზდის მიერ შემუშავებულ საეკლესიო ქრონოლოგიას უკვე V ს-შივე არ ჰქონდა პრაქტიკაში ფართო გამოყენება, რისი არაუკანასკნელი მიზეზი შეიძლება მის «შეცთომილებაში» მდგომარეობდეს. როგორც უკვე გვქონდა ზემოთ აღნიშნული, ქართული წელთაღრიცხვის შემქმნელებმა მისტიური «მეორედ მოსვლის» მოვლენა IV ს-ში ქრისტიანთა შორის გავრცელებული რწმენა-შეხედულების მიდევნებით სამყაროს დასაბამიდან 6.000 წელს, ანუ ჩვ. წ. აღ-ის 396 (ან ჩვ. წ. აღ-ის 400) წლისათვის იწინასწარმეტყველეს. ცხადია, აღნიშნული დროის დადგომას ქრისტეს «მეორედ მოსვლა» არ მოჰყოლია, ასომთავრულის შემოქმედთა მოლოდინი ამაო, იმედები კი ფუჭი აღმოჩნდა. ამასთანავე, უკვე IV ს-ის II ნახევარშივე ეკლესიის მამებს შორის გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც მორწმუნეებს მოუწოდებდნენ, რომ თავი შეეკავებინათ «მეორედ მოსვლის» დროის გამოძიებისაგან. ასე მაგალითად, წმ. კირილე იერუსალიმელი მორწმუნეებს აფრთხილებდა: «...ის (ე.ი. «მეორედ მოსვლის») დრო არავინ გამოიძიოთ ... და ნურც გაკადნიერდები, რომ დათქვა დრო, თუ როდის მოხდება მოსახდენი; თუმცა ნურც უდარდელად ჩათვლემ; «იფხიზლეთ», ამბობს ქრისტე...» (სწავლებანი, მ., 1991:228 რუს. ენაზე). ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) შემდგომ პერიოდში ორთოდოქსულმა ეკლესიამ კიდევ უფრო გაამკაცრა მოთხოვნები ქრისტიანობის წიაღში იმ დროისათვის არსებული როგორც არასწორი სწავლებების, ისე ცდომილებების მიმართაც. აღნიშნულის ფონზე, არ არის გამორიცხული, რომ ზემოხსენებული «შეცთომილება» გახდა კიდევ იმის მიზეზი, რომ ბაკურისა და გრი ორმიზდის კალენდარულ ქმნილებას V-VII სს-ის მანძილზე ადგილობრივ საეკლესიო წრეებში ფართო გამოყენება არ ჰქონდა. მაგრამ ქრისტიანული კალენდარული ქრონოლოგია და ასომთავრული ანბანი, როგორც ვიცით, ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. ჩნდება ეჭვი: ხომ არ გახდა წელთაღრიცხვის ქართული სისტემის ზემოაღნიშნული «შეცთომილება» ჩვენთვის საინტერესო მოვლენების (ანბანის შექმნა, «საღმრთო წერილის» თარგმნა) შემდგომში მიჩქმალვისა თუ დავიწყების ერთ-ერთი მიზეზი? თუ ეს ნამდვილად ასე იყო, მაშინ მხოლოდ სინანული შეგვიძლია გამოვხატოთ ადგილობრივი ეკლესიის მხრიდან ესოდენ მკაცრი და ერთი შეხედვით უსამართლო ვერდიქტის გამოტანის ფაქტის გამო. მაგრამ ის, რაც დღეს ჩვენ უსამართლო სიმკაცრედ შეიძლება მოგვეჩვენოს, განსახილველ პერიოდში ქრისტიანული ეკლესიის წიაღში წარმოშობილი სერიოზული კონფესიური უთანხმოების ფონზე სრულიად კანონზომიერად გამოიყურება. აქვე აუცილებელ მოვალეობად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ «შეცთომილება» (ე.ი. შეშლა, შეცდომა, ცდომილება; რუს. «ზაბლუჟდენიე»), რომელსაც ორთოდოქსული ეკლესია მუდამ ამხელდა, ერესად არ იყო მიჩნეული (მაგ., 381 წელს კონსტანტინეპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მამებმა «ხილიაზმის» სწავლება სწორედ «შეცთომილებად» გამოაცხადეს და არა ერესად. - ბ.ხ.). ამიტომ იოანე-ზოსიმესეული ის შეფასება, რომ ქრისტიანული წელთაღრიცხვის ქართული სისტემა «ვისისაგანმე მოცთუნებითა»-ს მიზეზით არის გაჩენილი, ზუსტად ასახავს საქმის ვითარებას. «შეცთომილება» საეკლესიო მამების მიერ ერესად არ ცხადდებოდა იმ მიზეზითაც, რომ მისგან დაზღვეული არ იყო ადრექრისტიანული ხანის და აგრეთვე შემდგომი პერიოდის არცერთი მეტნაკლებად ცნობილი საეკლესიო მოღვაწე. ერთი სიტყვით, მართლმადიდებლური ეკლესია ამხელდა სხვადასხვა სახის «შეცთომილებებს», მაგრამ, ამასთანავე, მკვეთრად ანსხვავებდა ამ უკანასკნელთ სულის დამღუპველი ერესებისაგან. ის ფაქტი, რომ ქართულმა ეკლესიამ მიიღო და «პირველითგან წმიდად თარგმნილად» გამოაცხადა ოთხთავის უძველესი, ე.წ. «ხანმეტი»

რედაქციები, უცვლელად მიიღო ბაკურისა და გრი ორმიზდის მიერ IV ს-ის ბოლოს შემუშავებული ორიგინალური საეკლესიო კალენდარული წელთაღრიცხვა და ასევე მიიღო მათი სწორუპოვარი ქმნილება - ქართული ასომთავრული ანბანიც, - ფაქტიურად, საეკლესიო დანიშნულების დამწერლობა, - ნათელი დასტურია იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო პირები ქართული ეკლესიის იმდროინდელ მესვეურებს მწვალებლებად არ მიაჩნდათ. სხვაგვარი ვითარება რომ გვქონოდა, VII ს-ში მაჰმადიანთაგან დაქცეული წმ. თეოდორე ტირონის სახელობის ქართული მონასტრის იატაკზე შემორჩენილ ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულ პირთა სახელებს - «ბაკურ»-სა და «გრი ორმიზდ»-ს, ორთოდოქსი მამები, უეჭველად, მანამდე მოსპობდნენ. დავათის ქვასვეტი და პალესტინაში ნაპოვნი აღნიშნული წარწერა, პირიქით, იმის ნათელ მოწმობად გამოდგება, რომ მთელი VI ს-ის განმავლობაში და VII ს-ის I ნახევარშიც ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი პირების ვინაობა და სახელები ფართოდ თუ არა, ქართულ საეკლესიო წრეებში მაინც ცნობილი იყო! ამასვე ემოწმება ის ფაქტიც, რომ «მოქცევაი ქართლისაის» VII ს-ის შუა ხანებში ჩამოყალიბებულ თუ რედაქტირებულ ქრონიკაში, განსხვავებით ლეონტი მროველის თხზულებისა, დიდი ბაკურის სახელი ქართლის მეფე «ბაკურ თრდატის ძის» სახით მოხსენიებულია. ეს დასკვნა მეტად ღირებულია იმ თვალსაზრისითაც, რომ სწორედ VII ს-დან ემოიხება ქართული ეკლესია მონოფიზიტობის გზაზე დამდგარ ძველ პარტნიორს - სომხეთის ეკლესიას (აგრეთვე, «სპარსულ» და «სირიულ» არაორთოდოქსულ ქრისტიანობასაც) და ბიზანტიურ მართლმადიდებლურ დიდ ოჯახს უერთდება. მხარეთა საბოლოო გამიჯვნის ფაქტი ოფიციალურად გაფორმდა მანაზკერტის 726 წლის საეკლესიო კრებაზე. ოდინდელი ერთმორწმუნე პარტნიორების გაყრას მოჰყვა არა მარტო ცხარე კამათი წმინდა დოგმატურ საკითხებზე, არამედ ძველი ორიგინალური წერილობითი წყაროების ორმხრივი რევიზიებიც. სავსებით დასაშვებია, რომ აღნიშნულ რევიზიებს შეეწირა კიდევ ჩვენთვის საინტერესო მოვლენების შესახებ არსებული ინფორმაციაც. ყოველ შემთხვევაში ასეთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობა არ არის გამორიცხული თუნდაც იმ გარემოების ფონზე, რომ **დიდი ბაკური, იყო პაპა ცნობილი მონოფიზიტი მოღვაწის - პეტრე იბერისა,** რომლის მიერ თავის დროზე ბეთლემის უდაბნოში განახლებულ ქართველთა მონასტერში, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, მთელი VI ს-ის მანძილზე მართლმადიდებელი ბერ-მონაზვნების გვერდით მონოფიზიტი მოწესენიც უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. ამის მიზეზი იყო მონოფიზიტობის მიმართ ის შემრიგებლური პლატფორმა, რომელზეც ე.წ. ზენონ-აკაკიუსის ჰენოტიკონის საფუძველზე იმხანად იდგა ქართული ორთოდოქსული ეკლესია (იხ. 5). მონოფიზიტური სამყაროსაგან ქართული ეკლესიის მკვეთრად გამიჯვნის შემდგომ, ეჭვგარეშეა, რომ ქართველ მონოფიზიტთა შრომებს ადგილობრივი საეკლესიო ცენტრის მხრიდან რევიზია არ ასცდებოდა; ზოგიერთი შრომა ორთოდოქსული მოთხოვნების შესაბამისად გადამუშავდა და ამრიგად გადაურჩა მოსპობას, უმრავლესი მათგანი კი, საფიქრებელია, აღნიშნულ რევიზიას შეეწირა. პეტრე იბერის ბიოგრაფის - იოანე რუფუსის თხზულებაში დაცული ზოგიერთი მინიშნებების საფუძველზე, შეგვიძლია ვიფიქროთ ის, რომ პეტრეს აღწერილი ჰქონდა მისი უახლოესი წინაპრების (მათ შორის, უპირველესყოვლისა, პაპამისის - დიდი ბაკურის) «ცხოვრება-მოღვაწეობანი». ეს ნავარაუდევია თხზულება, რომლის ექსცერპტები დაცულია იოანე რუფუსის თხზულებაში, უნდა ვიფიქროთ, მისი ავტორის (ანუ საკუთრივ პეტრე იბერისა და ცხადია, არა პაპამისის - დიდი ბაკურის!) მონოფიზიტობის მიზეზით ზემოხსენებულ რევიზიას შეეწირა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დიდი ბაკურის ზეობისდროინდელი ამბების შესახებ ცნობებს ჩვენ უმთავრესად V ს-ის სომეხ ავტორებთან და მონოფიზიტ იოანე რუფუსსთან ვნახულობთ.

თუკი ადგილობრივ მონოფიზიტ მწერალთა თხზულებების მოსპობა ქართულ ორთოდოქსულ ეკლესიას ადვილად ხელეწიფებოდა, იმავე კონფესიის მიმდევარ უცხოელ მწერალთა შრომებზე მას, ცხადია, ხელი არ მიუწვდებოდა. ის ფაქტი, რომ პეტრე იბერის უახლოეს წინაპართა «ცხოვრებაზე» რაიმე მითითება სხვა უცხოელ მწერლებთან არ გვხვდება, არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ასეთი თხზულება რეალურად არ არსებობდა. სამაგიეროდ ის შეიძლება მეტყველებდეს იმაზე, რომ **თავისი წინაპრების** (იქნებ, საერთოდაც და კონკრეტულად დიდი ბაკურისა?!) **«ცხოვრება» პეტრე იბერს დაწერილი ჰქონდა მხოლოდ მშობლიურ ენაზე** (ეს გარემოება შემდგომში ფრიად გააიოლებდა საკუთრივ საგულელებელი თხზულების «დაკარგვას». - ბ.ხ.) და სხვათა შორის, იმ გარემოებაზეც, რომ დიდი ბაკური მონოფიზიტური ეკლესიის კუთვნილი წმინდანი არასოდეს არ ყოფილა. ეს ბუნებრივიცაა იქედან გამომდინარე, რომ ბაკურის მოღვაწეობის პერიოდში მონოფიზიტობა ჯერ კიდევ არ იყო კონფესიურად ჩამოყალიბებული. საგულელებელ «ცხოვრებაში», სხვა დანარჩენთან ერთად, ცხადია, გარკვეული ადგილი ექნებოდა დათმობილი პეტრეს პაპის - დიდი ბაკურის ღვაწლსაც ქართული დამწერლობის შექმნის საქმეში. თავის დროზე აკად. ივ.ჯავახიშვილი წერდა: «არსებობდა თუ არა მაშინ ... რომელიმე თხზულება, რომელშიაც ამ საკითხზე ლაპარაკი შეიძლება ყოფილიყო, ძნელი სათქმელია»-ო (106:29). ამ, შეკითხვის ფორმით წარმოთქმულ სიტყვებზე, ჩვენი აზრით, პასუხი დადებითად უნდა გაეცეს.

საგულისხმოდ გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ ჩვენამდე არ არის მოღწეული V ს-ის I ნახევრის თანადროული არცერთი ორიგინალური ქართული თხზულება, არ არის ცნობილი არც იმ დროის რომელიმე ადგილობრივი წმინდანის ან მარტვილის სახელი. ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ორიგინალურ აგიოგრაფიულ თხზულებას, როგორც ცნობილია, იაკობ ხუცესის მიერ V ს-ის 70-იან წლებში დაწერილი «შუშანიკის მარტვილობა» წარმოადგენს, ხოლო ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი პირველი მარტვილი 457 წელს წამებული სპარსელი რაჟდენია. თქმა არ უნდა, დამაფიქრებელი ფაქტია, რომელიც სათანადო ახსნას მოითხოვს...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ საეკლესიო კალენდრის საკითხს. ცნობილია, რომ ქრისტიანული ეკლესიის კალენდარი ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში იულიუსის კალენდარს დაეფუძნა, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა აღმოსავლური და ელინური, ანუ ეგვიპტურ-ბაბილონურ-ბერძნული კულტურების კალენდარულ-ასტრონომიულ მიღწევებს და სარწმუნოების, მისტიური ხედვისა და მეცნიერული აზრის ურთიერთშეთანხმების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს (25:12). ამასთანავე, ეკლესიის წინაშე, რომელიც აერთიანებდა ხალხებს «ახალ ისრაელში», დაისვა ამოცანა გაეერთიანებინა და შეერიგებინა ამ ხალხთა წელთაღრიცხვები, გაეშუქებინა ისინი ახალი შინაარსით. ამიტომ ისარგებლა რა მათით, მან ჩამოაყალიბა თავისი განსაკუთრებული საეკლესიო კალენდარი. სწორედ გაერთიანებას და არა განსხვავებული ახლის შექმნას მოჰყვა საეკლესიო კალენდრის ფორმირება, რამაც ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის დროის შესახებ სახარებაში მოცემული საღმრთო სიმართლე შეარიგა კაცობრივ სინამდვილესთან, ანუ იმ ისტორიულ სინამდვილესთან, როდესაც იუდეველები ცხოვრობდნენ მთვარის კალენდრით, ელინები კი, საკუთარი, იულიუსის კალენდრის მიხედვით. IV ს-ის დასაწყისში შედგენილი ალექსანდრიული პასქალია, არსებითად, ეს არის ორი კალენდრის გაერთიანება: იულიუსის მზე-მთვარისა და იუდეური მთვარე-მზისა (79:44). ამდენად, სრულიად კანონზომიერია ის გარემოება, რომ ქართულ საეკლესიო-კალენდარულ წელთაღრიცხვაში მოჩანს მისი შემქმნელების მხრიდან წინაქრისტიანული ეპოქის მათემატიკური და ასტრონომიულ-კალენდარული მიღწევების ცოდნის ფაქტიც, რაც ზოგჯერ ზოგიერთი მკვლევრის მიერ შეცდომით

ქართული ეროვნული წელთაღრიცხვისა და ასომთავრული დამწერლობის დასახელებულ პერიოდში შექმნის დამადასტურებელ საბუთადაც არის გამოცხადებული (იხ. 7:339-483; 55:93-98; 43:157-168; 44:49-165; 45:180-190 და სხვ.). საკვირველი უფრო ის იქნებოდა, ქრისტიანულ ქართულ წელთაღრიცხვაში რომ მისი შემუშავების პროცესში გათვალისწინებული წინაქრისტიანული ეპოქის ძირითადი კალენდარულ-ქრონოლოგიური მიღწევები არ აღნუსხულიყო.

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მასალები იძლევიან იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა და მასზე «მორგებული» საეკლესიო წელთაღრიცხვა საბოლოოდ ჩამოყალიბდა 387 წლის მახლობლად, იმ დროს ბიზანტიაში მოღვაწე ორი ქართველი ქრისტიანი ბრძენკაცის - დიდი ბაკურისა და გრი ორმიზდის ძალისხმევით შედეგად. ამ მოვლენის კვალად იქვე უნდა ჩაჰყროდა საფუძველი «წმინდა წერილის» პირველ ქართულ რედაქციასაც. თავის დროზე აკად. კ.კეკელიძემ ქართული ანბანის შექმნის ისტორიის გამოკვლევის მცდელობასთან დაკავშირებით მაგალითად მოიყვანა წმ. იოანე ოქროპირის ერთ-ერთი ქადაგების ნაწყვეტი. კერძოდ, სიტყვაში, რომელიც კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსს 398 წელს წმ. პავლე მოციქულის სახელობის ტაძარში წარმოუთქვამს «საღმრთო წერილის» ფრაგმენტების გოთურ ენაზე გაჟღერების საპასუხოდ, ნათქვამია, რომ «არა მარტო ურიასტანში, არამედ ენასა ზედა უცხოსა, ვითარცა გესმა თქვენ დღეს, ის ბრწყინავს უაღრეს მზისა: სკვითნი, თრაკიელნი, სავრომატნი და სხვანი, კიდეთა ქვეყნისათა დამკვიდრებული, - ყველანი სიბრძნისმეტყველებენ, სთარგმნეს რა თვისითა ენითა იგივე სიტყვანი»-ო; სხვაგან კიდევ, ამჯერად იოანე ღმრთისმეტყველის მოძღვრებასთან მიმართებაში იგივე ღმერთშემოსილი მამა ამბობს: «ასურთა და მეგვიპტელთა, ინდოთა და სპარსთა, ეთიოპიელთა და სხუათა მრავალთა უფუნურთა იწყეს სიბრძნის მეთყველებად, სთარგმნეს რა საკუთართა ენითა გარდმოცემული მის მიერ (ე.ი. იოანე ღმრთისმეტყველის) მოძღვრება»-ო (იხ. 106:194). აღნიშნული მაგალითები კ.კეკელიძემ იმის მოწმობად მიიჩნია, რომ თითქოსდა, ქართველებს IV ს-ის ბოლოსთვისაც კი ჯერ კიდევ არ გააჩნდათ თავის ენაზე მწერლობა და მაშასადამე, ეროვნული ანბანიც. მეცნიერის აზრს სამართლიანად არ დაეთანხმა აკად. ი.ჯავახიშვილი, რომლის აზრით: «იოანე ოქროპირს ვერ მოვახვევთ თავზე იმ შეცდომას, რომელიც მისი სიტყვებიდან არ გამომდინარეობს და ამ ცნობით ვერასგზით ვერ დამტკიცდება ის აზრი, ვითომც ქართული დამწერლობა V ს. პირველ მეოთხედამდე არ ყოფილიყოს» (106:195-196). ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ცნობები ირიბად მაინც უნდა ადასტურებდნენ იმ თვალსაზრისის მართებულობას, რომ ქართულ დამწერლობას საფუძველი IV ს-ში ჩაეყარა და წმინდა მამის სიტყვებიდან მოყვანილ ციტატებში მხოლოდ რიტორულ ენაწყლიანობასთან არ უნდა გვქონდეს სინამდვილეში საქმე, როგორც ეს აკად. ი.ჯავახიშვილს მიაჩნდა (106:195). მართალია, წმ. იოანე ოქროპირი იბერიელებზე (ქართველებზე) კონკრეტულად არ მიუთითებს თავის სიტყვაში, მაგრამ საგულისხმოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მისთვის 398 წლის მდგომარეობით უკვე ცნობილია სხვადასხვა ხალხების («სხვანი, კიდეთა ქვეყნისათა დამკვიდრებული», «სხვათა მრავალთა») მიერ მშობლიურ ენაზე «საღმრთო წერილისა» და წმინდა სახარებათა თარგმნის ფაქტების შესახებ. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ IV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში იბერია (ქართლის სამეფო) სპარსეთის იმპერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფ სუსტ ერთეულს წარმოადგენდა, რომლის სამეფო ხელისუფლება და ტერიტორია მოცემულ პერიოდში ერთხანს ორადაც კი იყო გახლეჩილი. ამდენად, იმდროინდელ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ადვილი შესაძლებელია, რომ იბერიის სახელმწიფოს, როგორც უმნიშვნელო ერთეულის სახელი პრაქტიკულად აღარც

იკითხებოდა. ცხადია, არც ის შესაძლებლობაა მთლიანად გამოსარიცხი, რომ წმ. იოანე ოქროპირის ზემოხსენებულ სიტყვებში ჩამოთვლილი ზოგიერთი ხალხის (მაგ., სავრომატების) სახელის ქვეშ მოცემულ კონტექსტში რეალურად იბერიელთა ტომი იგულისხმებოდეს. მსგავსი მაგალითები ხომ მრავლად გვხვდება ძველ წერილობით წყაროებში?!

ამასთანავე, იოანე ღმრთისმეტყველის მოძღვრების თარგმანების შესახებ მისეული ცნობა ჩვენთვის იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ როგორც მათემატიკოსებმა - ნ.კანდელაკმა და გ.ცერცვაძემ ნათელყვეს ეს, ქართულ 37 ნიშნიან ასომთავრულ ანბანში იგრძნობა იოანეს გამოცხადების ტექსტის გავლენა; მათი სიტყვით, ანბანში «37-ე ასონიშნის შემოღების ავტორი უთუოდ შთაგონებული იყო იოანეს გამოცხადებით» (44:163). ქართული ასომთავრული ანბანი იმთავითვე 37-ნიშნიანი დამწერლობის სისტემა იყო (35 ფონემა და 2 ეპისემონი) და ამდენად, «იოანეს გამოცხადების ტექსტით შთაგონებული პირი» რეალურად ქართული ანბანის მესამირკვლე შეიძლება ყოფილიყო და სხვა არავინ! ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებში მოცემული ინფორმაცია ჩვენ შეგვიძლია იმის კიდევ ერთ ირიბ მოწმობად მივიჩნიოთ, რომ ქართული ანბანის შექმნისა და შემდგომ მისი მეშვეობით ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ქართულ ენაზე გადმოღების ფაქტებს ადგილი ჰქონდა 398 წლის წინარე პერიოდში. დიდი ბაკურის აღნიშნულ მოვლენებთან მიმართების კიდევ ერთი ირიბი ხასიათის მოწმობაა პეტრე იბერის ბიოგრაფ იოანე რუფუსთან დაცული ერთი აქამდე საკამათოდ ქცეული ცნობა, რომლის თანახმად, დიდი ბაკური იბერთა «ქვეყნის მმართველთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო, რომელმაც მთელი ხალხი ღვთისმომშიშობამდე მიიყვანა» (96:80-81; 37:248). ამ ცნობის საწყისი ნაწილი იმავე წყაროში სხვა ადგილზეც გვხვდება. აქედან ჩანს, რომ იოანე რუფუსს დიდი ბაკურის ღვაწლთა შორის, უთუოდ პეტრეს გავლენით, აღნიშნული ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიუჩნევია, თუმცაღა, ინფორმაცია მის შესახებ რატომღაც ძუნწად, მეტად ლაკონიურად აქვს გადმოცემული. აღნიშნულ ცნობას იმთავითვე ხვდა მეცნიერ-მკვლევართა გამორჩეული ყურადღება. ზოგიერთმა მათგანმა მასში დიდი ბაკურის სახით ქართლის მოქცევის თანამედროვე პიროვნება - ბაკურ მირიანის ძე დაინახა, რისი საფუძველიც რეალურად არ არსებობს. იოანე რუფუსისეული «დიდი ბაკურიოსი» ცალსახად არის პეტრე იბერის დედის მამა და მისი გაიგივება IV ს-ის I ნახევარსა თუ შუა ხანებში მოღვაწე სეხნია მეფესთან შეუძლებელია, პირველყოვლისა, სწორედ ქრონოლოგიური შეუსატყვისობის მიზეზით. ა.ბოგვერამე ფიქრობდა, რომ იოანე რუფუსის აღნიშნული ცნობა პეტრე იბერის ზეპირმონათხრობის რაღაც დამახინჯებულ და ბუნდოვან გადმოცემას უნდა ემყარებოდეს (13:64). ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ იმ შესაძლებლობას, რომ იოანე რუფუსის თხზულების ბერძნულ ენაზე შესრულებულ დედანში ყველაფერი უფრო გარკვევით ეწერა და რომ აღნიშნული ცნობის საწყისი ვარიანტი ტექსტის ასურულ თარგმანში დამახინჯებულად იყოს წარმოდგენილი. მაგრამ რადგან საეჭვო არ არის ის, რომ ცნობა პეტრე იბერის პაპას - დიდ ბაკურს, იგივე ბაკურ საურმაგის (თრდატის) ძეს ეხება, უნდა აიხსნას ის გარემოება, თუ რა შემთხვევაში შეიძლება დიდი ბაკური აგიოგრაფს მიეჩნია ქართველ ხელისუფალთა შორის პირველ ქრისტიან მეფედ, ვინც შეძლო მთელი იბერიელი ხალხის ღვთისმომშიშობამდე მიყვანა. მოცემულ კითხვაზე პასუხი, წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ დამოწმებული მრავალფეროვანი მასალის გათვალისწინებით, მხოლოდ ერთი შეიძლება რომ იყოს: დიდი ბაკური პეტრე იბერის ბიოგრაფს - იოანე რუფუსს ნამდვილად შეეძლო მიეჩნია ქართლის სამეფოს მმართველთა შორის პირველ ქრისტიან მეფედ, არა ამ ცნების პირდაპირი გაგებით, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ ის იყო პიროვნება და ქვეყნის

უზენაესი ხელისუფალი, რომელმაც ქართული ქრისტიანული დამწერლობის - «ასომთავრული ანბანის» პრაქტიკაში დანერგვის გზით (რაც თავის მხრივ პერსპექტივაში გულისხმობს «საღმრთო წერილის» ქართულად გადმოღებასა და მის კვალად კანონიკური საეკლესიო მღვდელმსახურების იმავე ენაზე დაფუძნებასაც) მშობლიური ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის ფართო ფენები მიიყვანა ჭეშმარიტ ღვთისმომშიშობამდე !!! აღნიშნულ ისტორიულ მომენტამდე, ქართულენოვანი საეკლესიო ლიტურგიისა და მისთვის აუცილებელი ქრისტიანული ლიტურატურის (ოთხთავი, მოციქულთა საქმენი, ფსალმუნი და ა.შ.) ქართულ ენაზე არარსებობის პირობებში, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ქრისტიანული რელიგიის დოგმა-კანონები თუ სრულიად არა, ნაკლებად გასაგები მაინც უნდა ყოფილიყო. როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), ქრისტიანობაზე წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შემდგომ მახლობელ ხანებში ადგილობრივ ეკლესიაში ღვთისმსახურებისას თავდაპირველად ბერძნულენოვანი საღმრთო წიგნები გამოიყენებოდა, რა დროსაც ბერძნული ტექსტის წაკითხვის შემდეგ საგანგებო მთარგმნელი მას ქართულ ენაზე თარგმნიდა (110:13-14). ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ის, თუ რა სიმძნელებთან იყო ამგვარი პრაქტიკა დაკავშირებული და რამდენად არაეფექტური გახლდათ იგი ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენების სრულფასოვანი ქრისტიანიზაციისათვის. აღნიშნულის ფონზე იოანე რუფუსის აზრობრივად არცთუ ისე უზადოდ გამართული ცნობა ეხმიანება V ს-ის სომეხი ავტორის - კორიუნის იმ ჩვენებას, რომლის თანახმად საკუთარი ორიგინალური დამწერლობების შემოღებისა და მის კვალად «საღმრთო წერილის» მშობლიურ ენებზე თარგმნის შედეგად ქართველები, კავკასიის ალბანელები და სომხები ჭეშმარიტად ეზიარნენ ქრისტიანობას, თუმცა კი, ფორმალურად ისინი ამ მომენტამდეც ითვლებოდნენ იგივე რჯულის აღმსარებელ ხალხებად, ანუ სომეხი მემატეანის - ფავსტოს ბუზანდის მიერ თანამემამულეებზე (ე.ი. სომხებზე) ნათქვამ სიტყვებს რომ დავესესხოთ, თავდაპირველად მათ **«მხოლოდ სახელი მიიღეს ქრისტიანისა»**. შინაარსობრივი თვალსაზრისითაც შესაძლებელია, რომ გარკვეული პარალელი გაივლოს კორიუნისა და იოანე რუფუსის ცნობებს შორის. კერძოდ, თუკი კორიუნი ამბობს, რომ მეფე ბაკურის ბრძანებით ქართლის სამეფოს სხვადასხვა მხარეებში განივრცო ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა ღვთის დიდება დაიწყეს, იოანე რუფუსის სიტყვით, - მეფე დიდმა ბაკურმა ჭეშმარიტ ღმრთისმომშიშობამდე მიიყვანა ქართლის სამეფოს მთელი მოსახლეობა. სხვაობა აქ იმაში მდგომარეობს, რომ კორიუნთან უფრო ადრე ქართული ანბანის შექმნის მოვლენაზეც არის საუბარი, ხოლო იოანე რუფუსსთან, საკითხის გარშემო ჩვენი ამჟამინდელი ცოდნის ფონზე, იგივე მოვლენა უბრალოდ ნაგულისხმებია. საინტერესოა, რომ ძველი სომხური საისტორიო ტრადიცია სომხური ქრისტიანული დამწერლობის შემქმნელ მესროპ-მამტოცს გრიგოლ განმანათლებლის საქმის გამგრძელებლად და განმაახლებლად, წარმართი ხალხების ქრისტიანობაზე მომქცევად, ქრისტიანობის მქადაგებლად და მოციქულებრივი ღვაწლის მქონე პიროვნებად აცხადებს. ერთი ძველი (VII ს.) სომხური წერილობითი წყაროს ცნობით, მამტოცმა სომხეთში «გრიგოლის მოძღვრების წესი აღადგინა» (იხ. 83:300-305); კორიუნის სიტყვით კი, მამტოცმა წარმართი მოსახლეობა აზიარა «ღმრთისაგან ბოძებულ სიბრძნეს» (56:186). აღნიშნულის ფონზე მიუღებელი აღარ უნდა იყოს ჩვენი ის თვალსაზრისიც, რომლის თანახმად «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი»-ს ავტორი ქართული ანბანის შემქმნელებს წმ. ნინოს მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებელ თუ განმაახლებელ პიროვნებებად წარმოგვიდგენს, ერთ-ერთ მათგანს კი, სიმბოლურად «ახალი ნინოს» სახელწოდებითაც ამკობს. ეროვნული მწიგნობრობის დამფუძნებელთათვის ასეთი ღვაწლის მიკუთვნებას უეჭველად აპირობებდა მათ მიერ «ღმრთის სიტყვის» (წმინდა

სახარებათა) მშობლიურ ენაზე გადმოღების ფაქტი (იხ. 102:111). გავიხსენოთ ქართული საისტორიო ტრადიციაც მეფე ბაკურის (ლეონტი მროველთან დიდი ბაკურის ეს ღვაწლი, როგორც უკვე ავღნიშნეთ ზემოთ, შეცდომით მიწერილი აქვს მირიანის ძე ბაკურს - ბ.ბ.) მიერ უმრავლესი მთიელების ქრისტიანობაზე მოქცევის შესახებ და სრულიად აშკარა გახდება ის, რომ იოანე რუფუსის ზემოაღნიშნულ ცნობაში ირიბად არის მინიშნებული დიდი ბაკურის ღვაწლზე ქართული ანბანის შექმნის გზით «წმინდა წერილის» მშობლიურ ენაზე გადმოღების საქმეში, რასაც, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა იბერიის მოსახლეობის ფართო ფენების «ჭემმარიტ ღვთისმომიშობამდე» მიყვანის ფაქტი. სწორედ აღნიშნულით უნდა აიხსნას იოანე რუფუსსთან დამოწმებული მეფე ბაკურის კუთვნილი ეპითეტი «დიდი», რომლითაც ადრექრისტიანულ ეპოქაში, როგორც წესი, ის პიროვნებები იწოდებოდნენ, ვისი ღვაწლიც ქრისტიანული ეკლესიის წინაშე განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსი გახლდათ. რომის იმპერიის ხელისუფალთა შორის დასახელებული მიზეზით ასეთი ეპითეტი დაიმსახურეს თავის დროზე კეთილმსახურმა მეფეებმა: კონსტანტინე I-მა (306/24-337 წწ.), თეოდოსი I-მა (379-395 წწ.), იუსტინიანე I-მა (527-565 წწ.) და სხვ. ექვსგარეშეა, რომ ბაკურის ეპითეტიც «დიდი» იმავე შინაარსობრივი ჟღერადობისაა. ამიტომ ჩვენთვის საინტერესო პირი შემდგომში თანაბრად შეგვიძლია მოვიხსენიოთ როგორც «დიდი ბაკურის», ისე «ბაკურ დიდის» სახელითაც.

ზემოთ აღნიშნულის შემდეგ საჭიროდ ვთვლით კიდევ ერთხელ განვიხილოთ მესროპ-მამტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების სომხური ვერსია, რომელიც აღნიშნულ მოვლენას ადგილს ქრისტიანულ ეპოქაში უძებნის. თავის დროზე ეს ვერსია აკად. ივ.ჯავახიშვილმა ძირშივე ნაყალბევად მიიჩნია; მისი შენიშვნით, მამტოცის მოწაფე ლაზარ ფარპეცი, რომელიც თავის თხზულების შედგენისას კორიუნის წყაროს ეყრდნობოდა, მამტოცს მხოლოდ სომხური ანბანის შემქმნელად ასახელებდა. სამართლიანად აღნიშნა რა კორიუნის თხზულებაში არსებული ზოგიერთი ანაქრონიზმისა და თხრობის არათანმიმდევრულობის თვალშისაცემი ფაქტები შესახებ, აკად. ი.ჯავახიშვილმა ცნობა ქართული ანბანის გამოგონების შესახებ კორიუნის თხზულების ტექსტში VI ს-ის ბოლოს ჩამატებულად გამოაცხადა (106:403-411). მოგვიანებით ზ.ალექსიძემ «ეპისტოლეთა წიგნის» ცნობათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ზღვარი VIII ს-ის დასაწყისამდე მიიტანა (28:035, 042). მანვე უბტანესის თხზულებაში შეტანილი აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლეს ტექსტის მაგალითზე განამტკიცა აზრი იმის შესახებ, რომ ცნობა მამტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ «ეპისტოლეთა წიგნში» შეტანილია X ს-ის შემდეგ (83:293-303 და შმდ.). მამტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესაძლებლობა ენათმეცნიერული ხასიათის მყარი არგუმენტაციის ნიადაგზე კატეგორიულად გამორიცხა აკად. თ.გამყრელიძემაც (15:195 შენ.). ჩვენც გვქონდა შესაძლებლობა გამოგვეთქვა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ კორიუნის თხზულებაში მოყვანილი ცნობა ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ მნიშვნელოვნად არის შერყვნილი გვიანდელი პერიოდის რედაქტორ-გადამწერლის შეგნებული ქმედების შედეგად. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის ცნობების ურთიერთშეპირისპირების ნიადაგზე გამოვლენილმა პრინციპული ხასიათის ნიუანსობრივმა სხვაობებმა დაგვარწმუნა იმაშიც, რომ მესროპ-მამტოცის სახელი ასევე მოგვიანებით იქნა ქართული ანბანის შექმნის მოვლენასთან მიტმასნილი და რომ მისი პირველი სტუმრობა მცხეთაში (408 წლის ახლოს) დაკავშირებული იყო ქრისტიანული ლიტერატურის მთარგმნელობით საქმიანობაში დაგროვილი გამოცდილების მხარეთა შორის ურთიერთგაზიარების ბუნებრივ პროცესსთან და არა ქართული დამწერლობის გამოგონების ფაქტთან (იხ. 102:8-15).

თავის დროზე ლ.-ნ.ჯანაშია იზიარებდა აკად. ი.ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კორიუნის თხზულების ტექსტში არსებული ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონებაზე გვიანდელ ჩანართს წარმოადგენს, თუმცა მისივე სიტყვებით: «ეს არ ნიშნავს, რომ მასში არაფერი იყოს სწორი» (108:183 შენ. 280). «ამიტომ ამ ცნობის გამოყენება შესაძლებლად მიგვაჩნია, ცხადია, სათანადო კრიტიკული განხილვის შემდეგ»-ო, შენიშნავდა იქვე აღნიშნული მეცნიერი (108:183 შენ. 280). შეგვიძლია დავეთანხმოთ სომეხი მკვლევრის - პ.მურადიანის იმ შენიშვნასაც, რომ «რაგინდ კრიტიკულადაც არ უნდა შეფასდეს მესროპ-მაშტოცის ქართლში მისიის მიზანი, არ შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს მისი თანამოღვაწეებითურთ აქ ყოფნის თვითონ ფაქტი, რადგანაც ამ ამბების თხრობისას დასახელებული არიან რეალურ-ისტორიულ პირები, ქართლის მეფე ბაკური და ეკლესიის მეთაური მოსე, რომლებთანაც მას ჰქონდა ურთიერთობა» (69:16).

კორიუნის თხზულების ტექსტმა, როგორც ცნობილია, ჩვენამდე გვიანდელი ხელნაწერების სახით მოაღწია, რომელთაგან უძველესი XIV ს-ით თარიღდება. ამაზე ადრინდელი არ არის მოვსეს ხორენაცისა და მოვსეს კალანკატუაცის თხზულებათა ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებიც. აღნიშნულ წყაროებში თავდაპირველი ცნობების გადაკეთება-დამახინჯების არაერთი ფაქტია დაფიქსირებული, როგორც სომეხ, ისე უცხოელ მკვლევართა მხრიდან. წერილობითი წყაროების ცნობების გადაკეთება-დამახინჯებისა და შეგნებულად გაყალბების ფაქტებს რომ უკვე ადრეულ ეპოქაშივე ჰქონია ადგილი, ამას მოწმობს თუნდაც სომეხი მემატიანის - ლაზარ ფარპეცის (V-VI სს.) კრიტიკული დამოკიდებულება ფავსტოს ბუზანდის (IV-V სს.) თხზულების ტექსტის მიმართ. «...იქნებ ვინმე სხვამ კადნიერი და უმეცარი სიტყვით ურცხვად ხელი მოჰკიდა და შიგ ჩაწერა ზოგი რამ [თავისი] სურვილისაებრ, ან ვიღაცამ ვერ შეძლო რა შესაფერისად [დაეწერა], გადაასხვაფერა, გააფუჭა და საჭიროდ მიიჩნია ფავსტოსის სახელით დაეფარა თავისი თავხედობის შეცდომები. ეს კი ცხადად ჩანს ყველა მკითხველისათვის. რადგანაც არიან ზოგიერთები ბერძენთა, განსაკუთრებით კი ასურელთა შორის რომლებმაც ჩუმად ჩაიდინეს ასეთი უსირცხვილობა. უვიცმა და კადნიერმა კაცებმა თვითონაც დაწერეს ამაო და გამოუსადეგარი ამბები და შეურიეს ისინი მეცნიერ მსმენელთა წიგნებში»-ო, ნათქვამია დასახელებული სომეხი მწერლის თხზულების პირველ წიგნში (108:206). ცნობილი სომეხი მეცნიერის - ნ.აკინიანის დასკვნით, ლაზარ ფარპეცის ნაშრომის პირველი წიგნი ეკუთვნის VIII ს-ის I მეოთხედში მოღვაწე უცნობ ავტორს. მაშასადამე, ამის წინარე ხანებში უკვე ჰქონია ადგილი ძველი წერილობითი წყაროების ცნობების გადაკეთება-შერყვნის ფაქტებს. ამასთანავე, VIII ს-ის I მეოთხედშიაც კი არ არსებობდა კორიუნის თხზულების ისეთი რედაქცია, სადაც მესროპ-მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონებაზე იქნებოდა საუბარი (იხ. 28:042, 046). მაგრამ თუკი კორიუნის თხზულებაში ცნობა ქართული ანბანის შექმნის შესახებ მაინც იყო განთავსებული, ოღონდ, როგორც ამას ჩვენ ვფიქრობთ, მაშტოცის სახელთან დაუკავშირებლად, საკითხავია: იქნებოდა კი ვალდებული ლაზარ ფარპეცი ან მისი თხზულების პირველი წიგნის VIII ს-ის პირველ მეოთხედში მოღვაწე უცნობი ავტორი, რომ აღნიშნულ მოვლენაზე (ე.ი. ქართული ანბანის შექმნაზე) ესაუბრა? რა თქმა უნდა, არა. ინფორმაცია ქართული ანბანის შექმნის შესახებ მისი მესროპ მაშტოცის სახელთან დაკავშირების გარეშე ლაზარ ფარპეცისათვის სრულიად გამოუსადეგარი უნდა ყოფილიყო და ამ მიზეზით ის არც სარგებლობს მისით. ყალბისმქმნელთა იმგვარი ჩარევის ფაქტს, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, თავის დროზე ვერც კორიუნის თხზულება გადაურჩა. ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ნ.ადონცი პირდაპირ აღნიშნავდა კიდევ იმას, რომ საუკუნეთა მანძილზე «კორიუნის ნაშრომმაც განიცადა

რედაქციული გადამუშავება, და შემორჩენილი ვერსია არ შეიძლება ჩაითვალოს პირვანდელად» (4:341 შენ. 1). Kპ.პეტერსი იძულებული იყო ელიარებინა ის ფაქტი, რომ «ჭეშმარიტი კორიუნი» ძველ სომხურ მწერლობაში «შესაშური პატივით არ ყოფილა გარემოცული» !!! (იხ. 32:189).

მოკლედ, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ კორიუნის თხზულებაში არსებული ჩვენთვის საინტერესო ცნობა მოგვიანებით იქნა გადაკეთებულ-დამახინჯებული. ამასთანავე, აღნიშნული ცნობის უცნობ ინტერპოლატორს, ეტყობა, რაღაც არსებითი მოტივაცია უბიძგებდა იქეთკენ, რომ ზემოხსენებული სიყალბე ჩაედინა. კერძოდ, საფიქრებელია, რომ თავდაპირველ წერილობით ვერსიაში იყო მისთვის და საზოგადოდ, სომხური მხარისათვის რაღაც პრინციპულად მიუღებელი გარემოება, რომელიც თავის მხრივ იყო ალბათ იმის ერთ-ერთი მიზეზიც, რომ «ჭეშმარიტ კორიუნს» სომხეთში ძველად «შესაშური პატივით» არ ეპყრობოდნენ. კორიუნის თხზულების ამჟამად დაკარგულ დედანში ქართული ანბანის შექმნის შესახებ ინფორმაცია რომ არ ყოფილიყო, ცხადია, მოგვიანებით მისი გადაკეთების გზით გაყალბების აუცილებლობაც არ დადგებოდა დღის წესრიგში. უცნობი ინტერპოლატორის აღნიშნულ ქმედებას ხელი, ალბათ, იმ ვითარებამაც შეუწყო, რომ მის თანადროულ ქართულ მწერლობაში ასომთავრული ანბანის შექმნის ისტორიულ პერიპეტიების შესახებ ან უკვე სულ არაფერი უწყოდნენ, ან კიდევ, ინფორმაცია აღნიშნულ მოვლენაზე რაღაც განსაკუთრებული ვითარების მიზეზით ბუნდოვანი და უკვე ძნელად ამოსაცნობი იყო. უთუოდ დამაფიქრებელი ფაქტია ის, რომ V-X საუკუნეების ქართულ მწერლობაში ერთი სიტყვაც კი არ არის დაძრული, როგორც ეროვნული დამწერლობის შექმნის, ისე IV ს-ის ბოლოს ან V ს-ის დასაწყისში მაინც ძველი და ახალი ალთქმის ქართულად გადმოღების შესახებ, რომელთა არსებობის ფაქტები IV-V სს-თა მიჯნაზე არანაირ ეჭვს არ შეიძლება, რომ იწვევდეს. ასევე ფაქტია ისიც, რომ მაშტოცის სახელი არ არის დაკავშირებული ქართული ანბანის გამოგონებასთან ჩვენთვის ცნობილი სომხური წერილობითი წყაროების V-XII საუკუნეებით დათარიღებულ არცერთ (!) ხელნაწერში. უაღრესად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ XI ს-ის მწერალი ლეონტი მროველი არ სარგებლობს ქართული ანბანის შექმნის ჩვენთვის ცნობილი სომხური ვერსიით. ეს ფაქტი მით უფრო საინტერესოდ გვეჩვენება იმის ფონზე, რომ ლეონტი მროველი, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, ე.წ. «არმენოფილ ავტორად» არის აღიარებული და მასვე, სხვათა შორის, ეკუთვნის ცნობა იმის შესახებ, რომ უძველეს ეპოქაში «ქართლოსიანთა ენა სომხური (?) იყო» (57:16). მკვლევარ ალ.აბდალაძის აზრით: «წარმოუდგენელია, ლეონტი მროველს არ სცოდნოდა გადმოცემა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ, ... ეტყობა, თუ XI საუკუნეში საყოველთაოდ იყო ცნობილი რომელიმე ქართული გადმოცემა, ლეონტი მროველი უპირატესობას მას ანიჭებდა და არა სათანადო სომხურ ლეგენდებს» (1:168). მაგრამ არაფერი წარმოუდგენელი არ უნდა იყოს იმაში, რომ ლეონტი მროველს ქართული ანბანის მაშტოცისგან გამოგონების ვერსია არ სცოდნოდა, რადგან ეს უკანასკნელი მის დროს (ე.ი. XI ს-ში) უბრალოდ ბუნებაშიც კი არ არსებობდა. ცნობა მაშტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ კორიუნის, მოვსეს ხორენაცისა და მოვსეს კალანკატუაცის შემდეგ, რომელთა თხზულებებმა ჩვენამდე XIV და უფრო გვიანდელი ხელნაწერების სახით მოაღწიეს, პირველად და ისიც უხეში ფაქტობრივი ხარვეზისა და ანაქრონიზმის თანხლებით თავს იჩენს XIII ს-ის I ნახევრის სომეხ ავტორთან, ტავუშელ ვარდაპეტ ჰოვჰანეს (იოანე) ვანაკანთან (28:046-047; 83:307, 336; 27:192). ვანაკანის მიდევნებით იგივე ცნობას იყენებენ XIII და შემდგომი საუკუნეების სხვა სომეხი ავტორებიც: ვარდან არეველცი, მხითარ აირივანეცი და სხვ. საინტერესოა, რომ «ეპისტოლეთა წიგნში»

შეტანილი მასალების უკანასკნელი ფენა და მასში დამოწმებული აბრაამ სომეხთა კათალიკოსის III ეპისტოლეს ტექსტში ზ.ალექსიძის მიერ გვიანდელ დანართად მიჩნეული ციტატაც, სადაც მამტოცი ქართული ანბანის შემქმნელადაა გამოცხადებული, ასევე XIII ს-ით თარიღდება (იხ. 83:291-303).

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ფრიად საგულისხმო ცნობებს ვპოულობთ მხითარ აირივანეცისთან. იგი თავის «ქრონოგრაფიულ ისტორიაში» ქართული ანბანის შექმნას ლეგენდარულ ფარნავაზ მეფის სახელს უკავშირებს. თუმცა ამ უკანასკნელის ზეობის ხანას მწერალი, ჩანს, რომ ლეონტი მროველის ცნობების არასწორი და თვითნებური გაგების მიზეზით, ნაბუქოდონოსორ II-ის ეპოქაში (ძვ. წ. აღ-ის VI ს-ის I ნახ.) ათავსებს (იხ. 71:57). ლეონტი მროველის თხზულება, როგორც ცნობილია, XII ს-ის II ნახევარში უკვე იყო სომხურ ენაზე თარგმნილი და მხითარ აირივანეცის გარდა მას XIII ს-ის სხვა სომეხი მწერლებიც იცნობდნენ. მხითარ აირივანეცის მის «ქრონოგრაფიულ ისტორიაში» მოეპოვება ცნობა მამტოცისა და საჰაკ დიდის მიერ სომხური მწიგნობრობის შექმნის შესახებაც, მაგრამ მათ «ღვაწლზე» ქართული მწიგნობრობის წინაშე ის იქ არაფერს წერს. მხითარი, საზოგადოდ, კარგად იცნობდა როგორც წინამორბედ, ისე მისივე თანადროულ სომხურ მწერლობას. სხვასთან ერთად, სხვათა შორის, მას უსარგებლია მოვსეს ხორენაცის (V ს.), მოვსეს კალანკატუაცისა (X ს.) და უხტანესის (X ს.) თხზულებებითაც, აგრეთვე, ჰოვჰანეს (იოანე) ვანაკანისა და ვარდან დიდი/არეველცის (XIII ს.) ხელნაწერებით (71:14). ამდენად, მას, წესით და რიგით, მამტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსია უნდა სცნობოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ვერსია მას დასახელებულ ნაშრომში არა აქვს შეტანილი. სამაგიეროდ, მასვე ერთ თავის საგალობელში აღნიშნული ჰქონია ის, რომ მესროპ-მამტოცმა შექმნა სომეხთა და კავკასიის ალბანელთა დამწერლობები, ხოლო ქართული ანბანი, როგორც ამას ლ.დავლიანიძე-ტატიშვილი აღ.აბდალაძის ზეპირ ცნობაზე დაყრდნობით უთითებს მხითარ აირივანეცის «ქრონოგრაფიული ისტორიის» ტექსტზე თანდართულ შენიშვნებში, მხოლოდ «მოუწესრიგებია» (იხ. 71:89 შენ. 22). სომეხ ავტორთან ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში ხმარებულ ზმნას «ზუგელ» საკმაოდ მრავალსახოვანი მნიშვნელობები გააჩნია: 1. მორთვა, მოკაზმვა, გამოწყობა (სამოსლით); 2. დამთხვევა, სწორება; 3. შეკავშირება, შეხამება, შეწყობა, შეთავსება, შეერთება, შეჯერება, შეპირისპირება და ა.შ. მართალია, უცნობია ის, თუ რის საფუძველზე აკეთებდა მხითარ აირივანეცი აღნიშნულ განცხადებას, მაგრამ იმის ფონზე, რომ ჩვენ ისედაც ვვარაუდობდით მამტოცის მცხეთაში პირველად სტუმრობისას მთარგმნელობით საქმიანობაში დაგროვილი გამოცდილებისა თუ ცოდნის მხარეებს შორის ურთიერთგაზიარების შესაძლო ფაქტს, სომეხი მემატიანის ხსენებული ცნობა ფრიად საგულისხმოდ მოჩანს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტერმინ «ზუგელ»-ს მხითარი ხმარობს ძველი ქართული «შეწამების» (შეჯერება) მნიშვნელობით. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს ჩვენ უკვე აღნიშნულთან ერთად გვაძლევს ის ფაქტი, რომ სომეხი მემატიანის მხრიდან პრაქტიკულად გაზიარებულია ქართული დამწერლობის შექმნის ლეონტი მროველისეული ვერსია. თუ დავუშვებთ იმგვარ აზრს, რომ მხითარს ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ლეონტი მროველის ცნობაში აღნიშნულის გარდა დამატებით მოეპოვებოდა კიდევ სხვა ინფორმაციაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ის სომხური დამწერლობის ჩამოყალიბების პროცესში ქართული ასომთავრულის, - თუნდაც იმ კონკრეტული მომენტისათვის უკვე ფაქტობრივად არსებული დამწერლობის სისტემის, - მონაცემების გათვალისწინების ფაქტს ამზერებდა. სხვა საკითხია ის, თუ როგორი სიზუსტით არის დაცული აღნიშნული ინფორმაცია ზემოხსენებული სომეხი მწერლის საგალობელში.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ თავს ნებას მივცემთ თამამად განვაცხადოთ ის, რომ ლეგენდა მამტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ სომხურ მწერლობაში არ არსებობდა XII ს-ში უქველად (რომ არსებულიყო, მას «ქართლის ცხოვრების» ძველსომხურ თარგმანში უქველად ვიხილავდით, რადგან ასეთ შანსს მონოფიზიტი სომეხი მწერალ-მთარგმნელი ხელიდან, უბრალოდ, არ გაუშვებდა! - ბ.ხ.) და ჯერ კიდევ ნაკლებად პოპულარული ყოფილა XIII ს-ის I ნახევარში. ჩანს, რომ სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს ძველ სომხურ წერილობით ძეგლებში ყალბისმქნელ რედაქტორ-გადამწერელთა მხრიდან ჩვენთვის საინტერესო ისტორიული ცნობების შეგნებულად გადაკეთება-დამახინჯების ტენდენცია. რატომ არ უნდა ვიფიქროთ ის, რომ ყოველივე ამის სათავეში სომეხი საეკლესიო მოღვაწე, პედაგოგი და ისტორიკოსი, ტავუშელი ვარდაპეტი ჰოვჰანეს ვანაკანი (+1251 წ.) და მისი ცნობილი სკოლის (ხორანაშატი) მრავალრიცხოვანი აღზრდილები (მათ შორის: ვარდან «დიდი» არეველციც) იდგნენ?! პირადად ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ყალბი ლეგენდა მესროპ-მამტოცის მიერ ქართული დამწერლობის გამოგონების შესახებ სწორედ აღნიშნულ წრეში ჩამოყალიბდა. ამასთანავე, ეს უკადრისი ქმედება ჩადენილია არა სპონტანურად, არამედ სრულიად შეგნებულად, წინასწარ მოფიქრებულად და გეგმაზომიერად, რასაც ხელი ალბათ დიდად შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ვანაკანის მოწაფეებმა ხორანაშატის სკოლის განადგურების (1225 წ.) შემდეგ სომხეთისა და საზღვარგარეთის საგანმანათლებლო კერებს მიაშურეს (ზოგიერთმა კი, ადგილებზე თვითონაც ჩაუყარა საფუძველი მსგავს სკოლებს), სადაც ისინი სამწერლო მოღვაწეობის გვერდით ინტენსიურად შეუდგნენ ძველი წერილობითი ძეგლების ხელნაწერთა გადაწერა-განახლებასაც. ის ნიუანსობრივი სხვაობის ფაქტი, რომელიც ერთიდაიგივე მოვლენაზე კორიუნისა და მ.ხორენაცის ცნობებს შორის არის მკვლევართაგან შენიშნული, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ძველ წერილობით წყაროთა ცნობების გადაკეთება-დამახინჯებით მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული პიროვნება როდი იყო დაკავებული, არამედ ის შეიძლება გამოდგეს იმის მოწმობად, რომ აღნიშნული მიმართულებით საქმიანობას ეწეოდა «მწერალთა» ჯგუფი. ნიშანდობლივად გვეჩვენება ის გარემოებაც, რომ განსახილველ პერიოდში, ჯერ ხვარაზმელების და შემდეგ თათარ-მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად საქართველოს მანამდე ძლევამოსილ სახელმწიფოს, რომლის საზღვრებშიც იყო მოქცეული მაშინ ისტორიული სომხეთის მიწა-წყლის დიდი ნაწილი, უმძიმესი დრო დაუდგა. ზემოაღნიშნული სიყალბეც რომ სწორედ განსახილველ პერიოდში იქნა ჩადენილი, ვფიქრობთ, ეს არანაირ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს!

ერთი სიტყვით, ადრე ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება, სომხური დამწერლობის შექმნის პროცესში ქართული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი პირის - გრი ორმიზდის შესაძლო მონაწილეობის შესახებ, მხითარ აირივანეცის ზემოგანხილული ცნობის ფონზე დამატებით რეალიებს იძენს. ჩვენ ახლა უკვე შეგვიძლია თამამად იმის განცხადებაც, რომ ქართული ანბანის შექმნის მოვლენასთან მამტოცის სახელის ხელოვნურად მიტმასნებისათვის სომეხ რედაქტორ-გადამწერლებს არსებითი მოტივაცია გააჩნდათ: XIII საუკუნისათვის სომხურ მწერლობაში ჯერ კიდევ არსებობდა ტრადიციული გადმოცემა, რომელიც მამტოცის მცხეთაში სტუმრობისას ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი სომხური ანბანის ქართულ ასომთავრულთან შეწამების ფაქტზე ღაღადებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტრადიცია კორიუნის თხზულების ჩვენამდე არმოდწეული თავდაპირველი რედაქციიდან მომდინარეობდა. გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ კორიუნის თხზულებაში, ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდის დამახინჯებული სახით იქ წარმოდგენის მიუხედავად, სხვასთან ერთად შენარჩუნებულია რეალური

ინფორმაციის ანარეკლი იმის თაობაზე, რომ ქართულ დამწერლობას საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაც, როგორც ამაში ჩვენ შეგვეძლო ზემოთ დავრწმუნებულიყავით, ისტორიულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ეს ნიუანსი კიდევ ერთი მოწმობაა ჩვენი ადრე გამოთქმული იმ მოსაზრების მართებულობისა, რომლის თანახმად კორიუნის თხზულების ტექსტში მოგვიანებით უხეში რედაქტორული ჩარევის შედეგად ინფორმაციული ხასიათის ცნობა ქართული ანბანის შექმნის მოვლენაზე და ცნობა მაშტოცის მცხეთაში სტუმრობის შესახებ მისი თანამდევი რეალური მოტივის შეგნებული ცვლილებითურთ ხელოვნურად გაერთიანდა და ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი სხვადასხვა მოვლენა ერთიანობაში იქნა წარმოდგენილი (იხ. 102:12-13). ესეც არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მოვსეს ხორენაცის თხზულებაში (რომელიც, სპეციალისტთა შეხედულებით, ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდში დამოკიდებულია უშუალოდ კორიუნის წყაროზე) შეტანილი ცნობები ქართული ანბანის შექმნის შესახებ ნიუანსობრივად სხვაობს კორიუნის თხზულებაში მოყვანილი ცნობებისაგან. ეს სხვაობა განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება სომხური დამწერლობის გამოგონების დროის შესახებ აღნიშნულ წყაროებში დაცული მითითებების ურთიერთშედარებისას. სწორედ აღნიშნული ჩვენებების ურთიერთმეუთანხმებლობის ფაქტი (*Varietas lectioni*) და თავის დროზე უხეში რედაქციული ჩარევის (*Ad libita librarii*!) შედეგად ტექსტში გაჩენილი ანაქრონიზმები იმის მთავარი მიზეზი, რომ დასახელებული მოვლენის დათარიღების საკითხში არმენოლოგთა შორის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა ერთსულოვანი აზრის ჩამოყალიბება. კორიუნის იმ ცნობის საფუძველზე, რომლის თანახმად სომხური დამწერლობა ვრამშაპუკ სომეხთა მეფის ზეობის მე-6 წელს შეიქმნა, სხვადასხვა სომეხი მეცნიერი მოვლენას ათარიღებდა 392/93, 395, 404-406 ან 412-416 წლებით. არმენოლოგიაში ამჟამად უფრო მიღებული თვალსაზრისით, სომხური დამწერლობა შეიქმნა 406 წელს (იხ. 33:45). უკვე აღნიშნულითაც ჩანს ის, რომ ქართული ასომთავრულის შექმნის მოვლენა ქრონოლოგიურად რამდენადმე წინ უსწრებდა სომხური დამწერლობის გამოგონებას. ამიტომ თუკი ორი მეზობელი ხალხის დამწერლობების «შეწამებაზე» ვისაუბრებთ, ლოგიკური იქნება იმგვარი დასკვნის გაკეთება, რომ სომხური ანბანის ჩამოყალიბების პროცესში მაშტოცმა სხვასთან ერთად ისარგებლა ქართული ასომთავრულითაც და არა პირიქით, როგორც ამას მხითარ აირივანეცი აცხადებს თავის ერთ-ერთ საგალობელში.

ახლა, როდესაც ჩვენთვის უკვე ცნობილია ის ფაქტი, რომ ასომთავრულ ანბანს წერითთან ერთად კალენდარული დანიშნულებაც გააჩნდა, ზემოხსენებული მოსაზრება კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მესროპ-მაშტოცს სურდა სომხურ «ერკათაგირს» ისეთივე თვისებები ჰქონოდა, როგორც ქართულ ასომთავრულ ანბანს გააჩნდა; კერძოდ, შეექმნა ასომთავრულის მსგავსი ანბანი-კალენდარი, თუმცა მისი ეს სურვილი, როგორც ჩანს, საბოლოოდ სურვილადვე დარჩა. მაშტოცის დაინტერესების საგანი უნდა ყოფილიყო აგრეთვე ქართული ანბანის მდიდარი ფონეტიკური არსენალიც, რომელსაც სხვაობის გვერდით ბევრი საერთოც ჰქონდა სომხური ენისათვის დამახასიათებელ სპეციფიურ ბგერებთან. კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის თხზულებებში დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ დანიელ ასურის მიერ სომეხთათვის შექმნილი ანბანი მწირი აღმოჩნდა სომხური ენის ფონეტიკის სრულყოფილად გადმოცემისათვის და ამ მიზეზით ის პრაქტიკაშიც ვერ დაინერგა. ორივე ავტორი ერთხმად უთითებს იმაზეც, რომ მაშტოცი დიდად გაწვალდა ეროვნულ ანბანზე ფიქრით და მისი შექმნა შემდგომშიც რამოდენიმე წლის მანძილზე ვერ მოახერხა. ვფიქრობთ, უმნიშვნელო არც ის ფაქტი უნდა იყოს, რომ ადრინდელ სომხურ მწერლობაში მესროპ-მაშტოცი სრული სომხური დამწერლობის შემქმნელად არ

მოიაზრებოდა; მას მიაწერდნენ სომეხთავის უკვე მანამდე უცხოელისგან (დანიელ ასურელი ეპისკოპოსი) შედგენილი ანბანისათვის მხოლოდ რამოდენიმე ასოს შემატების ღვაწლს. ეროვნული დამწერლობის შექმნაზე ფიქრით გატანჯულ მესროპ-მამტოცს ბუნებრივად უნდა გასჩენოდა ინტერესი მეზობელი ერთმორწმუნე ხალხის - იბერიელების ქრისტიანული ანბანის მიმართ, რომელიც, სომეხთა თვალთახედვის არეში, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ მას შემდეგ მოხვდა, როდესაც დიდი ბაკური ბიზანტიიდან სამშობლოში დაბრუნდა, ქართლის სამეფო ტახტი დაიკავა და ადგილობრივი ეკლესიის მეთაურის - მოსე მთავარეპისკოპოსის ხელშეწყობით გრი ორმიზდთან ერთად მის მიერვე შექმნილი ასომთავრული ანბანის პრაქტიკაში დანერგვას შეუდგა, ანუ 395 წელს. მაგრამ ვერც იმ შესაძლებლობას გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი ამის უწინაც ჰქონებოდა, კერძოდ კი, «წმინდა მიწაზე», სადაც იმყოფებოდნენ 395 წლის წინარე პერიოდში, როგორც ვიცით, ქართული ანბანის შემქმნელები - ბაკური და გრი ორმიზდი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ როგორც ეს თავის დროზე აკად. ი.ჯავახიშვილის მიერ იქნა შენიშნული, ძველად არსებულა მამტოცის «ცხოვრების» ისეთი რედაქციაც, რომელიც სომხური ანბანის შემქმნელს იერუსალიმთან დაკავშირებულ მოღვაწედ აცხადებდა; მოგვიანებით ეს რედაქცია ელინოფილ მწერლებს გადაუმუშავებიათ და მამტოცის იერუსალიმთან კავშირის ამსახველი ცნობებიც თითქოსდა ამ ნიადაგზე წარმოცოცხლა (იხ. 107:408, 413-415, 422-423). თუ აღნიშნული ვარაუდი ჭეშმარიტების რაიმე მარცვალს შეიცავს, მაშინ შეგვეძლო დაგვეშვა ისეთი აზრი, რომ მამტოცმა ქართული ანბანის შესახებ შეიტყო იერუსალიმში მისი ყოფნის ჟამს; შესაძლოა, უშუალოდ ქართული ანბანის იმხანად იქ მყოფ შემქმნელთაგანაც კი. ასეთ შემთხვევაში გამართლებოდა იმ მეცნიერთა აზრი, ვინც სომხური ანბანის შემოღების დროდ 392/93 წწ.-ს მიიჩნევდა. სხვა შემთხვევაში კი, როგორც მივუთითეთ, ეს მოვლენა 395 წელზე ადრე არ ივარაუდება, და თუ არმენოლოგებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნულ მოვლენას ადგილი რეალურად 406 წელს ჰქონდა, მათ, ალბათ, ამ თვალსაზრისის მართებულობის მტკიცებისათვის სათანადო მყარი არგუმენტებიც მოეპოვებათ, რომელთა სადავოდ გახდა, პრინციპში, ჩვენ მიზნად არც გვაქვს დასახული.

როგორც ითქვა, ძველ სომხურ წერილობით წყაროებში (სებეოსთან, ვარდან დიდთან...) გვხვდება ცნობები იმის თაობაზეც, რომ მესროპ-მამტოცმა მხოლოდ 7 თუ 14 ასო შეჰმატა დანიელ ასურის მიერ მანამდე ჩამოყალიბებულ სომხურ ანბანს. აკად. თ.გამყრელიძის დაკვირვებით, სომხური ანბანის ბერძნულ დამწერლობასთან შეპირისპირება ავლენს მათ შორის არსებულ «სრულიად უდავო კავშირს»; კერძოდ, სომხური ანბანის შემქმნელისათვის, როგორც მეცნიერი ფიქრობს, საწყის წერილობით მოდელს სწორედ ბერძნული წერითი სისტემა წარმოადგენს. ამასთანავე, მისი აზრით, სომხურისათვის საწყის ბერძნულ სისტემად აღებულია არა სრული 27-ნიშნის ბერძნული სისტემა, როგორც ეს კოპტური და გოთური ანბანის შემთხვევაში გვაქვს, არამედ ბერძნული სისტემის მხოლოდ ის ნაწილი (21-ნიშნის «რედუცირებული» ბერძნული სისტემა), რომლის ფონეტიკური მნიშვნელობები შეესაბამება სომხურ ბგერებს (იხ. 15:107 შენ., 109, 189-190). მაგრამ სომხური ანბანი, როგორც ცნობილია, თავდაპირველად 36 ასო-ნიშნისაგან შედგებოდა, 37-ნიშნის ქართულ ასომთავრულ დამწერლობას კი, რომლის საფუძველს სრული 27-ნიშნის ბერძნული ანბანი ჰქმნის, 35 ფონემა გააჩნდა, ანუ ზუსტად 14-ით მეტი 21-ნიშნის «რედუცირებულ» ბერძნულ წერით სისტემასთან შედარებით. აღნიშნულის ფონზეც შეგვეძლო დაგვეშვა აზრი იმის შესახებ, რომ სომხური ანბანის შემუშავებისას, მამტოცმა სხვასთან ერთად ისარგებლა ქართული წერითი სისტემითაც, რომელში მოცემული სპეციფიური ქართული ბგერების ჯგუფი (ჩ,

ც, ძ, წ, ჭ, ჯ და სხვ.) თანხვდებოდა სომხური ენის სპეციფიურ ფონემათა ანალოგიურ ჯგუფს და რომელიც ამ თვალსაზრისით, ვითარცა მზამზარეული ნიმუში, სომხურ დამწერლობის ჩამოყალიბების პროცესში მესროპ-მამტოცისათვის უდავოდ საყურადღებო უნდა ყოფილიყო. ძველი სომხური და კავკასიის ალბანელთა დამწერლობების შეპირისპირების (პარადიგმატიკის) ნიადაგზე აშკარა ხდება ის გარემოება, რომ უკანასკნელის საფუძვლად, ანუ საყრდენ ნიმუშად (პროტოტიპად) თავის დროზე სომხური წერითი სისტემა იქნა აღებული, რასაც, პრინციპში, ძველი სომხური საისტორიო ტრადიციაც ემოწმება ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, ამას სპეციალური გამოკვლევების ნიადაგზე მიღებული შედეგებიც ადასტურებენ (იხ. 70:222-320; 112:447-449 და სხვ.). ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ მოჩანს სომეხი ავტორის - მხითარ აირივანეცის ის ცნობაც, რომლის თანახმად, სომხური ანბანის შემოქმედმა მესროპ-მამტოცმა მონაწილეობა მიიღო კავკასიის ალბანელთა დამწერლობის შექმნაშიც, ქართულ ანბანთან კი მხოლოდ სომხურის «შეწამება» მოახდინა. ამ სამ დასახელებულ დამწერლობებს შორის არსებული კავშირ-მიმართულების რაობის საკითხში გარკვევისათვის სიმპტომურად გვესახება შემდეგი მაგალითი. კერძოდ, «დ»-ბგერის აღმნიშვნელი «ასომთავრულის» მსგავსი მოხაზულობის ნიშანი გვხვდება ალბანურ ანბანშიც, ასევე «დ»-ბგერის აღმნიშვნელად და რიგით მე-4 ადგილას მდგომი, როგორც ეს ძველ ქართულ ანბანში გვაქვს წარმოდგენილი. ოღონდ ალბანურში ქართული «დონ»-ნიშანი 180 გრადუსით შემოტრიალებული, ანუ თავდაყირა მდგომარეობით არის მოცემული. იდენტური ნიშანი გამოყენებულია სომხურ ანბანშიც, ალბანურის მსგავსი მოხაზულობით, ოღონდ «ზ»-ბგერის აღსანიშნავად და მწკრივში მე-6 ადგილას მდგომი. ქართული ასომთავრული «დონ»-ი, როგორც ეს გამორკვეულია, «წარმოადგენს ბერძნული «დელტა»-ნიშნის მოდიფიკაციას ასოს ტანზე, რომელიც ჩვეულებრივ წრეხაზს წარმოადგენს, ზედ გარდიგარდმო ჰორიზონტალური ხაზის დამატებით» (იხ. 15:173). ამასთანავე, ქართული «დონ»-ნიშანი დიდ მსგავსებას ჰპოულობს ბერძნული უნციალური ანბანსა და მის საფუძველზე შემუშავებული გოთური დამწერლობის სისტემაში ანალოგიური ფონემის აღმნიშვნელ გრაფემებთან. ვფიქრობთ, სრულიად აშკარაა ის გარემოება, რომ ალბანური «დ»-სა და სომხური «ზ»-ნიშნისათვის საწყის ნიმუშად აღებული იქნა ქართული ასომთავრული გრაფემა «დ»-ონი. ეს მცირე მაგალითიც უნდა მოწმობდეს იმას, რომ მესროპ-მამტოცს შეეძლო გარკვეული მონაწილეობის მიღება კავკასიის ალბანელთა ანბანის შექმნაში, რა დროსაც მან სხვასთან ერთად იხელმძღვანელა მის ხელთ არსებული ქართული ასომთავრული დამწერლობითაც. სწორედ აღნიშნულით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ სომხურსა და ალბანურ დამწერლობებში მოჩანს ქართულ ასო-ნიშანთა მსგავსი, ზოგჯერ კი, საერთოდაც იდენტური სახელწოდებები, აგრეთვე, გრაფიკული ნიშნებიც (იხ. 15:195-196 შენ. 2).

ჩვენ უკვე გვქონდა საშუალება გამოგვეთქვა აზრი იმის თაობაზე, რომ მეზობელი ქრისტიანი ხალხების - სომხებისა და ალბანელების ეროვნული დამწერლობების შემოღების მოვლენებისათვის ბიძგი სწორედ ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ფაქტს უნდა მიეცა (იხ. 15:79). სამწუხაროდ, კავკასიის ალბანელთა ძველი ლიტერატურის (მათ შორის, საისტორიო ხასიათის) ძეგლები ჟამთა სიავის გამო ლამის პირწმინდად განადგურდა, ხოლო სომხურ წერილობით წყაროებში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დაცული ჭეშმარიტი ინფორმაცია ძველ ხელნაწერთა გვიანი ხანის გადამწერელთა უხეში რედაქტორული ჩარევისა და ყალბისმქნელ ინტერპოლატორთა მიზეზით იმ ზომამდე დამახინჯდა, რომ საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზის ჩატარების შემთხვევაშიც კი ჭირს და ზოგჯერ უბრალოდ აღარც ხერხდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. თუმცა ჩვენ ახლა უწინდელზე გაცილებით მეტი ვიცით აღნიშნული მოვლენის შესახებ;

ახლა უკვე მეტი სითამამით ვსვამთ საკითხს ქართული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი პირის, ქართველ სეფეწულთა წრიდან გამოსული მწიგნობრის, დიდი ბაკურის ნათესავისა და სიყრმითგან უახლოესი მეგობრის - გრი ორმიზდის აქტიური მონაწილეობის ფაქტის შესახებ სომხური დამწერლობის შექმნის პროცესში, რის გამოხატულებადაც სხვასთან ერთად გვესახება აღნიშნული პიროვნების კომპოზიტიური სახელის საწყისი ნაწილის - «გრი» (სპარს. «სული») გასაოცარი «მსგავსების» ფაქტი «გრ»-ფორმანტის ნიადაგზე აღმოცენებულ ისეთ სომხურ სიტყვა-ტერმინებთან, რომლებიც მწიგნობრობასთან არიან დაკავშირებულნი: «გირ/გრი» - ასო, ბგერა, ნაწერი, წერილი, ანბანი, წიგნი, სიგელი; «გრი არნელ» - ჩაწერა; «გრიჩ» - საწერელი, კალამი; «გრიორ» - წერა; «ერკათა-გირ» - რკინით ნაწერი; «ბოლორ-გირ» - მრგლოვანი ნაწერი; «გროლ»-მწერალი და ა.შ. ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმ შესაძლებლობას, რომ ანბანის აღმნიშვნელ და მის კვალად მწიგნობრობასთან დაკავშირებულ სხვა სომხურ სიტყვა-ტერმინებს დასაბამი ქართული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი პირის - გრი ორმიზდის სახელის საფუძველზე მიეცა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ისეთივე ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე, როგორსაც ძველსლავური დამწერლობის ორიდან ერთ-ერთი სახეობის («კირილიცა») სახელწოდებასთან დაკავშირებით ვიდასტურებთ. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, მისი შემქმნელი პირის - კირილეს (იგივე კონსტანტინეს) სახელიდან არის წარმომდგარი. ჩვენს მოსაზრებას ამაგრებს ის გარემოებაც, რომ ხსენებული პიროვნების (გრი ორმიზდი) სახელი კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის თხზულებათა ჩვენამდე მოღწეულ ტექსტებში მოცემულია მხოლოდ ნაწილობრივ, სპარსული წარმომავლობის ორწევრიანი კომპოზიტის შემადგენელი პირველი სიტყვის («გრი»-სული) სახით და ისიც გვიანდელი სპარსული ექვივალენტის (ახ. სპარსული «ჯან»-სული; იხ. 97:30-34) გრაფიკულ ნიადაგზე დამახინჯებული ფორმით (იხ. 102:121-123). ამ გარემოებას მარტივად შეიძლება მოედებნოს ახსნა: კორიუნის თხზულების პირვანდელ ტექსტში, ჩვენგან უკვე ზემოთ აღნიშნულ და თხზულების ტექსტის მოგვიანებით რედაქტირების დროს სომხურში უკვე მყარად დამკვიდრებულ ტერმინებთან გარეგნული მსგავსების მიზეზით, კომპოზიტიური სახელის შემადგენელი საწყისი სიტყვა «გრი» გარკვეულ უხერხულობას ჰქმნიდა და უცნობმა რედაქტორ-გადამწერელმა (რომელსაც, ჩანს, რომ ესმოდა აღნიშნული საშუალო-სპარსული სიტყვის სემანტიკა) შეცვალა იგი მისი ახალ-სპარსული ექვივალენტით. ცხადია, ასეთ ცვლილებას ადგილი VIII-IX სს-ზე ადრე ვერ ექნებოდა, რადგან სწორედ ამ დროიდან იწყება საშ. სპარსული ენის ახ. სპარსულით ჩანაცვლების პროცესი. ისლამის გაბატონების კვალობაზე არაბულისაგან ძლიერ შევიწროვებული საშუალო სპარსული ენა გვიან პერიოდში შეზღუდული სახით მაინც განაგრძობდა არსებობას ზოროასტრელთა, მანიქეველთა და სპარსულენოვან ქრისტიანთა თემებში. V-VII სს-ში სპარსულ-სირიულ ქრისტიანულ ეკლესიასთან სომხური ეკლესიის ახლო კავშირ-ურთიერთობების არსებობის ფაქტი საზოგადოდ ცნობილი გახლავთ და დოკუმენტური მასალითაც მოწმდება. იმავე პერიოდის სომეხი მწერლების ცნობებით ვარკვევთ, რომ სომხეთში სპარსული ენის მცოდნენიც საკმაოდ იყვნენ. საკითხის კვლევის ამ ეტაპზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საშ.სპარსული «გრი»-სიტყვის შეცვლის ფაქტს ახ. სპარსული «ჯან»-ით (>*ჯალ) VIII ს-ის შემდგომ პერიოდში ჰქონდა ადგილი. რა ბედი ეწია ზემოხსენებული კომპოზიტის მეორე ნაწილს («ორმიზდი») ტექსტის რედაქტირებისას, ეს, ჯერჯერობით, მთლად ნათელი არ არის. თუმცა ის ფაქტი, რომ პირვანდელი «გრი»-ს გვიანდელი ექვივალენტიც («ჯან») დამახინჯებულია იმავე წყაროში, გვაფიქრებინებს მისი შეგნებულად სახეცვლილების ფაქტს და თუ კორიუნის თხზულების დედანში საერთოდაც კომპოზიტიური სახელის გამარტივებული, მოკლე დაწერილობა არ გვქონდა თავიდანვე, მაშინ შეგვიძლია

ვიფიქროთ ის, რომ «ორმიზდ»-სახელი სწორედ ტექსტის შეგნებულად გადაკეთება-დამახინჯებას შეეწირა. სავარაუდოა, რომ ეს დასახელებული წერილობითი ძეგლის რედაქტირების შემდგომ, უფრო გვიანდელ ეტაპზე (XIII ს-ის I ნახ.) მომხდარი მოვლენაა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენ სრულიად საკმარისად მიგვაჩნია იმ თვალსაზრისის დამკვიდრებისათვის, რომ ქართული ეროვნული მწიგნობრობის მესამირკველი დიდ ბაკურთან ერთად იყო «გრი ორმიზდი». მაგრამ, ამასთანავე, ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა ისეთი ვითარების დახატვაც, რომ ხსოვნა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენაზე, თუნდაც ძლიერ დამახინჯებული სახით, შემორჩა უცხოურ წერილობით წყაროებში, ხოლო ადგილობრივმა საეკლესიო თუ საისტორიო ტრადიციამ მის შესახებ თითქოსდა არასოდეს არაფერი უწყოდა. ასეთი თვალსაზრისის უმართებულობას ნათლად ადასტურებს ადრექრისტიანული ხანის ორი სწორუპოვარი და სტერეოტიპული შინაარსის მქონე ძეგლი: დავათის ქვასვეტი და «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის» პროზაული ჰიმნი. ორივე დასახელებული ძეგლი, - პირველი, ხელოვნების ენით (იკონოგრაფიული ხერხებით) და მეორე, ასკეტ ქრისტიანთა წრეში ჩასახული მისტიურ-ალეგორიული ენით, - ქართული დამწერლობისა და მისით «ქართული სახარების» შექმნის მოვლენების «დაფარულ» წარსულსა და მომავალზე მოგვითხრობს (იხ. 102:27-79, 132-135). ამ ძეგლებზე დაფიქსირებული ინფორმაციის ამოცნობამ თავის მხრივ შესაძლებელი გახადა ქართული დამწერლობის შექმნის «საიდუმლოს» ამოხსნაც. სწორედ მათი შემწეობით გახდა ჩვენთვის ცნობილი ის ობიექტური ჭეშმარიტება, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა არის ქრისტიანული ეპოქის სწორუპოვარი ქმნილება, ანბანი-კალენდარი, რომელსაც პირობითად «ბილინგვა» შეგვიძლია ვუწოდოთ. ქორონიკონულ წელთაღრიცხვასთან კავშირში დავათის სტელაზე და «ქებაის» ჰიმნშივეა გაცხადებული მოვლენის მანამდე ჩვენთვის უჩინარი გმირების უკვდავი სახელებიც: მეფე დიდი ბაკური და მწიგნობარი გრი ორმიზდი.

დღევანდელი, მით უფრო, ერული საზომებით ძალიან ძნელია სრულად ჩაწვდეს ადამიანი იმის ნამდვილ მიზეზს, თუ რატომ არ სურდათ აღნიშნულ პიროვნებებს საკუთარი ღვაწლის «კაცთა წინაშე სახილველად» გამოტანა და რატომ დაუჭირა ქართლის იმდროინდელმა ეკლესიამ მხარი მათ ამ, ერთი შეხედვით, უცნაურ გადაწყვეტილებას. მაგრამ საკმარისია თვალი გადავაავლოთ თუნდაც სომხური ან ძველი სლავური დამწერლობებისა და მათი მიდევნებით «საღმრთო წერილის» ეროვნული რედაქციების შექმნის შესახებ მამტოცის, კირილესა და მეთოდის «ცხოვრებათა» ტექსტებში დაცულ ცნობებს (იხ. 56:222; 95:568-569), რომ ცხადი გახდეს ის ფაქტიც, რომ ზემოაღნიშნული გარემოება ადრექრისტიანული ასკეტურ-მისტიკური ცნობიერების ფარგლებში სრულიადაც არ აღიქმებოდა რაიმე განსაკუთრებულ უცნაურობად. ქრისტიანული ასკეტურ-მისტიკური მსოფლგაგების მქონე მორწმუნე ადამიანთა რწმენა-შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ სახარების - «ღმრთის სიტყვის» მშობლიურ ენაზე ასაქდერებლად შექმნილ ორიგინალურ დამწერლობას არ შეიძლება ჰყოლოდა მოკვდავი ავტორი (ან ავტორები), არამედ მოვლენის ერთადერთი და ჭეშმარიტი შემოქმედი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ თვითონ უფალი ღმერთი, სრულ უნისონში მოდის განსახილველ ეპოქაში მოღვაწე უდიდესი საეკლესიო მამების - წმ. ეფრემ ასურის, წმ. ბასილი დიდის, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. იოანე ოქროპირისა და სხვა მსგავს ქრისტიან ბრძენ-კაცთა ნააზრევთან, მათ სულისკვეთებასთან. «შენ დაჯერებული ხარ იმაში, რომ ყველაფერი, რაც ქვეყანაზე ხდება, ღმერთებმა იციან და ხედავენ»-ო, წერდა ბაკურს ლიბანიოსი (58:63). წარმართმა სოფისტმა სიტყვა «ღმერთი» მრავლობით რიცხვში რომ მოიხსენია ეს კანონზომიერი უფროა, ვიდრე გასაკვირი და ამის შესახებ, სხვათა შორის, თავის დროზე აკად. კ.კეკელიძემ მიუთითა კიდეც (49:13);

ლიბანიოსი პოლითეისტი გახლდათ და შესაბამისად ამისა ქრისტიანული მონოთეიზმი მისთვის მიუღებელი იყო. ქრისტიანი ბაკურის ჩვენამდე არ მოღწეულ წერილში კი, უეჭველად სიტყვა «ღმერთი» იქნებოდა ნახსენები და მისი ავტორის შეხედულებაც ზოგადად ამგვარად უნდა იქნას გაგებული: «რაც კი რამ ხდება ქვეყნად, ყოველივე ღვთის ნებით ხდება; ღმერთი ყოვლისმჭვრეტელია». ამიტომაც სრულიად კანონზომიერია ის, რომ «ქართული ასომთავრულის» შექმნა დიდი ბაკურის ცნობიერებაში ღვთიური მადლის წყალობად, უკვდავი ღმერთის ნების მატერიალური სახით გამოვლინების ნიშნად იქნა აღქმული. ამიტომ იყო, რომ ქართული ანბანის შემოქმედმა პირებმა ჭეშმარიტი ქრისტიანული ასკეტიზმისათვის დამახასიათებელი ჩვეული მოკრძალებით დაფარეს საკუთარი ღვთისათნო ღვაწლი ფართო საზოგადოებრიობის წინაშე. მათ დაიმდაბლეს თავი, რადგან სწამდათ სახარებაში გაცხადებული ღვთაებრივი სიბრძნის: «რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს» (მათე 23-12; ლუკა 14-11), და კიდევ: «ეკრძალენით ქველის-საქმესა თქუნესა, რაითა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა; უკეთუ არა, სასყიდელი არა გაქუნდეს მამისაგან თქუნისა ზეცათისა» (მათე 6-1).

დავითის ქვასვეტი სპეციალისტთა მიერ დათარიღებულია VI საუკუნით (განსხვავებული მოსაზრებისათვის იხ. *ვ.სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები*, II, თბ., 1988:226 და სხვ.). იგი, როგორც ცნობილია, VIII-IX სს-ით დათარიღებული საყდრის ბურჯში იქნა თავის დროზე ჩაშენებული. «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი»-ს ჰიმნი, რომელიც თავისი ატრიბუციით IV ს-ის მიწურულს უნდა იყოს შექმნილი ქართული ანბანის შემქმნელთა წრესთან დაახლოვებული პირის მიერ (ძეგლის ჩვენ მიერ გამოვლენილი აკროსტიხის საფუძველზე ჩვენ დავუშვით აზრი იმის თაობაზე, რომ ჰიმნი ეკუთვნის დიდი ბაკურის თანამედროვე სასულიერო მოღვაწეს, მოსე მთავარეპისკოპოსს. - იხ. 102:51-52, 65), ოთხ პირად გადაუწერია X ს-ის II ნახევარში ბერ იოანე-ზოსიმე საბაწმინდელ-სინელს. ის ფაქტი, რომ აღნიშნული ჰიმნის ტექსტები ნიუანსობრივად სხვაობენ ერთმანეთისაგან, უნდა მოწმობდეს იმას, რომ არსებობდა ძეგლის ხელნაწერთა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიერ გადაწერილი ნუსხები, რაც იოანე-ზოსიმეს მხრიდან გამოჩენილი ყურადღების ფაქტთან ერთად პალესტინისა და სინას მთის სამონასტრო კერებში მოღვაწე ქართველ ბერ-მონაზონთა თვალში აღნიშნული ძეგლის დიდი მნიშვნელობისა და ღირებულების არსებობის მოწმობადაც მიგვაჩნია. ეს კი, ჩვენი აზრით, იმის დასტურადაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ IV ს-ის ბოლოდან მოყოლებული ვიდრე VIII-IX სს.-თა მიჯნამდე, რა დროსაც ქართული წელთაღრიცხვის სისტემა აამოქმედეს წმინდა ისტორიული ქრონოლოგიის საჭიროებისამებრ, ჩვენთვის საინტერესო მოვლენის გარშემო გარკვეული, - შეიძლება, უკვე ფრიად ბუნდოვანი, - ინფორმაცია ქართლის სასულიერო წრეებს უეჭველად გააჩნდათ. აღნიშნული ინფორმაცია, როგორც ჩვენ ადრე ვივარაუდეთ, ხელთ უნდა ჰქონოდა XI ს-ის მწერალს ლეონტი მროველსაც. ბუნდოვან ტრადიციულ გადმოცემაში ხსენებული მემატიანის დროს ქართული ასომთავრული დამწერლობის შემქმნელთა სახელები ჯერ კიდევ იკითხებოდა «ფარნავაზისა» და სპარსული «არმაზის» სახით. თუ უკანასკნელის «ორმიზდ»-სახელთან დაკავშირების შესაძლებლობა როგორც ფილოლოგიური, ისე ისტორიული თვალსაზრისით დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს (იხ. 104:21-23), «ფარნავაზ»-სახელის ქვეშ დიდ ბაკურის პიროვნების დანახვის შესაძლებლობას გარკვეულ საფუძველს უქმნის მკვლევარ მ.სანაძის მიერ უკანასკნელ ხანებში გამოთქმული საინტერესო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იბერიის მეფეთა ტრადიციულ ონომასტიკონში წარმოდგენილი სახელი «ფარნავაზ», რომელმაც სახელდება მისცა მთლიანად ქართლის (იბერიის) სამეფო დინასტიას, თავდაპირველად არ წარმოადგენდა

კონკრეტულ სახელს, არამედ მისი სპარსული ეტიმოლოგია არის «ბრწყინვალე ხელი» (ხელბრწყინვალე), რომელიც სემანტიკურად ქართული «ხელმწიფე»-ს შესატყვისია. მოკლედ, მეცნიერი თვლის, რომ სიტყვა «ფარნავაზი» (< სპ*»ფარნაბაზა») ძველად ხელმწიფის, მეფის ზოგადად აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა ქართულ სამყაროში (იხ. 78:80-84). აღნიშნული სახელის ამგვარი განმარტებით იქმნება საფუძველი იმ თვალსაზრისის დამკვიდრებისათვისაც, რომ ქართული დამწერლობის შექმნის მოვლენა შეცდომით, გაუგებრობის ნიადაგზე იქნა გადატანილი წინაქრისტიანულ ეპოქაში და დაკავშირებული ქართლის სამეფოს ლეგენდარული მესამირკვლის პიროვნებასთან. როგორც ჩანს, მემატიანის ხელთ არსებულ ბუნდოვან გადმოცემაში იკითხებოდა მეფის/ხელმწიფის აღმნიშვნელი ზოგად-ტრადიციული ტერმინი, რომელიც მემატიანემ პიროვნების კონკრეტულ, ჩვენს შემთხვევაში ქართლის სამეფოს ფუძემდებლის, სახელად გაიაზრა. აღნიშნულ გადმოცემაში ანბანის შემქმნელი მეფის ნამდვილი სახელი («ბაკურ») ან აღარ ამოიცნობოდა, ან კიდევ, ჩვენი მემატიანის პირადი შეხედულებისა თუ სხვა ჯერჯერობით უცნობი მიზეზის გამო იგი უკუგდებული იქნა. მაგრამ იმავე მ.სანაძის მოსაზრება, რომ ის, რასაც ჩვენ «ქართულად» ფარნავაზს ვუწოდებთ, მემატიანეს თითქოსდა სპარსულად არმაზ/აპურამაზდას სახით ჰქონდა გააზრებული (81:82), ჩვენ, მართალია, საინტერესოდ, მაგრამ იმავე დროს ძნელად გასაზიარებლად მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, ფარნავაზსა და აპურამაზდას შორის ტოლობის ნიშნის დასმის რეალურ-ისტორიულ საფუძველს პირადად ჩვენ ვერ ვხედავთ. ცხადი და სინამდვილე მხოლოდ ერთია: კერპი «არმაზი» სხვაა (=მთვარის ხეთურ-მცირეაზიულ კერპ-ღვთაება «არმა/არმაშ»-ს) და პიროვნული სპარსული სახელი «არმაზი» (=სპარსულ «აპურამაზდა/ოპრმაზდ/ორმიზდ»-ს) კიდევ სხვა.

ერთი სიტყვით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ცნობა ქართული მწიგნობრობის შექმნის შესახებ ლეონტი მროველის თხზულებაში თავის ადგილზე არ იმყოფება. წესით და რიგით, ის ქრისტიანულ ეპოქაში, ბაკურ თრდატის ძის ზეობასთან დაკავშირებით უნდა ყოფილიყო მატიანეში ჩართული. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ლეონტი მროველს პირველ ქრისტიან მეფეთა შორის რატომღაც ერთადერთი სწორედ ბაკურ თრდატის ძე (იგივე დიდი ბაკური) ჰყავს «გამორჩენილი»!

სამწუხაროდ, ლეონტი მროველის მიერ ხელოვნურად შექმნილი ვერსია ქართული მწიგნობრობის ლეგენდარული ფარნავაზ მეფის ეპოქაში ჩამოყალიბების შესახებ გახდა შემდგომში იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ XI ს-ში ჯერ კიდევ არსებული ძველი, მაგრამ, ეტყობა, უკვე ფრიად გაბუნდოვნებული ხსოვნა ჩვენთვის საინტერესო მოვლენაზე თანდათანობით წაიშალა ქართველთა მეხსიერებიდან.

ასე და ამრიგად იქნა გაძვევებული ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის მოვლენა მის თავმდაბალ შემოქმედ პირებთან ერთად ქრისტიანული ეპოქიდან; ასე და ამრიგად გაქრა ხსოვნა «წმინდა წერილის», ჩვენი ეროვნულ-ქრისტიანული მწერლობის ამ საფუძველთა საფუძვლის, ქართულად გადმოღების პერიპეტეების შესახებ; ასე და ამრიგად იქნა უსამართლოდ მითვისებული წარმართობის ეპოქალური სამყაროს მიერ ღმერთშემოსილ ქრისტიან ბრძენ-კაცთა ხელთუქმნელი ნამოღვაწარი - ქართული «ასომთავრული».

ქართული დამწერლობის «დაფარული» წარსულის გამომზეურებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელს უშლიდნენ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები. მოვლენის შესახებ ძველ წერილობით წყაროებში სანდო ინფორმაციის არარსებობის პირობებში სპეციალისტთაგან მთელი ყურადღება გადატანილი იქნა საკუთრივ ანბანის შინაგანი და გარეგანი სტრუქტურის შესწავლაზე, რაც პრობლემის მხოლოდ ლინგვისტური და მათემატიკურ-გეომეტრიული თვალსაწიერით ანალიზის

საშუალებას იძლეოდა (ი.ჯავახიშვილი, კ.კეკელიძე, ა.შანიძე, ვ.ბედერი, თ.ჩხენკელი, ე.მაჭავარიანი, თ.გამყრელიძე და სხვ.). კვლევის შემდგომ ეტაპზე ყურადღება გამახვილდა ასომთავრულის მათემატიკურ-კალენდარულ ფუნქციაზე (რ.პატარიძე, ნ.კანდელაკი და გ.ცერცვაძე). სხვადასხვა მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად პრობლემის ირგვლივ დაგროვდა ინფორმაციის საკმაოდ სოლიდური მარაგი. მაგრამ, ამასთანავე, აშკარად იგრძნობოდა, რომ საჭირო იყო იმ ისტორიული ეპოქის საზოგადოების სულისკვეთების შეცნობა, რომლის გარემოცვაშიც ყალიბდებოდა ქართული ეროვნული დამწერლობის სისტემა - «ასომთავრული». გასათვალისწინებელი იყო ანბანის შემქმნელი წრის მაღალი ინტელექტუალური მონაცემების არსებობის ფაქტორიც, რაშიც საკითხის სხვადასხვა რაკურსში შესწავლის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე მუდმივად რწმუნდებოდნენ მკვლევარები. დიდი ბაკურის მაგალითზე ჩვენ ახლა უკვე ვიცით, თუ რა ტიპის ადამიანების წრეში შეიქმნა ქართული ასომთავრული; მისი შემოქმედნი იყვნენ ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებაში, გრამატიკაში, უცხო ენებში, ფილოსოფიაში, დიალექტიკაში, რიტორიკაში, ასტრონომიაში, მათემატიკასა და გეომეტრიაში და ალბათ, სხვა დანარჩენ ელინურ მეცნიერებებშიც ღრმად განსწავლულად ადამიანები. მხოლოდ ბრძენ ადამიანს შეეძლო ქართულ ზეპირ თვლაში მოცემული არაპოზიციური ნუმერაციის ფილოსოფიურად გააზრების ნიადაგზე დაენახა მეგობრული რიცხვების პითაგორას წყვილში (220 და 284) «ბაკურ»-სახელის ქარაგმული ვარიაციის ამოკითხვის შესაძლებლობა. ამ ბრძენმა პიროვნებამ იცის პითაგორას პასუხი შეკითხვაზე, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს მის მეგობრად: **«ის, ვინც არის ჩემი მეორე მე, როგორც რიცხვები 220 და 284»**; და აი, «ქებაის» ჰიმნში ჩაწერილი სიტყვების: «და **მეგობრობა** ამისთვის თქუა ვითარმედ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს», არსიც ახლა ჩვენთვის უკვე ცნობილი გახლავთ: «220» (ორ-ას-ოცი) ზეპირსიტყვიერად გადმოიცემა სამი რიცხვით: «2», რომლის შესატყვისია ასო-ნიშანი «ბ»-ანი, «20» ანუ «კ»-ანი და «100» ანუ «რ»-აე (დალაგებულია ანბანური რიგით), რაც მთლიანობაში **«ბ(ა)კ(უ)რ»**-სახელის ქარაგმული ვარიაციის წაკითხვის საშუალებას იძლევა. ხოლო რიცხვის «284» (ორ-ას-ოთხ-მეოც და ოთხი) ზეპირსიტყვიერად გადმოცემის შემთხვევაში კი ანალოგიური წესით წაკითხება იგივე დაქარაგმებული **«ბ(ა)კ(უ)რ»** და დამატებით კიდევ სიტყვა **«დ(ი)დ(ი)»**-ს ქარაგმა (იხ. 104:132-134). «ბაკურის» **«მეორე მე»**, ანუ **«Alter ego»** არის კიდევ «დიდი ბაკური»! სხვათა შორის, «ბაკურ»-სახელის ქარაგმის შემადგენელი ბგერების იმავე წესით გადმოცემა შესაძლებელია კიდევ და მხოლოდ ორად-ორი რიცხვით: «140» და «122»; დაქარაგმებული «ბაკურ დიდი»-ს იმავე წესით გადმოცემაც ასევე კიდევ და მხოლოდ ორი რიცხვითაა შესაძლებელი: «444» და «482». მაგრამ «ქებაის» ტექსტისეული «მეგობრობის» ცნების პითაგორულ-მატემატიკური სიბრძნის მემკვიდრით გააზრება და ქართული ანბანის «საიდუმლოსთან» მისი დაკავშირება რეალურად მხოლოდ მეგობრული რიცხვების (220 და 284) ნიადაგზეა შესაძლებელი. ყველა სხვა შემთხვევაში «ქებაისეული» ინფორმაციის მსგავსი წესით ახსნას უბრალოდ აზრი ეკარგება. ზეპირი ნუმერაციის ფილოსოფიურ გააზრებას ხელს უეჭველად ის გარემოებაც უწყობდა, რომ ეროვნული ანბანის შემოღებამდე ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩვენს წინაპრებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა წერილობით მოეხდინათ ამა თუ იმ რიცხვის სიტყვიერი ფიქსაცია, ანუ ქართულ მეტყველებაში მიღებული სახელდებით ჩაეწერათ ესა თუ ის რიცხვი. დამწერლობის ვერცერთი სხვა უცხო სისტემა, სავსებით გასაგები მიზეზით, მათ ამგვარ გულისწადილს ვერ დააკმაყოფილებდა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ადრექრისტიანული ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში (მაგ., ბოლნისის სიონის წარწერა, «შუშანიკის წამება», «ევსტათი სპარსის წამება» და სხვ.) სათარიღო (წლების,

დღეების...) რიცხვები სწორედ ზეპირსიტყვიერი სახელწოდებების სახით არის მოცემული და არა შესატყვისი ანბანური ასო-ნიშნებით. საფიქრებელია, რომ ეს ადგილობრივ არსებული ძველი და ძვალ-რბილში გამჯდარი ტრადიციის ინერციით იყო განპირობებული.

რიცხვი «284», რომელიც 532-წლიან პასქალურ ციკლებზე დაფუძნებული ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვის სისტემაში «ქრისტეს მოსვლის» საკრალური მე-11 საათის ფარგლებში უჩვენებს «ძე ღმრთისა»-ს ღვთაებრივი განკაცების (ანუ იესუ ქრისტეს დაბადების) მისტიური მოვლენის დროს, როგორც ჩანს, მორწმუნეთა ცნობიერებაში საკრალიზებული იყო, რადგან «ღმერთის» აღმნიშვნელი ბერძნული «თეოს»-სიტყვის იზოფსევია არის სწორედ 284 (=თ/9+ე/5+ო/70+ს/200). ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა თვითონ სახელი «ბაკურ»-ი (< ბაგ-პურ/ზაგ-პუჰრ), რომელიც სპარსულიდან ქართულად ითარგმნება როგორც «ღმრთის ძე» ან «ძე ღმრთისა»!!! ცნობილია ისიც, რომ ძველად არსებობდა სახელის კულტი. ძველი ლათინების რწმენით, «სახელი წინასწარმაუწყებელი ნიშანიცაა» (Nomen est omen). სახელი გამოხატავდა თავად ცხოვრებას ადამიანისას, მის არსს და უდიდეს ზეგავლენას ახდენდა მისი მატარებელი ადამიანის პიროვნებაზე. ამგვარ სახელებს უპირატესად თეოფორიული სახელები ან თეონიმები ეწოდება. თუკი ჩვენთვის საინტერესო პიროვნების სახელს ამ თანრიგში განვიხილავთ, ზედმეტი არ იქნება მათეს სახარებიდან მაცხოვრის შემდეგი სიტყვების მოყვანა: «ნეტარ იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ» /მათე-5,9/. მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგენელი (200-258 წწ.) განმარტავდა იმას, თუ როგორი ადამიანები შეიძლებოდა წოდებულიყვნენ «ძე ღმრთისად»; მისი აზრით, «ძეთა ღმრთისათა შეჰფერით იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, მდაბალნი გულითა, უბრალონი სიტყვით, კეთილგანწყობილნი ერთმანეთის მიმართ, ერთსულოვნების კავშირით მტკიცედ შეერთებულნი» (52:79). წმ. იოანე ოქროპირი მათეს სახარების განმარტებებში ჩვენთვის საინტერესო ადგილთან დაკავშირებით წერს შემდეგს: «...მშვიდობისმყოფელთა ძედ ღმრთისა წოდებად ღირსჰყოფს, რამეთუ მობაძვ მისა იქმნებიან ამით საქმითა... ესე იგი არს, რაითა ჩუენ შორის მყოფი იგი ბრძოლაი სულისა და ხორცთაი კაცადკაცადმან დავჰხსნათ და მშვიდობაი ვყოთ ჭემმარიტად, ოდეს იგი არღარა ადგილვსცეთ რჩულსა მას ხორცთასა წინაგანწყობად რჩულსა მას გონებისა ჩუენისასა, არამედ დავამორჩილოთ უდარესი იგი უაღრესსა მას მონებად ბრძანებათა უფლისათა და შუა კედელი ზღუდისაი მის დავჰხსნათ და ვქმნათ ორივე ერთად შეერთებითა მით და შეზავებითა კეთილისაითა. და ყოველივე იგი მძლავრებაი ბრძოლისა მის ვნებათაისა განვიოტოთ ჩუენგან: შური, ხდომაი, სიძულვილი, მრისხანებაი, ძვირისხსენებაი, ორგულებაი, ზაკუაი, გულარძნილებაი, გულისთქუმაი ბოროტი, ზუაობაი და ყოველივე იგი ვნებათა სიმყრალე და დავაშენოთ მათ წილ შორის ჩუენსა: სიყუარული, სიხარული, მშვიდობაი, სულგრძელებაი, სიტკბოებაი, სახიერებაი, სარწმუნოებაი, ყუდროებაი, მოთმინებაი და სხუანი იგი მსგავსნი ამათნი. მაშინ იქმნას ჩუენ შორის მშვიდობაი ჭემმარიტი და შეუძლოთ სხუათაცა მშვიდობისყოფად, და ღირს ვიქმნეთ ძედ ღმრთისა წოდებად, ვიყვნეთ რაი ჭემმარიტნი მშვიდობისმყოფელნი» (35:254-255). სწავლული ბერი - ეფთვიმე ზიგაბენი მათეს სახარების ძველბიზანტიურ წმინდა განმარტებების საფუძველზე მის მიერ შედგენილ განმარტებებში აღნიშნავს, რომ «ძედ ღმრთისად» იწოდებიან «ისინი, ვინც არამხოლოდ თვითონ არ სთესენ უთანხმოებებს, არამედ სხვა მოქიშპევსაც მიუძღვიან მშვიდობისაკენ. «ძედ ღმრთისად იწოდნენ», ვითარცა მბაძვნი მხოლოდშობილისა მის ძისა, რომლის საქმე იყო შეეერთებინა განყოფილი და შეერიგებინა მოქიშპენი. მშვიდობისმყოფელი შეიძლება იყოს ნეტარი, როგორც საკუთარი ხორცის სურვილების სულის სურვილებთან შემთანხმებელი, და როგორც უარესის

უკეთესისათვის დამმორჩილებელი. მშვიდობისმყოფელნი არიან ასევე ისინი, რომლებიც სწავლების გზით ღმრთისაკენ მოაქცევენ მის მტრებს; ისინი ასევე არსებითად არიან **ძენი ღმრთისანი** იმიტომ, რომ მხოლოდშობილმა ძემაც შეგვარიგა ჩვენ ღმერთთან» (29:50).

როგორც ვხედავთ, დიდი ბაკურის არამხოლოდ მსოფლგაგების სურათი, არამედ თვით სახელიც მისტიური დატვირთვის მატარებელია. შესაბამისად, მორწმუნეთა შეგნებაში და უეჭველად, თვითონ ბაკურის ცნობიერებაშიც ეს გარემოება არაუკანასკნელ როლს ასრულებდა და ვფიქრობთ, რომ მან ჩვენთვის საინტერესო პიროვნების მხრიდან ცხოვრების წესის არჩევანზეც მოახდინა საგრძნობი გავლენა. ვინაიდან, როგორც წმ. კირილე იერუსალიმელი გვასწავლის: «სახელი, მინიჭებული მამისაგან შვილებზედ, ჭემმარტია» (იხ. *სწავლებანი*, XI :137) და ძველთა რწმენით: «სახელი წინასწარმაუწყებელი ნიშანიცაა» (Nomen est omen).

ის ფაქტი, რომ სახელი «ბაკურ» არის «ძე ღმრთისა»-ს სპარსული ექვივალენტი, სხვა მხრივაც არის საყურადღებო. სიტყვა «ღმერთი»-ს ბერძნული შესატყვისი «თეოს», როგორც ვიხილეთ, მისი შემადგენელი ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობების შეკრების გზით (იზოფსეფიით) რიცხვს «284» იძლევა. რაც შეეხება სიტყვა «ძე»-ს, მისი ბერძნული შესატყვისის «Yios» იზოფსეფია გახლავთ რიცხვი «680» (ი-ფსილონ/400+ი/10+ო/70+ს/200). მაშასადამე, «ღმერთი»-ს სიმბოლური რიცხვია «284», სიტყვა «ძე» კი ჰკრებს რიცხვს «680». ქართულ წელთაღრიცხვაში ბერძნული სიტყვების საკრალური კომპლექსის დამოწმების ფაქტში შეგვეძლო ეჭვიც შეგვეტანა, მაგრამ ჩვენ ხომ დიდი ბაკურის სწორუპოვარ ქმნილებასთან გვაქვს საქმე?! ხოლო ბაკურის ბერძნულში ღრმად განსწავლულობის ფაქტი რომ არანაირ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ამაში მკითხველს თავად შეეძლო ზემოთ დამოწმებული მასალების ნიადაგზე თვალნათლივ დარწმუნებულიყო. გარდა ამისა, ჩვენ მიერ დასახელებული მაგალითი პარალელებს ჰპოულობს ადრექრისტიანული ხანის მორწმუნეთა ანალოგიურ წარმოდგენებთან. მაგალითად, იოანეს «გამოცხადებაში» მაცხოვარი იწოდება «ალფად» და «ომეგად». ამ ორ ბერძნულ ასოს შეესატყვისება ციფრები $1+800=801$, ხოლო მტრედის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვის «პერისტერა» იზოფსეფია არის იგივე რიცხვი 801. ამიტომ პირველ ქრისტიანთა ცნობიერებაში «საღმრთო ფრინველი» - მტრედი ხშირად ასოცირდებოდა მაცხოვართან (იხ. *ეპისკოპოსი პორფირი უსპენსკი. იტალიური მიწის სიწმინდენი*. მ., 1996:174-175 რუს. ენაზე). მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

ამიტომ ჩვენ უკვე აღარც გვიკვირს ის გარემოება, რომ «284»-ის მსგავსად «680» ასევე ფიგურირებს ქართულ საეკლესიო წელთაღრიცხვაში. კერძოდ, «ქრისტეს პირველად მოსვლის» საკრალური საათის დასაწყისიდან, ანუ «დასაბამითგან» 5.320 წლიდან წინ გადათვლილი 284 წელი თუკი იესუ ქრისტეს შობის თარიღს - 5.604 წელს გვაძლევს, იმავე 5.320 წლიდან წინ გადათვლილი 680 წელი «მეორედ მოსვლის» ჟამის დასაწყის ნიშნულს - «დასაბამითგან» 6.000 წელს თანხვდება. მაინც რისი თქმა უნდოდათ აღნიშნული შესაბამისობით ქართული ასომთავრული ანბანისა და ორიგინალური ქრისტიანული კალენდარული წელთაღრიცხვის შემქმნელებს? ჩვენი აზრით, მათ აღნიშნულით გააცხადეს შემდეგი ინფორმაცია: სამყაროს დასაბამიდან 5.320-ე წლით დაიწყო «ქრისტეს პირველად მოსვლის» საათი, 284 წლის თავზე (ე.ი. 5.604 წ.) ქრისტე განკაცდა; 680 წლის თავზე «ქრისტეს მეორედ მოსვლის» საკრალური საათი დაიწყო. მთლიანობაში ქრონოლოგიური პერიოდი: «5.320-6.000», ეს არის სიმბოლურად აღებული დროის სივრცე მხსნელი უფლის «პირველად მოსვლის» საათის დასაწყისიდან მისი «მეორედ მოსვლის» საათის დასაწყისამდე, ანუ აღნიშნული პერიოდი იესუ ქრისტეს - «მხოლოდშობილი ძე ღმრთისას» კუთვნილია!

5.320 _____ 5.604

ETHEOS
(«ღმერთი»)

5.320 _____ 6.000

YIOS
(«ძე»)

აი, კიდევ ერთი ბრწყინვალე მოწმობა იმისა, თუ რატომ არის «ქებაის» ჰიმნის ავტორის აზრით ქართული ენა (ანბანი) «შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა», რომელიც «მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა!» (გავიხსენოთ, რომ ასომთავრული «ქ»-ანი მაცხოვრის სიმბოლური ნიშანი, ოთხმკლავიანი ჯვარია და რომ იგივე ნიშანი ასომთავრულში მაცხოვრის ძირითადი სახელის «ქ-რისტე» საწყის ბგერას აღნიშნავს; სიტყვები: «ქ-ართული» და «ქ-ართველი» კი სწორედ აღნიშნული ასო-ნიშნით იწყება! - ბ.ხ.). ახლა ხომ სრულიად გასაგები ხდება ის გარემოებაც, თუ რატომ არის ქართული ანბანის 37-ივე ასო-ნიშანი დავათის ქვასვეტის თევზის მოყვანილობის გაშლილ პერგამენტზე ესქატოლოგიურ სცენაში ჩაწერილი?! სიტყვა «თევზი»-ს იზოფსევია ხომ რიცხვ 37-ს ($=\theta/9+\epsilon/5+\zeta/6+\eta/7+\iota/10$) ასაჩინოვებს და იგივე სიტყვა «თევზი»-ს ბერძნული ექვივალენტი ხომ «**IXTHYS**» არის, რომლის აკროსტიქი: «**ი-ესუს ხ-რისტოს თ-ეუ ი-იოს ს-ოტერ**» ქართულ თარგმანში გადმოიცემა, როგორც «**იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა, მხსნელი**»?!

თავის დროზე მათემატიკოსმა ნ.კანდელაკმა და გ.ცერცვაძემ მიუთითეს იმ ფაქტის შესახებ, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანზე დაფუძნებული ორიგინალური ქრისტიანული წელთაღრიცხვის («დასაბამითგანი», «ქორონიკონი») შემქმნელი პირი შთაგონებული იყო იოანე ღმრთისმეტყველის «გამოცხადებით»; მათი სიტყვით, მან შესანიშნავად გაიაზრა ის, რომ 36 ნიშნის ჩათვლით ქართული ანბანის წონაა «666», ანუ აპოკალიფსური «მხეცის რიცხვი», სიმბოლო ყოველგვარი ბოროტებისა და იოანეს გამონათქვამში: «მე ვარ ალფა და ომეგა», 37-ნიშნის შემოღების უდიდესი საიდუმლო დაინახა. კერძოდ, 37-ე სიმბოლოს შემოღებით «666» დაიძლევა ქრისტიანობის სრული გამარჯვებით (იხ. 44:157-163). ამიტომ სრულებითაც არ უნდა მოგვეჩვენოს უცნაურად ის ფაქტი, რომ იოანე ღმრთისმეტყველის «გამოცხადებით» შთაგონებულმა ქართული ანბანის შემქმნელმა პირებმა მისი მიმსგავსებით თუ მიბაძვით დაუდვეს რიცხვული მისტიკა საფუძვლად ქართულ ასომთავრულ ანბანზე დაფუძნებულ ქრისტიანულ წელთაღრიცხვას.

«იმისათვის რომ ... გაუგო წინასწარმეტყველს, საჭიროა მისი ძალა. და არავის ძალუმს წინასწარმეტყველის გულისხმის ყოფა, თუ თვითონ ღვთიური სული არ გაუწყებს საკუთარი სიტყვების არსს»-ო, ბრძანებდა წმ. გრიგოლ სასწაულთმოქმედი (III ს.). ახლა სრულიად ნათელი ხდება «ქებაის» ავტორის შემდეგი სიტყვების შინაარსიც: «და მარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე. და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან». რატომ უწოდებს ქართულ ენას (ანბანს)

ძეგლის ავტორი «ლაზარეს»? იმიტომ, რომ ლაზარეს მკვდრეთით აღდგომის იდეა მომავალ, ანუ «მეორედ მოსვლის» ჟამს ნაწინასწარმეტყველები საყოველთაო აღდგომის სიმბოლოს წარმოადგენს მორწმუნეთა შეგნებაში. «მეორედ მოსვლის» მოლოდინი კი, როგორც ჩვენ ამაში შეგვეძლო დავრწმუნებულიყავით, აღბეჭდილია ქართულ ასომთავრულ ანბანსა და მისი ასო-ნიშნების რიგ-სათვალაფზე დაფუძნებულ ორიგინალურ კალენდარულ წელთაღრიცხვაში. ახლა, «რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!» (მ. 11-15; 13-9, 43; მრ. 4-9, 23; 7-16; ლ. 8-8; 14-35).

ცდება ის, ვინც თვლის, რომ პირდაპირი წერილობითი ცნობა ქართული ეროვნული დამწერლობის ქრისტიანულ ეპოქაში შექმნის შესახებ, ბუნებაში არ მოიპოვება. ზემოთ მოყვანილი მასალების საფუძველზე ჩვენ შეგვეძლო დავრწმუნებულიყავით იმ ობიექტურ ჭეშმარიტებაში, რომ თვითონ ქართული ასომთავრულია აღნიშნულის თვალნათლივი მოწმობა; და კიდევ, დავათის ქვასვეტზე აღბეჭდილი და «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის» ჰიმნში გაცხადებული, მაგრამ უკანასკნელ დრომდე «დაფარული» ინფორმაცია. ისინი სათითაოდ აღებულიც კი შეუდარებლად უფრო აღმატებულნი არიან, ვიდრე ლეონტი მროველის სულ რამოდენიმე სიტყვით შეკოწიწებული ზოგადი ხასიათის ფრაზა: «ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული». «თვითონ ამ მონაკვეთის შიგნით თანდათან იკვეთება ორი მეტად ექსპრესიული სინტაგმა: «ამან განავრცო», «ამან შექმნა». ამ სინტაგმებში შემავალი ნაცვალსახელები მკვეთრად უპირისპირდება მონაკვეთის თავსა და ბოლოში მოხსენიებულ «ფარნავაზ» სახელს. უცნაური იჭვიც კი იზადება: რატომ «ამან» და არა «ამან ფარნავაზ?»-ო, სვამს რეზონულ კითხვას მწერალი თ.ჩხენკელი (94:145). მართლაც, რატომ? ამ კითხვაზე, ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული მაგალითების გარდა, შეიძლება პასუხს გვაძლევს «ფარნავაზ»-სახელის იზოფსეფიაც, ანუ რიცხვი «666», რომლის შესახებაც იოანე ღმრთისმეტყველი «გამოცხადებაში» ბრძანებს შემდეგს: «აქა არს სიბრძნე; რომელსა აქუს გონებაი, აღიპყარნ რიცხვი იგი მხეცისაი, რამეთუ რიცხვი კაცისაი არს რიცხვი მისი ექუს სამეოც და ექუს» (13,18). გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სახელი «ფარნავაზ» მისი აპოკალიფსური შინაარსის მქონე იზოფსეფიის (666) ნიადაგზე ქართული ასომთავრულის შემქმნელებმა გაიაზრეს როგორც წარმართობის, ანუ ზოგადად, ქრისტიანობის დაუძინებელი მტრის - ანტიქრისტეს სიმბოლო და მის მიმართ თავიანთი მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების ფაქტი გამოხატეს ქრისტიანული შინაარსის ორიგინალურ რიცხვულ მისტიკაზე აგებული კალენდარული წელთაღრიცხვის მეოხებით, რომელშიც არაორაზროვნად არის «ჩაბეჭდილი» ორი ღმერთშემოსილი, გენიოსი ადამიანის ურყევი რწმენა და იმედი ანტიქრისტეს ქრისტესაგან ძლევის გარდაუვალობის შესახებ. როგორც ქრისტე - «მხოლოდშობილი ძე ღმრთისა» სძლევს «მეორედ მოსვლის» ჟამს მხეცის რიცხვით («666») აღბეჭდილ ბოროტების განსახიერებას - ანტიქრისტეს, ისევე სძლევს ცხოვრების წესით ქრისტეს მზაძავი და უფლის მცნებების ერთგული მიმდევარი, სიჩოითგან «ძედ ღმრთისად» წოდებული «ბაკურიც» იმავე «მხეცის რიცხვით» აღბეჭდილ «ფარნავაზს», ანუ «ქართული ოფიციალური წარმართობის» ტრადიციულად აღიარებულ ფუძემდებელს და საერთოდ, წარმართობის ადგილობრივ ზოგად სიმბოლოს! დიდი ბაკურის წარმართული სამყაროსადმი დაპირისპირების ყველა ჩვენს მიერ აღნიშნული ფაქტი ლოგიკურია იმის ფონზე, რომ რომის იმპერატორი თეოდოსი I დიდი 381-392 წწ-ის მანძილზე ბიზანტიაში მყოფი იბერიელი მეფისწულის თვალწინ (და იქნებ, მისი აქტიური მონაწილეობითაც კი?! - ბ.ხ.) სასიკვდილოდ გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა წარმართობას, რომლის ბედიც იმპერიაში ფაქტიურად მაშინ გადაწყდა; ლოგიკურია იქედან გამომდინარეც, რომ

დიდი ბაკურის წინამორბედი ქართლის ხელმწიფე ასფაგური (= ვარაზ-ბაკური, ვარაზ-ბაქარი) «იყო კაცი ურწმუნო», რომელმაც ფარულად «დაუტევა სჯული» ქრისტესი, «შეიყვარა სოფელი ესე და მიდრკა კეთილისაკენ», ანუ ჩავარდა სრულ ურწმუნობაში და პირადი მაგალითით ქვეყნის მოსახლეობასაც იქეთკენ უბიძგა. შექმნილ ვითარებაში დიდი ბაკური, როგორც ქრისტიანობის მქადაგებელი კაცი-მონარქი, მხსნელად მოევლინა ქვეყანას და უკან, წარმართობის წყვდიადისაკენ შეტრიალებული მოსახლეობა კვლავ ქრისტეს რჯულის ერთგულებისაკენ შემოაბრუნა. ჭეშმარიტად, «აქა არს გონებაი, რომელსა აქუნდეს სიბრძნე...» (იოანეს გამოცხადება - 17,9).

ნეტარი ავგუსტინის, წმ. იოანე დამასკელის და სხვა საეკლესიო მოღვაწეთა თხზულებებში არაერთი მაგალითი გვხვდება იმისა, თუ როგორ გაურბოდნენ ძველი ქრისტიანი მამები უფლის სახელის უქმად ან ყოველ შემთხვევაში, კონტექსტში გადაჭარბებულად ხსენებას; ამ მიზეზით ხშირია მათგან «ღმერთის» ცნების სანაცვლოდ ხაზგასმული ნაცვალსახელების (მან, მას, იგი, მისი, ვინ, რომელმან და ა.შ.) დამოწმების ფაქტები. ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმგვარ შესაძლებლობას, რომ ლეონტი მროველის ზემოხსენებულ ცნობაში მოცემული სინტაგმები: «ამან განავრცო» და «ამან შექმნა» იმავე ვითარების ამსახველი იყოს და მაშინ გამართლდებოდა მწერალ თ.ჩხენკელის ის მოსაზრებაც, რომ ლეონტისეული ცნობის სახით სიმბოლიკურ-ენიგმურ ტექსტთან უნდა გვექონდეს საქმე.

ხაზგასმით გვსურს იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი გადასახედიდან პრაქტიკულად შეუძლებელია IV-V სს-თა ზღვარზე მცხოვრებ და მოღვაწე ადამიანთა აზროვნების სიღრმისეულად აღქმა, ვინაიდან მათი მისტიური მსოფლგაგების, აზროვნების ხატი ისე განსხვავდება ჩვენი, ანუ თანამედროვე ეპოქის ადამიანთა მექანიკური ხასიათის აზროვნებისაგან, როგორც ცა და დედამიწა ერთმანეთისაგან. ძველებისათვის ჩვეულებრივი აღსაქმელი იყო, მაგალითად, «სიბრძნე ბალაჰვარისი»-ს შემდეგი სიტყვების შინაარსი: «და რამეთუ უკეთუ იხილო ჭურჭელი რაიმე შექმნილი, დაღათუმცა მოქმედი არა ჰნახე, სწამევე, ვითარმედ უვის შემოქმედი». ჩვენს დღევანდელიობაში კი, იგივე სიტყვები ბარემ ორისთვის შეიძლება არ აღმოჩნდეს უცილობელ ჭეშმარიტებად; და თუ ჩვენ, დღევანდელები ჩვენივე მცირედ მორწმუნეობის მიზეზით სათანადოდ ვერ ვჭვრეტთ საგნებს ან მოვლენებს ისე სიღრმისეულად, როგორც ამას ძველი დროის მორწმუნე ქრისტიანები ახერხებდნენ, ეს, რასაკვირველია, ჩვენი ნაკლია და არა იმათი. შეიძლება წარმოდგენილ თემასთან დაკავშირებით პრობლემურ კითხვათა ნაწილზე (არ ვგულისხმობთ პრინციპული ხასიათის კითხვებს - ბ.ხ.) ჩვენ მიერ გაცემულ პასუხებს გარკვეულწილად აკლდეს კიდევ საკმარისი დამაჯერებლობა. მაგრამ ბრძენს უთქვამს: «ერთს შეუძლია მეორეზე მეტი აღმოაჩინოს, ყველაფერს კი ვერავინ აღმოაჩენს»-ო. ასეთ შემთხვევაში იტყოდა ალბათ კიკერონიც თავის ცნობილ სიტყვებს: Non me pudet fateri nescire, quod nesciam - «მე არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ არ ვიცი ის, რაც არ ვიცი»...

საკმაო დროის მანძილზე რჩებოდა თავსატეხად ის, თუ რა მიზეზით შეიძლებოდა ქართული ენა «ქრისტეს ენად» წოდებულიყო. ახლა ჩვენ ამ კითხვაზე სრული პასუხი უკვე გაგვაჩნია. ქართულ «ასომთავრულში», ამ ჭეშმარიტად უნიკალურ ქმნილებაში, ანბან-კალენდარში ასო-ნიშნებისა და მათი შესატყვისი რიცხვების მეოხებით ჩაბეჭდილია კოდირებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართული ენა და დამწერლობა «იესუ ქრისტეს - მხოლოდშობილი ძე ღმრთისას» კუთვნილია, მისგან არის მომადლებული და მისსავე სახელზეა შექმნილი. ქართული «ასომთავრული» იმავდროულად დიდი ბაკურის უკვდავი ქმნილებაცაა, რადგან ეს ასკეტურად თავმდაბალი ბრძენ-კაცი, ერთის მხრივ თუ სიჩოითგანვე იწოდა მშობელთაგან «ძედ

ღმრთისად» (სპარს. ბაკურ < ბაგპურ), მეორეს მხრივ კიდევ ის, როგორც საკუთარი ცხოვრების წესით «მბამავი მხოლოდშობილისა მის ძისა», ღირს იქმნა «მედ ღმრთისად წოდებად»!

ქართულ ასომთავრულ ანბანს ქრისტიანული ეპოქის სწორუპოვარ ქმნილებად აცხადებდნენ თავის დროზე აკადემიკოსები კ.კეკელიძე და ა.შანიძე, ახლო წარსულში კი - პროფ. ზ.სარჯველაძე. ჩვენს დროში იმავე პოზიციაზე დგანან აკად. თ.გამყრელიძე, მწერალი თ.ჩხენკელი და სხვ. მათი იმედი საბოლოოდ გამართლდა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გვსურს აღვნიშნოთ ის, რომ მოცემული პრობლემის გადაჭრის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა თ.გამყრელიძის ფუნდამენტურმა ნასრომმა: «წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა» (1989/90 წ.). მან ნებსით თუ უნებლიეთ შეუმზადა ნიადაგი ჩვენს წინამდებარე მონოგრაფიას, შეუქმნა მას სავალდებულოდ აუცილებელი მყარი ენათმეცნიერული საფუძველი. ამასთანავე, კვლავ და კვლავ გვსურს გავიმეოროთ ჩვენი ადრე ერთხელ უკვე გულწრფელად ნათქვამი სიტყვები: «...წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ მიღებული შედეგობრივი დასკვნები, არსებითად, ყველა იმ მეცნიერისა თუ მკვლევარის დამსახურებაცაა, ვისაც კი ოდესმე ქართული ანბანის გენეზისის პრობლემის გამოკვლევა უწარმოებია. ქართული დამწერლობის საიდუმლოებით მოცული წარსულის გამომზეურების საქმეში თითოეული მათგანის მიერ შეტანილი წვლილი ფრიად დიდია, რამეთუ ამ მიმართულებით მათ მიერ წარმართულმა მიზანდასახულმა მცდელობამ და თავდაუზოგავმა გარჯამ ნაბიჯ-ნაბიჯ მიგვაახლოვა ჭეშმარიტების სამანთან» (102:142).

დიდი ბაკური (სეფეწულ გრი ორმიზდთან ერთად) ქართული ასომთავრული ანბანისა და ორიგინალური ქრისტიანული წელთაღრიცხვის ფუძემდებელია! - ასეთია ჩვენი მტკიცე რწმენა და თვალსაზრისი, რომლის მართებულობის და თუ გნებავთ, უალტერნატივობის საჩვენებლად წინამდებარე ნაშრომში, ჩვენი აზრით, სრულიად საკმარისი არგუმენტები იქნა მოხმობილი. დანარჩენი, დაე, თავად წიგნის მკითხველმა განსაჯოს; განსაჯოს მშვიდად, პირუთვნელად, საკუთარი გონებისა და გულის ხმის კარნახით...

P.S. უკანასკნელ პერიოდში, როგორც ეს ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, აკად. ლ.ჭილაშვილმა ნეკრესის ნაქალაქარზე მოპოვებული ქართული წარწერები ჩვ. წ. აღ-ის I-III სს-ით დაათარიღა, ხოლო ასომთავრული ანბანი ცეცხლთაყვანისმცემელთა წრეში შექმნილ დამწერლობის სისტემად გამოაცხადა (იხ. 100). ენობრივი, პალეოგრაფიული თუ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მასალების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ჩვენ პრინციპულად ვერ გავიზიარეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პატივცემული მეცნიერის მიერ წარმოდგენილი დასკვნების ნაწილი და საკუთარი თვალსაზრისი დასახელებულ თემაზე დავაფიქსირეთ კიდევ სპეციალური წერილის სახით (იხ. 103). ამასთანავე, უახლესმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს იმ ობიექტურ ჭეშმარიტებაში, რომ ასომთავრული ანბანი ნამდვილად ქრისტიანული ეპოქის ქმნილებაა. მას შემდეგ, რაც მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთან, უშუალოდ კედლის მომიჯნავედ აღმოჩენილ III-IV სს-ით დათარიღებულ ქვასამარხში აღმოჩნდა II-III სს.-ის ქართლის აქამდე უცნობი მეფის - «უსტამოსის» კარის მწიგნობართუხუცესის კუთვნილი საწერი მოწყობილობანი ბერძნულად შესრულებული ზედწერილების თანხლებით (იხ. 9:36-39), ვფიქრობთ, რომ ქართული ასომთავრული ანბანის წინაქრისტიანულ ხანაში

შექმნის შესახებ არსებულ ყოველგვარ ვარაუდს საფუძველი გამოეცალა. თუკი ქართული ასომთავრული ანბანით არ წერდნენ ადგილობრივი ეპიტროპოსები, პიტიახშები, სეფეწულები, ანუ არისტოკრატიული წრეები, არ წერდა სატახტო ქალაქ მცხეთაში მყოფი სამეფო კარის მწიგნობართუხუცესიც, მაშ, ვინდა სარგებლობდა მისით, თუკი წინაქრისტიანულ ხანაში მისი არსებობის ფაქტს მაინც და მაინც დავიჭინებთ?!. განა სრულიად ცხადი არ არის ის, რომ ქართული ასომთავრული IV ს-მდე ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა?...

თავი VI

დიდი ბაკური – შტრიხები პიროვნული პორტრეტისათვის. ცხოვრება-მოღვაწეობის მოკლე მატანე

«ქებასა მართლისასა იხარებდინ ერნი, რამეთუ უკუდავება არს სახსენებელი მისი, რამეთუ ღმრთისა მიერცა საცნაურ არიან და კაცთა მიერცა და სათნო ღმრთის არს სული მისი».
წიგნი სიბრძნისა - 4,1

«ნეტარ არს კაცი, რომელმან ჰპოვა სიბრძნე»
იგავთა - 3,13

დიდი ბაკურის პიროვნულ პორტრეტზე სრული წარმოდგენის შექმნა მომავლის საქმეა. წინამდებარე ნაშრომში მკითხველს საშუალება ჰქონდა საკუთარი გონების თვალთ ეხილა ამ, მართლაც განუმეორებელი და ყველა დროის ქართველთათვის სასიქადულო მოღვაწის ღირსშესანიშნავი სახის მრავალფეროვნება: დიდი ბაკური - გრამატიკოსი და ენათმეცნიერი (ფლობს ბერძნულს, სპარსულს, ასურულს...); დიდი ბაკური - ფილოსოფოსი და მჭერმეტყველი; დიდი ბაკური - მათემატიკოსი, საეკლესიო პასქალისტი და ქრონოლოგი; დიდი ბაკური - ეროვნული დამწერლობის შემოქმედი და მწიგნობარ-მთარგმნელი; დიდი ბაკური - ასკეტურად თავმდაბალი და ღრმადმორწმუნე ქრისტიანი; დიდი ბაკური - ქრისტიანი მისტიკოსი; დიდი ბაკური - ხელმწიფე, საკუთარი სათნოებებითა და ცხოვრების ქრისტიანული წესით ქვეშევრდომთათვის მაგალითის მიმცემი; დიდი ბაკური - ქრისტიანობის მქადაგებელი და წარმართთა ქრისტეს რჯულზე მომქცეველი («ახალი ნინო») მონარქი; დიდი ბაკური - ციხე-ტაძრების, მონასტრებისა და გლახაკთა თავშესაფარი სახლების მაშენებელი; დიდი ბაკური - წმ. ნინო კაზანდოკიელის მოციქულებრივი ღვაწლის პროპაგანდისტი უცხოეთში; დიდი ბაკური - ფრიგიდიუსის ბრძოლის (394 წ.) გმირი სარდალი; დიდი ბაკური - კაცი, «რომელიც სხეულითაც ბრწყინავს და სულიც მას ასეთივე აქვს», «სამართლიანი», «ზომიერი», «ვნება-სურვილებზე მბრძანებელი», «ბრძენი», «უშიშარი», «ბუნებრივი ნიჭით შემკული» (ლიბანიოსი); დიდი ბაკური - კაცი, რომელიც «უაღრესად ზრუნავდა როგორც მორწმუნეობაზე, ისე ჭეშმარიტებაზე» (რუფინუს აკვილელი); დიდი ბაკური - კაცი უცხო ყოველგვარი სიბოროტისათვის და ამავე დროს გაწვრთნილი საომარ საქმეებში, «სარდალთა შორის უმამაცესი» (ზოსიმე); დიდი ბაკური - «კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე სულიერი და ხორციელი სიკეთით» (გიორგი

ამართლო); დიდი ბაკური - ქრისტეს უშიშრად აღმსარებელი მხედარი (იოანე რუფუსი), და კიდევ, დიდი ბაკური - გვარისა და ოჯახის მისაზამი, საამაყო წინამძღოლი...

თუ როგორი იყო წინამდებარე წიგნის გმირის გარეგნული ხატება, ამ კითხვაზე გარკვეული პასუხის მიღება იქნებ დავათის ქვასვეტის დაზიანებული გამოსახულების აღდგენის შემდეგ გახდეს შესაძლებელი. თუმცა ქანდაკების ამჟამინდელი სურათი მაინც იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ დიდი ბაკური იყო მაღალი, წარმოსადეგი შეხედულების მქონე მამაკაცი, სახის გრძელი ოვალითა და დახვეწილი, არისტოკრატიული ნაკვთებით, თვალების ზომიერი ჭრილით, თხელი და სწორი ბაგეებით (დიდი ბაკურის სრული ანტიპოდი ჩანს დავათის სტელის ქანდაკების მიხედვით გრი-ორმიზდი: საშუალო ტანის, პირმრგვალი სახის, თვალების ფართო ჭრილით...). დავათის ქვასვეტის რელიეფური პორტრეტები, სხვათა შორის, ცხადყოფენ იმასაც, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე რომის იმპერიაში მცხოვრები დიდი ბაკური და გრი ორმიზდი რომაული ჩვეულებისამებრ წვერ-ულვაშს არ ატარებდნენ. დავათის ქვასვეტზე გამოსახული დუეტის ჩაცმულობის საგულისხმო ნიუანსია თავსაბურავის იქ წარმოდგენილი სახეობის ტიპოლოგიური მსგავსების ფაქტი ქ. რავენის სან ვიტალეს ტაძრის აბსიდის კედლის მოზაიკურ ფრესკაზე (VI ს-ის შუახანები) გამოსახული იმპერატორ იუსტინიანეს თავსაბურავთან, რაც დავათის რელიეფების შექმნას უნდა ათარიღებდეს არაუგვიანეს VI საუკუნით. დიდი ბაკურის სახიერი პორტრეტის აღდგენაში, ალბათ, გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს მისი ღვიძლი შვილიშვილის - პეტრე იბერის ჩვენამდე მოღწეული მინიატურაც; შვილიშვილის სახის ნაკვთებში პაპისეული გენის შუქიც უნდა ჭიატობდეს...

გამომდინარე იქედან, რომ წინამდებარე ნაშრომი, როგორც ნებისმიერი სხვა სამეცნიერო შრომა, ატარებს კვლევით ხასიათს, ცხადია, მისი შინაარსი რამდენადმე რთული აღსაქმელი იქნება რიგითი მკითხველისათვის, რომელთა რიცხვი განუზომლად მეტია, ვიდრე სპეციალისტთა. ამიტომ, გავითვალისწინეთ რა აღნიშნული გარემოება, საჭიროდ ვცანით დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი მომენტების და ზოგადად, წინამდებარე ნაშრომის მოკლე შინაარსის დასკვნების ნაცვლად ქვემოთ გადმოცემა:

დიდი ბაკური დაიბადა 350 წლის მახლობლად. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად მის უახლოეს წინაპართა რიგებში იყვნენ ქართლისა და სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფეები - მირიანი (პაპის მამა) და თრდატ (ბების მამა), აგრეთვე, მირიანის მომდევნო ქართველი მეფეები - ბაკურ I (პაპა დედის ხაზით), რევ/მირვანი (პაპა მამის ხაზით), თრდატ/საურმაგი (მამა) და წმ. ნინო კაპადოკიელს დამოწაფებული დედოფალი სალომე «უჯარმელი» (ბებია მამის ხაზით). დიდ ბაკურს ჰყავდა უმცროსი ძმა - არჩილი, რომელსაც 423-438 წწ-ში აგრეთვე მოუწია ქართლის სამეფო ტახტზე ყოფნა. დიდმა ბაკურმა ყრმობის წლები გაატარა მამამძუძის, ქართლის ერთ-ერთი, ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობი სეფეწულის სახლში; შემდგომში მან მცირეხნით ჯერ კახეთის მთავარ ქალაქ უჯარმაში, მერე კი - კუხეთის ქალაქ რუსთავში დაჰყო მშობლებთან ერთად. 369 წელს იბერიაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო მეფისწული ბაკური და სამეფო გვარის (ფარნავაზიანების) ე.წ. რევიანთა შტოს წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ტოვებს სამშობლოს და ბიზანტიაში მიემგზავრება. ჭაბუკი მეფისწული რომის იმჟამინდელი იმპერატორის - ვალენტის პირად გვარდიაში იქნა ჩარიცხული. 378 წლის 9 აგვისტოს ქალაქ ადრიანოპოლთან (ბალკანეთის ნ.-კ.) ვესტ-გოთების წინააღმდეგ გამართულ სისხლისმღვრელ შეტაკებაში დიდი ბაკური მონაწილეობას იღებდა როგორც ფაროსანთა (ე.წ. «სკუტარიების») რაზმის მეთაური. 379 წელს რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის (ბიზანტია) მმართველი ხდება ესპანელი

წარჩინებულის შვილი და მანამდე რომაელთა ჯარის ერთ-ერთი სარდალთაგანი - თეოდოსი, შემდგომში «დიდად» წოდებული. ამ კეთილმორწმუნე, ქრისტიანობის მოამაგე მეფესთან ბაკური ახერხებს კიდევ უფრო მეტად დაახლოვებას, ვიდრე იმპერიის წინამორბედ ხელისუფლებთან. იმპერატორი თეოდოსი I თავის ერთგულ თანამებრძოლს, იბერიელ მეფისწულს 80-იანი წლების დასაწყისში პალესტინის საზღვრების სარდლად ამწესებს. ამ დროიდან ბაკური ბინას ქალაქ იერუსალიმში იღებს. აქ იგი ტრიალებს იმ დროის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწეების წრეში. კერძოდ, საგულეებელია, რომ მას პირადი ნაცნობობა ჰქონოდა წმ. კირილე იერუსალიმის მთავარეპისკოპოსთან (350-387 წწ.); ბეთლემში 386 წლიდან დამკვიდრებულ ნეტარ იერონიმესთან (340/42-419/20 წწ.), რომელმაც სწორედ განსახილველ პერიოდში ჩამოაყალიბა «სადმრთო წერილის» კანონიკური ლათინური რედაქცია - ე.წ. «ვულგატა»; წმ. იოანე ოქროპირთან (347-407 წწ.), რომელიც ბაკურის ქ. ანტიოქიაში სტუმრობისას (392 წ.) პრესვიტერის (ხუცესის) ხარისხში მოღვაწეობდა და თანამოქალაქეთა შორის საოცარი პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა; ცნობილ საეკლესიო მწერლებთან: აკვილელ ხუცეს ტურანიუს რუფინუსთან (345-410 წწ.) და იმჟამად პალესტინის კესარიის ეპისკოპოსად მყოფ გელასისთან (+395 წ.), რომლებსაც ის მოუთხრობდა წმ. ნინოს მიერ იბერიის ქრისტიანობაზე მოქცევის ამბავს. პირველდასახელებული ნეტარი იერონიმეს ძველი მეგობარი გახლდათ, მეორე კი - წმ. კირილე იერუსალიმელის ღვიძლი დისწული და ბიძის მსგავსად მართლმადიდებლობისათვის ფრიად დამაშვრალი პიროვნება. ოდნავ მოგვიანებით (394 წლის სექტემბერში) დიდ ბაკურს შესაძლებლობა მიეცა პირადად შეხვედროდა იმპერატორ თეოდოსი I დიდის სულიერ მოძღვარს, დასავლეთის ეკლესიის გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეს - წმ. ამბროსი მედიოლანელსაც (340-397 წწ.). ბაკურს, როგორც რომის იმპერიის სამხედრო მოხელეს, 380-იანი წლების პირველ ნახევარში მოუხდა ამბოხებული არაბი ტომების (სარკინოზები) წინააღმდეგ პალესტინის მალლობებზე წარმოებულ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობის მიღება, რა დროსაც მან ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. იბერიელი მეფისწულის ნაცნობების წრეში იხსენიება ცნობილი სირიელი ნეოპლატონიკოსი სოფისტი, თავის დროზე წმ. მამების - იოანე ოქროპირის, ბასილი დიდი კესარიელისა (331-379 წწ.) და გრიგოლ ღმრთისმეტყველის, ანუ ნაზიანზელის (320-389 წწ.) მასწავლებელი, ლიბანიოსიც (314-393 წწ.). საერთოდ, ყველას, ვისაც კი ოდესმე ჰქონია ქართველ მეფისწულთან ახლო ურთიერთობის ბედნიერება, ბაკური ანცვიფრებდა მისი საოცარი ღმრთისმოშიშობით, კაცთმოყვარეობით, თანდაყოლილი ბუნებრივი ნიჭითა და შესაშური გონებრივი მონაცემებით, კომუნიკაბელურობით, აგრეთვე, საბრძოლო ხელოვნების მაღალ დონეზე ფლობითა და უშიშარი ბუნებით. ყველაფერ ამას თან ერთვოდა ბაკურის უზადო გარეგნობისა და ასკეტური თავმდაბლობის ფაქტიც. განსახილველ პერიოდშივე ქალაქ ბეთლემის მახლობლად, იორდანეს უდაბნოში ბაკურის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქართველთა სამონასტრო კერას, რომელიც მოგვიანებით (V ს-ის 30-40-იან წწ-ში) მისმა შვილიშვილმა - პეტრე იბერმა განაახლა. 387 წლის ახლოს დიდმა ბაკურმა და მისმა სიყრმის მეგობარმა, სეფეწულმა გრი-ორმიზდმა ბერძნული ანბანის საფუძველზე ჩამოაყალიბეს ქართული ასომთავრული დამწერლობა, რომელსაც მათ იმავდროულად საეკლესიო კალენდარული ფუნქციაც დააკისრეს. მათ მიერ შემუშავებული და ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნების რიგზე მორგებული წელთაღრიცხვის ორიგინალური სისტემა აფიქსირებდა დროის სიმბოლურ სივრცეს სამყაროს შექმნის მისტიური დღიდან ქრისტეს მოსალოდნელ «მეორედ მოსვლამდე»; უჩვენებდა ღვთისმშობლის ხარების, იესუ ქრისტეს შობის, ჯვარცმისა და ღვთაებრივი აღდგომის სიმბოლურ თარიღებს. მოსალოდნელი «მეორედ მოსვლის» წინ აღდგომა-დღის

უკანასკნელად აღნიშვნა ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვით დადებული იყო «დასაბამითგან» 5.999 წლის 25 მარტის კვირა-დღეზე, რა დროსაც ერთმანეთს ემთხვეოდა ორი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული - ღვთისმშობლის ხარებისა და უფლის ბრწყინვალე აღდგომისა (ჩვენში ამას ეწოდებოდა «საუფლო პასექი», ბერძნულად კი - «კირიოპასხა»). «ასომთავრულს» გააჩნდა უნიკალური თვისება, იგი «მეტყველებდა» როგორც ასოების, ისე მათი შესატყვისი რიცხვების ენით. ამისათვის ბაკურმა და გრი ორმიზდმა მარჯვედ გამოიყენეს რიცხვული მისტიკის მონაცემები, მათ მიერვე შექმნილი კრიპტოგრაფიული ანბანის ე.წ. «ანჯანური» სისტემა და სხვ. ახალშექმნილი ანბანით, როგორც ეს წინასწარვე იყო მისი ავტორების მიერ გამიზნული, შეუდგნენ ძველი და ახლი აღთქმის წიგნების ქართულ ენაზე გადმოღებას. IV ს-ის მიწურულისათვის უკვე არსებობდა საეკლესიო ლიტურგიის მშობლიურ ენაზე წარმართვისათვის სავალდებულოდ აუცილებელი კანონიკური ქრისტიანული ლიტერატურის ძეგლების (ფსალმუნი, სახარებები...) პირველი ქართული თარგმანები.

388 წელს ბაკურს მოუწია მონაწილეობის მიღება ამბოხებული მაქსიმე ტირანის წინააღმდეგ თეოდოსი I-ის მიერ წარმოებულ ომში, ხოლო 394 წლის 6 სექტემბერს გამართული გადამწყვეტი ბრძოლის დროს მას, როგორც თეოდოსი დიდის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ და ომებში ნაცად სარდალს, დაევალა ევგენიოს ტირანის ლაშქრის ცენტრზე იერიშის მიტანა, რაც ქართველმა მეფისწულმა ჩვეული შემართებით განახორციელა კიდეც, მიაღწია ლამის თვით ევგენიოს ტირანამდე, შეიტანა არეულობა მეტოქის ჯარის რიგებში და საბოლოოდ ცხარე და სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგად გამარჯვება კეთილმსახური იმპერატორის - თეოდოსი დიდის მომხრეებს დარჩათ. დამარცხებულმა ევგენიოსმა ტყვედ ჩავარდნის სირცხვილს სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება არჩია. იტალიაში ჩასულ გამარჯვებულ ლაშქარსა და მის წინამძღოლებს საზეიმოდ შეეგება თვითონ წმ. ამბროსი მედიოლანელი.

395 წელს თეოდოსი I-ის გარდაცვალების შემდეგ დიდი ბაკური სამშობლოში ბრუნდება და სამეფო ტახტს იკავებს. მისი ზეობა აქ გაგრძელდა 417 წლამდე. მეფობის პერიოდში დიდი ბაკური ქრისტიანული ცხოვრების წესის განუხრელი დაცვით პირად მაგალითს აძლევდა ქვეშევრდომებს. მის მიერ გრი ორმიზდთან ერთად შექმნილი ეროვნული ანბანის პრაქტიკაში დანერგვის გზით იბერიის მოსახლეობის ფართო ფენებს საშუალება მიეცათ შეეთვისებინათ ქრისტიანული რელიგიის დოგმატები. მშობლიურ ენაზე გადმოღებული ქრისტიანული ლიტერატურის საფუძველზე შესაძლებელი გახდა კანონიკური საეკლესიო ლიტურგიის ქართულ ენაზე წარმართვა. თვითონ მეფე დიდი ბაკური და მისი მეუღლე, დედოფალი დუხტი ასკეტურ ყოფა-ცხოვრებას ეწეოდნენ; ქრისტიანულ სათნოებათა ერთგულება, გაჭირვებულთათვის დახმარება, სხვადასხვა სახის ქველმოქმედებანი მათთვის ცხოვრების ჩვეულ წესად იქცა. ამასთანავე, მიუხედავად არასახარბიელო პოლიტიკური ვითარებისა, ბაკური სამშობლოშიც არ ივიწყებდა აღმშენებლობას, - აშენებდა ღატაკთა და სნეულთა თავშესაფრებს, ეკლესია-მონასტრებს, ციხე-ქალაქებს. 416 წლის მახლობლად უკვე ჭარმაგ ასაკს მიღწეული კეთილმსახური მეფე ბაკური გარდაიცვალა. მისი ცხედარი სვეტიცხოვლის ძველ ტაძარში («ქვემო ეკლესია») ოდითგან არსებულ წინაპართა საძვალეს მიაბარეს. მადლიერმა ქრისტიანმა ერმა ხელმწიფეს, რომელიც თავის ქვეშევრდომთათვის ჭემმარტად მზრუნველ მამად იქცა, «დიდი ბაკური» უწოდა და ამით გამოხატა მისი დიადი ნამოღვაწარის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება. მაგრამ ბაკურის გარდაცვალებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ იბერია სასანიდური სპარსეთის მძლავრი ექსპანსიის შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყანა მოიცვა სხვადასხვა მაცდურმა სექტებმა, ადგილობრივი ეკლესიის მართვის სადავეები

სპარსეთის შაჰის მოხელის (მარზპანი-პიტიახში) ხელში გადავიდა, წვრილ ერს შეერია ცეცხლთაყვანისმცემლობის ღვარძლი, მანიქევლობა, ნესტორიანობა და სხვა მსგავსი უწმინდურობანი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბაკურის იმჟამად უკვე მხცოვანი ძმის, მეფე არჩილის ზეობისას (423-438 წწ.) ქვეყნის მღვდელმთავრის ტახტს «ნათესავად სპარსი» და «მოზიდანად» (სპარსულად ნიშნავს მაზდეანთა კულტის მსახურს - ბ.ხ.) წოდებული «მოგვი უსჯულო და შემშლელი წესთა» ეპისკოპოსი დაეუფლა, რომელიც ძველი მატიანის ცნობით, თურმე «აჩვენებდა ... მართლმადიდებლობასა» და «ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა». მოზიდანის მსგავსმა მართლმადიდებლობის მტრებმა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად სხვა (წინამორბედ), ჭეშმარიტ ქრისტიან მწერალთა ნაწერებშიც მრავლად შეურიეს მზაკვრულად მწვალებლობის ღვარძლი. ორთოდოქსული ეკლესიის მიმდევრები თავის მხრივ უკომპრომისოდ ებრძოდნენ მოწინააღმდეგეებს. საისტორიო ტრადიციის თანახმად, ვახტანგ გორგასლის სულიერ მოძღვარს - მიქაელ ეპისკოპოსს ცეცხლისათვის მიუცია მოზიდანის საცთური წიგნები და საფიქრებელია, რომ განადგურებას ვერ გადაურჩა ის წიგნებიც, რომლებიც თავის დროზე მწვალებელთა მიერ იქნა გამიზნულად შერყენილი. აღნიშნულ ნიადაგზე წერილობითი ძეგლების საეკლესიო რევიზიები შემდგომშიც გრძელდებოდა. ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ყველაზე უხვი ინფორმაცია მის შვილიშვილს - პეტრე იბერს მოეპოვებოდა. მას წერილობითაც ჰქონია ის გაფორმებული. მაგრამ პეტრე იბერი მონოფიზიტობის გზაზე შედგა, გახდა პალესტინელ მონოფიზიტთა აღიარებული ლიდერი. ქართულმა ორთოდოქსულმა ეკლესიამ მისი სახელის ხსენებას VII ს-დან მოყოლებული (რა დროიდანაც ქართული ეკლესია სამუდამოდ გაემიჯნა მონოფიზიტობასთან ზენონ-აკაკიუსის ჰენოტიკონით განსაზღვრულ შემრიგებლურ პლატფორმას) ვიდრე XIII ს-მდე დუმილის «ტაბუ» დაადო. შესაბამისად, პეტრე იბერის ნაწერებიც მოსპობილი იქნა დასახელებულ პერიოდში. სხვასთან ერთად აღნიშნულიც შეიქმნა იმის მიზეზი, რომ ხსოვნა კეთილმსახურ მეფე ბაკურისა და მისი ფასდაუდებელი დამსახურებების შესახებ VII ს-დან მოყოლებული ადგილობრივ საისტორიო ტრადიციაში ჯერ ფერმკრთალდება, შემდეგ კი, XI ს-ში ლეონტი მროველის მიერ ქართული მწიგნობრობის მესაძირკვლედ ლეგენდარული მეფე ფარნავაზის გამოცხადების კვალობაზე, საერთოდაც ქრება ქართველთა მეხსიერებიდან. აღნიშნული ვითარებით სარგებლობს XIII ს-ის სომეხ მწიგნობართა ერთი საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი პედაგოგ ჰოვჰანეს ვანაკანის მეთაურობით და იმ დროისთვის ძველ სომხურ წერილობით წყაროებში ქართული და სომხური დამწერლობების შექმნის მოვლენების შესახებ აქა-იქ ჯერ კიდევ შეურყვნელად შემორჩენილი ცნობების კარგად მოფიქრებული და ტენდენციური სახით გადამუშავება-გადაკეთების შედეგად საფუძველს უყრის მესროპ-მამტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონებაზე ყალბ ვერსიას. ასე და ამრიგად იქნა გაძევებული ქართული ასომთავრული ანბანი ქრისტიანული ეპოქიდან წარმართობის ჯურღმულში, ხოლო ბაკურისა და გრი ორმიზდის ძვირფას სახელებს მათ დიდ ნამოღვაწართან ერთად ხანგრძლივი დროის მანძილზე დავიწყების საბურველი გადაეფარა...

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

*«ყოველთაათვის ჟამი არს და ჟამი ჩანს
ყოვლისა საქმისა ცასა ქუეშე.»
ეკლესიასტე - 3,1*

*«...და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს
დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად»
მათე - 6,4*

დიდი ბაკურის პიროვნება წინამდებარე მონოგრაფიამდეც ცნობილი იყო განათლებული საზოგადოებისათვის. მისი სახელი ბევრი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის შრომებში ფიგურირებს. მაგრამ სხვადასხვა ერთმანეთთან დაკავშირებულ მიზეზთა წყების გამო დღემდე პრაქტიკულად ვერ მოხერხდა ამ პიროვნების ღვაწლის სრულფასოვნად შესწავლა და გამომზეურება. ამ უნებლიე უსამართლობის აღმოფხვრისაკენ მიმართული ჩვენი ამჟამინდელი ცდა მხოლოდ დასაწყისია და მომავალში მას უეჭველად ექნება გაგრძელება სხვა, ჩვენზე უფრო დახელოვნებულ მწერალთა და სწავლულთა მხრიდან.

წინამდებარე მონოგრაფიას დიდ ბაკურზე, როგორც შესავალშივე აღინიშნა, წინ უსწრებდა ჩვენი ნაშრომის - «ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის» (2002 წ.) - დღის სინათლეზე გამოტანის ფაქტი. დიდი ერისკაცის ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიულად შესწავლის სურვილიც (იდეა კი, ბატონმა იოსებ კვიციანმა მოგვაწოდა) სწორედ მაშინ დაიბადა. ამის გაკეთება აუცილებელი იყო თუნდაც იმისათვის, რომ ჩვენს ფართო საზოგადოებრიობას ეხილა, - შეეძლო თუ არა რეალურად დიდ ბაკურს გრი ორმიზდთან ერთად ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნა, როგორც ამას ჩვენ ვაუწყებდით მკითხველ საზოგადოებას ზემოაღნიშნულ ნაშრომში. გულწრფელად ვითხოვთ, მოგვიტევეს მკითხველმა, თუკი მისი ცნობისწადილი სრულად ვერ დავაკმაყოფილეთ. დიდი ბაკურის პიროვნება და ღვაწლი იმდენად დიადი აღმოჩნდა, რომ მის ზედმიწევნით წარმოჩენას ერთი რიგითი მკვლევრის გარჯა და მცდელობა რას ეყოფოდა?! აკი ვთქვით კიდევ ზემოთ, ამ პიროვნების ხატება მომავლის დასაწერია-თქო?! (იქნებ, ასევე ფიქრობდა მიქელ თარხნიშვილიც, როცა წერდა: «ამ დიდ ქართველზე უფრო ვრცლად ალბათ სხვა დროს»-ო. 32:278).

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძალზე მწირი ინფორმაცია გვაქვს ხელთ ქართული ასომთავრულის მეორე შემოქმედი პირის - გრი ორმიზდის შესახებ. მასზე, ძველი ლათინების სიბრძნეს რომ დავესესხოთ: *Tantum scimus, quantum memoria tenemus* - «იმდენი ვიცით, რამდენიც გვახსოვს». ცხადია, ახალი მასალების მომავალში გამოვლენის კვალობაზე მისი ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლის შესაძლებლობაც გაჩნდება. მანამდე კი, ქართული ისტორიოგრაფია ვალში რჩება ამ წმინდანად შესარაცხ პიროვნების მიმართ.

დიდი ბაკურის განცვიფრების ღირსი ღვაწლის გამოჩენის ფაქტი, პირადად ჩვენთვის, გულახდილი თუ ვიქნებით, მოულოდნელი არ ყოფილა. IV-V სს.-ის ქართლის სამეფოს ისტორიის ამსახველ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ამკარად იგრძნობოდა ერთგვარი ვაკუუმი მირიანისა და ვახტანგ გორგასლის ეპოქებს შორის. დიდი ბაკური აღმოჩნდა ის მთავარი საყრდენი ბურჯი, რომელიც ხსენებულ პირთა ეპოქებს შორის გადებულ ხიდს აკლდა შუაში: «**მირიანი**», ქვეყანაში ქრისტიანული რელიგიის

ოფიციალურად დამამკვიდრებელი – «დიდი ბაკური», ქვეყნის საყოველთაო ქრისტიანიზაციის შემოქმედი – «ვახტანგ გორგასალი», ქვეყნის ეკლესიის დამოუკიდებლობის მესაძირკვე.

წინამდებარე მონოგრაფია, - ფაქტიურად პირველი კვლევითი ხასიათის ნაშრომი ქართული ასომთავრული ანბანის ერთ-ერთ შემოქმედზე, - დაიწერა ფართო საზოგადოებრიობისათვის, განურჩევლად რჯულისა და შეხედულებებისა; ოღონდ (ვიქნებით გულახდილი), მორწმუნე ქრისტიანთათვის - გულის გასახარად, ურწმუნოთათვის კი - საგონებლად. აღნიშნულის ფონზე, ცხადია, ამ პატარა წიგნის გმირს უცილობლად ეყოლება როგორც თავისი ერთგული მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეებიც. საზოგადოება არ იქნება ერთსულოვანი არც ბაკურის ღვაწლის შეფასების თვალსაზრისით: ვისთვის უპირატესად ის იქნება თავისი დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ვისთვის - მეცნიერი და ბრძენი ფილოსოფოსი, ვისთვის - უბრალოდ ქართველი გენიოსი, ვისთვის კიდევ - ქართული ქრისტიანული ეკლესიის სწორუპოვარი მოამაგე და წმინდანთა შორის მოსახსენიებელი პიროვნება. პრინციპში, სიმართლე თითოეულ მათგანთან იქნება. დიდი ბაკურის პიროვნება, ჩვენი რწმენით, ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ ადამიანთა გემოვნებასაც კი დააკმაყოფილებს. საერთოდ კი, წინამდებარე მონოგრაფიას აქვს იმის პრეტენზია, რომ შეასრულოს იმ გონებით შეცნობადი საბუთის მოვალეობა, რომელიც ისევ ჩვენი, ანუ ამა ქვეყნის მოკვდავთა მხრიდან სხვადასხვა მიზეზ-გარემოებათა მიზეზით თუ უნებლიეთ შეცდომაში შეყვანილ ადამიანებს იმ უალტერნატივო ობიექტური ჭეშმარიტებისაკენ, - რომ ქართული «ასომთავრული» ქრისტიანული ეპოქის სწორუპოვარი ქმნილებაა, რომელსაც დიდი ბაკურისა და გრი ორმიზდის სახით ღვთიურ სიბრძნეს ნაზიარები ასკეტურად მოკრძალებული მოკვდავი შემოქმედნი ჰყავს, - ერთხელ და სამუდამოდ შემოატრიალებს. აღნიშნულის იმედი რომ არ გვქონოდა, არც წინამდებარე მონოგრაფიის მზის სინათლეზე გამოტანას ექნებოდა აზრი...

ჩვენს თვალთაგან თექვსმეტი საუკუნის მანძილზე «დაფარული» დიდი ერისკაცის სახელი და ღვაწლი, როგორც ზემოთ ითქვა, მოულოდნელად არ გამობრწყინებულა. ჭეშმარიტად, *Omnia tempus habet* - «ყველაფერს თავისი დრო აქვს». თუ კარგად გავიაზრებთ ფაქტებს, დავინახავთ, რომ მარადმოწყალე ღმერთი მას ჩვენ, დიდი ბაკურის დამცრობილ შთამომავლებს, თანდათანობით გვიჩენდა. ჯერ იყო და, გასული საუკუნის შუაგულში ბეთლემის მახლობლად ტრიალ უდაბნოში ყველასაგან დავიწყებულ ქართველთა ნამონასტრალს გადახადა მტვრის სქელი საფარველი და სასწაულებრივად გადარჩენილ მოზაიკის ნაგლეჯზე ჩვენთვის სანუკვარი სახელები ამოგვაკითხვინა; შემდეგ არაგვის ხეობაში მდებარე ერთ, ასევე ყველასგან მიტოვებულ მცირე საყდრის ბურჯში საუკუნეთა მანძილზე ჩაშენებული ქვასვეტის დაფარული წახნაგი ზედ ნაკვეთი დაზიანებული, მაგრამ მაინც ძვირფასი სახეებითურთ გახადა თვალისათვის სახილველი; ერთგან ასომთავრულით დაწერილი სახელები: «ბაკურ და გრი ორმიზდ», მეორეგან მათი ქვაზე ამოკვეთილი უკვდავი სახეები შარავანდედში გახვეულ ასომთავრულთან ერთად! აი, ჩვენი დროის ორი, თვალთათვის სახილველი დიდი სასწაული...

და ბოლოს, «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი»-ს ამეტყველებული მისტიური სიმბოლიზმი, ქართული ენის ამოხსნილი «ყოველი საიდუმლო», წვდომა სიტყვების, - «ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხრას ესე წილი ანბანისაი», - ჭეშმარიტი არსისა... და აეხადა ფარდა დაფარულს, აღსრულდა ნება ღვთისა და დაესრულა «მძინარება» «დამარხული ენისა!» დიდმა ბაკურმა გრი-ორმიზდთან ერთად წარსულის ნისლიდან აწმყოს მზიანეთში დიადი ნაბიჯებით შემოაბიჯა და ყველა

ქართველის გულისკარზე მძლავრად შემოჰკრა ზარს... ხოლო, «რომელი ირეკდეს, განედოს მას!» (მ. 7-8; ლ. 11-10).

БАКУР ВЕЛИКИЙ ОСНОВОПОЛОЖНИК ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ "АСОМТАВРУЛИ"

Резюме

В монографии излагаются основные моменты жизни, деятельности и религиозно-философского мировоззрения выдающегося грузинского мыслителя и общественного деятеля раннехристианской эпохи Бакурия Великого. С его именем связано создание грузинской национальной письменности, учреждение оригинальных систем летосчисления - "Короникони" и "Дасабабитган" (т.е. эра "от сотворения мира"), начало канонической церковной литургии на грузинском языке, которому способствовало сделанный им же в месте с родственником и другом детство Гри-Ормизда первый письменный перевод на грузинском языке "Священного Писания". С именем Бакурия связано также зарождение национальной науки и, вообще, культурной жизни этой эпохи.

В монографии дана общая картина генеалогии Бакурия Великого; изложены основные эпизоды его бурной жизни и деятельности во время его пребывания в Византии (369-394 гг.) и царствования в Иберии (395-416 гг.). В книге исследуются также многие спорные вопросы мировоззрения и религиозной принадлежности Бакурия Великого.

Основная часть монографии посвящается исследованию вопросов касающегося зарождения грузинской национальной письменности и христианской летосчисления. В результате тщательного анализа широкого круга различных материалов сделан вывод о том, что грузинский алфавит-календарь "Асомтаврули", уникальное творение Бакурия Великого и Гри-Ормизда, был учрежден в 387 году в Палестине (Иерусалим - Вифлеем).

На вопросы: Почему умалчивает древнегрузинская историческая традиция о фактах создания национального алфавита и осуществления первых письменных переводов на грузинский язык книг "Священного Писания" в 4-м веке, -ответы дают прозаический гимн "Восхваление грузинского языка" и иконография Даватской стелы; они оба повествуют о мистической судьбе грузинского алфавита и языка в целом. Письменность "Асомтаврули" по сути с самого начала являлась уникальным памятником того времени: алфавитом-календарём, которая указывала на время прошедшее от мистического начала "сотворения мира" до рождения Христа (5604 г. от с.м.) и далее до "Второго пришествия" (6000 г. от с.м.). Последняя "дата" запечатлена в самом алфавите по средством названия и числительного соотношения буквы "Хан" (=6000). В результате внедрения грузинского алфавита в практику

начило действовать и местная система церковной хронологии - "Короникон". Разница между "6000" и "5604" и есть тот верхний хронологический рубеж, после чего грузинский алфавит "Асомтаврули" не мог создаться, т.е. 396 г. н.э.

Рождённый около 350 года грузинский царевич Бакур в 369 году отправляется в Византию и поступает там на военную службу империи. Бакур становится сперва начальником гвардии императорского двора, а затем главнокомандующим Палестинских границ. Со временем он стал ближайшим соратником и союзником самого Феодосия Великого (379-395 гг.). Вразное время ему приходилось иметь соприкосновение со многими известными людьми, в том числе и с великими отцами церкви того времени (Ливаний, Гайна, Стелихон, император Валент; Епископ Вулфила, Руфин Аквилейский, Геласий Кесарйец, св. Иоанн Златоуст, св. Кирилл Иерусалимский, св. Амвросий Медиоланский, бл. Иероним и др.). В 387 году. Бакур вместе с другом детства - Гри-Ормизд изобретает грузинский алфавит "Асомтаврули". Они, как и подобало приверженцам христианской мистики, себя отнюдь не считали авторами создания алфавита, а только лишь свидетелями названного явления. В 395 году Бакур в месте с Гри-Ормиздом возвращается на родину; первый становится царём Иберии (Картли) и способствует делу внедрения в практику алфавит "Асомтаврули", в последствии чего зарождается и оригинальная христианская литература, церковно-каноническая литургия на грузинском языке и т.д. Как видно по сводкам Иоанна Руффия (Бейт-руфина), биографа Петра Ибера, заслуги Бакура перед местной церковью его современники признали как равноапостольские, прозвали его "Бакурем Великим".

В монографии дано также научное объяснение причинам изменения в позднее время сведения древнеармянских авторов касающегося истории создания грузинского алфавита; Видвинуто предположение о том, что эти письменные источники подверглись сознательному грубому переработке и редактированию в 13-ом веке со стороны известного армянского педагога и историка Иоанна (Ованеса) Ванакана и его многочисленных учеников. Причиной тому являлось желание скрит подлинной историй возникновения армянского письменности, в процессе которой, по нововиявленным и неоспоримыми данными, активно участвовал один из создателей грузинского алфавита "Асомтаврули" Гри-Ормизд.

BAKUR THE GREAT
THE FOUNDER OF THE OLD GEORGIAN
SCRIPT "ASOMTAVRULI"

S u m m a r y

The present Monograph concerns the life, work and religious-philosophic views of Bakur the Great, the outstanding Georgian thinker and statesman of the early Christian period. He is supposed to be the creator of the old Georgian "Asomtavruli" alphabet and original chronological systems - "Koronikoni" and "Dasabamitgani". It is also supposed that he introduced reciting of the liturgy in the Georgian language, which became possible after he and his childhood friend Gry-Ormizd translated the Gospel into Georgian. The Great Bakur also made an outstanding contribution to the revival of science, philosophic-theological thinking and cultural life in Georgia of that period.

The Monograph describes the genealogical tree of Bakur the Great, the main episodes of his exciting and interesting life during his service in Byzantium (369-394 A.D.) and reign in Georgia (395-416 A.D.). The book also investigates some disputable points regarding the world view and religious belonging of Bakur the Great.

The major part of the Monograph researches into creating the old Georgian script and developing of the church chronological system. Based on the study of wide-ranging materials, the author came to a conclusion that the Georgian alphabet-calendar "Asomtavruli" – Bakur and Gry-Ormizd's unique creation – was developed in 387 A.D. in Palestine (Jerusalem-Betlehem).

Bakur, the Prince of Iberia (Caucasus), born in about 350 A.D. left Georgia in 369 A.D. to start a military service in Byzantium. At first he became one of the commanders of the Emperor's palace guards and then of the Palestine frontier guards. Bakur soon became an associate and loyal friend of emperor Teodosius I, the Great (379-395 A.D.). He carried on a correspondence and then in 392 A.D. had a meeting with Libanius (314-393 A.D.), the well-known Syrian neoplatonic sophist. He told the church writers Gelasius, Bishop of Caesareia (+395 A.D.) and Turanius Rufinus, Presbyter of Aquileia (345-410 A.D.) about Iberia's conversion to Christianity. In 387 A.D. Bakur the Great together with Gry-Ormizd created the Georgian alphabet "Asomtavruli" and by divine revelation established the Georgian Christian calendar era based on the alphabetical order of the Georgian letters. The Georgian alphabet "Asomtavruli" was considered to be a unique script-calendar which shows the period between the Creation and the Christmas (5604 A.I.) and the time of the "Second Coming" (6000 A.I.) of Jesus Christ. The last is expressed in the name and numerical meaning of one of the letter - "Khan". The word "Khani" in the ancient Georgian language means "time". With the introduction of the Georgian alphabet the Georgian Christian chronological systems - "Koronikoni" and "Dasamamitgan" (=Ab initio) were brought into use. The difference between 6000 and 5604 i.e. 396 A.D. is the upper limit of creating the Georgian alphabet. The authors of the Georgian chronology, Which were also the creators of the Georgian

alphabet "Asomtavruli", developed an original era differing from that of Emperor Diocletianus (284-305 A.D.), prosecutor of the Christians, in order to oppose the paganism.

The present work gives special attention to the explanation of the fact that the old Georgian historic tradition does not say anything about creation of the Georgian alphabet and translation of the Bible and Gospel into Georgian in The IV century A.D., etc. The answers were found in the old prosaic hymn - "Praises on the Georgian Language" and the VI century A.D. iconography on the stele from Davati Village. Both documents concern the mystical meaning of the Georgian alphabet "Asomtavruli" referred to as the "Christ's alphabet", divine creation, which could not be created by an ordinary mortal. As the Christian mystics Bakur the Great and his friend Gry-Ormizd considered themselves to be mere witnesses of this event and not creators. The data on the creation of the Georgian alphabet and its authors was masked by the local church under allegories, symbols and the veil of Christian mysticism. In the believer's opinion the creation of the Georgian alphabet was a divine intent and revelation of the Holy Spirit. They considered that the Georgian script is "Christ's alphabet and language", in which Messiah was going to judge the sinners on Doomsday. Such beliefs gradually erased the memories of real historic events and the names of Bakur the Great and Gry-Ormizd with their humble and ascetic thinking and life sank into oblivion.

In 395 A.D. they returned to Iberia; Bakur became the ruler of the country, introduced his creation and after that the liturgies were chanted in Georgian, the Christian literature was translated and hagiographic works were written in the Georgian language. According to Iohannes Ruphus's data Bakur's contemporaries equated his services to the church with those of the Prophets and called him Bakur the Great. In the hymn "Praises on the Georgian Language" Bakur is allegorically referred to as "New Nino", which means that he continued St. Nino's mission. Iohannes Ruphus asserted that Bakur led an ascetic life even during his reign. He and his wife, Queen Dukhtia sold their treasure, built asylums for the poor and ill and often visited them at night feeding their dwellers with food cooked in their palace. All the ancient writers (Libanius, Gelasius of Caesarea, Turanius Rufinus, Socrat Scholastic, Zosimus, George Hamartoli, etc.) which wrote about this person, mentioned his great intelligence, deep belief in God, search after truth, physical and spiritual beauty. No wonder that such a person laid the foundation of the original Georgian Script "Asomtavruli".

The Monograph gives scientific explanation to the fact that the data presented in the works of the ancient Armenian historians (Koriun, Moses Khorenatsi, Moses Kalankatuatsi, etc.) about the creation of the Georgian alphabet was later changed. The Monograph supposes that the aforementioned narrative sources were intentionally edited and altered in the XIII century A.D. by Iohannes Vanakan, the famous Armenian teacher and historian, and his numerous followers. Their purpose was to conceal the true history of the Armenian alphabet which was developed with the great assistance of Gry-Ormizd, one of the authors of the old Georgian script "Asomtavruli"

დამოწმებული ლიტერატურა

1. აბდალაძე ა. «ქართლის ცხოვრება» და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ., 1982
2. აბრამიშვილი გ. ადრექრისტიანული ქართლის (იბერიის ეროვნული იკონოგრაფიის სათავეებთან. კრებ. «საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები», VII, თბ., 2001
3. აბრამიშვილი გ., ალექსიძე ზ. აღმოჩენა არაგვის ხეობაში. დავათის სტელები, გაზ. «კომუნისტი», 19.05.1985; ენაი ქართული, გაზ. «კომუნისტი», 15.04.1990
4. აღონცი ნ. სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში. პოლიტიკური მდგომარეობა ნახარართა წყობილების საფუძველზე, ს.-პბ., 1908 (რუსულ ენაზე)
5. ალექსიძე ზ. რელიგიური სიტუაციის შესახებ VI საუკუნის კავკასიაში. საქ. მეცნ. აკადემიის «მაცნე» (ისტორიის...სექცია), 1974, №1
6. ალექსიძე ზ. ახალი ცნობა «რუვისთაველთა სახლის» შესახებ, გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 5.04.1991
7. ამიანე მარცელინე. «გეორგიკა», ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, თბ., 1961
8. არახამია გ. «მოქცევაი ქართლისაი» და «ცხოვრება ქართველთა მეფეთა». კრებ. «წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები», თბ., 1991
9. აფაქიძე ა. დიდი აღმოჩენა მცხეთაში. - საინფორმაციო-სამეცნიერო ჟურნ. «მუდმივი კავშირის სამყარო», 4(16). 2002; საუკუნის აღმოჩენა. გაზ. «მწერლის გაზეთი», №36(44), 14-20 ნოემბერი, 2002
10. ბოგვერაძე ა. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979
11. ბოგვერაძე ა. ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან. საქ. მეცნიერებათა აკადემიის «მაცნე» (ისტორიის...სერია), 1985, №4
12. ბოგვერაძე ა. ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის დათარიღებისათვის. კრებ. «საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები», თბ., 1999
13. ბოგვერაძე ა. იოანე რუფუსის «პეტრე იბერის ცხოვრება» როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. კრებ. «საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები», VII, 1999
14. გაგოშიძე ი., წოწელია მ. არამეულწარწერიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან. კრებ. «ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები», თბ., 1991
15. გამყრელიძე თ. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა. ა.შანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1989/90
16. გელასი კესარიელი. «გეორგიკა», ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I, თბ., 1961

17. გიორგაძე გ. «ფარნავაზი» თუ «ფარნავაზიანი». ჟურნ. «მნათობი», 1985, №10
18. გიორგი ამარტოლი. «გეორგიკა», ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1961
19. გოზალიშვილი გ. არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე?. «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბ., 1946
20. გოზალიშვილი გ. ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური. თბ., 1974
21. გოილაძე ვ. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბ., 1990
22. გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991
23. გორგაძე ს. საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, გაზ. «მოამბე», 1905, №3
24. გორგაძე ს. წერილები საქართველოს ისტორიიდან, ნაწ. II, თბ., 1913
25. გუნია ბ. იულიუსის კალენდრის არსი და მნიშვნელობა, თბ., 1999
26. გუჩუა ვ. ქრონოლოგიური შენიშვნები. კრებ. «საქართველო და აღმოსავლეთი», თბ., 1984
27. დანელია კ., სარჯველაძე ზ. ქართული პალეოგრაფია, თდუ., 1999
28. ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ.ალექსიძემ, თბ., 1968
29. ეფთვიმე ზიგაბენი. მათესა და იოანეს სახარებების განმარტებანი, ს.-პბ., 2000 (რუსულ ენაზე)
30. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. «ქართლის ცხოვრება», ტ. IV., თბ., 1973
31. ზოსიძე. «გეორგიკა», ტ. I, თბ., 1961
32. თარხნიშვილი მ. წერილები - ქართული ეკლესიის ისტორია, მასალები და გამოკვლევები, ტ. I, თბ., 1994
33. თუმანიანი ე. სომხური დამწერლობა (სტატია). «ლინგვისტური საენციკლოპედიო ლექსიკონი», მ, 1990 (რუსულ ენაზე)
34. იოანე დამასკელი. საუკუნის შესახებ. კრებ. «სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა», თბ., 1999
35. იოანე ოქროპირი. თარგმანებაი მათეს სახარებისაი. თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისა, წ. I, თბ., 1996
36. იოანე ოქროპირი. თხზულებათა სრული კრებული თორმეტ ტომად, ტ. I, წ. I, მ., 1991 (რუსულ ენაზე)
37. იოანე რუფუსი (ბეით-რუფინი). «გეორგიკა», ბიზანტიელიმწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბ., 1965
38. იოსელიანი პ. ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია. ს.-პბ., 1843
39. იოსელიანი ავთ. ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები. თბ., 1990
40. კაკაბაძე ს. ვახტანგ გორგასალი. თბ., 1959
41. კაკაბაძე ს. ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ. «მნათობი», 1985, №5

42. კანდელაკი ნ., ცერცვაძე გ. ქორონიკონი: მისი ადგილი და როლი ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის. წერილი I, ჟურნ. «მნათობი», 1990, №3
43. კანდელაკი ნ., ცერცვაძე გ. ფუნდამენტალური პერიოდული დამოკიდებულებები და კალენდარული სიზუსტეები ქართულ ასომთავრულ ანბანში, ჟურნ. «მნათობი», 1992, №9-10
44. კანდელაკი ნ., ცერცვაძე გ. 37 ასო-ნიშნის ქართული ასომთავრული ანბანი და ქრისტიანული ქრონოლოგიის მთავარი საყრდენი თარიღები, ჟურნ. «მნათობი», 1993, №1
45. კანდელაკი ნ., ცერცვაძე გ. ქართული დამწერლობის შექმნის თარიღის დადგენისათვის, ჟურნ. «მნათობი», 1993, №5-6
46. კარელინი რაფაელი - არქიმანდრიტი. საუბრები მართლმადიდებლობაზე, თბ., 1994
47. კეკელიძე კ. წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში; ადიშის ოთხთავის თარიღისათვის. «ეტიუდები», II, თბ., 1945
48. კეკელიძე კ. საკითხავი დღესასწაულთათვის. «ქართული აგიოგრაფიული ძეგლები», ნაწ. I, კიმენი, ტ. II, 1946
49. კეკელიძე კ. ვინ არის ლიბანიოსის ადრესატი ბაკური?. «ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955
50. კეკელიძე კ. იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან, III, თბ., 1955
51. კეკელიძე კ. ქართველთა მოქცევის ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები. «ეტიუდები», IV, თბ., 1957
52. კვიპრიანე კართაგენელი. ეკლესიის ერთიანობის შესახებ. კრებ. «სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა», წ. I, თბ., 1990
53. კირაკოს განძაკეცი. სომხეთის ისტორია. კრებ. «აღმოსავლეთის დამწერლობათა ძეგლები», 53, მ., 1976 (რუსულ ენაზე)
54. კლიმიშინი ი. კალენდარი და ქრონოლოგია. მ., 1985 (რუსულ ენაზე)
55. კოპალეიშვილი ვ. მითებიდან კალენდრებამდე. თბ., 1991
56. კორიუნი. ცხოვრება მაშტოცისა. ერ., 1962 (რუსულ ენაზე)
57. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. «ქართლის ცხოვრება», ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955
58. ლიბანიოსი. «გეორგიკა», ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, თბ., 1961
59. ლინგვისტური საენციკლოპედიო ლექსიკონი. მ., 1990 (რუსულ ენაზე)
60. ლიჩელი ვ. კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები ძვ. წ. აღ-ის IV-I საუკუნეებში, თბ., 2001
61. ლომინაძე ბ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია V ს-ში. კრებ. «საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები», თბ., 1999
62. მაჭავარიანი ე. ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები. თბ., 1982

63. მახარაძე მ. ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1999
64. მგალობლიშვილი თ. ქრისტიანული ქართლი IV-V საუკუნეებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის «მაცნე» (ენისა და ლიტერატურის სერია), 1988, №1
65. მელიქიშვილი გ. ქართლის (იბერიის სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, თბ., 1958
66. მელიქიშვილი გ. საქართველოს ძველი ისტორიისათვის, თბ., 1959 (რუსულ ენაზე)
67. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984
68. მოქცევაი ქართლისაი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის საერთო რედაქციით, წ. I, თბ., 1963
69. მურადიანი ჰ. საქართველოს სომხური ეპიგრაფიკა. ქართლი და კახეთი. ერ., 1985 (რუსულ ენაზე)
70. მურავიოვი ს. სამი ეტიუდი კავკასიურ-ალბანური დამწერლობის შესახებ. «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული», VIII, თბ., 1981 (რუსულ ენაზე)
71. მხითარ აირივანეცი. ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990
72. ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია. თბ., 1960 (რუსულ ენაზე)
73. ნუცუბიძე შ. კრიტიკული ნარკვევები. თბ., 1966
74. პატარიძე რ. ქართული ასომთავრული. თბ., 1980
75. პატარიძე რ. ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები. ჟურნ. «მნათობი», 1984, №1
76. პატარიძე რ. ქება ქართლისა ენისა. ჟურნ. «მნათობი», 1986, №9
77. პიგულევსკაია ნ. «ედესის ქრონიკა». კრებ. «პალესტინური კრებული», გამოშვ. 4(67), 1959 (რუსულ ენაზე)
78. ჟორდანიას თ. ქრონიკები, I, ტფ., 1892
79. ჟუკოვი ილია - ილუმენი. პასეჟი და პასქალია. დრო და კალენდარი მართლმადიდებლურ შეგნებაში. ს.-პბ., 2000 (რუსულ ენაზე)
80. რუფინუსი. «გეორგიკა», ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I, თბ., 1961
81. სანაძე მ. «ქართლის ცხოვრება» და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბ., 2001
82. სოკრატე სქოლასტიკოსი. «გეორგიკა», ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, თბ., 1961
83. უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975
84. ფედოროვა ე. ლათინური ეპიგრაფიკის შესავალი, მ., 1982 (რუსულ ენაზე)
85. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონიტ გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1953

86. ყაუხჩიშვილი ს. გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ. «მიმოხილველი», თბ., 1926
87. ყაუხჩიშვილი ს. ლიბანიოსი და ბაკური. ქუთაისის პედაგოგიური ი-ტის შრომები, I, 1940
88. ყაუხჩიშვილი ს. ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია. ტ. III, თბ., 1963
89. ყაუხჩიშვილი თ. წილკნის აკლდამის ბერძნული წარწერა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის «მაცნე» (ისტორიის...სერია), 1982, №3
90. ჩაჩანიძე ვ. პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში. თბ., 1974
91. ჩხარტიშვილი მ. «ფრიად სარწმუნო ბაკური». ჟურნ. «მნათობი, 1986, №5
92. ჩხარტიშვილი მ. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები. «ცხოვრებაი წმიდისა ნინოსისი», თბ., 1987
93. ჩხარტიშვილი მ. ისტორიული პორტრეტები. თბ., 1992
94. ჩხენკელი თ. ქართული ანბანი და «მეფეთა ცხოვრება». ჟურნ. «ცისკარი», თბ., 1985, №8
95. ცხოვრება და ღვაწლი ღირსი მამებისა მეთოდისა და კონსტანტინე-კირილესი. «III-IX სს. წმინდანთა რჩეული ცხოვრებანი», მ., 2001 (რუსულ ენაზე)
96. ცხოვრება პეტრე იბერისა. ასურულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ივ.ლოლაშვილმა, თბ., 1988
97. წერეთელი გ. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960
98. წერეთელი კ. შენიშვნები არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტზე. თბ., 1982
99. წერეთელი კ. საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერები და მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის «მაცნე» (ისტორიის...სერია), თბ., 1991, №1
100. ჭილაშვილი ლ. წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერები ნეკრესიდან. აღმანახი «ქართველოლოგი», №7, 2000; აღმანახი «მწიგნობარი» 01, 2001
101. ხურცილავა ბ. «მოქცევაი ქართლისაის» ერთი ფრაგმენტის აღდგენისათვის. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის აღმანახი «კლიო» 13, თბ., 2001
102. ხურცილავა ბ. ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის, თბ., 2002
103. ხურცილავა ბ. ნეკრესის ქართული წარწერების შესახებ. გაზეთი «ჯორჯიან თაიმსი», №046(208), №048(210)
104. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. წ. I, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI., თბ., 1979
105. ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982
106. ჯავახიშვილი ი. ქართული დამწერლობათ- მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ., 1996

107. ჯავახიშვილი ი. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა. წ. I, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XI, თბ., 1998
108. ჯანაშია ლ.-ნ. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962
109. ჯანაშია ლ.-ნ. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986
110. ჯაფარიძე ანანია - მთავარეპისკოპოსი. ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი), 2002
111. ჯვრის საიდუმლო. ჯვრის ფორმის განვითარების ისტორიული გზა. გაზ. «მრევლი», №7(19), 1999
112. ჰიუსენი რ. კავკასიელ ალბანელთა ანბანის შესახებ. კრებ. «ძველი დამწერლობების საიდუმლოებანი», მ., 1976 (რუსულ ენაზე)
113. ჰუსეინოვი რ. II-XIV სს. ამიერკავკასია სირიულ წყაროებში. კრებ. «წყაროთმცოდნეობითი ძიებანი» 1979, თბ., 1984 (რუსულ ენაზე)

საძიებელი

პირთა, გეოგრაფიულ
და ეთნიკურ სახელთა

- აბდალაძე ალ., 109, 110
აბიბოს ნეკრესელი წმ., 60
აბრაამ კათალიკოსი, 105, 109
ადონცი ნ., 107
ადრიანოპოლი, 9, 27, 143
ავგუსტინი ნეტ., 85, 135
ათენი, 73
აკვილეა, 9, 30, 32, 38, 39, 69, 141
ალბანეთი, 26, 50
ალბანელი, ალბანელები, 110, 116, 118
ალბაქი, 44
ალექსანდრია, 73
ალექსიძე ზ., 43, 105
ამატუნები, 44
ამბროსი მედიოლანელი წმ., 38
ამიანე მარცელინე, 9, 16, 18, 19, 22, 25, 27, 28, 29, 44
ანანია მთავარეპისკოპოსი (ჯაფარიძე), 102
ანატოლი ლაოდიკელი, 91
ანდრია ბიზანტიელი, 78
ანიანოს ალექსანდრიელი, 86
ანტიოქია (მდ. ორონტზე), 31, 38, 73, 87, 143
არაბი, არაბები, 30
არაგვი მდ., 43, 151
არახამია გ., 40, 52
არისტიდე მარკიანე, 57
არკადიუსი, 32, 46
არმაზი, 10, 40, 52, 59, 123
არჩილი, 23, 55, 62, 142
არწრუნები, 44
ასურელი, ასურელები, 9, 52, 99, 106, 115
აშხენი, 23
ბაკურდუხტი, 23, 28, 56
ბაკური (სხვადასხვა), 3, 4, 6, 9, 10, 11, 13, 14, 19, 22, 23, 24, 25, 27, 28, 29, 30, 32, 33, 34, 37, 38, 39, 40, 41, 43, 48, 50, 51, 52, 53, 54, 55, 58, 60, 61, 62, 64, 65, 69, 71, 73, 75, 83, 84, 90, 95, 99, 101, 106, 115, 118, 120, 122, 123, 125, 126, 128, 129, 130, 134, 136, 137, 140, 141, 142, 145, 149, 150, 151, 152
ბალკანეთის ნ.კ., 72
ბასილი დიდი წმ., 36, 79, 122, 144
ბაჰრამ IV, 32, 43, 58
ბედერი ვ., 126
ბეთლემის უდაბნო, 33, 96
ბეირუთი, 73
ბერძენი, ბერძნები, 20, 36, 41, 106
ბიზანტია, 9, 11, 20, 27, 30, 32, 33, 41, 46, 50, 61, 68, 72, 73, 83, 85, 99, 115, 135, 142
ბიზანტიელი, ბიზანტიელები, 10, 20, 27, 31, 41, 46
ბოგვერაძე ა., 13, 36, 58, 101
ბოლნისი, 10, 40, 52, 61, 127
ბოლოტოვი ვ., 83
ბუზმირი (სხვადასხვა), 16, 28, 29, 30
გაინა, 38
გამყრელიძე თ., 70, 71, 105, 116, 137
გელასი კესარიელი, 9, 10, 11, 22, 30, 32, 34, 38, 39, 51, 72, 84
გერმანე კონსტანტინეპოლელი, 79
გერმანელი, გერმანელები, 71
გიორგი ამარტოლი, 10, 23, 30, 141
გიორგი მთაწმინდელი, 7
გოგებაშვილი ი., 7
გოზალიშვილი გ., 12
გოილაძე ვ., 45
გორგაძე ს., 11
გრი ორმიზდი, 22, 25, 29, 34, 76, 84, 90, 93, 99, 112, 115, 118, 120, 137, 141, 145, 146, 149, 150, 151, 152
გრიგოლ განმანათლებელი წმ., 68, 103
გრიგოლ ნაზიანზელი წმ., 36, 79, 122
გრიგოლ სასწაულთმოქმედი, 75, 133
დავათი, 10, 77, 84, 91, 92, 120, 122, 132, 133, 141
დავით აღმაშენებელი, 7
დავლიანიძე-ტატიშვილი ლ., 110
დამასუს I რომის პაპი, 65
დიბალტუმი, 30

დიოკლეტიანე, 78
დიონისე მცირე (თრაკიელი), 86, 91
დუნაი მდ., 27
დუხტი, 44, 53, 54, 146
ევგვიპტელი, ევგვიპტელები, 99
ედესა, 48, 73
ევგენიოს ტირანი, 9, 31, 37, 145
ევდოქსია, 46
ევსტათი მცხეთელი წმ., 127
ეთიოპიელი, ეთიოპიელები, 99
ელენე დედოფალი, 82
ელია მთავარეპისკოპოსი, 40, 52, 60
ელიონის მთა, 30
ეფთვიმე ზიგაბენი, 129
ეფრემ ასური წმ., 122
ვალენტი კეისარი, 9, 26, 27, 142
ვალენტინიანუს II, 33
ვარაზ-ბაკური (ასფაგური), 12, 15, 18, 24, 26, 29, 41, 43, 135
ვარაზი, 12, 15, 24, 26, 29, 41, 43, 50, 53, 135
ვარაზ-ჰარანი, 44
ვარდან დიდი (არეველცი), 109
ვასპურაკანი, 42, 44
ვაჩე, 15, 23
ვახტანგ გორგასალი, 7, 18, 62, 147, 150
ვახტანგ მეექვსე, 7
ვახუშტი ბატონიშვილი, 15
ვესტ-გოთები, 9, 27, 28, 65, 72, 80, 116, 143
ვიქტორია (ბომონი), 37
ვიქტორიუს აქიტანელი, 91
ვრამშაპუჰი, 113
ვულფილა, 65, 72
ზედაზენი, 43
ზოსიმე, 10, 13, 22, 31, 37, 123, 141
თარსუსი, 73
თარხნიშვილი მ., 150
თბილისი, 42
თეოდოსი I დიდი, 9, 30, 32, 37, 38, 47, 64, 66, 72, 87, 104, 134, 143, 145
თრაკიელი, თრაკიელები, 99
თრდატი (სხვადასხვა), 10, 11, 13, 14, 18, 19, 22, 23, 25, 29, 40, 41, 44, 53, 60, 61, 95, 101, 125, 142
თუშეთი, 60
იაკობ ხუცესი, 52, 97
იერონიმე ნეტ., 66
იერუსალიმი, 30, 33, 37, 39, 69, 82, 87, 115, 143
ინდოელი, ინდოელები, 99
იოანე (მითრიდატე) ლაზი, 33, 85
იოანე დამასკელი წმ., 79
იოანე ვანაკანი, 109, 110
იოანე ოქროპირი წმ., 36, 38, 57, 74, 99, 100, 122, 128, 144
იოანე რუფუსი, 10, 12, 20, 22, 23, 28, 29, 46, 48, 51, 53, 54, 55, 58, 73, 96, 101, 141
იოანე საბანისძე, 28
იოანე ღმრთისმეტყველი, 84, 100, 130, 132, 135
იოანე-ზოსიმე, 92, 123
იონა მთავარეპისკოპოსი, 62
იოსელიანი პლ., 11
იპოლიტე რომაელი, 79
ისდიგერდესი, 68
ისიდორე, 79
იტალია, 38, 145
იტალიელი, 33
იუდეველი, იუდეველები, 98
იულიანე კეისარი (განდგომილი), 64, 90
კავკასიელი, კავკასიელები, 42, 60
კავკასიონის ქედი, 47
კაკაბაძე ს., 12, 58
კანდელაკი ნ., 75, 78, 91, 100, 132
კახეთი, 19, 22, 25, 42, 142
კეკელიძე კ., 12
კესარია (გალატიის), 73
კესარია (პალესტინის), 9, 34, 143
კვიპრიანე კართაგენელი წმ., 128
კირილე იერუსალიმელი წმ., 79
კოლხეთი, 73
კონსტანტინე I დიდი, 25, 51, 82, 104
კონსტანტინე-კირილე წმ., 69, 119, 121
კონსტანტინეპოლი, 28, 32, 46, 65, 66, 86, 94, 99
კონსტანციუს II, 18
კორიუნი, 10, 13, 23, 51, 53, 62, 77, 85, 103, 105, 106, 107, 112, 113, 114, 119
კუხეთი, 19, 22, 25
ლაზარე (წმინდა წერილის), 133
ლაზი, ლაზები, 26
ლევკი, ლევკები, 42

ლეონტი მროველი, 40, 41, 43, 50, 52, 60,
95, 104, 109, 123, 125, 133, 135, 147
ლიბანიოსი, 9, 10, 12, 35, 70, 72, 73, 90
მათე მახარებელი, 79, 128
მაიუმი, 54
მარდპეტაკანი, 44
მარდპეტი, 44
მარკვარტი ი., 28
მაქსენციუსი, 82
მაქსიმე ტირანი, 9, 30, 145
მაშტოცი, 51, 68, 103, 104, 106, 107, 108,
110, 111, 112, 114, 116, 121, 148
მაჭავარიანი ე., 81
მედიოლანი (მილანი), 32, 38
მეთოდე წმ., 121
მელიქიშვილი გ., 12
მირდატი (მითრიდატე), 15, 18, 23, 40, 44,
52
მირვანი (სხვადასხვა), 15, 20, 23, 25, 29
მირიანი, 11, 14, 19, 21, 23, 25, 29, 53, 54,
60, 62, 101, 142, 150
მოვსეს კალანკატუაცი, 106, 109, 110
მოვსეს ხორენაცი, 10, 13, 23, 32, 42, 43, 52,
53, 62, 76, 84, 105, 106, 109, 110, 113, 114,
119
მოსე მთავარეპისკოპოსი, 106, 115, 123
მტკვარი მდ., 26, 46, 49
მურადიანი პ., 106
მცხეთა, 17, 43, 48, 62, 67, 105, 110, 112, 138
მხითარ აირივანეცი, 109, 112, 117
ნაზარნუგი, 56
ნანა, 17, 23
ნიკეა, 64, 68
ნილოსი წმ., 46
ნინო წმ., 9, 23, 33, 56, 60, 62, 66, 102, 143
ნუცუბიძე შ., 12, 33, 35, 57, 73
ორბელიანი ს.-ს., 7
ოსდუხტი, 29
ოსი, ოსები, 42
პ.ვირჯილიო კორბო, 33
პავლე მოციქული, 81
პალესტინა, 9, 11, 22, 30, 34, 39, 73, 85, 123,
143
პაპრიუპასი, 68
პატარიძე რ., 126

პეტრე იბერი, 10, 16, 20, 23, 28, 29, 34, 46,
51, 53, 54, 55, 59, 62, 73, 96, 101, 142, 147
პითაგორა, 91, 126
ჟინვალი, 43
ჟორდანია თ., 11
რევი, 11, 14, 18, 19, 21, 23, 25, 29, 45, 142
რომაელი, რომაელები, 9, 26, 27, 30, 37, 45,
48, 143
რომი, 20, 25, 27, 32, 37, 51, 65, 66, 72, 93,
104, 134, 141, 142
რუსთავი, 22, 26, 142
რუმტუნები, 44
საბერძნეთი, 68, 87
სავრომატი, სავრომატები, 99
სალომე, 18, 19, 21, 23, 25, 33, 48, 142
საული, 38
საურმაგი, 18, 19, 22, 25, 27, 41, 45, 48, 142
საჰაკ დიდი, 68, 110
სელევკია, 73
სივნიეთი, სიუნიქი, 42
სიმენავრი, 44
სინას მთა, 43, 123
სირია, 47
სკვითი, სკვითები, 99
სოკრატე სქოლასტიკოსი, 9, 22, 30
სომეხი, სომხები, 10, 19, 21, 22, 25, 41, 43,
53, 62, 68, 76, 96, 103, 106, 109, 110, 111,
112, 114, 117, 120, 148
სომხეთი, არმენია, 18, 20, 21, 22, 25, 41, 43,
50, 52, 66, 68, 87, 91, 95, 103, 108, 112,
120, 142
სპარსეთი, 20, 26, 32, 41, 43, 50, 58, 100,
146
სპარსელი, სპარსელები, 15, 19, 26, 28, 40,
41, 43, 48, 52, 57, 58, 99
სტელიხონი, 38
ტერტულიანი, 85
ტიკასი, 68
ტიმასიოსი, 38
ტურანიუს რუფინუსი, 9, 10, 11, 22, 30, 39
ურიასტანი, 99
უსტამოსი, 138
უხტანესი, 105, 110
უჯარმა, 18, 19, 22, 25, 142
ფავსტოს ბუზანდი, 68, 103, 106
ფაზისი, 73

ფარანუსესი, 68
ფარნავაზი, 78, 109, 123, 125, 134
ფარსმანი, 29, 40, 46
ფეროზი, 44
ფრიგიდიუსი, 9, 31
ფხოველი, ფხოველები, 60
ქართველი, ქართველები, 4, 5, 7, 11, 12,
15, 18, 22, 25, 28, 33, 37, 39, 42, 45, 52, 54,
58, 60, 62, 67, 71, 72, 83, 84, 88, 92, 99,
101, 107, 118, 122, 125, 126, 132, 136, 142,
147, 149, 151
ქართლი, იბერია, 9, 11, 12, 14, 18, 19, 21,
22, 23, 24, 25, 27, 28, 29, 30, 32, 39, 40, 41,
43, 49, 50, 51, 53, 55, 58, 62, 66, 67, 68, 73,
83, 85, 93, 100, 101, 106, 111, 115, 121,
123, 135, 138, 142, 146, 150
ქრამ ხუარ ბორზადი, 42, 43
ღაზა, 73
ყაუხჩიშვილი ს., 12, 28

ყუარელნი, 60
შაბურ III, 41
შანიძე ა., 67, 126, 137
შოთა რუსთველი, 7
შუშანიკი წმ., 52, 97, 127
ჩხარტიშვილი მ., 13, 33, 35
ჩხენკელი თ., 126, 134, 135, 137
ცერცვაძე გ., 75, 78, 91, 100, 132
ცინცაძე ვ., 62
წერეთელი გ., 28, 34
წილკანი, 68
წინა აზია, 47
ჭავჭავაძე ი., 7
ხიდარი, 42, 43
ხოსროვ IV, 41
ჯავახიშვილი ივ., 11, 105
ჯანაშია ლ.-ნ., 12, 105
ჰილარიუს პიკტავიელი, 79
ჰუნები, 46

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან;

წინასიტყვაობა;

შესავალი საკითხის ისტორიოგრაფია;

თავი I დიდი ბაკურის გენეალოგიისათვის;

თავი II დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის “ბიზანტიური” პერიოდი;

§1. დიდი ბაკური რომის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე;

§2. მეფისწული ბაკურის რელიგიური მრწამსი და მსოფლმხედველობა;

თავი III ქართლის სამეფოს პოლიტიკური ვითარება 378-394 წლების პერიოდში;

თავი IV დიდი ბაკური ქართლის სამეფო ტახტზე;

თავი VI დიდი ბაკური - ეროვნული ქრისტიანული დამწერლობისა და ორიგინალური საეკლესიო წელთაღრიცხვის სათავეებთან;

თავი 6 დიდი ბაკური _ შტრიხები პიროვნული პორტრეტისათვის. ცხოვრება-მოღვაწეობის მოკლე მათიანე;

ბ ო ლ ო თ ე მ ა ;

Резюме;84

Summary;86

დამოწმებული ლიტერატურა;88

საძიებელი;94

სარჩევი.98